

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

ლიანა ქუცნიაშვილი

**რელიგიური ვითარება აჭარაში (XIX საუკუნის 70-იანი წლები
– 1904 წელი)**

სადოქტორო პროგრამა: საქართველოს ისტორია

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

*დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
ვახტანგ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია	3
შესავალი	10
თავი I. აჭარა ოსმალური მმართველობის ბოლო ხანებში (XIX საუკუნის 50-70-იანი წლები) და რელიგიური ვითარება	17
თავი II. XIX საუკუნის 70-იან წლებში ანტიოსმალური გამოსვლები აჭარაში და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი	29
თავი III. აჭარელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში	43
თავი IV. აჭარა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში	83
§ 1. პოლიტიკური ვითარება აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში	83
§ 2. სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება	88
§ 3. საგანმანათლებლო ვითარება აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში	92
§ 4. ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გავრცელება აჭარაში ---	120
§ 5. კულტურული ვითარება ბათუმში XIX საუკუნის 80-90 წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში	139
§ 6. საზოგადოებრივი ცხოვრება ბათუმში	149
თავი V. რელიგიური ვითარება აჭარაში 1878-1904 წლებში	154
§ 1. ქართველი მაჰმადიანები	154
§ 2. ქართველი მართლმადიდებლები	190
§ 3. ქართველი კათოლიკეები	201
§ 4. სომხური ქრისტიანობის წარმომადგენელნი და სხვანი	208
დასკვნა	213
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	230

ანოტაცია

შესავალში მიმოხილულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი მეცნიერული სიახლე, კვლევის შედეგები, წყაროები და ისტორიოგრაფია.

ნაშრომის I თავში “აჭარა ოსმალური მმართველობის ბოლო ხანებში (XIX საუკუნის 50-70-იანი წლები) და რელიგიური ვითარება მხარეში” გადმოცემულია, რომ აჭარაში XIX საუკუნის 50-70-იან წლებში სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად დამყარებული იყო ოსმალური მმართველობა, რომელიც ებრძოდა ყოველივე ქართულსა და ქრისტიანულს... ამგვარი ვითარება ძალზე აფერხებდა მხარის განვითარებას. თუმცა ხალხში შემორჩენილი იყო ქართული ენა, ეთნოგრაფიული თავისებურებები, კულტურული ტრადიციები. ხოლო მაჰმადიანური სარწმუნოების განმტკიცების მიუხედავად, მოსახლეობაში მცირედ შეინიშნებოდა ქრისტიანული ტრადიციებიც...

ნაშრომის II თავში “XIX საუკუნის 70-იან წლებში ანტიოსმალური გამოსვლები აჭარაში და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი” აღწერილია XIX საუკუნის 70-იან წლებში ანტიოსმალური გამოსვლები აჭარაში, რომელსაც მხარს უჭერდა ქართველი საზოგადოება. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართველი ხალხი ენერგიულად ჩაერთო. ადგილობრივი მოსახლეობა გმირულად იბრძოდა სამშობლოს დაკარგული ტერიტორიების ოსმალთაგან გასათავისუფლებლად. ამავე თავში განხილულია აჭარელთა ძირითადად პასიური პოზიცია ომში და რუს-ქართველთა ჯარის მიერ მხარის თითქმის უბრძოლველად შეერთება.

ნაშრომის III თავში “აჭარელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში” შესწავლილია აჭარელთა მუჰაჯირობა და მისი მიზეზები (რომელთაგან უმთავრესი იყო ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიული პოლიტიკა), მუჰაჯირობის შედეგები აჭარისთვის და გადასახლებულთა ტრაგედია, ქართველი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება თანამემამულეთა ოსმალეთში გადასახლების მიმართ...

IV თავში “აჭარა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში” მიმოხილულია აჭარაში 1880-1904 წლებში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ამ დროს პროგრესი უმთავრესად ბათუმში იგრძნობოდა, ხოლო სოფლად - ნაკლებად. IV თავის ქვეთავში “საგანმანათლებლო და კულტურული ვითარება აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში” განხილულია საგანმანათლებლო ვითარება: ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ძირითად სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენდა მეჩეთებთან გახსნილი მუსულმანური სკოლები; ბათუმში კი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გაიხსნა საქალაქო სასწავლებელი, ქართული სკოლა, რომელიც წარმატებით მოქმედებდა და სადაც ხდებოდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა დაახლოება და მოზარდების პატრიოტულად აღზრდა; შემდეგ - ქალთა და ტექნიკური სასწავლებლები და მრავალი კერძო და ეროვნული ჯგუფების სკოლები. ყოველივე ამან XIX საუკუნის დასასრულისთვის შექმნა პირობები ქალაქში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის გასახსნელად. მაგრამ მთელს აჭარაში სახელმწიფო სკოლები მცირედ იხსნებოდა... ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას, წიგნების კითხვასა და საქართველოს შესახებ ცნობების მიწოდებას ენერგიული მოღვაწეობა სჭირდებოდა. 80-იანი წლების ბოლოდან ქართველმა საზოგადოებამ აჭარაში დაიწყო ქართული წიგნების მასობრივად დარიგება. ამ ქვეთავში საკმაო ადგილი ეთმობა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ აჭარაში რამდენიმე მოგზაურობის შედეგად ყველა სოფელში ქართული წიგნების გავრცელებას, ასევე, ბათუმში ქართული წიგნების მაღაზიის გახსნასა და ბიბლიოთეკის ამოქმედებას. ქვეთავში “კულტურული ვითარება ბათუმში XIX საუკუნის 80-90 წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში” საუბარია ბათუმის კულტურულ ქალაქად ქცევაზე, რამაც დიდი ბიძგი მისცა ქართული თეატრის, ხალხური სიმღერებისა და მგალობელთა გუნდის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ქვეთავში “საზოგადოებრივი ცხოვრება ბათუმში” კი მიმოხილულია ბათუმში საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურება და ადგილობრივი საზოგადოების თანდათან ჩართვა საერთოქართულ ცხოვრებაში.

V თავში “რელიგიური ვითარება აჭარაში 1878-1904 წლებში” განხილულია ოსმალეთიდან აჭარაში შესული მოღვწის პროოსმალური და ანტიქართული საქმიანობა, მათ მიერ მოსახლეობაში ისლამური ფანატიზმის, თურქული ენის გავრცელება,

მოწოდებები ოსმალეთში მუჰაჯირად გადასახლებისკენ. ამის საწინააღმდეგოდ ქართველი საზოგადო მოღვაწეები და აჭარელი მოღვაწეების ერთი ნაწილი ფიქრობდნენ საქართველოში მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებლის დაარსებას მომავალი მოღვაწეების მოსამზადებლად. ქართველი საზოგადოება მაჰმადიან ქართველებთან დაახლოებასა და მათთვის დახმარებას გეგმავდა სხვადასხვა გზით. ამათგან, რეალური და წარმატებული აღმოჩნდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ასევე, საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურება ბათუმში. ქართველი საზოგადოება ერიდებოდა აჭარლების გაქრისტიანებაზე საუბარს და არ ერეოდა მათ რელიგიურ ცხოვრებაში. ეს მოძმეებს შორის ნდობის ატმოსფეროს ქმნიდა. აჭარლებიც უახლოვდებოდნენ ქრისტიან ქართველებს, პატივს სცემდნენ ქრისტიანობას და ზოგიერთი მათგანი ინტერესდებოდა კიდევ ქრისტიანული საეკლესიო მსახურებით. XIX საუკუნის ბოლოს აჭარაში ოსმალეთიდან ჩამოსული მოღვაწეების მიერ გავრცელებული რელიგიური ფანატიზმი თანდათან იძლეოდა და აჭარის მოსახლეობაზე ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის გავლენა სუსტდებოდა. ამავე თავში განხილულია ძირითადად ბათუმში და მცირედ აჭარის დაბა-სოფლებში ჩასახლებული მართლმადიდებელი ქართველების მდგომარეობა და მათი პრობლემები: ეკლესიების მშენებლობის ძალზე ნელი ტემპები, ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დიდხანს არარსებობა. ეს ქართველ მრევლსა და სამღვდელოებას ამ სირთულეების მოგვარებისა და წარმატებული მოღვაწეობისკენ უბიძგებდა.

V თავშივე განხილულია ბათუმის ქართველი კათოლიკეების პრობლემა, რომლებიც თავიანთი ტაძრის არარსებობის გამო სომხურ კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდნენ, მაგრამ შემდეგ პატრ ანსელიმო მღებრიშვილისა და სტეფანე ზუბალაშვილის დიდი ღვაწლით 1902 წელს აშენდა ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესია. ტაძარი აკურთხა აქ მოწვეულმა ეპისკოპოსმა, ბარონმა ე. როპმა და რომლის აშენებამაც ყველა კათოლიკეს მისცა საშუალება, ლოცვა მშობლიურად მოესმინა. ხოლო აღნიშნულ პერიოდში სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკეების ლათინურ ტიპიკონზე გადასვლის სურვილი ვერ შესრულდა. ამავე თავშია საუბარი XIX საუკუნის ბოლოდან ბათუმში მიაფიზიტი სომეხი მოსახლეობის მომრავლების შესახებ. მათ გააჩნდათ მიაფიზიტური ტაძარი, ხოლო მათი ეკლესია შეკრებდა მათ სომხური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ...

თავის ბოლოს ხაზგასმულია, რომ ქ. ბათუმში ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებობდა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ურთიერთპატივისცემა, მათ მოღვაწეებს შორის თანამშრომლობა. ეს ხელს უწყობდა ბათუმის მოსახლეობაში ტოლერანტული და დემოკრატიული გარემოს შექმნას.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.

Annotation

To the Paper on “Religious Situation in Adjara (the 70s – 1904 of the XIX Century)”

The Introduction overviews the relevancy of the topic, objectives, and tasks of the survey, theoretical and practical value of the Paper, its scientific novelty, survey outcomes, sources, and historiography.

Chapter I of the Paper “Adjara at the end of Ottoman Dominion (the 50-70s of the XIX Century) and the Religious Situation in the Region” provides that as a result of the protracted and merciless battles, Adjara has been subordinated to the Ottoman dominion in the 50-70s of the XIX century, aiming to eliminate every Georgian and Christian aspect in the region. This situation has significantly hindered the development of Adjara region. However, the locals still maintained Georgian language ethnographic peculiarities and cultural traditions. And despite enhancement of Muslim religion, the population still adhered to Christian traditions to some extent.

Chapter II of the Paper “Anti-Ottoman Protests in the 70s of the XIX century and the Russia-Ottoman War in 1877-1878” describes the anti-ottoman protests in Adjara in the 70s of the XIX century backed by Georgian society. Georgian people were actively engaged in the Russia-Ottoman war in 1877-1878 and local residents have been fearlessly fighting to liberate the lost territories from Ottoman dominion. The Chapter informs us about the passive position of Adjarian population in the war and accession of the region by the Russian-Georgian Army almost without a fight.

Chapter III of the Paper “Muhajir of Adjarian population at the end of the 70s of the XIX century and at the beginning of the 80s” studies Muhajir (ethnic cleansing) of Adjarian people and the reasons thereof (with the leading reason of the imperial policy of Ottoman Empire and Russia), its consequences for Adjara and the tragedy of the exiled, as well as the negative attitude of Georgian society to the exile of compatriots to Ottoman Empire.

Chapter IV “Adjara in the 80-90s of the XIX Century and at the beginning of the XX Century” overviews the existing political and socio-economic situation in Adjara in 1880-1904. The progress mostly in this period was evident in Batumi and less in rural areas. The Sub-Chapter “Educational and Cultural situation in Adjara in the 80-90s of the XIX century and at the beginning

of the XX century” considers the educational situation: Muslim Schools functioning at the Mosques mostly served as the main educational institutions for the wide strata of Georgian Muslims; and the city institution – Georgian school was open since the 80s of the XIX century in Batumi, which was quite successful and facilitated to approximation of Muslim and Christian Georgians and patriotic inspiration of the youth; it was followed by opening of the technical schools and schools for the girls, and many other private schools or for the national groups. All these developments at the end of the XIX century created the conditions for opening of the Gymnasium for the girls and boys in the city. However, the number of state schools in Adjara was still minor. Development of literacy in the people and provision of information about Georgia required vigor activity. Since the end of the 80s, Georgian society started the mass distribution of Georgian books in Adjara. This sub-chapter widely overviews the journeys of Zakaria Chichinadze in Adjara for distribution of Georgian books throughout the region, as well as opening of the Georgian Book Store in Batumi and enactment of the libraries. The sub-chapter “Cultural Situation in Batumi in the 80-90s of the XIX century and at the beginning of the XX century” tells us about conversion of Batumi into the cultural city, which has significantly triggered establishment and development of Georgian Theater, Georgian Songs and Choir. The sub-chapter “Public Life in Batumi” dwells on intensification of public life in Batumi and gradual engagement of local society in common Georgian life.

The Chapter V “Religions Situation in Adjara in 1878-1904” describes the pro-Ottoman and anti-Georgian activity of the Mullahs arriving from Ottoman Empire to Adjara, distribution of Islamic fanaticism and Turkish language thereby in the population, their propaganda about exile of the local population to Ottoman Empire as Muhajirs. To counter this situation, the part of Georgian public figures and Adjarian mullahs intended to establish Muslim Theological School in Georgia to educate the mullahs-to-be. Georgian society intended to approximate to Georgian Muslims in various ways, the most realistic and optimal of which appeared cultural-educational activity, as well as intensification of public life in Batumi. Georgian society abstained from speaking of baptizing Adjarian population into Christians and never interfered in their religious life. It served as the basis for the trust between the fraternal people. Adjarian people were also eager to

approximate to Christian Georgians. They respected Christianity and were even interested in Christian services. At the end of the XIX century, the religious fanaticism distributed by Ottoman mullahs in Adjara and impact of Ottoman policy on Adjara population were mitigated. The Chapter considers the situation of Orthodox Georgians settled in mostly Batumi and also in the boroughs and villages of Adjara, as well as their problems: delayed construction of the Churches, absence of Georgian lingual services and liturgies – it triggered Georgian parish and clergymen to solution of the problems and successful activity.

Chapter V also provides the information about the problem of Georgian Catholics in Batumi, who due to absence of their Churches, were forced to attend Armenian Catholic Churches but then, by the greatest merit of Patr Anselimo Mgebrishvili and Stephan Zubalashvili, the Great Catholic Church was erected in Batumi in 1902. The Church has been blessed by the invited Bishop, Baron E. Ropp, and construction of which allowed all Catholics hearing the service in their native language. And the will of Georgian Catholics on Armenian Typicon in the hereof period of time to move to the Latin Typicon has not been fulfilled. The Chapter tells us about the increased number of Miaphysit Armenian population in Batumi at the end of the XIX century. They had their own Miaphysit Church and their Church convened them under the Armenian National-Liberation Movement Flag. The Chapter ends with the information underlined that the national and religious groups in Batumi peacefully co-existed and enjoyed the mutual respect. They often cooperated, which facilitated to formation of the tolerant and democratic milieu in Batumi.

The Paper is enclosed with the Conclusion and the Bibliography.

შესავალი

თემის აქტუალობა

რელიგიური ვითარება აჭარაში 1870-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად შესწავლილი არაა. რელიგიური მდგომარეობა ძალზე დიდ გავლენას ახდენდა რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე. თუმცა მკვლევარები აჭარის აღნიშნული ხანის ისტორიის შესწავლისას ეხებოდნენ რელიგიურ მდგომარეობას, მის ზემოქმედებას ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, უფრო მეტად კი პოლიტიკური მოვლენების გავლენას რელიგიურ ვითარებაზე. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის თანმიმდევრულად და სიღრმისეულად შესწავლა აქტუალურია; მით უფრო, რომ ამ თემის ირგვლივ არსებობს როგორც გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი წყაროები, ასევე თანადროული საგაზეთო სტატიები და ცნობები. ხოლო ისტორიულ მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში ავტორები ეხებოდნენ და სწავლობდნენ აღნიშნულ საკითხებს. ეს მასალები არჩეული თემის კონკრეტულად, თანმიმდევრობით შესწავლისა და გააზრების საშუალებას იძლევა.

კვლევის მიზნები და ამოცანები

თემის დამუშავებისას მიზნად დავისახეთ: აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების გავლენის შესწავლა პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე, რეგიონში ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის გაშუქება, რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ აქ გამრავლებული ქრისტიანთა და სხვა სარწმუნოებრივი ჯგუფების რელიგიური ცხოვრების, მათ შორის ურთიერთობების განხილვა...

კვლევის დროს მიზნად დავისახეთ აღნიშნული თემის ირგვლივ არსებული გამოქვეყნებული თუ საარქივო დოკუმენტების, იმდროინდელი პრესის მასალების, სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების შესწავლა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყაროთა კრიტიკულ განხილვასა და ისტორიული ფაქტების დაზუსტებას, მოპოვებული მასალის გადამუშავებასა და შეწავლას, რაც ისტორიული სურათის აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ვფიქრობთ, ჩვენს ნაშრომში დაყენებული საკითხები მის სათაურს შეესაბამება. მასში კონკრეტულადაა ფაქტები და მოვლენები განხილული, შესწავლილია ისტორიული პროცესები. აქ განხილული მრავალრიცხოვანი ფაქტები, ისტორიული მოვლენები და პროცესები, მათი განზოგადების შედეგად მიღებული მოსაზრებები საინტერესო უნდა იყოს მკვლევარებისა და აჭარის ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის.

ნაშრომში ფართო მკითხველისთვისაც საინტერესო მასალები მოიძებნება. ისინი მათ აჭარის თანამედროვე რელიგიურ მდგომარეობასთან შედარების საშუალებას მისცემს. აჭარაში დღესაც იგრძნობა თურქეთის გარკვეული წრეების გავლენა ქართველ მაჰმადიანთა რელიგიურ ცხოვრებაზე და მხარის საგანმანათლებლო სფეროში. აქ შეინიშნება ქართველ მაჰმადიანთა შორის თურქული ენისა და კულტურის გავრცელების მცდელობანი გარკვეული ინტერესების მიხედვით, რელიგიური და სამეცნიერო საკითხების პოლიტიზირების მცდელობებიც. ეს კი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ყოველთვის არ შეესაბამება. ვფიქრობთ, აჭარის დღევანდელი რელიგიურ-ეთნიკური პროცესებით დაინტერესებული მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ნაშრომში განხილული შემდეგი საკითხები: აჭარაში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მკვიდრი მოსახლეობის საზიანოდ განვითარებული მოვლენები ეთნიკური და რელიგიური მიმართულებით; მხარეში ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ გატარებული იმპერიული პოლიტიკის ხელშეშლის მცდელობები და ამის შედეგები; ქართველი საზოგადოების მოღვაწეობის შედეგად აჭარელთა შორის განათლებისა და კულტურის თანდათანობით გავრცელება, რაც აჭარლებს შორის ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას...

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ვფიქრობთ, ნაშრომში კონკრეტულად, თანმიმდევრულად და განზოგადებით არის წარმოდგენილი აჭარის იმდროინდელი რელიგიური ვითარება, კონფესიებს შორის ურთიერთობები და რელიგიური მდგომარეობის გავლენა იმდროინდელ პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარებაზე. მასში წარმოჩენილია რეგიონში ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოების იმპერიული პოლიტიკა. ამასთანავე,

განხილულია, თუ როგორ იყენებდა რელიგიურ ფაქტორებს თავისი ანტიქართული პოლიტიკის განსახორციელებლად ოსმალეთის იმპერია... ვფიქრობთ, ნაშრომში აჭარის რელიგიური საკითხები ფართოდ არის დანახული და განხილული: თუ რა ზეგავლენას ახდენდა რეგიონის სარწმუნოებრივ ვითარებაზე აღნიშნულ პერიოდში მომხდარი ცვლილებები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში; რა პროცესები შეიგრძნობოდა სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებაში და მათ შორის ურთიერთობებში...

კვლევის შედეგები

ჩვენი სამეცნიერო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აჭარაში ოსმალთა მიერ გამაჰმადიანებისა და გათურქებისკენ მიმართული მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის მიუხედავად, აჭარლებს შორის შემონახული იყო ქრისტიანობის გარკვეული ელემენტები. მათ ჰქონდათ პატივისცემა ქრისტიანი ქართველების მიმართ, მათი წინაპრების მიერ აშენებული ტაძრების თუ მათი ნანგრევების, საეკლესიო სიწმიდეების მიმართ. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მაჰმადიანი ქართველები ისწრაფოდნენ ქრისტიან მოძმეებთან დაახლოებისკენ, საქართველოს წარსულისა და თანამედროვე მდგომარეობის, მისი კულტურის გაცნობისკენ, საქართველოს ერთგულ შვილებად ჩამოყალიბებისკენ... აჭარლების ამგვარ მისწრაფებებს სიხარულით ხვდებოდა, მხარდაჭერას უცხადებდა, მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მთელი ქართველობა და, განსაკუთრებით, ცენტრში მოღვაწე ქართველი საზოგადოება. საზოგადოება მათ შორის ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, ცდილობდა მათი გაჭირვებისა და სირთულეების შემსუბუქებას, მათ საერთოქართული მნიშვნელობის საქმიანობასა და მოძრაობებში ჩაბმას. ეს პროცესები ხელს უშლიდა აჭარლების ეთნიკური გადაგვარებისა და მათ მაჰმადიანურ ფანატიზმში გადასვლის ტენდენციებს... ყოველივე ამის გამო (და სხვა ფაქტორების წყალობითაც) XX საუკუნის დასაწყისისთვის აჭარის ქართველ მაჰმადიანთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს ქართველად აღიარებდა და უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდა საქართველოს ცხოვრებაში...

აჭარის რელიგიური ვითარების შესწავლისას გაირკვა, რომ მხარეში მცხოვრები მართლმადიდებლების სირთულე იყო მოქმედი ეკლესიების სიმცირე, ქართველი მრევლისთვის - მშობლიურენოვანი მსახურების დაწესება. ამ პრობლემების მოსაგვარებლად გაჩაღდა ენერგიული საზოგადოებრივი მოძრაობა... ბათუმის კათოლიკეებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ლათინურენოვანი ეკლესიის ამოქმედება, რისთვისაც 1903 წელს ააშენეს ახალი კათოლიკური ტაძარი. ხოლო სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკე მრევლი ცდილობდა ლათინურ ტიპიკონზე გადასვლას, თავი რომ აერიდებინა ეროვნული შევიწროებისგან...

წყაროები და ისტორიოგრაფია

წყაროები. ჩვენი თემის ირგვლივ საკმაოდ მოიპოვება წყაროები. გამოქვეყნებული წყაროებიდან ყველაზე ინფორმაციული, მნიშვნელოვანი და ძირითადად სარწმუნოა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის წამყვანი ქართული გაზეთები: დროება და ივერია. ამ გაზეთებში აჭარის თემას და, მათ შორის, რელიგიურ საკითხებს დიდი ყურადღება ექცეოდა. აქ ქვეყნდებოდა ქრონიკები, კორესპონდენციები, წერილები და სარედაქციო სტატიები აჭარის შესახებ, სადაც ფაქტობრივ მასალასთან ერთად კონკრეტული პირების თუ საზოგადოების მოსაზრებები და პოზიციებიც არის დართული. ეს მასალები ძირითადად უტყუარ წყაროებს წარმოადგენს. მათში შეცდომის ან არასწორი ინფორმაციის გაპარვის შემთხვევაში მომდევნო ნომრებში ხდებოდა ცნობის დაზუსტება. სხვა სახის წყაროებთან შედარებითაც დასტურდება “დროებასა” და “ივერიაში” გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტე. აჭარის თემას ეხებოდნენ სხვადასხვა ქართული თუ რუსული პერიოდული გამოცემებიც, რომელთა ცნობებიც ნაწილობრივ გადაიხეჭდებოდა ან აისახებოდა ხოლმე “დროებასა” და “ივერიაში”.

დასახელებული პერიოდის შესახებ არსებული საარქივო მასალებიდან აღსანიშნავია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ფონდების შესაბამისი საქმეები. ხოლო პიროვნებების მიმოწერის ამსახველი მასალები მოიპოვება გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (ძირითადად,

ზაქარია ჭიჭინაძის ფონდში), ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ა. შ. ეს დოკუმენტები სანდო წყაროებს წარმოადგენს, რადგანაც ისინი იმდროინდელი მოღვაწეების სამუშაო მასალები იყო. მათში რეალურ ფაქტებთან ერთად ჩანს მოღვაწეების დამოკიდებულება ფაქტებისა და მოვლენებისადმი და მათ მიერ გარკვეული ღონისძიებების დასახვაც...

ჩვენს თემას ცნობებით ავსებს უცხოელი თუ რუსი მოგზაურების მიერ აჭარის აღწერები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, რომლებიც გამოაქვეყნა მკვლევარმა ოთარ გოგოლიშვილმა (ოთარ გოგოლიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში, თბილისი, 2009). ისინი ძირითადად სანდო წყაროებს წარმოადგენენ. აჭარის შეხახებ უფრო ვრცელი აღწერები არის მოყვანილი ქართველი მოგზაურების ჩანაწერებში, როგორებიც იყვნენ გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო სახოკია და სხვ.

ყოველივე ეს გამოქვეყნებული თუ საარქივო დოკუმენტები ვრცელ, კონკრეტულ და ძირითადად ზუსტ ცნობებს გვაწვდის ჩვენი ნაშრომის ირგვლივ.

ისტორიოგრაფია. ჩვენი ნაშრომის ირგვლივ არსებული რამდენიმე მონოგრაფია ეხება აჭარის რელიგიურ ვითარებას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

თემაში განსახილველ საკითხებს სწავლობდნენ მკვლევარები XIX საუკუნის დასასრულიდან. სახალხო წიგნების გამომცემელმა და აჭარის დაუღალავმა მოამაგე ზაქარია ჭიჭინაძემ თავისი მოგზაურობის აღწერები და სხვა შეკრებილი მასალები წიგნებად გამოსცა, რომელთაგან ზოგიერთი უფრო სცემს პასუხებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე (ზაქარია ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913). აჭარის ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლებისა და შემდეგ აჭარიდან მუჰაჯირობის საკითხები აქვს შესწავლილი მკვლევარ შამშე მეგრელიძეს (შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956; შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში), თბილისი, 1964). აჭარის XIX საუკუნის ბოლო ხანების დროინდელ ვითარებას ეხება ჯემალ კარალიძე, რომელმაც შეისწავლა მხარის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება (ჯემალ კარალიძე, აჭარა 1878-1903 წლებში, ბათუმი, 2009). აჭარის მოსახლეობის მიგრაციული საკითხებია განხილული თამაზ ფუტკარაძის ნაშრომში (თამაზ ფუტკარაძე, აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და

ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკური რეგიონებში, ბათუმი, 2005). ბათუმის მხარის ეთნოკულტურული ვითარება აქვს განხილული თავის ნაშრომში მკვლევარ ნადიმ ვარშანიძეს (ნადიმ ვარშანიძე, ბათუმის ოლქი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, (ეთნოკულტურული ვითარება), ბათუმი, 2006). აჭარის ისტორიის საფუძვლიანი კვლევაა წარმოდგენილი გამოცემაში “სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები: აჭარა, ტომი III, ბათუმი, 2008.” მასში ცნობილი მკვლევარების მიერ შესწავლილია რეგიონის ისტორია 1877-1904 წლებში მრავალი ასპექტით. ჩვენთვის საინტერესო საკითხებს განიხილავდნენ მკვლევარები შემდეგ ნაშრომებში: ხარიტონ ახვლედიანი (ხარიტონ ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), ბათუმი, 1943), ვლადიმერ სიჭინავა (ვლადიმერ სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958), აბელ სურგულაძე (აბელ სურგულაძე, მალხაზ სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996), თეიმურაზ კომახიძე (თეიმურაზ კომახიძე, ბათუმის ამაგდარნი, ბათუმი, 1993; თეიმურაზ კომახიძე, ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ბათუმი, 1996; თეიმურაზ კომახიძე, აჭარის მოამაგენი, ბათუმი, 1995; თეიმურაზ კომახიძე, ილია ჭავჭავაძე აჭარის დიდი მოამაგე, ბათუმი, 2004; თეიმურაზ კომახიძე, ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმი, 2003), მალხაზ სიორიძე (მალხაზ სიორიძე, ბათუმის საბაჟო, ბათუმი, 2003) და სხვ. ამას გარდა, აჭარის ჩვენთვის საინტერესო პერიოდსა და საკითხებს ნაწილობრივ ეხებიან სხვადასხვა მონოგრაფიებიც, რომლებიც დასახელებულია ნაშრომის ბოლოს დართულ ლიტერატურაში...

სამეცნიერო სტატიებშიც არის მიმოხილული აჭარის რელიგიური ვითარება, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევარ ელდარ ბუბულაშვილის სტატია “ზაქარია ჭიჭინაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა აჭარაში”, სადაც ავტორი ხაზს უსვამს პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორებით შექმნილ სირთულეებს აჭარაში (ე. ბუბულაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნ. “ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში”, 1987, #1). ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოების დამოკიდებულებათა გაშუქებული აჭარელთა სარწმუნოების მიმართ ე. ბუბულაშვილის სტატიაში (ე. ბუბულაშვილი, აჭარის

შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ; 2001).

აღნიშნული წყაროები და სამეცნიერო ნაშრომები მნიშვნელოვან ცნობებსა და მოსაზრებებს გვაწვდის ჩვენი თემის ირგვლივ, რისთვისაც მადლიერებით მოვიხსენიებთ მათი ავტორების მიერ გაწეულ ღვაწლს.

თავი I. აჭარა ოსმალური მმართველობის ბოლო ხანებში (XIX

საუკუნის 50-70-იანი წლები) და რელიგიური ვითარება მხარეში

XVI საუკუნიდან აჭარა ოსმალთა ბატონობის ქვეშაა, ამიტომ XIX საუკუნის შუა ხანებისთვის აჭარაში დაკარგული იყო ქართული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების წესი, აღარ არსებობდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები... შემორჩენილი ეროვნულ-კულტურული ტრადიციები ზეპირსიტყვიერი ფორმებითაა გადაეცემოდა მომდევნო თაობებს. ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მეტნაკლებად დაცული იყო ეროვნული თავისებურებანი... მათი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე ძალზე დიდ როლს თამაშობდა მაჰმადიანური სარწმუნოება.

აჭარაში აღნიშნულ ხანაში ქართული სახელმწიფო მმართველობის ფორმები გაუქმებული იყო, ხოლო თურქული სახელმწიფო მმართველობა საკმაოდ განმტკიცებულიყო. გამონაკლისის სახით, მთიან მხარეებში, ზოგგან ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი მიწათმფლობელობის ქართული ფორმები. მოსახლეობის ზედაფენებში, განსაკუთრებით ადგილობრივ მოხელეებს შორის გავრცელებული იყო თურქული ენა. აჭარის დაპყრობა-დამორჩილების ხანაში დამკვიდრდა ოსმალური მმართველობის ორგანოები, რომლებიც ექვედებარებოდა ოსმალეთის სულთნის ცენტრალურ ხელისუფლებას. XIX საუკუნეში თანდათან სუსტდებოდა ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება. მისი ძალაუფლების გადანაწილება ხდებოდა განაპირა საფაშოებში. ამით კარგა ხნის განმავლობაში სარგებლობდნენ აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ძირითადად, წარჩინებული საგვარეულოების შთამომავალნი და ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელოების თუ გავლენის სფეროების გაფართოებას (მაგალითად, ზემო აჭარის მმართველი ხიმშიაშვილების თავნებობა და დაუმორჩილებლობა ოსმალეთის მთავრობის მიმართაც). ისინი ხან უპირისპირდებოდნენ აჭარის თუ სამცხის ზედაფენების სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც ოსმალეთის ადგილობრივი მოხელეებიც იყვნენ (ყაზბეგი, 1995: 65-69). ზოგიერთი ბეგი ხელს უშლიდა სტამბულიდან გამოგზავნილი მოხელის საქმიანობას, ავიწროებდა მათ და ცდილობდა, მათ ადგილას ადგილობრივი მმართველი დანიშნულიყო [“ივერია”, 1894, #131, გვ. 3-4].

ხანდახან ადგილობრივი მოსახლეობა თავს არიდებდა ოსმალურ გადასახადებსა და ჯარში გაწვევას. თუმცა ისინი ამგვარი თვითნებობითა და დაუმორჩილებლობით ოსმალეთის სახელმწიფოს სერიოზულად ვერ უპირისპირდებოდნენ და ვერც ოსმალური მმართველობის რაიმე ფორმას ცვლიდნენ. ამას მოჰყვებოდა ხოლმე ოსმალთა მხრივ მათ მიმართ რეპრესიები. მაგრამ ისინი თავიანთი აქტიურობითა და მცირეოდენი დაუმორჩილებლობით მაინც ასუსტებდნენ ოსმალეთის ბატონობას აჭარაში და ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფლებისმოყვარე სულს მეტნაკლებად აძლიერებდნენ. ამგვარ პირობებში XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ოსმალური მმართველობა აგრძელებდა მოქმედებას აჭარაში, მაგრამ მის მიმართ ხალხი უნდობლად იყო განწყობილი. მას აშკარა უსამართლობისა და მოსახლეობის მიმართ ძალადობის შემთხვევაში უფრო და უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდებოდა. ეს გამოძევიდანა 1870-იანი წლების შუა ხანებში აჭარასა და სხვა მხარეებში მომხდარი მღელვარებების თუ აჯანყებების დროს (მეგრელიძე 1956: 11-12)...

მძიმე ვითარება იყო აჭარაში ოსმალთა მფლობელობის დროს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ოსმალთა დამკვიდრებით გაწყდა აჭარასა და საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ეკონომიკური კავშირებიც, დაქვეითდა სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა. ხოლო ოსმალეთის ეკონომიკური ვითარება ნაკლებად უზრუნველყოფდა ეკონომიკურ კავშირებს აჭარასა და იმპერიის სხვა რეგიონებს შორის. ოსმალეთი ხელს ვერ უწყობდა აჭარის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას; პირიქით, ძალზე აფერხებდა მას. ოსმალეთის სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა გვიან შუა საუკუნეებში ჩამორჩებოდა საქართველოს ეკონომიკურ ვითარებას. ამით აჭარას ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მცირედლა გააჩნდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ოსმალეთი დიდ ძალისხმევას მიმართავდა დაპყრობილ ქართულ მხარეებში ქრისტიანობის, ყოველივე ქართულის ამოსაძირკვად. ამას მოჰყვებოდა მოსახლეობაში მსხვერპლი და ნგრევა, ხალხის დაშინება, ოსმალური რეპრესიული სახელმწიფო მმართველობის დამყარება, მოხელეთა თავნებობა და მექრთამეობა... ყოველივე ეს ხელს უშლიდა ხალხის ეკონომიკურ საქმიანობას. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ადგილობრივ მოსახლეობას მოემატა ოსმალური გადასახადები და დაუმძიმდა ცხოვრება (ბაქრაძე 1988:

49). ამასთანავე, მდგომარეობას ართულებდა მცირემიწიანობა და რთული რელიეფი აჭარის მთიანეთში.

XIX საუკუნეში აჭარაში გავრცელებული იყო ძირითადად კარჩაკეტილი ფეოდალურ-ნატურალური სოფლის მეურნეობა. ქალაქებში ხელოსნური წარმოება მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებას თუ ჰყოფნიდა, ვაჭრობაც სუსტად იყო განვითარებული. ოსმალური მმართველობა და მის ეკონომიკურ სივრცეში ყოფნა ქართველთათვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც რეგრესს მოასწავებდა. მისი რესურსები მნიშვნელოვანწილად ხმარდებოდა სახელმწიფო რელიგიის იძულებით გავრცელებასა და დამორჩილებული ხალხების გათურქების საქმეს. ამისდა მიუხედავად, აჭარის მოსახლეობა ცდილობდა თავისი ტრადიციული მეურნეობების შენარჩუნებას (მაგალითად, ხის დამუშავება, ფარულად შემორჩენილი ვაზის კულტურა და მეღვინეობა).

აჭარის კულტურულ ვითარებასა და ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე XIX საუკუნეშიც უდიდეს გავლენას ახდენდა სახელმწიფო-რელიგიური პოლიტიკა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იყო მაჰმადიანი. მათ დაახლოებით 3 საუკუნის განმავლობაში ისლამი იძულებით ჰქონდათ მიღებული ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური ზეწოლის მეშვეობით. XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის მოსახლეობის უმრავლესობაში განმტკიცებული იყო ისლამი და ის რელიგიური ფანატიზმის დონეზეც იყო აყვანილი. ოსმალები მაჰმადიანურ სარწმუნოებას ხლართავდნენ ოსმალეთის იმპერიულ პოლიტიკასთან და ოსმალურ აგრესიულ ნაციონალიზმთან (ეს ითვალისწინებდა დაპყრობილი მოსახლეობის გათურქებას). ამის შედეგად მათ აჭარაში ამოძირკვეს ქრისტიანობა და ყოველივე ქართული, გარდა მშობლიური ენისა და გარკვეული ტრადიციებისა.

აღნიშნული ხანისთვის ოსმალეთის იმპერიის მიერ აჭარის მთლიანად გამაჰმადიანებისა და გათურქების მცდელობების მიუხედავად, ქართული კულტურული და საყოფაცხოვრებო ტრადიციები ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა. ხოლო მხარის მიმდებარე სხვა რეგიონებში მიმდინარეობდა ქართველთა ასიმილაცია (განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანობაში დაიკარგა ქართული ტრადიციები). აჭარაში შემორჩენილი იყო ქართული ენა (თუმცა მასში შესული იყო თურქული ლექსიკა),

ხალხური ზეპირსიტყვიერება, პოეზია, ასევე, ხალხური სიმღერები და ცეკვები. ამ ცნობებს გადმოგვცემდა გაზეთ ივერიის 1893 წლის #250-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია. აღნიშნულ კულტურულ ტრადიციებს მხარის რუსეთთან შეერთებამდეც ებრძოდა ოსმალეთის მმართველობა. აქ ქართული ოფიციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები აღარ არსებობდა. აჭარა განათლებით ძალზე ჩამორჩა სხვა ქართულ მხარეებს, რაც აწუხებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ოსმალური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მცირე იყო და ისიც ძირითადად რელიგიური დანიშნულების, რომლებიც აჭარაში ფართოდ ვერ ავრცელებდა სახელმწიფო ენასა და ოსმალურ კულტურას. მხარის მოსახლეობაში მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო თურქული ენის გავრცელება (ბაქრაძე 1988: 49, 73). გიორგი ყაზბეგი ამის ერთ-ერთ მიზეზად ამ ენის შესწავლის სიადვილეს თვლიდა. თუმცა თურქული წერა-კითხვა ცოტამ იცოდა აჭარაში (ყაზბეგი, 1995: 60-61) (ახვლედიანი 1943: 104-107). ახალგაზრდობას მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას უმთავრესად ქალები ასწავლიდნენ. ხალხის ნაწილს რუსეთის მმართველობის დამყარებამდეც შეეძლო წერილების დაწერა და წაკითხვა ქართულად. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების სურვილი კი დიდი იყო მოსახლეობაში, მაგრამ მათთვის მიუწვდომელი იყო ქართული ნაბეჭდი წიგნები. ხოლო რუსეთ-ოსმალეთის ომამდე ქართული პრესა, ძირითადად, გაზეთი დროება ძალზე მცირე ტირაჟით შედიოდა ე. წ. “ოსმალის საქართველოში”, რასაც მოუთმენლად ელოდნენ აჭარის მცხოვრებნი. დროების შეტანა აჭარაში შეწყდა მოსახლეობის მღელვარებისა და ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ. იმდენად დიდი იყო აჭარაში განათლების მიღების სურვილი, რომ წერა-კითხვის მცოდნენი სიამოვნებით ასწავლიდნენ თავიანთ მოძმეებს ქართულ წერა-კითხვას. ამ ცნობას ვხვდებით გაზეთ ივერიაში, 1892 წლის 193-ე ნომერში. აჭარაში წერის შემორჩენილ ერთ-ერთ გახალხურებულ სახეობას დედაბრულ დამწერლობას უწოდებდნენ. ქართულ კულტურულ ტრადიციებს ხალხური ხასიათი გააჩნდა, ზეპირსიტყვიერი ფორმებით ვრცელდებოდა და ჩაკეტილ სივრცეში განვითარების ტენდენციებს ნაკლებად ამჟღავნებდა. თუმცა ამ ტრადიციების მიმართ ხალხის ერთგულება მოასწავებდა მხარეში სამომავლოდ, ხელსაყრელ დროს, განათლებისა

და კულტურის გავრცელების, კულტურული განვითარების დიდი შესაძლებლობების არსებობას...

აჭარაში ქართული ელემენტები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად იყო დაცული. აჭარლებს შორის ყოფა-ცხოვრების ფორმები ისევ ქართული რჩებოდა. გამაჰმადიანებული სხვა ქართული კუთხეებისგან განსხვავებით, მათში კვლავ გავრცელებული იყო ქართული სამოსი. ამას ადასტურებს ივერიის კორესპონდენტი 1894 წლის #7-ში. მათში შემორჩენილი იყო ასევე სახლების მოწყობისა და ხალხური რეწვის ძველქართული ფორმები... ქრისტიანული სიმბოლიკა განდევნილი იყო მათი ყოფა-ცხოვრებიდან. სამაგიეროდ, ქართული ეროვნული სიმბოლოები იყო გამოკვეთილი მათ სახლებში (უფრო ხშირად ბორჯღალი).

აჭარაში ქართული ტრადიციებისა და ეროვნული სულისკვთების მატარებელნი განსაკუთრებით ქალები იყვნენ. ისინი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში ნაკლებად მონაწილეობდნენ, ძირითადად სახლებში იმყოფებოდნენ. მაგრამ მათ ეროვნულ-კულტურული ტრადიციების შემონახვა-გადაცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ. ისინი ასწავლიდნენ ახალგაზრდა თაობებს წერა-კითხვას (ქალების საკმაო ნაწილმა იცოდა ქართული წერა-კითხვა, მხოლოდ გახალხურებული ფორმებით), ზეპირსიტყვიერად გადასცემდნენ მათ ხალხური პოეზიის, თქმულებების ნიმუშებს. ისინი მისდევდნენ ხალხურ რეწვას, გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთ დარგშიც მოღვაწეობდნენ, რასაც უზიარებდნენ მომავალ თაობებს. შვილების გაზრდისას ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ ტრადიციულ ზნეობრივ აღზრდას, სადაც ქრისტიანული აზროვნება კიდევ იყო შემორჩენილი. ქართული კულტურული და საყოფაცხოვრებო ტრადიციების შემონახვის მხრივ მათზე დადებითად მოქმედებდა ის, რომ აჭარელი ქალები თითქმის არ იცნობდნენ თურქულ კულტურას, არ იცოდნენ თურქული ენა [“ივერია”, 1893, #250, გვ. 1; 1893, #251, გვ. 2-3]. მათ მეჩეთებთან და მოლებთან მცირე კავშირები გააჩნდათ. ამდენად, ოსმალეთისა და მაჰმადიანობის გავლენა აჭარელ ქალებზე ნაკლებ ზემოქმედებას ახდენდა, ვიდრე მამაკაცებზე. მათ ეროვნული ტრადიციების შემონახვისა და გადაცემის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღოდათ.

ამრიგად, აჭარის მოსახლეობას XIX საუკუნის შუა ხანებში ეროვნულ სახეს უნარჩუნებდა შემოჩენილი ქართული კულტურული ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები. თუმცა მათში გავრცელებული იყო ისლამის მტკიცე რწმენა, იძულებით მეტნაკლებად შეგუებულნი იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრებას. მაგრამ აჭარლებს შორის დამპყრობელი და მოძალადე სახელმწიფოსადმი დაუმორჩილებლობის სული და მისწრაფება თავისუფლებისკენ კვლავ ცოცხალი იყო, რაც არაერთხელ გამოჰყდებოდა XIX საუკუნეში სხვადასხვა ფორმებით.

აჭარაში სხვა ქართულ მხარეებთან შედარებით ქართული ელემენტების მეტად შენარჩუნებას გააჩნდა თავისი მიზეზებიც: ოსმალებმა თავიანთი იმპერიულ-რელიგიური პოლიტიკის განსახორციელებლად დიდ ძალისხმევას მიმართეს ახალციხის საფაშოს მთავარი ქალაქის - ახალციხის მიმდებარე სამცხე-ჯავახეთსა და მისგან სამხრეთით მდებარე მხარეებში. ხოლო მათ მიერ ეროვნული გადაგვარების პოლიტიკა თანმიმდევრობითა და დიდი წარმატებით აღარ ხორციელდებოდა მთიანეთში მცხოვრებ და მეზომოლი ბუნების მქონე აჭარის მოსახლეობაში. თუმცა მაჰმადიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეში აჭარაში მათ დიდ წარმატებას მიაღწიეს; აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან თვით ოსმალეთის იმპერიაც დასუსტდა. კავკასიაში მას გაუმეზობლდა მისთვის ძალზე სახიფათო ქრისტიანული სახელმწიფო რუსეთი. რუსეთი მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის დაშლას, მის დედაქალაქ სტამბულში, რუსეთისთვის ე. წ. ცარგრადში გაბატონებასა და, საერთოდ, ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობის დაპატრონებას. მან XIX საუკუნის დასაწყისიდან თავისი იმპერიული მიზნები წარმატებით განახორციელა საქართველოს, სომხეთისა და ამიერკავკასიის აღმოსავლეთ მაჰმადიანური სახანოების დამორჩილება-დაპყრობით. ამით ის ოსმალეთს სერიოზულად დაემუქრა ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მიმართულებითაც. ასეთ პირობებში აღნიშნულ საუკუნეში ოსმალეთს აჭარაში აღარ შეეძლო ძალზე აგრესიული და შემტევი პოლიტიკის განხორციელება, რომ საბოლოოდ ამოეძირკვა შემოჩენილი ქართული ელემენტები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, კულტურული ტრადიციებიდან; და ეს დაუმორჩილებელი სულის მქონე ხალხში და რუსეთის იმპერიის საზღვართან...

ოსმალეთის იმპერია აჭარის დამორჩილებისა და შემდეგ მისი მოსახლეობის გათურქების საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მაჰმადიანობის გავრცელებასა და განმტკიცებას. ამას ის მხარის დაპყრობიდან მოყოლებული, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით ძალზე დიდ ძალისხმევას ანდომებდა. როგორც ცნობილია, XVII საუკუნიდან მოყოლებული, ოსმალეთი აჭარაშიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ქრისტიანობას და სასტიკი მეთოდებით ავრცელებდა ისლამს ადგილობრივ მოსახლეობაში. ოსმალები ანგრევდნენ ან მეჩეთებად გადააკეთებდნენ ხოლმე ეკლესიებს, სატიკად სდევნიდნენ ქრისტიანებს. ხალხი მედგრად იცავდა ქრისტეს რწმენას, მასობრივ მოწამეობასაც მრავალგზის ჰქონია ადგილი. მაგრამ ამ ბრძოლაში ათეული წლების განმავლობაში მოიღალა პოლიტიკურად დამორჩილებული და ძლიერ დამპყრობელს პირისპირ შერჩენილი ქართველი მოსახლეობა. მხარის ახალ თაობებში დაიწყო მაჰმადიანობამ გავრცელება. XIX საუკუნისთვის ისლამი მთელს მოსახლეობაში იყო დამკვიდრებული, ქრისტიანული სარწმუნოება კი აღარ არსებობდა ოფიციალურად და ფაქტიურადაც (თუ არ ჩავთვლით XIX საუკუნის დასაწყისში ფარულ ქრისტიანთა მცირეოდენი ოჯახების შემორჩენას). მოსახლეობა ჩაკეტილ გარემოში ცხოვრობდა და შეხება თითქმის აღარ ჰქონდა ქრისტიან ქართველობასთან ან სხვა ხალხებთან... დროთა განმავლობაში აქ ისლამი გაბატონდა არა მარტო რელიგიურ სფეროში, არამედ მან თავისი დადი დაასვა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, კულტურას.

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის აჭარაში მაჰმადიანობა ისე იყო განმტკიცებული, რომ ის ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ ფანატიზმშიც გადადიოდა. ამას მრავალი მოგზაური და თვითმხილველი აღნიშნავდა. რუსი მოხელეები, რომლებმაც აჭარის მოსახლეობა ეთნოგრაფიულად აღწერეს, შენიშნავდნენ: აჭარელი ფანატიზმამდე ერთგულია ისლამისა, რომელმაც შედარებით მცირე ხანში ქვეყანაში დიდი წარმატება მოიპოვა. რელიგიისადმი ერთგულებამ, რაც გვაჩვენა უახლოეს წარსულში მომხდარმა ფაქტებმა, გადაამეტა აჭარლების ყველა სხვა მიდრეკილებებს. აჭარლებს არ მიუქცევიათ ყურადღება თავისი სამშობლოს სიყვარულისთვის, რომელიც მთიელებს შორის ჩვეულებისამებრ უკიდურესობამდე არის განვითარებული. მათმა ერთ მესამედზე მეტმა აჭარელმა დატოვა ქვეყანა (მუჰაჯირობის დროს - ლ. ქ.) იმ სურვილით, რომ ეცხოვრათ

ისლამის მიმდევრებს შორის და არ დამორჩილებოდნენ ურწმუნოებს. აჭარლები ღვთისმოსავეები არიან: ისინი გულმოდგინედ დადიან მეჩეთებში... წმინდად ინახავენ მარხვებს და ზედმიწევნით ასრულებენ რელიგიურ წესებს. მათ შორის მაჰმადიანი სასულიერო პირები დიდი ზნეობრივი გავლენით სარგებლობენ. იმამის სიტყვას მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს [Чорохский край 1887: 56].

მაჰმადიანური ფანატიზმის გავრცელებას აჭარაში ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებები: აჭარაში მაჰმადიანური განათლების კერები, სადაც უფრო სიღრმისეულად ასწავლიდნენ ისლამს, მცირე იყო. ხოლო მეჩეთებთან გახსნილი სასულიერო სკოლები საკმაო რაოდენობით არსებობდა, სადაც ძირითადად ზეპირობით ათვისებინებდნენ ხალხს ლოცვებსა და ისლამის სწავლებებს. ამ სკოლებში მასალის გააზრებით სწავლებას თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას; თვით მოლების უმრავლესობა ოსმალეთის მედრესეებში ისლამურ განათლებას ცალმხრივად ღებულობდა და ფართო განათლებისა და სარწმუნოების კარგად გააზრების გარეშე სწავლობდა მაჰმადის სჯულს. ისინი ისლამს ზეპირობითა და თავსმოხვეული ფორმებით უქადაგებდნენ აჭარის მოსახლეობას. XIX საუკუნის შუა ხანებიდან აღნიშნულ რელიგიურ სასწავლებლებში განათლებამიღებული ქართველი ახალგაზრდობა გამოდიოდა ძირითადად ისლამური ფანატიზმით აღსავსე და ოსმალური ნაციონალისტურ-იმპერიული პოლიტიკის ერთგული; სარწმუნოების გავრცელებისას არ ხდებოდა მოსახლეობის მცირეოდენი რელიგიურად განათლება. ხალხს აიძულებდნენ, მოლათა ნაქადაგები გაეზეპირებინათ (ახვლედიანი 1943: 130-132) და მაჰმადიანისთვის სავალდებულო რელიგიური წესები პუნქტუალურად შეესრულებინათ (ბაქრაძე 1988: 73); ყოფა-ცხოვრებაშიც დაეცვათ ისლამის მიერ დაწესებული ნორმები, ესმოდათ მათ ეს თუ არა.

ისლამის ძირითადად ძალდატანებით გავრცელებასთან ერთად, ოსმალეთის მედრესეებში განათლებამიღებული მოლები აჭარაში ოსმალური ნაციონალიზმის ქადაგებასაც ეწეოდნენ. ეს მიზნად ისახავდა დაპყრობილ ქართველობაში მშობლიური ენისა და საკუთარი კულტურის დავიწყებას და, სანაცვლოდ, თურქული ენის, კულტურისა და იმპერიული იდეოლოგიის გავრცელებას; საბოლოო ჯამში კი მათ გათურქებას. აღნიშნული მოლები განზრახ ურევდნენ სარწმუნოებასა და ეროვნულ საკითხებს. ისინი

მაჰმადიანობის განმტკიცებასთან ერთად ქართველთა ეროვნულ გადაგვარებასაც უწყობდნენ ხელს. ამასთანავე, ისინი აჭარლებს შორის ცდილობდნენ, სიძულვილი დაენერგათ ქრისტიანი ქართველებისა და გამეზობლებული მართლმადიდებლური რუსეთის მიმართ.

აჭარაში მეჩეთებსა და სალოცავებში ღვთისმსახურება ძირითადად თურქულად და არაბულად მიმდინარეობდა. არაბული ენა აჭარის მოლების უმრავლესობამ არ იცოდა, გაზეპირებული ჰქონდათ ამ ენაზე ლოცვები. ხოლო მეჩეთებში თურქული ენის გამოყენება დროთა განმავლობაში ხალხს აჩვევდა თურქულს.

აჭარაში XIX საუკუნის შუა ხანებიდან მეტი რაოდენობით დაიწყეს მეჩეთების მშენებლობა. მეჩეთები ფლობდნენ საკმაო რაოდენობით მიწებსა და უძრავ ქონებას, პრივილეგიებს ამ ქონების მართვის საკითხებში. მეჩეთები მიწებს ღებულობდნენ ძირითადად სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული სამხედრო ღენების ხარჯზე. ხოლო კერძო პირების მიერ სავაყუფო მიწების შეწირვა მეჩეთებისთვის აჭარაში ნაკლებად ხდებოდა (ავალიანი 1960: 95-104, 140).

აჭარაში მაჰმადიანური სასულიერო წოდება ერთგვაროვანი არ იყო. მოლების ერთი ნაწილი, ძირითადად ოსმალეთის მედრესეებში განათლებამიღებულნი, თავიანთი სასულიერო მოვალეობის შესრულების გარდა, ემსახურებოდნენ ხალხში ისლამური ფანატიზმისა და ოსმალური კულტურის გავრცელებას. მათ მეტი გავლენა გააჩნდათ სხვა სასულიერო პირებთან შედარებით. ხოლო მოლათა სხვა ნაწილი, რომლებიც სარწმუნოებაში ძირითადად ადგილობრივად იყვნენ განსწავლულნი, არ იყვნენ ძალზე დაცილებულნი ქართულ ნიადაგს, მაჰმადიანური ფანატიზმისა და ოსმალური ნაციონალიზმის გავრცელებას არ უწყობდნენ ხელს. მათგან ზოგიერთი ქართულადაც კი ცდილობდა მაჰმადიანური ლოცვების თარგმნას და ხანდახან ხალხისთვის გასაგებ ენაზე კითხულობდა მათ. გაზეთ დროების კორესპონდენტი ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) აწყურში შეესწრო მესხ მაჰმადიანებსა და მათ მოლას შორის საუბარს. მესხებმა აღნიშნეს, რომ აჭარელმა მოლამ აბდრის ყველა ლოცვა სულ ქართულად თქვაო, და თვითონაც მოინდომეს მაჰმადიანური ლოცვების ქართულად სწავლა [“დროება”, 1882, #167, გვ. 1-2].

მოლებს აჭარაში დიდი გავლენა ჰქონდათ არა მარტო რელიგიურ ცხოვრებაში, არამედ სხვადასხვა სფეროშიც. მათ, როგორც ყველაზე განათლებულად მიჩნეულთ, მიმართავდნენ საერო საკითხებსა და პრობლემებზე. მოლები თავიანთი გავლენის მოხდენას ცდილობდნენ ხალხის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარეზეც.

აჭარაში მაჰმადიანობის ძლიერი გავლენის მიუხედავად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობას ჯერ სრულად არ ჰქონდა დავიწყებული თავიანთი ისტორია და ქრისტიანული ტრადიციებიც. მათ ზეპირი გადმოცემებით იცოდნენ, რომ მათი წინაპრები ძველად ქრისტიანები იყვნენ, რომ ოსმალეთი ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა მათში მაჰმადიანობას. აჭარლებს ჯერ ახსოვდათ ცალკეული პიროვნებების ან ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის მოწამეობრივი აღსასრული ქრისტიანობის დაცვისთვის ბრძოლაში [“ივერია”, 1892, #158, გვ. 3-4; #233, გვ. 2-3]. ისინი XIX საუკუნეშიც ქრისტიანი ქართველების მიმართ პატივისცემით იყვნენ განწყობილნი. მკვიდრნი პატივისცემით ეპყრობოდნენ თავიანთ მამა-პაპათა მიერ აშენებულ ეკლესიებსა და ქრისტიანულ სალოცავებს, ასევე, მათ ნანგრევებს. ისინი მოწიწებით ეპყრობოდნენ იმ ეკლესიებს, რომლებსაც სასწაულთმოქმედებას მიაწერდნენ. როგორც დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა, აჭარის მოსახლეობა XIX საუკუნის 70-იან წლებშიც აღდგომის დროს კვერცხებს წითლად ღებავდა. ზაქარია ჭიჭინაძე 1891 წელს წერდა გაზეთ ივერიაში 1891 წლის 156-ე ნომერში, რომ 20 ივლისს ქობულეთის მცხოვრებლებმა ქრისტიანების მსგავსად ელიაობა შეინახეს, როგორც უქმე დღე; ასევე, სხვა ჩვენებურ უქმე დღეებსაც ინახავდნენ. ზაქარია ჭიჭინაძე 1892 წელს აჭარაში მოგზაურობის შემდეგ აღნიშნავდა ივერიის 1892 წლის #144-ში, რომ ქობულეთში ბევრი ხალხური შელოცვა იცოდნენ, რომელთა უმეტესი ნაწილი ქრისტიანობაზეა დაფუძნებულიო. თუმცა აჭარლებს ამგვარი დამოკიდებულება და ჩვევები მოლებისგან ფარულად გააჩნდათ, რაც საერთო სახალხო განწყობას წარმოადგენდა.

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 50-70-იან წლებში აჭარაში გაბატონებულ რელიგიას წარმოადგენდა ისლამი, თუმცა არსებობდნენ მცირეოდენი სხვა აღმსარებლობის ჯგუფებიც. ისინი უმთავრესად ბათუმში ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ოსმალეთის მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ქ. ბათუმის სტრატეგიული მნიშვნელობის გაზრდასა და მისთვის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ფუნქციის

მინიჭებას. დაიწყეს დიდი მშენებლობანი ქალაქში. აქ იმყოფებოდნენ ვაჭრები, დროებით ან უფრო ხანგრძლივად ჩასული ევროპელი დიპლომატები, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. ამის გამო საჭირო ხდებოდა ქალაქში მათი აღმსარებლობის ეკლესიების არსებობაც. აქ მყოფი კათოლიკეების დიდი უმრავლესობა ევროპელები იყვნენ. ადგილობრივი კათოლიკეების მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა ბათუმში, მჭედლიშვილებისა, საიდანაც იყო იმდროინდელი ცნობილი ქართველი პუბლიცისტი ლევან მჭედლიშვილი. მიუხედავად კათოლიკური ეკლესიის მოქმედების საჭიროებისა, ბათუმში კათოლიკეებს არ გააჩნდათ კათოლიკური სამლოცველოც კი. ბათუმში მყოფი ბერძნებისთვის არსებობდა მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი, მაგრამ ისინი ოსმალების მხრივ დევნის ქვეშ იმყოფებოდნენ და თავისუფლად ვერ ესწრებოდნენ იქ მსახურებას. ბათუმში ჩასულ სომხურ მოსახლეობას ჰქონდა მოქმედი ეკლესია, მაგრამ მისი მრევლიც იდევნებოდა ოსმალების მხრივ (გოგოლიშვილი, 2009: 32-33). ამდენად, აჭარაში არამაჰმადიანური კონფესიებისთვის ან არ არსებობდა მოქმედი ეკლესიები, ან არსებობდა და მათი მრევლი დევნა-შევიწროების ქვეშ იმყოფებოდა...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, აჭარაში XIX საუკუნის 50-70-იან წლებში ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად დამყარებული იყო ოსმალური სახელმწიფო და სოციალურ-ეკონომიკური წყობა. ოსმალები კვლავ სდევნიდნენ ყოველივე ქართულს, ცდილობდნენ მოსახლეობაში ოსმალური ენისა და კულტურის გავრცელებას, ხოლო ქრისტიანობის ნაშთებს განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდნენ. ამას ემატებოდა დიდი ჩამორჩენა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ოსმალეთის პოლიტიკის გავლენით. ოსმალეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მაჰმადიანური სარწმუნოების განმტკიცებას მოსახლეობაში, რომელიც აღნიშნულ პერიოდში არცთუიშვიათად ფანატიკურ რწმენაშიც გადადიოდა ხოლმე. აჭარაში ისლამს დიდი გავლენა ჰქონდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე. ამის მიუხედავად, აჭარლებს შორის მტკიცედ იყო შენარჩუნებული ქართული ენა, არსებობდა ეროვნული ტრადიციები კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში, შემორჩენილი იყო მცირეოდენი ქრისტიანული ტრადიციებიც. მათ გააჩნდათ ქრისტიანი ქართველებისადმი პატივისცემა. ყოველივე ეს კი

ტოვებდა იმის იმედსა და შესაძლებლობას, რომ აჭარლები ოდესღაც ისევ საქართველოს
შვილნი გახდებოდნენ...

თავი II. XIX საუკუნის 70-იან წლებში ანტიოსმალური

გამოსვლები აჭარაში და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი

XIX საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთის იმპერიაში ძალზე დაიძაბა ვითარება. 70-იანი წლების შუა ხანებში ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცხოვრები ხალხები აჯანყდნენ, რასაც მოჰყვა ფართომასშტაბიანი ბრძოლები ოსმალეთის ჯართან. იმპერიაში შემავალ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას მთავრობამ მკაცრი პოლიტიკით უპასუხა ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრები ხალხების მიმართ. იმპერიისადმი დაუმორჩილებელი მოსახლეობის მიმართ კი დაიწყეს რეპრესიები, მათი ამბოხებების სასტიკად ჩახშობის მცდელობები. ოსმალეთის იმპერიას მაშინ ფინანსურად და სამხედრო თვალსაზრისითაც უჭირდა. ამის გამო მთავრობამ ბალკანეთის ხალხთა აჯანყების ჩასახშობად გადაწყვიტა, აჭარლებისგან და სხვა ქართველი მაჰმადიანებისგან შეედგინა სადამსჯელო ჯარი ბალკანეთის ამბოხებულთა წინააღმდეგ. ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანებს არ სურდათ ამგვარ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება და წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობას, რომელიც მათ მიმართ რეპრესიებზე გადავიდა.

აჭარაში აღნიშნულ პერიოდში ისედაც ძლიერდებოდა უკმაყოფილება და დაუმორჩილებლობის განწყობა ოსმალეთის იმპერიის მიმართ. მოსახლეობას აწუხებდა ეკონომიკური გასაჭირი, გაზრდილი სახელმწიფო გადასახადები, ოსმალეთის ხელისუფლების, მათი მოხელეების მხრივ უსამართლობა, თავნებობა... ეს ყოველივე ხალხში აძლიერებდა პროტესტის გრძნობასა და მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილს. აჭარაში ხალხის ამგვარი დამოკიდებულება 1872 წელს გამოიხატა მღელვარებით, როდესაც მთავრობამ მოსახლეობას სახელმწიფო გადასახადები მოუმატა [“დროება”, 1872, #26, გვ. 2]. ამ გამოსვლამ მაშინ ნაკლებად მტკივნეულად ჩაიარა, რადგან მთავრობა მოერიდა რეგიონში სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას.

1875 წელს კი აჭარისა და სხვა ქართული მხარეების მოსახლეობამ უარი განაცხადა ჯარში წასვლაზე ბალკანეთის ხალხების აჯანყების ჩასახშობად. მათ არ ისურვეს მოსამართლე იბრეიმ ადასთან შეხვედრა, რომელიც ოსმალეთის მთავრობის მიერ იყო გამოგზავნილი მათი მღელვარების მიზეზების გამოსარკვევად. ხალხს დიდი ხანია, არ

სჯეროდა ოსმალური სასამართლოსი, სადაც უსამართლობა და მექრთამეობა იყო გამეფებული (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970: 440). მოსახლეობა, საერთოდ, უნდობლად იყო განწყობილი მთავრობის მიმართ, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული კორუფცია, მოხელეთა თვითნებობა და უდიერი დამოკიდებულება ხალხის მიმართ (გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ 1960: 55). ხალხის დაშინებისთვის და ამ წინააღმდეგობის დასაძლევად მთავრობამ რეპრესიები დაიწყო, რასაც მოსახლეობამ დაუმორჩილებლობითა და ამბოხებისთვის მზადებით უპასუხა. ოსმალეთის ჯარსა და აჯანყებულ მოსახლეობას შორის შეტაკებაც მოხდა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა აჭარელთა მხრიდან (მეგრელიძე 1956: 13-15). მთავრობამ ეს გამოსვლები ჩაახშო, მაგრამ თავის მოთხოვნებზე უარის თქმა მოუწია. ეს იყო მოსახლეობის წინააღმდეგობა არა მხოლოდ ომში გაწვევის გამო, არამედ ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი პროტესტის ენერგიული გამოხატვა ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის მიმართ. ანტიოსმალური გამოსვლების მიზეზებს შორის იყო მოსახლეობის აღშფოთება მათი ქალების ჰარამხანებისთვის მოტაცების გამო, რასაც გადმოგვცემდა გაზეთ დროების 1875 წლის #114-ის ქრონიკა. ამგვარი დამაბულობა აჭარაში გრძელდებოდა 1876 წელსაც (განსაკუთრებით, ქობულეთში). საბოლოოდ, ოსმალეთის მთავრობა დათმობაზე წავიდა და ქართველ მოსახლეობას განუცხადა, რომ მათგან აღარ გაიყვანდა სადამსჯელო ჯარებს. მან გაითვალისწინა ოსმალეთის ირგვლივ არსებული დამაბული საერთაშორისო ვითარება, ასევე, რუსეთის ინტერესი ე. წ. “ოსმალის საქართველოში” მიმდინარე მღელვარე მოვლენების მიმართ. იმავე გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციაში, რომელიც გამოქვეყნდა 1880 წლის 131-ე ნომერში, აჭარლები აცხადებდნენ, რომ ოსმალეთის მთავრობა აჭარლებისთვის ძალის დატანებას ერიდებოდა, რადგან ისინი რუსეთის მხარეზე გადასვლითა და ქრისტიან მომხრეებთან შეერთებით იმუქრებოდნენ. ამ დაუმორჩილებლობამ ოსმალეთის მთავრობას და სხვასაც დაანახვა, რომ ქართველი მაჰმადიანები საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ და მათი ინტერესებიც უნდა გაეთვალისწინებინა ოსმალეთს.

აჭარის მოსახლეობის ანტისამთავრობო გამოსვლებისადმი ქართველ საზოგადოებაში დიდი იყო ინტერესი. ეს შუქდებოდა ქართულ პრესაში (გაზეთ დროებაში).

მასში ამ ფაქტებისა და მოვლენების შესახებ იბეჭდებოდა ცნობები დღიურში, სტატიები, კორესპონდენციები. გაზეთში აჭარლებიც წერდნენ წერილებს და მიმართავდნენ მთელს ქართველობას. ცნობილი ქართველი მოღვაწეები მიმოიხილავდნენ აჭარასა და მის მეზობელ მხარეებში მიმდინარე დაძაბულ მოვლენებს, ადგილობრივ მკვიდრთა გაჭირვებას. ისინი მხარს უჭერდნენ თანამომძეთა განმათავისუფლებელ მოძრაობას და მოუწოდებდნენ მკითხველს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებაც გაეწიათ მოძმეებისთვის. ამ საგაზეთო მასალებმა და მისი ავტორების პატრიოტულმა პოზიციამ მოამზადა ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალეთში მყოფ თანამომძეთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის სასარგებლოდ. ამასთანავე, ეს ქართული გაზეთი აჭარლებსა და რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველობას შორის კავშირის სერიოზულ საშუალებას წარმოადგენდა. ამით საბრძოლველად მომზადებული აჭარის მოსახლეობაც იგებდა ქრისტიანი მოძმეების პოზიციას მათ მიმართ.

ამასობაში კი, XIX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სლავი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ირგვლივ ძალზე დაიძაბა საერთაშორისო ვითარება. რუსეთის იმპერიაში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი ამ ხალხების განმათავისუფლებელ ომში რუსეთის ჩარევის სასარგებლოდ. მათთვის რუსეთის საზოგადოებიდან და მოსახლეობის მიერ ბალკანეთში იგზავნებოდა დახმარებები. იქმნებოდა მოხალისეთა სამხედრო შენაერთები ბალკანელი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩასაბმელად, ხოლო რუსეთის ჯარები ემზადებოდნენ ომისთვის. თუმცა რუსეთის ამგვარი პოზიციის საწინააღმდეგოდ იყვნენ განწყობილი ევროპის დიდი სახელმწიფოები. ამის მიუხედავად, რუსეთის მთავრობამ 1877 წლის 24 აპრილს ომი გამოუცხადა ოსმალეთს ბალკანელი ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის მოტივით. ომის ეპიცენტრი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძული, თუმცა კავკასიაშიც ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყო.

რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ საგანგებოდ მიმართა აჭარლებს, რომელთა პოზიცია რუსეთის ჯარისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-ოსმალეთის ომში. კავკასიის მეფისნაცვალს და კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალს, დიდი მთავარი მიხეილს განუმარტავდა აჭარის მოსახლეობას, რომ რუსეთის ჯარი შედიოდა მათ ქვეყანაში

არა მშვიდობისმოყვარე მცხოვრებთა დასაჩაგრად, არამედ ჩაგრულთა დასაფარად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ნუ გეშინიათ! ყოველ თქვენგანს, რომელიც მტრულად არ მოგვექცევა, ჩვენ მივიღებთ და მის ცოლ-შვილს, ოჯახსა და ქონებას ჩვენ მფარველად ვეყოლებით. რუსეთის ჯარის თქვენს ქვეყანაში ყოფნამ უნდა აგვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ერთმანეთთანო. მიმართვის ბოლოს კი დიდი მთავარი აჭარლებს აცხადებდა ქართველთა კეთილშობილ ტომად, რომლებიც რუსეთის იმპერატორის ერთგულ და საყვარელ ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ (კარალიძე 2009: 33-34). როგორც ჩანს, აქ რუსეთის ჯარის სამხედრო ხელმძღვანელობა ხაზს უსვამდა თავის ძლევამოსილებას და მფარველობას სთავაზობდა აჭარლებს, თუ ისინი არ იბრძოდნენ მის წინააღმდეგ.

რუსეთის ჯართან ერთად ამიერკავკასიელი ხალხებიც აქტიურად ჩაებნენ ომში. ქართველი და სომეხი მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა მილიციის რიგებში გაწვევას. საქართველოს ზოგიერთ მხარეში წვევამდელთა პუნქტებში ორჯერ და სამჯერ მეტი მოხალისე გამოცხადდა ჯარში გასაწვევ რიცხვთან შედარებით. საქართველოდან წასულ მებრძოლთა რაოდენობა ომის მსვლელობის დროსაც იზრდებოდა. მთელი ომის განმავლობაში 30 ათასზე მეტი ქართველი გავიდა საბრძოლველად. ქართველი საზოგადოებაც ძალზე აქტიურად ეხმაურებოდა ამ ომს. ბრძოლები თუ სამხედრო ვითარება ფრონტზე დეტალურად შუქდებოდა გაზეთ დროებაში, ასევე, გაზეთ ივერიაში. ამ გაზეთებში ცნობილი მოღვაწეები პატრიოტული მოწოდებებით გამოდიოდნენ ქართველი ხალხის წინაშე. მთელი ქართველობა მიისწრაფოდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიებისა და ოსმალეთის იმპერიის უღლის ქვეშ მყოფი თანამომხმეების განთავისუფლებისკენ. ამისთვის ქართველობა გმირულად იბრძოდა ფრონტზე. ხოლო მოსახლეობა მძიმე შრომას ეწეოდა ჯარების ხელშესაწყობად, მათი სურსათით უზრუნველყოფისთვის, ფრონტის მოსამარაგებლად (განსაკუთრებით, გლეხკაცობა, რომლებიც თავიანთი ურმებით ეზიდებოდნენ სამხედრო ტვირთებს და თვითონაც ზარალდებოდნენ სამხედრო მოქმედებების ადგილებში).

ომის დასაწყისიდანვე კავკასიის ფრონტზე ძალზე აქტიურად და დრამატულად განვითარდა მოვლენები. რუსული ჯარები და ადგილობრივი მილიციის ნაწილები ძალევე

გადავიდნენ შეტევაზე ახალციხიდან სამხრეთით და მაისის შუა რიცხვებში აიღეს ქ. არტაანი, ივნისში კი ალყა შემოარტყეს ქალაქ-ციხესიმაგრე ყარსს. ალყა გახანგრძლივდა, რითაც ისარგებლა ოსმალეთის ჯარმა მუხთარ ფაშას ხელმძღვანელობით და 1877 წლის ზაფხულში კონტრშეტევით დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი. წარუმატებლად დამთავრდა რუსეთის იმპერიის ჯარების შეტევა ზაფხულში ბათუმის მიმართულებით. მათ დროებით დაიკავეს მუხაესტატე და ხუცუბანი, არახელსაყრელ პირობებში შეუტყეს ციხისძირის სიმაგრეს, მაგრამ ოსმალეთის ჯარებმა დიდი ზიანით უკან დაახევინეს (მათთვის საზღვაო ფლოტის არტილერიის დახმარება გადამწყვეტი გამოდგა). შემოდგომის დამდეგიდან კავკასიის ფრონტზე რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებმა დიდი მზადება წამოიწყეს გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. ოქტომბერში ავღიარალაჯის ბრძოლების შედეგად ოსმალეთის ჯარმა დიდი მარცხი განიცადა. ნოემბერში დევე ბოინთან გამართულ ბრძოლაში მუხთარ ფაშას ჯარები კვლავ დამარცხდნენ, რის შემდეგ გზა გაიხსნა არზრუმისკენ. თუმცა რუსეთის ჯარის სათანადოდ მოუმზადებლობის გამო წარუმატებლად დამთავრდა არზრუმზე ლაშქრობა. რუსეთის დიდი გამარჯვება იყო ნოემბრის შუა რიცხვებში ქ. ყარსის აღება... გამოთავისუფლებულმა მოალყე ჯარებმა კი გააძლიერეს სხვა ნაწილები. დეკემბერში რუსეთის ჯარები ჭოროხის აუზში შევიდნენ, რომელთაც 1878 წლის იანვარში მთელი შავშეთი ჰქონდათ დაკავებული. რუსეთისთვის მთავარი სამიზნე იყო არზრუმი და ბათუმი. არზრუმის ალყა გახანგრძლივდა, ხოლო აჭარაში შეჭრას რუსეთის ჯარები არ ჩქარობდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობის პოზიციას ამ ბრძოლებში. მათ აჭარაზე ლაშქრობისას წარმატებას მიაღწიეს ახალციხის მხრიდან, ხოლო სხვა მხრიდან შეტევა არ დაუწყიათ. ამდენად, რუსეთის ჯარებმა (ადგილობრივი მოსახლეობისგან გაწვეულ მილიციასთან ერთად) დიდი წარმატებები მოიპოვეს კავკასიის ფრონტზე, დაიკავეს ყარსის მხარე, მტკვრის სათავეები და ჭოროხის აუზის ერთი ნაწილი, რითაც აჭარაზე სალაშქროდ გზა სამხრეთიდანაც ხსნილი იყო.

აღნიშნული ომის დროს სამხედრო მოქმედებები გაიშალა აფხაზეთშიც. ოსმალეთს ომამდეც დიდი შეტევითი გეგმები გააჩნდა ამიერკავკასიაში. 1877 წლის 11 მაისს ოსმალური ჯარის დესანტი გადასხდა აფხაზეთში, გუდაუთის მახლობლად და ცოტა ხანში

უბრძოლველად აიღეს ქ. სოხუმი. ოსმალებმა ცოტა ხანში აფხაზეთის თითქმის ნახევარი დაიკავეს. მათ აფხაზები აიძულეს, აჯანყებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ. ზაფხულის მეორე ნახევრიდან გენერალ ალხაზიშვილის ხელმძღვანელობით ჯარი იქნა გადასროლილი აფხაზეთში, რომლებმაც დიდი ბრძოლების შედეგად დაამარცხეს და განდევნეს მტერი.

კავკასიის ფრონტთან შედარებით, ომის მსვლელობაში მეტი როლი ითამაშა ბალკანეთის ფრონტზე, უმთავრესად ბულგარეთში განვითარებულმა მოვლენებმა. დეკემბერ-იანვარში, ქ. პლევნის აღებისა და ადრიანეპოლის უბრძოლველად დაკავების შემდეგ რუსეთის ჯარებს წინააღმდეგობა აღარ შეხვდებოდათ სტამბულამდე. ამით დიდი საფრთხე შეექმნა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქს. ოსმალეთის სულთანმა 1878 წლის 31 იანვარს რუსეთთან დადო დროებითი ზავი, ხოლო იმავე წლის 3 მარტს სან-სტეფანოში საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რითაც რუსეთმა კავკასიაში მიიღო სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის დიდი ნაწილი.

რუსეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიაში წარმოებულ ძირითადად წარმატებულ სამხედრო მოქმედებებში თავისი დიდი წვლილი შეიტანეს ქართულმა შენაერთებმა. ისინი თითქმის მთელი საქართველოდან იყვნენ გაწვეულნი და დიდი საბრძოლო აღტყინებით იბრძოდნენ მთელი ომის განმავლობაში ფრონტის სხვადასხვა უბნებზე. მათ თავი ისახელეს ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში: გამორჩევით, I და II ქვეითი რაზმის ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, ასევე, გურიის I-მა ქვეითმა რაზმმა. აფხაზეთში თურქეთის დესანტის შეტევის დროს გმირულად იბრძოდნენ ქუთაისის I და II ქვეითი რაზმი და არარეგულირებული ცხენოსანი პოლკი. არტაანისა და ყარსის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის რაზმებმა.

ქართული შენაერთების სიმამაცესა და მაღალ სამხედრო ოსტატობას განსაკუთრებით აღნიშნავდა რუსეთის ჯარის სარდლობა. ისინი თავიდანვე, ომის დაწყებისთანავე დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართველი და სომეხი ხალხების აქტიურ მონაწილეობაზე მოსალოდნელ სამხედრო მოქმედებებში. ხოლო ომის დროს რუსი გენერლები თავიანთ აღტაცებას ვერ მალავდნენ ქართველთა დიდი საბრძოლო სულისკვეთებისა და გმირობის გამო. მაგალითად, გენერალი კოლუბიაკი საგანგებოდ

აღნიშნავდა, რომ ქობულეთთან მიმდინარე გააფთრებულ ბრძოლებში ქართველებმა მრავალჯერ გამირულად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგეზე. ისინი წარმატებით მიიწევდნენ წინ, მიუხედავად მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვნებისა და მათ მიერ განცდილი საგრძნობი ზარალისა. იგივე გენერალი განსაკუთრებით გამოყოფდა გურიის I ქვეითი რაზმის გამირობას, რომელთა მხრებზე თვეების განმავლობაში გადავიდა ბრძოლების მთელი სიმძიმე.

ოსმალეთთან ომში სახელი გაითქვეს რუსეთის რეგულარული არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა, რომლებიც თავიანთი გაბედულებით, გამირობითა და მხედარმთავრული მომზადებით გამოირჩეოდნენ. ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები გამირობასა და თავგანწირვას იჩენდნენ სამშობლოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა და ოსმალეთის უღლის ქვეშ მცხოვრები თანამომძეების განთავისუფლებისთვის. საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობაც თავდაუზოგავად შრომობდა ფრონტის დროულად მოსამარაგებლად... [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970: 450]. საქართველოს მოსახლეობა მატერიალურადაც ეხმარებოდა ფრონტს. მეგრძოლების დასახმარებლად მანგლისის მოსახლეობამ 600 მანეთი შეკრიბა, დუშეთის მოსახლეობამ 700 არშინი ქსოვილი შეაგროვა. დაჭრილ მეგრძოლთა ოჯახების დასახმარებლად საქართველოს ყველა კუთხეში იკრიბებოდა თანხები (მეგრელიძე 1956: 53)...

აღნიშნულ ომში საქართველოს დაკარგული ისტორიული მიწების დაბრუნებისა და იქ მცხოვრები ქართველების განთავისუფლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამ მოსახლეობის პოზიციას. მათი ამ საკითხისადმი დამოკიდებულება ადრევე აინტერესებდათ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს. მათაგან რამდენიმემ საკმაო რისკის ფასად იმოგზაურა XIX ს-ს 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წწ. I ნახევარში ე. წ. “ოსმალის საქართველოში”. ესენი იყვნენ: ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, პოეტი რაფიელ ერისთავი; საზოგადო მოღვაწენი: გიორგი წერეთელი, გრიგოლ გურიელი, გიორგი ყაზბეგი, ივანე კერესელიძე, ალექსანდრე მეფისაშვილი და სხვანი. ქართველმა მოგზაურებმა ადგილზე გაიგეს და დააზუსტეს, რომ აჭარის მოსახლეობის ზედაფენები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ოსმალთა მფლობელობის მიმართ; ხოლო ზოგიერთს სურდა კიდევ

ოსმალეთის ბატონობისგან განთავისუფლება და თავისი კუთხის დედასაქართველოსთან დაბრუნება რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ (ახვლედიანი 1943: 57-59). ასეთი იყო სხვა ბეგებზე უფრო გავლენიანი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, რომლის პოლიტიკური ორიენტაციაც გაიგო მასთან ჩასულმა ივანე კერესელიძემ.

აჭარაში აღნიშნულ ომამდე, მიუხედავად დაპირისპირებისა და ოსმალეთის სახელმწიფოს მხრივ მოწყობილი რეპრესიებისა, ოსმალეთის მთავრობამ საბოლოოდ თავი შეიკავა აღნიშნული კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტისგან; ადგილობრივ ქართველებთან დათმობაზე წავიდა. ასე რომ 1877 წლისათვის ამ მხარეების მოსახლეობაში აშკარად აღარ იგრძნობოდა მთავრობის საწინააღმდეგო განწყობა.

ოსმალეთის მთავრობამ 1877-78 წლების ომის წინ იდეოლოგიურ-რელიგიური კამპანია ჩაატარა მის ფარგლებში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა შორის. მათ ძირითადად რელიგიური მოტივით აძულებდნენ ქრისტიან თანამოძმეებსა და რუსეთის იმპერიას. ხოლო მოლეები კი განზრახ ურევდნენ ერთმანეთში რელიგიურ საკითხებსა და ოსმალურ ნაციონალურ და მათი იმპერიის სამსახურის საკითხებს. ისინი რელიგიური ბურუსით მოსავდნენ პოლიტიკურ საკითხებს, რომ გაეერთიანებინათ ქართველობა ოსმალეთისთვის. ოსმალეთის მოხელეები, სამხედრო მოსამსახურენი, მაჰმადიანი სასულიერო პირები და, საერთოდ, ოსმალეთისა და ინგლისის აგენტები მოუწოდებდნენ აჭარლებს ომში რუსეთის მიმართ დაუმორჩილებლობისკენ. ისინი ომში ჩაბმის ადგილობრივ მსურველთ ურიგებდნენ ფულსა და იარაღს. ინგლისელი ოფიცრები კი ამოწმებდნენ სამხედრო სიმაგრეებს, მათი ხელმძღვანელობით ახალი სიმაგრეებიც შენდებოდა [“დროება”, 1878, #105, გვ. 3]. აჭარის მოსახლეობის ომისთვის მომზადებას დიდ ყურადღებას უთმობდა ოსმალეთის მთავრობა, მამაკაცებს იარაღის ხმარებას მასობრივად ასწავლიდნენ. მარტო ქობულეთში 4000 კაცი შეკრიბეს და ყველას თოფები დაურიგეს, ხოლო ჩაუშვებს (უნტეროფიცრები) თითო სოფელში კვირაში ორჯერ გამოჰყავდათ მილიციაში ჩაწერილი მამაკაცები და თოფის ხმარებასა და სამხედრო წესებს ასწავლიდნენ (კარალიძე 2009: 34). აჭარლების საომრად მომზადება და ომში გაწვევა ძირითადად იძულებითი იყო, ხალხი მუქარის ქვეშ გაჰყავდათ საომრად და მათგან ქმნიდნენ ე. წ. “მოხალისეთა” ჯარს (ახვლედიანი 1943: 201-203). აჭარელთა ომში ჩაბმის საქმეში თავისი

როლი ითამაშა აჭარლებსა და, საერთოდ, მესხურ მოსახლეობაში გავრცელებულმა თვისებამ - ერთგულებამ, მიცემული პირობის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობამ. ამან ხალხის ერთ ნაწილში გაურკვევლობის თუ დაბნეულობის პირობებში ოსმალეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ იმოქმედა. ყოველივე ამ კამპანიის შედეგად აჭარლებისა და მესხური მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩადგა ოსმალეთის სამხედრო სამსახურში. მაგრამ მათ ჩვეული ერთგულებითა და თავგანწირვით არ უომიათ რუს-ქართველთა ჯარების წინააღმდეგ, ცალკეულ უბნებზე კი თავს არიდებდნენ მეზრძოლ ქართველებთან შეტაკებებს.

აღნიშნული ომის წინ და ომის დროსაც აჭარის მოსახლეობაში არ შეიმჩნეოდა ოსმალეთის მიმართ ერთგულებისა და მის სასარგებლოდ საბრძოლო განწყობა. მათი ზედაფენების ერთი ნაწილი ოსმალეთისგან მხარის განთავისუფლებისა და რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომად გახდომისკენ მიისწრაფოდა (განსაკუთრებით, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი), თუმცა ამას აშკარად ვერ ამჟღავნებდნენ. მათი სხვა ნაწილი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხოლო აჭარლებს შორის ოსმალეთის ერთგული მცირე ნაწილი თუ იყო. მთლიანობაში, აჭარლებს შორის არ შეიმჩნეოდა არც ოსმალეთის მიმართ ერთგულება და არც მათგან გაწვეულ ჯარებში იყო რუს-ქართველთა სამხედრო შენაერთებთან ბრძოლის სურვილი.

ომის დროს ოსმალეთის სასარგებლოდ არც რელიგიურმა ფაქტორმა იმოქმედა აჭარელთა პოზიციის დაკავებისას. მიუხედავად ოსმალეთის მთავრობის მიერ წარმოებული რუსეთისა და ქრისტიანი ქართველების შეძულების კამპანიისა, აჭარლებს, ერთმორწმუნეობის პრინციპის მიუხედავად, მონდომებით არ უბრძოლიათ ოსმალეთის მხარეზე. როგორც გაირკვა, აჭარის მოსახლეობა ოსმალეთის იმდენი გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდა არც პოლიტიკურად და არც რელიგიურად, რომ მისთვის გმირულად ებრძოლათ ქრისტიანული რუსეთისა და მათ მხარეზე მყოფი მართლმადიდებელი ქართველების წინააღმდეგ.

აჭარლები და სხვა ქართველი მაჰმადიანები სამხედრო თვალსაზრისით კი სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. მათ ახასიათებდათ მეზრძოლის სულისკვეთება, კარგად იცნობდნენ საკუთარ მხარეს (რთული რელიეფის პირობებში) და სამხედრო

მომზადების მხრივაც გამოირჩეოდნენ. ოსმალეთის მთავრობა ქართველ მაჰმადიანებს ამარაგებდა იმ დროისთვის თანამედროვე და მოწინავე იარაღით (ევროპული წარმოების ზარბაზნები და თოფები დიდი რაოდენობით გააჩნდა ოსმალეთის არმიას). ამის გამო აჭარელთა და სხვა კუთხეების ქართველ მაჰმადიანთა პოზიციას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა მხარეში მიმდინარე თუ მოსალოდნელი საომარი მოქმედებების დროს...

აჭარის მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ რუსი სამხედროებიც. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა კეთილგანწყობის მოპოვებას, მოუწოდებდნენ მათ ოსმალეთის საწინააღმდეგო გამოსვლებისკენ. გენერალი ოკლაბჟიო რუს ჯარისკაცებს აფრთხილებდა, რომ არ დაერღვიათ ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს. ის აცხადებდა მათ წინაშე: “დაე გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვის” [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970: 442-443].

აჭარელთა და ოსმალეთის სხვა მხარეების ქართველობის მდგომარეობისა და მათი შეხედულებების შესახებ ცნობების მიღებას, მათთან კავშირის დამყარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისთვის. მათ სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს კარგად ხედავდნენ ქართველი მოღვაწეები. ისინი ოსმალეთის ქართველობას პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოუწოდებდნენ, რომ ან რუსეთის ჯარებს შორის მებრძოლი ქართველების მხარეზე დამდგარიყვნენ, ან ოსმალეთის მხარეს არ ებრძოლათ. ცნობები მათი განწყობისა და, საერთოდ, რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებთან არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ ძალზე აინტერესებდათ ქართველ მოღვაწეებს. მაგალითად, გაზეთ დროების რედაქტორს, სერგეი მესხს მიმოწერა ჰქონდა ბათუმის მაცხოვრებელ კათოლიკე ლევან მჭედლიშვილთან. ს. მეხი მას ომის დაწყებამდე სთხოვდა ინფორმაციის მიწოდებას ბათუმის ქართველი მაჰმადიანების განწყობის შესახებ. რედაქტორს აინტერესებდა, ოსმალთა ჯარები ემზადებოდნენ თუ არა ომისთვის, ქალაქში იყვნენ თუ არა ინგლისის ოფიცრები. ამას გავუწყებდა გაზეთ ივერიის 1902 წლის 230-ე

ნომერში გამოქვეყნებული წერილი. ამგვარი ცნობები, ჟურნალისტური ინტერესის გარდა, სამხედრო-სადაზვერვო სახის ინფორმაციას შეიცავდა, რომლის გამოყენებაც შეეძლო რუსეთის სახელმწიფოს.

აჭარლების პოზიციას რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსი გენერლებიც და ცდილობდნენ მათთან კავშირის დამყარებას. მათთვის ძალზე საინტერესო იყო, თუ ვის მხარეზე დადგებოდა აჭარის მოსახლეობა. მათ სჭირდებოდათ ცნობები ამ საკითხზე და აჭარაში თავის მომხრეებთან ამყარებდნენ კავშირსაც. რუსი ოფიცრები ახალციხელი მოღვაწე მიხეილ მეფისაშვილის მეშვეობით ღებულობდნენ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილისგან სამხედრო-სადაზვერვო ხასიათის ცნობებს, საბრძოლო მოქმედებების დროს კი რჩევებსაც. შერიფ ბეგი დიდხანს ფარავდა თავის პოზიციას, მაგრამ არც ოსმალეთის სასარგებლოდ მოქმედებდა. მან სულთნისგან მიიღო ბრძანება, რომ აჭარელთა შენაერთით თავს დასხმოდა ახალციხეს. ამისთვის 8 ათასი თოფითაც შეაიარაღეს ხალხი, მაგრამ შერიფ-ბეგი დიდხანს იკავებდა თავს ახალციხეზე ლაშქრობისგან, ხან რუსეთის საზღვართან ცრუ სროლას ატეხავდა. ბოლოს კი გამჟღავნდა მისი პოზიცია, რასაც მისი და მისი მომხრეების დევნა მოჰყვა [“ივერია”, 1899, #203, გვ. 1-3; 1899, #204, გვ. 1-2]. აჭარლებს შორის ბევრი არ იყო ოსმალეთის ერთგული, ხოლო მათ შორის ოსმალეთის ორიენტაციაზე მყოფნიც დიდად არ ინდომებდნენ ბრძოლებში იმპერიისთვის თავგანწირვას. ეს საომარ მოქმედებებშიც გამოჩნდა. ამგვარ სიტუაციაში რუსი გენერლები არ ჩქარობდნენ აჭარაში შეჭრას, ელოდებოდნენ მისი მოსახლეობის პოზიციის უფრო მკაფიოდ გამოხატვას. ბოლოს, რუსეთის ჯარებმა შერიფ-ბეგის მოწოდებით ილაშქრეს ახალციხის მხრიდან აჭარაზე და საკმაოდ ღრმადაც შევიდნენ მხარის აღმოსავლეთში. ისინი კუთხეში სხვა მხარეებიდან შეჭრისგან კი თავს იკავებდნენ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის შეწყვეტის შემდეგ, სან-სტეფანოს ხელშეკრულების დადების შემდეგ ოსმალეთის დასაცავად ძალზე გააქტიურდნენ ევროპული სახელმწიფოები. თავისი ძალის დემონსტრაციისთვის ინგლისის ფლოტი შევიდა შავ ზღვაში. ოსმალეთმა კვლავ დაიწყო ფიქრი რუსეთთან საომარ მოქმედებებზე, მაგრამ ამის რესურსები მას თითქმის ამოწურული ჰქონდა. სამაგიეროდ, მან აჭარაში გააგზავნა თავისი აგენტები და დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყებისკენ წაქეზება რუსეთის

წინააღმდეგ; თანამედროვე იარაღიც გაგზავნა იქ, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ წამოეგო ამ პროვოკაციებს. ოსმალეთის მთავრობა ბოლოს იძულებული გახდა, ბერლინის 1878 წლის 13 ივნისის კონგრესის შეთანხმების მიხედვით, რუსებისთვის ჩაებარებინა მთელი აჭარა და, ბოლოს, ბათუმი. მართალია, მისი აგენტები კვლავ ცდილობდნენ რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებებს, მაგრამ კუთხეში პოლიტიკურ ვითარებას ვეღარ ცვლიდნენ. რუსთა ჯარი 25 აგვისტოს შევიდა ბათუმში, რომელთაც მოსახლეობის ნაწილი მიეგება, როგორც განმათავისუფლებლებს...

დამარცხების შემდეგ ოსმალეთმა აჭარასა და მის მიმდებარე მხარეში მოახერხა მცირე პროვოკაციების მოწყობა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. მან რამდენიმე სოფლის მოსახლეობა ააჯანყა აჭარაში და უფრო მეტი ხალხი მის მეზობელ მაჭახელში, მაგრამ ამით პოლიტიკური ვითარება არ შეცვლილა. რუსეთის ზოგიერთი მოხელე ამბოხებული აჭარლების მკაცრად დასჯას მოითხოვდა, მოხელეთა ნაწილი კი მოლაპარაკებებით ცდილობდა მათ დაწყნარებას. ქართველი საზოგადოება შიშობდა, რომ აჭარლებთან სამხედრო დაპირისპირება და მათი დასჯა უკურეაქციას გამოიწვევდა და მთელი აჭარის მოსახლეობა გადასახლდებოდა ოსმალეთში. გაზეთ დროების კორესპონდენტის აზრით, “ერთი ხეირიანი უფროსი, ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე ჭკვიანი კაცი უფრო მომეტებულ სარგებლობას მოიტანს ამგვარ შემთხვევაში და უფრო უკეთ მოუვლის და დააწყნარებს ხალხს, ვიდრე რამდენიმე ბატალიონი ჯარი” [“დროება”, 1878, №164, გვ. 1]. მართლაც, აჯანყებულ აჭარლებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს პოლკოვნიკი იოსელიანი მცირერიცხოვანი რაზმით. ის სოფელ დანდალოში შეხვდა შეკრებილ ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათასი იყო. მან აჭარლები დაარწმუნა მათი აჯანყების უშედეგობასა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მიზანშეწონილობაში [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970: 452-453]. ამგვარი ურთიერთობებისა და აჭარლების პოზიციის გამო აჯანყება მალევე ჩაწყნარდა, რომელსაც აჭარაში სერიოზული ხასიათი არც მისცემია. ამის შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ თავისი აგენტებისა და მომხრეების მეშვეობით ენერგიულად დაიწყო მოწოდებები აჭარელთა და სხვა ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლებისთვის. ხოლო ოსმალეთის ჯარის ჯერ კიდევ აჭარაში ყოფნის დროს, 1878

წლის აგვისტოში, ის ძალითაც მიერეკებოდა მკვიდრ მოსახლეობას ოსმალეთში ჩასასახლებლად. პროთურქული ძალების მიერ აჭარლებისა და სხვა ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლებას ახლად ჩასული რუსი მოხელეები გარკვეული მოსაზრებებით აღნიშნულ პერიოდში ხელს არ უშლიდნენ. ამ და კიდევ სხვა ფაქტორების გამო ოსმალეთის აგენტებმა მოახერხეს აჭარელთა საკმაო რაოდენობის მოტყუება და მათი ოსმალეთში გადასახლება. ამდენად, მუჰაჯირობა ჯერ ოსმალური ჯარების გაყვანამდე დაიწყო აჭარაში, რომელიც უფრო და უფრო გაფართოვდა მომდევნო პერიოდში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოხდა ანტიოსმალური მღელვარებები ძირითადად გადასახადების გაზრდისა და ბალკანეთის ხალხების აჯანყების ჩასახშობად ჯარში გაწვევის გამო. ანტიოსმალურ გამოსვლებს მრავალ შემთხვევაში მოჰყვა მთავრობის მხრიდან რეპრესიები, შეტაკება მთავრობის ჯარსა და დაუმორჩილებელ მოსახლეობას შორის. ბოლოს, ოსმალეთის მთავრობა დათმობაზე წავიდა. 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ქართველი მებრძოლები დიდი ალტყინებით იბრძოდნენ რუსეთის ჯარების მხარდამხარ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად და იქ მცხოვრები გამაჰმადიანებული მომხმეების გასათავისუფლებლად. ქართველი ხალხი დიდი მონდომებით ეხმარებოდა ფრონტს შრომით. რუსეთის ჯარმა ქართველ-სომეხთა სახალხო მილიციასთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწია კავკასიის ფრონტზე. ოსმალეთის ბატონობისგან განთავისუფლდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი და იქ მცხოვრები ქართველობა. ხოლო აჭარა ომის ბოლოს მშვიდობიანად დაუბრუნდა რუსეთის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს. აჭარის მოსახლეობის ნაწილი რუსეთთან შეერთების მომხრე იყო, ნაწილი მერყეობდა, ხოლო ოსმალური ორიენტაციის მქონენიც აქტიურად არ ჩართულან რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლებში. ომის დროს ოსმალთა და აჭარელთა ერთმორწმუნეობის რელიგიურმა პრინციპმა არ იმოქმედა და მკვიდრი მოსახლეობა ენერგიულად არ ჩაბმულა რუსეთისა და ქრისტიან მომხმეთა წინააღმდეგ ბრძოლებში. ხოლო ომის დასასრულს აჭარაში ოსმალების მიერ პროვოცირებული იქნა ქართველ მუსულმანთა მუჰაჯირობის პროცესი, რომელიც

ძალზე აფერმკრთალებდა ქართველ ხალხში აჭარისა და დიდი ხნით დაკარგული მოძმეების დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს...

თავი III. აჭარელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 70-იანი წლების

ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში

სან-სტეფანოს ზავით ოსმალეთი იძულებული იყო, ბევრი დაეთმო რუსეთისათვის ბალკანეთსა და კავკასიაში, რამაც შეაშფოთა ევროპის დიდი სახელმწიფოები. მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა წინა აზიაში რუსეთის პოზიციების საგრძნობლად გაძლიერება და ოსმალეთს გამოუცხადეს დიდი მხარდაჭერა; ასევე, დახმარებაც გაუწიეს. ამით ოსმალეთის იმპერიას იმედი მიეცა და სამხედრო მოქმედებების დასახვა დაიწყო. მაგრამ ის აშკარად ვერ წავიდოდა სან-სტეფანოს ზავის დარღვევაზე და თავისი აგენტურა ამოქმედა მკვიდრი ქართველი მაჰმადიანების სამხედრო მოქმედებებში ჩასართველად. მათ ქართველ მოსახლეობაში გააძლიერეს პოლიტიკური და რელიგიური ქადაგებები და განაწყეს ისინი რუსეთთან საომრად. დერვიშ-ფაშამ დიდი რაოდენობით იარაღი (7 ათასი თანამედროვე თოფი) დაურიგა აჭარისა და მისი მიმდებარე მხარეების მოსახლეობას რუსეთის ჯარის წინააღმდეგ აჯანყებისთვის.

ოსმალეთი განსაკუთრებით აქტიურად ცდილობდა აჭარელთა აჯანყებას რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. მისი აგენტები მოსახლეობას აშინებდნენ სახლ-კარის დანგრევით, თუ არ აჯანყდებოდნენ ისინი რუსეთის წინააღმდეგ. მათ ოსმალეთის ჯარისკაცებს სამოქალაქო ტანსაცმელი გადააცვეს და აჭარელთა სოფლებისკენ დაძრეს, თითქოს ამბოხებული ხალხი. ოსმალებმა აჯანყების მოსამზადებლად ოსმალეთიდან ჩამოიყვანეს მაჰმადიანური სასწავლებლის 300 მოსწავლე, რომლებიც აჭარის მოსახლეობას ომისკენ მოუწოდებდნენ “ურწმუნოების წინააღმდეგ ისლამის დასაცავად”. ინგლისის აგენტებიც აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ აჭარის მოსახლეობას და ამზადებდნენ ახალ სამხედრო სიმაგრეებს. თურქები მოსახლეობას ძალასაც ატანდნენ. მათ რამდენიმე კაცი სიკვდილითაც დასაჯეს, რადგან ქობულეთის, ხინოსა და ზერაბოსელის მცხოვრებლებმა უარი თქვეს მათი ბრძანების შესრულებაზე - გადასახლებულიყვნენ ხინოს მთებში ან თურქული ჯარების დისლოკაციის ადგილებში (მეგრელიძე 1956: 71).

თურქები აგენტები პროვოკაციებსაც მიმართავდნენ. მათ 600 სამოქალაქო ტანსაცმლიანი ჯარისკაცი, ვითომ აჯანყებულები ზემო აჭარის სოფლებისკენ დაძრეს

აჯანყების იმიტაციის შეაქმნელად. მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ სროლა აუტეხა და განდევნა სამხრეთისკენ. თურქებმა ვერ მოახერხეს აჭარაში რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყების მოწყობა. მათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის უნდა ეჩვენებინათ, თითქოს აჭარის მოსახლეობა რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლის წინააღმდეგი იყო. ბათუმის გუბერნატორმა მუსტაფა ფაშამ მოსახლეობა ცალკეულ სოფლებში შეკრიბა და აიძულა, ხელი მოეწერათ რაღაც დოკუმენტზე. მაგრამ ამაზე ხელმოწერებმა მეორე დღესვე რუსეთის არმიის მხედართმთავრის სახელზე გააგზავნეს წერილი. მასში ეწერა, რომ თურქებმა ისინი აიძულეს რაღაც ქაღალდზე ხელის მოწერა, თვითონ კი რუსეთის ჯარების მიმართ საჩივარი არაფერი ჰქონდათ. წერილს 800 კაცი აწერდა ხელს. საერთაშორისო წრეებმა გაიგეს, რომ სინამდვილეში აჭარასა და ლაზეთში რუსეთის ჯარის წინააღმდეგ არავითარი აჯანყება არ ხდებოდა (მეგრელიძე 1964: 12).

აჭარელთა აჯანყება ძალზე სახიფათო იქნებოდა მკვიდრი მოსახლეობისთვის და, საერთოდ, მთელი საქართველოსთვის. ის გამოიწვევდა დიდ სისხლიღვრას ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსეთის ჯარს შორის. ამასთანავე, შესაძლოა, ბრძოლებს ძმათამკვლელი შეტაკებებიც მოჰყოლოდა, რადგან რუსეთის ჯარში დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ მართლმადიდებელი ქართველი მეზრდოლები. მოვლენების ამგვარი შესაძლო განვითარება გამოიწვევდა გარკვეულ დაპირიპირებებს აჭარლებსა და მართლმადიდებელ ქართველებს შორის, რელიგიურ შუღლს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის. ამგვარი გართულება კი ძალზე შეუშლიდა ხელს აჭარლების დაახლოებას ქრისტიან მოძმეებთან, დიდი ხნით დაკარგული ქართველების დედასამშობლოში დაბრუნებას... ამგვარი საფრთხე ესმოდათ აჭარლებს, რომლებიც ომის დროს ისედაც არ იჩენდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ერთგულებას.

პოლიტიკური სიტუაცია მთლიანობაში ოსმალეთის საზიანოდ ვითარდებოდა. ოსმალეთს ბერლინის ტრაქტატის ძალით უნდა დაეთმო კავკასიაში რუსეთის მიერ დაკავებული თუ ჯერ დაუკავებელი მხარეები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი. ოსმალეთი თავისი ჯარებით წინ ვერ აღუდგებოდა რუსეთის ჯარებს და იძულებული გახდა, რუსეთთან მოლაპარაკების შემდეგ აჭარა 1878 წლის აგვისტოს ბოლოსთვის ჩაებარებინა მისთვის. ასეთ პირობებში აჭარელთა აჯანყება

რუსული ჯარების წინააღმდეგ აზრს კარგავდა სტრატეგიული თვალსაზრისით. იყო მოსაზრება, რომ აჭარელთა და სხვა ქართველ მაჰმადიანთა აჯანყების ინიციატორი იყო დერვიშ-ფაშა, რომელიც ამას თითქოსდა ქართველ მოსახლეობაზე ჯავრის ამოყრის მიზნით აკეთებდა. ამას გადმოგვცემდა ფრონტზე რუსეთის ჯართან მყოფი, გაზეთ დროების კორსპონდენტი სოლომონ ბავრელი (ასლანიშვილი) [“დროება”, 1878, #186, გვ. 2-3]. თუმცა ოსმალური საზოგადოება და სამხედრო მეთაურებიც მონდომებულნი იყვნენ რუსეთთან დაპირისპირების გაგრძელებისა, მიუხედავად არასაკმარისი ძალებისა და ბერლინის ტრაქტატის პირობებისა. ამ ტრაქტატის ძალით, რუსეთს გადაეცემოდა არტან-ყარსის მხარე, აჭარა და მდ. ჭოროხის შუა და ქვემო წელის მხარეები. ტრაქტატის პირობისამებრ, მოსახლეობას 3 წლის განმავლობაში შეეძლო ოსმალეთის დაკარგული ტერიტორიებიდან გადასახლება ოსმალეთის საზღვრებში, ხოლო ოსმალეთიდანაც შეეძლოთ ხალხს რუსეთის საზღვრებში ჩასახლება. 1879 წლის 27 იანვარს რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის მიხედვით, რუსეთის ახალ ქვეშევრდომებს ეძლეოდათ ნება, 3 წლის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი ქონება და სხვა ტერიტორიებზე გადასახლებულიყვნენ (ვარდმანიძე 2002: 16), (კარალიძე 2009: 53). ბერლინის ტრაქტატის შემდეგ ოსმალეთ-რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის შეთანხმებით, აჭარაში რუსული ჯარები უნდა შესულიყვნენ 1878 წლის აგვისტოს ბოლოსთვის.

რუსეთის ჯარი ქართულ მილიციასთან ერთად 25 აგვისტოს შევიდა ბათუმში, რამდენიმე დღეში - ქობულეთში, სადაც ჯერ კიდევ ოსმალთა ჯარები სხდებოდნენ გემებზე და ახდენდნენ ევაკუაციას. ასე რომ აჭარისა და მის სამხრეთით მცხოვრები ქართველი მოსახლეობა, რომელთა შორისაც რუსეთის ჯართან ბრძოლისთვის მომზადებულნი საკმაოდ იყვნენ, შეატოვეს რუსეთის მხარეს. დერვიშ-ფაშამ მოსახლეობას განუცხადა, რომ ჩვენ ვეღარ დაგეხმარებით ბრძოლაში, როგორც გინდათ, ისე მოიქეცითო. მათ ასევე სთავაზობდნენ ოსმალეთში გადასახლებას და დახმარებასაც უწყევდნენ ხალხს გადასახლებისას. დერვიშ-ფაშას საბოლოო მიმართვა აჭარისა და მისი მოსაზღვრე მხარეების მოსახლეობამ 2 კვირით ადრე გაიგო რუსეთის ჯარების შესვლამდე. ამის შესახებ იუწყებოდა სერგეი მესხი გაზეთ დროების 1878 წლის 176-ე ნომერში. ისინი

იდეოლოგიურად და საბრძოლოდ რუსეთის წინააღმდეგ იყვნენ მომზადებულნი, როგორც ოსმალეთის სახელმწიფოს მიმართ მტრულ და რელიგიურად სახიფათოდ მიჩნეულ ძალასთან. ასეთ პირობებში მკვიდრი მოსახლეობა მოსალოდნელ დიდ საფრთხესთან პირისპირ და დაუცველად გრძნობდა თავს, რაც მათ გაურკვეველ მდგომარეობაში ამყოფებდა. მათზე დადებითად მოქმედებდა მათთვის ავტორიტეტული და გავლენიანი ქართველი მოღვაწეების (განსაკუთრებით, გრიგოლ გურიელის, ასევე, გაზეთ დროების კორესპონდენტების: “ა. ჭ.”-სა (ალ. ჭყონია) და ლევან მჭედლიშვილის - “კრაზანას” ფსევდონიმით) შეხვედრები მათთან. ეს მოღვაწეები განმარტებებს იძლეოდნენ ხალხისთვის საჭირობოროტო საკითხებზე, ესაუბრებოდნენ მათ რუსეთის სახელმწიფოში ცხოვრების შესაძლებლობაზე. ქართველ მოღვაწეებთან საუბრებმა და, განსაკუთრებით, რუსეთის ჯართან ბრძოლის უპერსპექტივობამ ადგილობრივი მოსახლეობის საბრძოლველად მომზადებულ ნაწილს ხელი ააღებინა სამხედრო დაპირისპირებაზე. თუმცა მათი ბრძოლისთვის მზადყოფნა რუსეთის წინააღმდეგ ხალხში იწვევდა შიშიანობას რუსეთის ხელისუფლების წინაშე, რომ ის მათ დასჯიდა და დაიწყებდა მაჰმადიანთა დევნას რელიგიური ნიშნით.

აჭარის მოსახლეობის რუსეთის მხრივ დევნის საფრთხის მოლოდინს მოჰყვა ოსმალური კამპანია მათი ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებლად. ოსმალეთის აგენტებმა და მოლებმა რუსეთის ჯარების აჭარაში შესვლის პერიოდში გააჩაღეს პოლიტიკური აგიტაცია და რელიგიური ქადაგება. ისინი აშინებდნენ აჭარლებს, რომ მათ დაუწყებდნენ რელიგიურ შევიწროვებას, მათი ოჯახების შეურაცხყოფას, მათი ადათების დევნასა და მათ სალდათად გაყვანას. ხოლო ოსმალური ჯარები ევაკუაციისას ზოგიერთი მხარეებიდან ძალით მიერეკებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას ოსმალეთში. ციხისძირთან რუსეთის ჯარების შესვლამდე ოსმალეთის ჯარისკაცებს გაერეკათ ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის ნახევარი და ზღვით რომ ვერ მოასწრეს მათი გადაყვანა, ხალხის ნაწილი ციხისძირის სიმაგრეში შეეყვანათ. ამას შეესწრო დროების კორესპონდენტი ფსევდონიმით “ა. ჭ.” (ალ. ჭყონია), რომელიც ოსმალთა ყარაულმა არ მიუშვა შემწყვდეულ ხალხთან. შემდეგ ციხისძირთან მოსულ გემზე ჯერ ჯარისკაცები ავიდნენ, მერე კი დანარჩენი ხალხი შერეკეს. დროების რედაქტორი სერგეი

მესხი თვითონ შეესწრო, რომ რუსების მიერ თანამდებობაზე დანიშნულ გრიგოლ გურიელთან ტირილით მივიდა ქობულეთელი ახალგაზრდა გლეხი, რომელსაც ოსმალმა ჯარისკაცებმა მოსტაცეს ახალგაზრდა მეუღლე და პატარა ქალიშვილი და წაიყვანეს ოსმალეთში. ხოლო ბათუმის სამოქალაქო გამგებელმა გრიგოლ გურიელმა გაიგო ქობულეთის მხარეში ოსმალთა ჯარისკაცების - 160 ცხენოსანი სუარის მიერ ზემო ქობულეთის მცხოვრებთა იძულებით გადასახლების განზრახვა. მან რუსული ჯარის შენაერთი გაგზავნა მათთან და გაათავისუფლებინა ხალხი. რუსულმა შენაერთმა სუარებიც და ხალხიც ქობულეთში მიიყვანეს და თურქი სამხედროები შეურაცხყოფილი გარეკეს [“დროება”, 1878, #184, გვ. 1-3, #190, გვ. 1-3].

აჭარლები არა მარტო ოსმალთა იძულებით სახლდებოდა ოსმალეთში. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი თავისი სურვილით ტოვებდა სამშობლოს და მიჰყვებოდა ევაკუირებულ ჯარს ოსმალეთში. ამას შეესწრო და გადმოგვცემდა იქ მყოფი სერგეი მესხი. აჭარელთა ოსმალეთში გადასახლების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მოხელეებისა და ქართველი მოღვაწეების ჩასვლასა და იქ ახსნა-განმარტებით საქმიანობას. გრიგოლ გურიელის ბათუმის სამოქალაქო გამგებლად დანიშვნამ და მისმა ენერგიულმა მოღვაწეობამ დაამშვიდა აღელვებული და გადასახლებისთვის განწყობილი მკვიდრნი; მრავალ მათგანს ხელი ააღებინა სამშობლოს დატოვებაზე. მისმა გასაუბრებამ ხალხთან და ქადაგებამ ხალხის უკვე წასასვლელად აყრილი ჯგუფები დააბრუნა თავის სამკვიდროში, თვით გემებზე ასული ადამიანებიც კი. გადასახლების მსურველთათვის გამოცხადდა, რომ წასვლისთვის ხალხს ბილეთი უნდა აეღო, რომელსაც იძლეოდა ბათუმში მყოფი გრიგოლ გურიელი. გაზეთ დროების კორესპონდენტის სიტყვით, გურიელმა გადასახლების მსურველთაგან თითქმის ყველა დაარწმუნა, რომ რუსეთის მმართველობა მათ არაფრით ემუქრებოდა და მისი ნათქვამითა და ავტორიტეტით თითქმის ყველამ აიღო ხელი გადასახლებაზე. გაზეთ დროების კორესპონდენტმა “ა. ჯ.”-მ (ალ. ჭყონია) ქობულეთში აჭარლებს გაუქარწყლა შიში, რომ რუსები მათ ოჯახებში შეუვიდოდნენ და მათ სალდათად გაიყვანდნენ. ქობულეთელებმა კორესპონდენტთან საუბარისას გადაწყვიტეს დარჩენა. ამ ფაქტების შესახებ ცნობები გვხვდება გაზეთ დროების 1878 წლის 174-ე, 178-ე და 183-ე ნომრებში.

ქართველი მოსახლეობის ოსმალეთში ნებით თუ ძალდატანებით გადასახლებას რუსეთის ჯარის ხელმძღვანელობა, როგორც ირკვევა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მისთვის მთავარი საკითხი ის იყო, გაუწევდა თუ არა ბათუმის მხარეში შესვლისას აჭარის მოსახლეობა მათ შეიარაღებულ წინააღმდეგობას. ბათუმში რამდენიმე დღის განმავლობაში რუსული და ოსმალური ჯარები ერთად იმყოფებოდნენ; მშვიდობიანი განწყობა სუფევდა მათ შორის. ხოლო რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობამ გენერალ სვიატოპოლსკ-მირსკის ხელმძღვანელობით სადილიც მოაწყო დერვიშ-ფაშასთან და სხვა ფაშებთან, სადაც ძირითადად მშვიდობაზე საუბრობდნენ. ამის შესახებ იუწყებოდა სერგეი მესხი გაზეთ დროებაში, 1878 წლის 177-ე ნომერში. ამასობაში კი ოსმალეთის აგენტები თუ ჯარისკაცები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მოსახლეობა წაეყვანათ ოსმალეთში. ამრიგად, ჯერ კიდევ ოსმალური ჯარების გაყვანამდე დაიწყო აჭარიდან მუჰაჯირობა, რაც ნიშნავს არამუსულმანური სახელმწიფოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლებას მუსულმანურ სახელმწიფოში.

რუსეთის ჯარმა 1878 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში სერიოზული სამხედრო კონფლიქტების გარეშე დაიკავა აჭარა და მისგან სამხრეთით მდებარე ტერიტორიები. მაგრამ ხალხში კიდევ დიდხანს დარჩა რუსეთის მხრივ მაჰმადიანური სარწმუნოების, მათი საკუთრების, ოჯახებისა და ცხოვრების წესის ხელყოფის შიში. ეს ბევრ მათგანს საკმაოდ დიდხანს აფიქრებინებდა ოსმალეთში მუჰაჯირობას. რუსეთის მიმართ შიშს თესავდნენ და აძლიერებდნენ ოსმალეთის აგენტები და მაჰმადიანი სასულიერო პირების უმრავლესობა. ისინი 1878 წლის შემოდგომიდან ენერგიულად ეწეოდნენ მიზანმიმართულ ანტირუსულ, ანტიქრისტიანულ აგიტაციასა და ქადაგებებს. აჭარელთა და სხვა კუთხის ქართველთა მუჰაჯირობისთვის ჩამოსული ოსმალეთის აგენტები კი აქტიურად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ, სოფლებსა და ქალაქებში ხვდებოდნენ მოსახლეობას და ოსმალეთში გადასახლებას უქადაგებდნენ. აჭარაში, არტაანში და სხვა მხარეებში საამისოდ კომისიებიც იყო გამოგზავნილი ოსმალეთიდან. კომისიებს ფულით ან სხვა სახსრებით უნდა გაეადვილებინათ მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლება [“დროება”, 1878, #189, გვ. 2; #211, გვ. 1, #217, გვ. 1-2]. ისინი

გადასახლების მსურველთა სიებს ადგენდნენ, მათ ხელს აწერინებდნენ დოკუმენტებზე და ორგანიზებას უწევდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მუჰაჯირობის პროცესს.

ოსმალეთის აგენტები მოუწოდებდნენ აჭარის მოსახლეობას, რომ მათ აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები - დეპუტატები სტამბულში ოსმალეთის სულთანთან წარსადგომად. იქ იქნებოდა საუბარი მუჰაჯირი აჭარლების ოსმალეთში ჩასახლების შესახებ. მართლაც, აჭარელთა 30 დეპუტატისგან შედგენილი წარმომადგენლობა ჩავიდა სულთანთან, რომელმაც ისინი კარგად მიიღო. მან დეპუტატებს საშუალება მისცა, დაეთვალიერებინათ ოსმალეთის თავისუფალი მიწები აჭარის მოსახლეობის (მეგრელიძე 1964: 26-27). დეპუტატების ნაწილმა, რომელთა შორისაც თვალსაჩინო მოღვაწე იყო მოლა ლომან-ეფენდი ქარცივაძე, არ მოიწონა მიწები და საცხოვრებელი პირობები. მათ გამოიჩინეს პრინციპულობა და მოსწერეს თანამომძმეებს აჭარაში, რომ არ გადასახლებულიყვნენ იქით, აჭარაში ბევრად უკეთესი პირობებიაო. სტამბულიდან ლომან-ეფენდიმ დაშიფრულად გამოგზავნა წერილი თანამემამულეების სამშობლოში დარჩენის მოწოდებით [ჩელები, 2018: 15]. როგორც ჩანს, პროოსმალურად განწყობილი პიროვნებები საკმაოდ იყვნენ დელეგაციაში. ამ შეტყობინების შემდეგ მან და კიდევ რამდენიმე მოლამ შემდეგ აჭარლებს შორის ქადაგება დაიწყო, რომ ოსმალეთში მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე მყარად არ დგანან იქაურები, დროსტარებასა და ლოთობას შეეჩვია ხალხი... ასე რომ რჯულის დაცვის მიხედვითაც სახარბიელო მდგომარეობა არაა ოსმალეთშიო. თუმცა აჭარელი დეპუტატების მნიშვნელოვანი ნაწილი მოძმეთა გადასახლებას უჭერდა მხარს. ამ საკითხზე დეპუტატებს შორის კამათი გაიმართა. აჭარის მოსახლეობა კი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა ამ წინააღმდეგობრივი ცნობების გამო. აღნიშნული ცნობები გვხვდება გაზეთ დროების 1878 წლის 267-ე და 1880 წლის 134-ე, 215-ე და 247-ე ნომრებში.

აჭარიდან მუჰაჯირთა დიდი ტალღა დაიძრა 1878-1879 წლის ზამთრიდან, როდესაც მრავალი სოფლიდან და დაბიდან აიყარა მოსახლეობა ოსმალეთში გადასახლებლად. მუჰაჯირთა ეს მასობრივი მოძრაობა კიდევ 3 წელი არ შეწყვეტილა აჭარიდან, რასაც უფრო კონკრეტულად ქვემოთ შევხებით.

აჭარელთა და სხვა ქართველ მაჰმადიანთა მუჰაჯირობას გააჩნდა საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური მიზნები არა მარტო ოსმალეთის, არამედ რუსეთის იმპერიის მხრივაც.

ოსმალეთი ვერ ეგუებოდა რუსეთთან 1877-1878 წლების ომში დამარცხებას და ომის დამთავრებისთანავე ცდილობდა ამის საწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვას. მას სურდა ქართველი მაჰმადიანების ჩასახლება მის საზღვრებში, რითაც შეიძენდა რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ განწყობილ ბრძოლისუნარიან მოსახლეობას. ისინი ძალზე მონდომებული და მოტივირებული იქნებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ მომავალი მედგარი ბრძოლისთვის, რომ გამარჯვებული დაბრუნებულიყვნენ თავის მამაპაპეულ მიწებზე. ქართველთაგან შექმნილი ჯარი კი მოწინავე იყო ოსმალეთის სამხედრო შენაერთებს შორის. მისი შევსება ოსმალეთის მთავრობას წარმატებით შეეძლო ქართველი მუჰაჯირების რიგებიდან. ამასთანავე, ოსმალეთი მიიღებდა შრომისმოყვარე, კულტურული მეურნეობის გაძლიერების მცოდნე და ნიჭიერ მოსახლეობას თავის საზღვრებში; მათ ეფექტურად გამოიყენებდა სახელმწიფო ინტერესებისთვის. მთავრობა მცირე აზიის ნაკლებნაყოფიერ მიწებს ამ მოსახლეობის მეშვეობით უკეთესად აითვისებდა. მცირე აზიაში ომებისა და ეპიდემიების შედეგად მოსახლეობა შემცირებულიყო, რომელთაც მთავრობა შეავსებდა ჩასახლებული ხალხით. ჩასახლებულნი კი თავიანთი მიწათმოქმედების კულტურით, შრომისმოყვარეობით ხელს შეუწყობდნენ ჯერ კიდევ მომთაბარე წესით მცხოვრებ თურქებს ბინადარ წესზე გადასვლასა და მიწის დამუშავებაში (ისმეთზადე, სვანიძე 1996: 8).

რუსეთის სახელმწიფო თავიდან არ უშლიდა ხელს მაჰმადიანი ქართველების მუჰაჯირობას მის მიერ შეერთებული მიწებიდან, რადგან მას გააჩნდა თავისი იმპერიული მიზნები. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია საერთოდ ცდილობდა, ახლად შეერთებული მიწები მისთვის ნაკლებსასურველი მოსახლეობისგან ნაწილობრივ ან მთლიანად დაეცალა. მთავრობა შემდეგ მათ ნაცვლად იქ ასახლებდა ხოლმე მისთვის საიმედო და მისაღებ ხალხს, რომელთა მეშვეობით უკეთესად დაიცავდა თავის საზღვრებს, მისვე აზრით. ამასთანავე, რუსეთი ეთნიკური სიჭრელის შექმნით შეათხელებდა ადგილობრივ მკვიდრთა მჭიდრო დასახლებებს და შეასუსტებდა მათ ელემენტს. ამით

რუსეთის მთავრობას უფრო გაუადვილდებოდა მათი დამორჩილებისას შესაძლო წინააღმდეგობის დამლევა, და, საბოლოოდ, მათი გარუსება. ამ პოლიტიკას რუსეთის იმპერია წარმატებით ახორციელებდა კავკასიაში, განსაკუთრებით, 1828 წელს სამცხე-ჯავახეთის შეერთების შემდეგ. მაშინ მან ხელი შეუწყო მკვიდრი მაჰმადიანი მესხობის მასობრივ აყრა-გადასახლებას ოსმალეთის იმპერიაში. მთავრობამ მათ ნაცვლად დაიწყო დიდი რაოდენობით ოსმალეთის სომხობის, მცირეოდენი ბერძნების, რუსეთიდან კი დუხობორების ჩამოსახლება. რუსეთმა ამგვარად 100 ათასზე მეტი კოლონისტი ჩაასახლა სამცხე-ჯავახეთში. მან აჭარისა და მისგან სამხრეთით მდებარე მხარეების შეერთების შემდეგ ასევე შეუწყო ხელი მკვიდრი მაჰმადიანი ქართველების გადასახლებას ოსმალეთში. მაგრამ, სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, აჭარაში ამგვარი დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა საგრძნობლად ნაკლები მასშტაბებით. რუსეთის მთავრობა რეგიონში მუჰაჯირობის პროცესს აკონტროლებდა. აჭარის რომელი მხარეებიდანაც მას აწყობდა მკვიდრთა გადასახლება, იქ არ აფერხებდა ან უწყობდა კიდევ ხელს ადგილობრივი მოსახლეობის მუჰაჯირობას, რომ მათ ნაცვლად სხვა ხალხები ჩაესახლებინა...

აჭარიდან ქართველი მოსახლეობის მუჰაჯირობას გააჩნდა მრავალი მიზეზი და გარემოება:

მუჰაჯირობის მნიშვნელოვანი მიზეზი იყო რელიგიური საკითხი. აჭარაში რელიგიური განათლება არ იდგა მაღალ დონეზე. ადგილობრივ სასულიერო თუ საერო პირებს ძირითადად არ შეეძლოთ მუსულმანობის მრავალ საკითხში სიღრმისეულად გარკვევა. ამით სარგებლობდნენ პროთურქულად განწყობილი მოღვაწეები და ხოჯები და ფანატიზმს ნერგავდნენ ხალხში. ისინი თავისებურად წარმოუდგენდნენ მაჰმადიან მოსახლეობას ზოგიერთ თეოლოგიურ საკითხს და მათ თავს ახვევდნენ გარკვეული ინტერესებით ნაკარნახევ მოსაზრებებს. მოლათა უმეტესობა, განსაკუთრებით, ოსმალეთიდან მოსულები, ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის სასარგებლოდ წარმოაჩენდნენ მაჰმადიანური სწავლების ზოგიერთ საკითხს. ისინი აცხადებდნენ, რომ ალაჰი არ შეიწყნარებდა ქრისტიანული სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრები მორწმუნეების მაჰმადიანობას; მუსლიმები ყველანი უნდა გადასახლებულიყვნენ მაჰმადიანურ ოსმალეთში. აჭარის მოსახლეობას ამგვარად უქადაგებდნენ როგორც

მუსულმანი სასულიერო პირები, ასევე ოსმალეთიდან საგანგებოდ ჩამოსული საერო პირებიც (მეგრელიძე 1956: 84-85). ამგვარი აზრი იყო გატარებული ოსმალეთში დაბეჭდილ ბროშურებში, სადაც მუჰაჯირობისკენ იყო მოწოდება ომის შედეგად რუსეთის საზღვრებში მოხვედრილი მკვიდრი მაჰმადიანებისთვის. ეს ბროშურები 1879-1880 წლებში დიდი რაოდენობით გავრცელდა ბათუმის მხარეში; ყველა ოჯახში მოიპოვებოდა ისინი. ამ ბროშურებში ეწერა, რომ ყოველი მაჰმადიანი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოში და მისი კანონების მფარველობაში აღმოჩნდება, სულით და ხორციით დაღუპული და წარწყმედილი იქნებაო; რაც უნდა მტკიცე აღმასრულებელი უნდა იყოს მაჰმადის რჯულისა, ედემს მაინც ვერ ეღირსებაო. ამის გამო ყველანი უნდა გადმოსახლდეთ აქეთო. გადმოსახლებისას, უეჭველია, ბევრ გაჭირვებასა და უბედურებას გამოსცდითო, მაგრამ ეს იქნება ხორციელი ტანჯვა და სულის მაცხოვნებელიო. ამგვარი აზრების გავრცელებამ სერიოზულად იმოქმედა აჭარიდან ხალხის მუჰაჯირობაზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი აჭარელი ამ აზრს იმეორებდა ჩასულ ქართველ მოღვაწეებთან საუბარშიც [“დროება”, 1880, #95, გვ. 2, #246, გვ. 1-3, #100, გვ. 1-2];

ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ აჭარაში დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულმა მაჰმადიანურ-იმპერიულმა პოლიტიკამ და ხალხში განათლების დონის დაქვეითებამ გამოიწვია რელიგიური და ეთნიკური საკითხების აღრევა. აჭარლების ერთ ნაწილში მათი ეროვნული წარმომავლობის საკითხი ბუნდოვანი გამხდარიყო (ჭიჭინაძე 1913: 30). ხალხის ერთი ნაწილი ამბობდა, რომ ადრე ჩვენ ქრისტიანები ვიყავით, ახლა ქართველები, ე. ი. ქრისტიანები კი არა, გურჯები ვართო; თათრებს დავუახლოვდით და სხვანი ვართო. ზოგიერთი სარწმუნოებასა და ეროვნებას აიგივებდა ერთმანეთთან. ისინი იჯერებდნენ მოლათა ნაქადაგებს და აცხადებდნენ, რომ მაჰმადიან მოსახლეობას მხოლოდ მაჰმადიანურ ქვეყანაში უნდა ეცხოვრა; რელიგიური და ეროვნული კუთვნილების საკითხებში მართლმორწმუნე მაჰმადიანმა უპირატესობა სარწმუნოებას უნდა მიანიჭოსო. ამის შესახებ ცნობებს ბეჭდავდნენ დროების ავტორები 1878 წლის 181-ე, 184-ე და 254-ე ნომრებში. თუმცა ამგვარ შეხედულებებს მოსახლეობის უმეტესობა ნაკლებად იზიარებდა და მხოლოდ ამ ფაქტორების გამო არ ფიქრობდა მუჰაჯირად წასვლას ოსმალეთში. მაგრამ რელიგიურად ამ დამახინჯებულმა ქადაგებებმა საკმაო როლი ითამაშა აჭარელთა გადასახლებაში;

აჭარელთა მუჰაჯირობაზე სერიოზული გავლენა მოახდინა პროოსმალურად განწყობილმა სასულიერო და საერო პირების რელიგიურ-პოლიტიკურმა ქადაგებებმა. ამ ქადაგებების მიხედვით, რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ აქ დაიწყებოდა ანტიმაჰმადიანური და აჭარელთა საწინააღმდეგო მოქმედებები: პარასკეობით მაჰმადიანებს აეკრძალებოდათ მეჩეთებში ლოცვა, ქალებს ჩადრს ახდიდნენ, ხელყოფდნენ მკვიდრი მოსახლეობის ოჯახებს, დაიწყებდნენ მათი ადათების დევნას... პროოსმალურმა ძალებმა მომავალში რუსეთის შესაძლო მტრული მოქმედებით დაიწყეს ხალხის დაშინება. ამან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე იმოქმედა, დააჯერეს ისინი ამაში; განსაკუთრებით, რუსული ჯარების აჭარაში შესვლის დროს ხალხში შექმნილი დამაბულობისა და გაურკვევლობის ვითარებაში. მოსახლეობის ერთი ნაწილი რუსეთის ჯარების შესვლამდე გადადიოდა ოსმალეთში. ხოლო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ კი რუსეთის მხრივ დევნის შიშით მკვიდრმა მოსახლეობამ დიდი რაოდენობით დაიწყო გადასახლება. ქართველმა მოღვაწეებმა და რუსმა მაღალი თანამდებობის პირებმაც მრავალგზის აუხსნეს აჭარლებს, რომ რუსეთის ხელისუფლება მათ რელიგიურ და საყოფაცხოვრებო საკითხებში არ ჩაერეოდა და ამ მხრივ სრული თავისუფლება ექნებოდათ. ხოლო დადებითად წარმოჩენილი რუსი მოხელეები თავიანთი მოქმედებებითაც არწმუნებდნენ ხალხს ამაში. ყოველივე ამან თანდათანობით დაამშვიდა აჭარის მოსახლეობა. მაგრამ მათში კიდევ დიდხანს იყო დარჩენილი რუსების მხრივ მათი სარწმუნოებისა და ტრადიციების დევნის შიში, რასაც პერიოდულად აღვივებდა მოლათა მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთის მთავრობის მიერ რელიგიურ-საყოფაცხოვრებო საკითხებში მოსალოდნელი ძალადობის შიშით საკმაოდ ბევრი აჭარელი გადასახლდა 1878-1879 წლებში;

აჭარაში წარჩინებულ საგვარეულოებს, გვარიშვილობას დიდ პატივს სცემდნენ. ოსმალეთის დროიდან მათი წარმომადგენლები ბეგებად და ალებად იწოდებოდნენ და ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ისინი ძირითადად ოსმალების სამსახურში იყვნენ, გააჩნდათ ოსმალური სახელმწიფო თანამდებობები, ხელფასები, და, ასევე, ყმამამული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარაში ოსმალეთის დასაყრდენს წარმოადგენდა დიდი ხნის განმავლობაში. მართალია, ბეგებმა და ალებმა აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში, ზოგი რუსეთის მხარეზეც გადავიდა, მაგრამ

მრავალი მათგანი ოსმალურ ორიენტაციაზე იდგა. როგორც ჩანს, ოსმალეთის აგენტებმა მუჰაჯირობის დროს მათ გადასაბირებლად ენერგიულად იმოქმედეს. აჭარის მოსახლეობის აყრისას მრავალი ბეგი და ალა სახლდებოდა ოსმალეთში. ხოლო მათი მაგალითითა და მათ მიმართ მორჩილებით ხალხის დიდი ნაწილი მიჰყვებოდა ბეგებსა და ალებს. ზოგიერთი წარჩინებული აჭარელი პირდაპირ ოსმალეთის იმპერიის სამსახურში იდგა და თანამემამულეებს მოუწოდებდა გადასახლებისკენ. ისინი ამის სანაცვლოდ ოსმალეთის მთავრობისგან მოელოდნენ ჯილდოებს ან მუდმივ შემოსავალს. მაგალითად, თავდგირიძეები ქობულეთელებს უქადაგებდნენ მუჰაჯირად წასვლისკენ (ბარამიძე 1999: 69), გამორჩევით - ალი-ფაშა თავდგირიძე (ახვლედიანი 1943: 210-211). ალი ფაშას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე. მაჰახლელი სული ბეგი გადასახლდა ოსმალეთში, შემდეგ მობრუნდა უკან, მაჰახლელები არია და გადაასახლა. ოსმალეთის მთავრობის მიერ 1881 წლის დასაწყისისთვის მუჰაჯირების გამგედ დანიშნული იყო ქამილ-ფაშა ხიმშიაშვილი, რომელმაც დაიწყო მცდელობა აჭარლების ოსმალეთში გადასახლებლად. აჭარის თანამედროვე მდგომარეობაში გარკვეული გაზეთ დროების რამდენიმე კორესპონდენტი უარყოფითად ახასიათებდა წარჩინებულთა ამგვარ როლს და აცხადებდა, რომ მათ თანამემამულეთა ოსმალეთში გადასახლების გამო მცირეოდენი მამულისმოყვარეობაც კი არ გააჩნიათო (გაზეთ დროების კორესპონდენტი “სტ. მე-ლი”). მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოქმედებებით აჭარის მოსახლეობა დიდი მონდომებით მიდიოდა მუჰაჯირად. ზოგიერთი ბეგი და ალა კვლავაც მოუწოდებდა ოსმალეთის ქალაქებსა და დაბებში უპატრონოდ მიყრილ აჭარელ მოსახლეობას, რომ სარწმუნოების მიმართ ერთგულება გამოეჩინათ და არ დაბრუნებულიყვნენ რუსების მიერ დაკავებულ მათ სამშობლოში (მაგალითად, ალი-ფაშა თავდგირიძე, სტამბოლიდან გაგზავნილი მეჰმედ-ბეი და სხვა აგენტები). მუჰაჯირობის დროს ამ პიროვნებების როლზე საკმაო ცნობები გვხვდება იმდროინდელ ქართულ პრესაში [“დროება”, 1878, #230, გვ. 2-3; 1880, #88, გვ. 3, #116, გვ. 2-3; 1881, #4, გვ. 2-3; #40, გვ. 1-2];

აჭარელთა მუჰაჯირობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო 1877-1878 წლების ომის შედეგად მხარეში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალდა აჭარის მოსახლეობა, განსაკუთრებით, ქვემო აჭარა,

მეტადრე ქობულეთის მხარე. ქვემო აჭარაში გადაიწვა სახლები და გაპარტახდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (Френкель 1879: 17). ოსმალეთისა და რუსეთის ჯარების ყოფნით ძალზე შეფერხდა მესაქონლეობა აჭარაში (Чорохский край 1887: 38). შემდეგ კი შიმშილობა ჩამოვარდა ხალხში. ამას დაერთო ომის მიწურულში და მის შემდეგ მხარესა და ოსმალეთის იმპერიის სხვა რეგიონებს შორის ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობების გაწყვეტა. რუსული მმართველობის დამყარებიდან პირველ ხანებში ვერც რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში მოექცა აჭარა. ამას დაერთო ოსმალეთის სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის - მის სამსახურში მყოფი ხალხისთვის პენსიებისა და ხელფასების გაცემის - შეწყვეტა, ხოლო რუსეთის მთავრობა კი ოსმალეთის წინაშე შესრულებულ მათ სამსახურს არ აღიარებდა. აჭარის სოფლის მეურნეობა, რომელიც ოსმალურ სახელმწიფოში ვერ გასცილდა გვიანი შუა საუკუნეების განვითარების დონეს, ვერ უზრუნველყოფდა ამგვარ რთულ ვითარებაში მოწეული სურსათით თავის შენახვას. ამაზე ჩიოდა ადგილობრივი მოსახლეობა და ამასვე ადასტურებდნენ საქმეში გარკვეული პირებიც. აჭარასა და მის მიმდებარე მხარეებში ბევრგან მცირემიწიანობა იყო. მაჭახელაში საყანე ადგილების სიმცირის გამო ოსმალების დროს მოსახლეობის ნაწილი კონტრაბანდითა და ე. წ. “ცუდკაცობით” (ყაჩაღობით) ირჩენდა თავს. მათ რუსების შესვლის შემდეგ კი გაუჭირდათ, რასაც დაერთო მოლებისა და ბეგების ქადაგება მუჰაჯირად წასვლაზე. ამის შემდეგ მაჭახლიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახლდა ოსმალეთში. მოსახლეობის გაურკვეველ მდგომარეობაში (გადასახლდებოდნენ თუ არა ოსმალეთში) ჩავარდნის გამო ხალხის საკმაო ნაწილი აღარ ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, რამაც კიდევ უფრო გააღარიბა ხალხი. ამ მოვლენების გამო თითქმის მთელი აჭარა გაჭირვებაში ჩავარდა, განსაკუთრებით, ღარიბი მოსახლეობა (ე. წ. ფუხარები). ქართველი საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა აჭარელთა გაჭირვებულ მდგომარეობას, რაც დაწვრილებით იყო აღწერილი გაზეთ “დროების” 1879 წლის 22-ე, 24-ე, 32-ე, 40-ე, ასევე, 1880 წლის 52-ე, 82-ე, 124-ე და 131-ე ნომრებში. აჭარელთა მდგომარეობას ამძიმებდა რუსული მმართველობის დროს მიწათმფლობელობის მოუგვარებლობის საკითხი, განსაკუთრებით, ქ. ბათუმში. ბათუმში ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანებისა და 60-იან წლებში ჩასახლებული აფხაზი მუჰაჯირების მიწები სხვადასხვა მეთოდებით მიითვისეს.

რუსულმა მმართველობამაც არ მიიღო მხედველობაში ომის შედეგად აჭარის მოსახლეობის გაჭირვება და არ აპატიო მათ რამდენიმე წლით რუსეთის სახელმწიფო გადასახადის გადახდა, რასაც ითხოვდნენ ხალხი და საზოგადო მოღვაწეები, მაგრამ ამაოდ. ამგვარი ეკონომიკური ვითარება და რუსული მმართველობის მიმართ უიმედობა ხალხს ოსმალეთში გადასახლებას აფიქრებინებდა;

მუჰაჯირად წასვლის განწყობას აძლიერებდა ბათუმში პორტო-ფრანკოს რეჟიმი, რაც, ბერლინის ტრაქტატის ძალით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას ითვალისწინებდა აჭარის ცენტრალურ ქალაქში. ბათუმიდან მობრუნებული მოსახლეობისთვის თუ ვაჭრებისთვის არსებობდა საბაჟო, რომელიც შეძენილი 1 მანეთზე მეტი ღირებულების საქონლისთვის ბაჟის გადახდას ითვალისწინებდა. სოფლებიდან ჩასულ აჭარლებს ქალაქში უბაჟოდ მხოლოდ 3 მანეთის ღირებულების გასაყიდი საქონლის შეტანის უფლება ჰქონდათ (ბარამიძე 1999: 66). ეს აჭარის ღარიბი მოსახლეობისთვის სერიოზული პრობლემა იყო. მათ ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო ნივთები ბათუმში უნდა შეეძინათ, ხოლო ქალაქიდან გამოსვლისას კი დიდი გადასახადი უნდა გადაეხადათ საბაჟოზე [“დროება”, 1878, #263, გვ. 2; 1879, #35, გვ. 1-3; #40, გვ. 2]. ხალხის დიდი რაოდენობის გატარება საბაჟოზე, მათი ჩხრეკა, საბაჟოს მოუწყობელი პირობები და მოხელეთა თვითნებობა ძალზე აღიზიანებდა ხალხს (სიორიძე 2003: 75-76). ეს, გარდა საქონლის ძვირად დაჯდომისა, იწვევდა ხალხის გაღიზიანებას: ხალხის ჩხრეკას, შეურაცხყოფას საბაჟოს მოხელეების მხრივ, ხან უკანონოდ მიჩნეული საქონლის ჩამორთმევას (სიჭინავა 1958: 97-98, 100-101), კონფლიქტურ სიტუაციებს მებაჟეებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. ბათუმის საბაჟოზე 1880 წელს მაჰმადიანი ქართველის ცოლს მთვრალი რუსი ჯარისკაცი ჩხრეკის დროს უხეშად შეეხო ხელზე, რაც აჭარელმა შეურაცხყოფად მიიღო და ჯარისკაცს ხანჯალი ჩასცა გულში. იგი გაასამართლეს და გადაასახლეს (გოგოლიშვილი 2009: 36). საბაჟოს მოხელეები იმდენად იყვნენ მონდომებული “კონტრაბანდის” აღმოჩენაზე, რომ ხან ქ. ბათუმის ქუჩებშიც კი ჩხრეკდნენ ხალხს. ეს ყოველივე რუსული მმართველობის მიმართ მკვიდრი მოახლეობის უკმაყოფილებასა და ოსმალეთში გადასახლების სურვილს აძლიერებდა (სურგულაძე, სიორიძე 1996: 34-35, 38);

ბათუმის პორტო-ფრანკოს რეჟიმზე ბევრად მეტად პრობლემატური, გაუგებარი და მძიმე აღმოჩნდა აჭარის მოსახლეობისთვის რუსული მმართველობა. მათთვის უცხო იყო ბიუროკრატიული მმართველობა, მხარის მართვასთან დაკავშირებული საქმეების, სასამართლო პროცესების გახანგრძლივებულად გადაწყვეტა, რუსეთის მოხელეთა თვითნებობა, ქედმაღლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამას ემატებოდა რუსი მოხელეების დიდი ნაწილის მექრთამეობა, ზოგიერთი ჩინოვნიკის მიერ დიდი ქონების შეძენა ბათუმში და ა. შ. ეს ყოველივე ადგილობრივ მოსახლეობას ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ პრობლემებს უქმნიდა. ჩინოვნიკების მხრიდან საკმაოდ ხშირად ხდებოდა მათი უფლებამოსილების გადაჭარბება, უსამართლო მოქმედებები, ხან ძალადობა... მაგალითად, ბათუმში პოლიციელების “დესიატნიკებმა” მაჰმადიანი უმიზეზოდ სცემეს, ხოლო გამომსარჩლებლის დააპატიმრეს, რომელმაც შემდეგ ეს ამბავი გაზეთ დროებას მისწერა; ქობულეთის უფროსმა ბაშბეუქოვმა მამასახლისს სცემა, რომელმაც არ შეასრულა მისი უსამართლო ბრძანება. მკვიდრებთან ხანდახან დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საშუალო და დაბალი მოხელეების მხრიდანაც უცხო არ იყო რუსული მმართველობისთვის. ოსმალეთში გადასასახლებლად მიმავალი ქობულეთელები ჩიოდნენ, რომ ჩაფრებიდან დაწყებული, ვისაც სერთუკი და ჩოხა აცვია, ჩვენთან ბატონი და მბრძანებელია, ყველა ჩვენ გვაწუხებს; ამისთანა შევიწროებას ოსმალთს ხელში არ ვიყავით შეჩვეულიო. ახალი მმართველობისას ხანგრძლივი სასამართლო პროცესები მოსახლეობას სამართლის დამყარების იმედს არ აძლევდა... ადგილობრივი მოხელეების უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ჩივილის იმედი არ ჰქონდა ხალხს. მოხელეთა ერთი ნაწილი ემუქრებოდა მათ, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ თუ იჩივლებთ, დაგკარგავენო, ე. ი. რუსეთში გადაგასახლებენო. რუსული მმართველობის სიმძიმეზე მრავალი ცნობა იბეჭდებოდა იმ პერიოდის ქართულ პრესაში [“დროება”, 1879, #122, გვ. 2; 1880, #11, გვ. 1-2, #131, გვ. 1-2, #253, გვ. 3].

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, აჭარაში გამწესებულ რუს მოხელეთა დიდი ნაწილის ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ გულგრილ და უდიერ განწყობას ემატებოდა მათი მომხვეჭელობა და მტაცებლობა. ილია ჭავჭავაძე ზუსტად აღწერდა მათ

დამოკიდებულებას სამსახურისა და ხალხისადმი: “ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა... როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალბზედ დგება. ამათ შორის, საცა გამოგდებული სამსახურიდამ კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელება მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი... რუსის მმართველობასა?” (ჭავჭავაძე ტ. 8 1984: 296).

მოსახლეობის მიმართ აჭარაში რუსეთის მოხელეთა უდიერ და დამამცირებელ დამოკიდებულებას ხედავდნენ უფრო მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც და დახურულ მიმოწერაში აღნიშნავდნენ ამას. 1880 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა სიტუაციის ადგილზე გასარკვევად თავისი აპარატიდან საგანგებოდ მიავლინა მთავარი სამმართველოს უფროსი. მივლენილი მოხელე ბათუმში 7 დღის განმავლობაში გულმოდგინედ გაეცნო ვითარებას და 1881 წლის 1 მაისს კავკასიის მეფისნაცვალს მოხსენება წარუდგინა. მასში ეწერა: “ქალაქის მოსახლეობა აშკარად უკმაყოფილოა რუსების მიერ ომალთა განდევნის დღიდან დამყარებული რეჟიმით. მოსახლეობის მოჩვენებითი თავაზიანობა ნაკლებ საიმედოა. პირიქით, პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენები უპატივცემულოდ ეკიდებიან ახლად შეძენილი მხარის მოსახლეობას, მის ზნე-ჩვეულებებს. ამ მხრივ რუს ჩინოვნიკთა მოქმედება ძალიან გვაგონებს ამ მხარის ძველი მმართველების მოქმედებას” (სიჭინავა 1958: 81-82).

რუსი მოხელეების მხრივ დევნა-შევიწროებას ამაყი აჭარლები ძნელად იტანდნენ. მათზე ადგილობრივი კორესპონდენტები წერდნენ, რომ ისინი ზრდილები არიან და სხვებისგანაც ზრდილობიან ურთიერთობას მოელიან, ხოლო უყურადღებობა და უპატივცემულობა სწყინთო. რუსი მოხელეების უმრავლესობა ვერ ერკვეოდა აჭარის თავისებურებებში. მათ არც აინტერესებდათ აჭარლების ხასიათი და ჩვეულება, ადგილობრივი ადათები და რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკებისთვის დამახასიათებელი მბრძანებლობით ცდილობდნენ მხარის მართვას [“დროება”, 1879, #118, გვ. 1-2; 1880, #169, გვ. 1-2]. რუსი მოხელეების ხალხისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო ადგილობრივი მოსახლეობა პროტესტის ნიშნად ოსმალეთში გადასახლებას იწყებდა.

აჭარაში ქართველი მოხელები მცირედ იყვნენ, რომელთა უმეტესი ნაწილი თავისუფლად და სინდისის კარნახით ვერ მოქმედებდა. ხოლო მათ შორის ქართველი ავტორიტეტული, პატიოსანი ადამიანები და საზოგადო მოღვაწენი ზრუნავდნენ აჭარლებზე და რუსულ მმართველობას დადებითად წარმოაჩენდნენ (გრიგოლ გურიელი, ნიკოლოზ მეფისაშვილი და სხვ.), რის შესახებაც იუწყებოდა გაზეთ დროების 1879 წლის 217-ე ნომერი. თუმცა ასეთები იშვიათნი იყვნენ რუსეთის მოხელებს შორის. ქართველი მოღვაწეები, უმთავრესად პუბლიცისტები მთავრობასა და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდნენ, რომ კარგი რეპუტაციის მქონე, პატიოსანი, დადებითად წარმოაჩენილი პიროვნებები დანიშნულიყვნენ მოხელებად აჭარაში. სასურველი იყო, მათ სცოდნოდათ ხალხის ენა, ხასიათი, ჩვეულება. ეს მოღვაწეები ამგვარ აზრს გამოხატავდნენ გაზეთ დროებაში (1878 წელი, #253; 1879 წელი, #118; #197; 1880 წელი, #196). მაგრამ ამ მოღვაწეებს მთავრობასთან იმდენი გავლენა არ გააჩნდათ, რომ რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ აჭარაში რუსულ მმართველობასა და მის პოლიტიკაზე... ისინი ამისკენ მოუწოდებდნენ მთავრობას, მაგრამ ამით ქართველთა საზოგადო აზრს უფრო ქმნიდნენ;

აჭარაში ომამდე ოსმალური ხელისუფლების მიერ ძალადობის, უსამართლობისა და მძიმე სოციალური ფონის გამო, ასევე, სხვა გარემოებების გამო ზოგიერთი პიროვნება უკანონო საქმიანობას, ყაჩაღობას (ახვლედიანი 1943: 25-26), ავკაცობას, რუსეთის საზღვარზე კონტრაბანდას ეწეოდა; ხდებოდა მკვლელობები და სხვა დანაშაულებები... ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ოსმალეთის მთავრობა ბათუმში ასახლებდა ოსმალეთის სხვადასხვა მხარეებიდან გადმოსახლებულ დამნაშავეებს, რომლებიც ყაჩაღობასა და მეკობრეობას მისდევდნენ (ახვლედიანი 1943: 170-171). ხანდახან ოსმალთა მოხელების ან ადგილობრივი მოძალადე გავლენიანი პირების წინააღმდეგ პროტესტი გადაიზრდებოდა ხოლმე შეიარაღებულ ბრძოლაში, რაც XIX საუკუნეში ყაჩაღობის სახესაც იძენდა. აჭარაში მრავალი ყაჩაღად ცნობილი პიროვნება ებრძოდა ხალხის მჩაგვრელებს. ზოგიერთი მათგანი თავისებურად ხალხის დამცველ და განმათავისუფლებელ მოძრაობებს ქმნიდა (ახვლედიანი 1943: 41-45). ძალადობასთან, უკანონობასთან, მართლწესრიგის დარღვევასთან და ყაჩაღობასთან დაკავშირებულ ხალხს ეფიქრებოდა, რომ რუსეთის ხელისუფლება მკაცრად მოჰკითხავდა მათ ჩადენილ დარღვევებს ან დანაშაულს. რუსული

მმართველობის დამყარების დროს ისინიც ჩქარობდნენ ოსმალეთში გადასახლებას. ხოლო მაჭახელაში უფრო იყო გავრცელებული ავკაცობა, ყაჩაღობა, კონტრაბანდისტობა. ამის გამოც ამ საქმეებში შემჩნეულები პირველ რიგში ილტვოდნენ ოსმალეთისკენ. ამაზე ცნობას აწვდიდნენ გაზეთ დროებას (1878 წლის 238-ე ნომერი);

აჭარაში მუჰაჯირობის ამ ძირითად მიზეზებს ერთვოდა ომის შემდეგ მხარეში შექმნილი რთული გარემოებები. აჭარის მოსახლეობის მცირედ ინფორმირებულობის პირობებში ვრცელდებოდა ხმები, რომ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, რუსეთს დარჩებოდა აჭარა თუ ოსმალეთს.

როგორც ირკვევა, აჭარელთა მუჰაჯირობის სერიოზული მიზეზი იყო მათ შორის რელიგიური ფანატიზმის გაღვივება და, ასევე, პოლიტიკურ-რელიგიური, ეროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხების აღრევა (ბაქრაძე 1987: 45-46). რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მუჰაჯირობის უმთავრეს მიზეზად წარმოაჩენდნენ რელიგიურ ფანატიზმს [Чорохский край 1887: 56], და ქართველი საზოგადოების მცირე ნაწილიც ასე ფიქრობდა [“დროება”, 1880, #196, გვ. 1-3]. თუმცა ამას უარყოფდა ზოგიერთი აჭარის გამოჩენილი პირი და მუჰაჯირობის მთავარ მიზეზად თვლიდა არა რელიგიურ ფაქტორს, არამედ აჭარელთა გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს (ეს აზრი გამოხატა სულეიმან ეფენდიმ მწერალ გიორგი წერეთელთან საუბარში) (მეგრელიძე 1964: 24-25).

აჭარელთა მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზები იყო მათი მაჰმადიანური სარწმუნოება, რომელიც ხშირად პროოსმალურად განწყობილი მოლების ქადაგებით ფანატიზმში გადადიოდა; მასში გადამწყვეტი როლი შეასრულა ოსმალეთის იმპერიულმა პოლიტიკამ; მას კი ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიამ და ომის შემდეგ აჭარაში შექმნილმა ძალზე მძიმე ვითარებამ... აქვე აღსანიშნავია, რომ სადაც საერო ხასიათის პრობლემები ნაკლებად მძიმე იყო, იქ ხალხი ნაკლებად უჯერებდა პროოსმალურად განწყობილი მოლებისა და ოსმალეთის აგენტების რელიგიურ-ფანატიკურ ქადაგებებსა და მოწოდებებს მუჰაჯირობისკენ; იქიდან მოსახლეობის ბევრად ნაკლები ნაწილი მიდიოდა ოსმალეთში გადასახლებლად (მაგალითად, ზემო აჭარაში). ხოლო სადაც მძიმე იყო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, იქ მეტად უსმენდნენ და უჯერებდნენ

პროოსმალურ და მაჰმადიანური ფანატიზმით აღსავსე ქადაგებებს, აჰყევბოდნენ მათ და მუჰაჯირად დიდი რაოდენობით მიდიოდნენ ოსმალეთში. ამ მოვლენებს აშუქებდნენ გაზეთ დროების 1879 წლის 208-ე, 1880 წლის 240-ე და 246-ე ნომრები...

მუჰაჯირობის პროცესი აჭარაში მასიური იყო, მაგრამ მას გააჩნდა გარკვეული ზღვარი, ხელისშემშლელი მიზეზები და გარემოებები:

აჭარელთა დიდი უმრავლესობა თავს ქართველად აღიარებდა და მათთვის სამშობლოს დატოვება და თუნდაც რელიგიური ნიშნით მაჰმადიანურ ოსმალეთში გადასახლება ძალზე მძიმე და ხშირად მიუღებელიც იყო. ნაწილისთვის ეთნიკური ცნებები ბუნდოვანი იყო, რაც გამოწვეული იყო გაუნათლებლობით;

აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი კარგად ხედავდა მუჰაჯირად წასვლის ბუნდოვან პერსპექტივებს და ოსმალეთში ცხოვრების თავიდან დაწყების სირთულეს. ხოლო მათი თანამემამულეების გადასახლების შემდეგ ძალზე ტრაგიკული ამბები მოდიოდა მათ შესახებ: მგზავრობის სიძნელე, მათთვის გამოყოფილი ადგილებისა და საცხოვრებელი პირობების მოუხერხებლობა, ოსმალეთის მთავრობის მიერ მიცემული პირობების შეუსრულებლობა... ხოლო სადაც ადგილობრივი ხელისუფლება ქართველ მუჰაჯირებს დიდხანს ან საერთოდ ვერ გამოუყოფდა საცხოვრებელ ადგილებს, ისინი ბედის ანაზარა, მცირე აზიის ქალაქებისა და დაბების ქუჩებში იყვნენ ფაქტიურად დაყრილნი და მშვირ-მწყურვალნი. მათ არავინ პატრონობდა, არც არავინ ეხმარებოდა. ოსმალეთში ომის შემდეგ ისედაც გაჭირვება და შიმშილი იყო. მათი ნაწილი შიმშილისა და სიცივისაგან იხოცებოდა, განსაკუთრებით ბავშვები და მოხუცები. ვისაც კიდევ შეეძლო მგზავრობა, უკან, სამშობლოში აპირებდა მიბრუნებას და რუსეთის მთავრობას სთხოვდა უკან დაბრუნების ნებას. აჭარის მოსახლეობა ხედავდა დაბრუნებულთა შესაბრალის მდგომარეობას. ამის გამოც მათში მუჰაჯირად გადასახლების სურვილი კლებულობდა ან ქრებოდა. ამაზე ცნობას ვხვდებით 1878 წლის გაზეთ დროებაში, 204-ე ნომერში.

აჭარელი ბეგებისა და ალებისა და მაჰმადიანი სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ნაწილი ერკვეოდა ოსმალეთში მუჰაჯირობის სირთულესა და უპერსპექტივობაში. ისინი თანამემამულეებს მოუწოდებდნენ დარჩენისა და ადგილობრივი სირთულეების როგორღაც დაძლევისკენ ან შეგუებისკენ. ასეთები მრავლად

გამოჩნდნენ (ზემო აჭარელი მოლა ლომან-ეფენდი, აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, უსეინ-ბეგ აბაშიძე, ქობულეთელი უსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი და სხვანი). მათ მოსახლეობისთვის მუჰაჯირობის სირთულის ახსნითა და თავიანთი პირადი მაგალითით, ავტორიტეტით ბევრს გადააფიქრებინეს სამშობლოს დატოვება. ხოლო სოფელ აჭყვის თავში მცხოვრები, ქართველ მაჰმადიანთა შორის კარგად ცნობილი სახალხო მეღეჟსე ჰუსეინ ქამჯარაძის მეოხებით სოფლიდან მხოლოდ 7-8 კომლი გადასახლდა ოსმალეთში [“დროება”, 1883, #60, გვ. 1-2; “ივერია”, 1892, #149, გვ. 3; 1893, #186, გვ. 3-4];

აჭარაში მუჰაჯირობისთვის ხელისშემშლის მხრივ საკმაოდ ეფექტური გამოდგა ქართველი მოღვაწეების მხარდაჭერა, ასევე, მცირეოდენი დახმარებებიც. მათ რთულ ვითარებებში თანადგომა გაუწიეს გაჭირვებულ მოსახლეობას და მოუწოდეს, არ დაეტოვებინათ სამშობლო; გაჭირვების ჟამს ამხნევებდნენ მათ. ეს მოწოდებები და რჩევები იბეჭდებოდა ძირითადად გაზეთ დროებაში. ამასთანავე, ეს მოღვაწეები გაზეთს აწვდიდნენ ოსმალეთში არსებული ვითარების შესახებ რეალურ ცნობებს და მუჰაჯირობის შესახებ სწორ საზოგადო აზრს ქმნიდნენ. ხოლო აჭარაში ჩასული მოღვაწეები ხალხთან პირად საუბრებში ახსნა-განმარტებას არ იშურებდნენ, რომ მთელი სიცხადით დაენახვებინათ მოძმეებისთვის მათგან მუჰაჯირობის დრამატიზმი და მცდარობა;

აჭარელი ქალების პოზიციამაც მნიშვნელოვანწილად შეუშალა ხელი აქედან მუჰაჯირობას. ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, რელიგიურ თუ საერო ცხოვრებაში ოსმალურ და რელიგიურ-ფანატიკურ გავლენას ბევრად ნაკლებად განიცდიდნენ. მათ არ იცოდნენ თურქული ენა და არ იცნობდნენ თურქულ კულტურას (ჭიჭინაძე 1913: 9). აჭარელმა ქალებმა ოსმალეთში გადასახლების შემდეგაც ბევრგან თითქმის არ იცოდნენ თურქული ენა, როგორც გადმოგვცემს 1912 წელს იზმითის სანჯაყსა და ბურსას ვილაიეთის ქართულ სოფლებში ნამოგზაურები დავით ჩიქოვანი (ისმეთზადე, სვანიძე 1996: 18). ქართული ცნობიერება და პატრიოტული განწყობა უფრო ძლიერი იყო ქალებს შორის. მუჰაჯირად წასვლის საწინააღმდეგო პოზიციით მათ საგრძნობი გავლენა მოახდინეს ქმრებზე, ძმებზე და მშობლებზე, მრავალ შემთხვევაში მათ ხელი ააღებინეს ოსმალეთში გადასახლებაზე, რაზეც იუწყებოდა გაზეთ დროების 1879 წლის 37-ე ნომერი. აჭარელი ქალების სამშობლოში დარჩენის სასარგებლოდ გარკვეულწილად იმოქმედებდა ბათუმის

გუბერნატორის 1880 წლის განცხადებაში ქალების უფლებებზე საუბარი, რომელიც დაიბეჭდა 1880 წლის გაზეთ დროებაში, 165-ე ნომერში. გუბერნატორი წერდა: “რუსის კანონი ითხოვს, რომ რომ თვით მუსულმანები მუდამ პატივს სცემდნენ და უვლიდნენ თავიანთ ქალებს ისე, როგორც ყორანში სწერია. კანონი არავის მისცემს ნებას, რომ ქალს უპატიურათ მოექცნენ. ყოველს ქალს ნება აქვს სამართალში იჩივლოს, თუ უპატიურობა მიაყენეს თავის ქმრის ან მამის ოჯახში, და იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი იმისკენ იქნება”;

აჭარაში ადგილობრივ მოსახლეობას ახალი მმართველობის მიმართ დადებითად განაწყობდა მათდამი ქართველი მოხელეების უმრავლესობის მხარდაჭერა და მათზე ზრუნვა, ასევე, ზოგიერთი რუსი მოხელის კეთილსინდისიერი საქმიანობა და სამართლიანი მოქმედებანი. ამის გამო აჭარლებს თანდათანობით შედარებით უკეთესი აზრი უჩნდებოდა რუსული მმართველობის მიმართ. მოხელეთა პიროვნული თვისებები და დამოკიდებულება ხალხთან ძალზე დიდ როლს თამაშობდა მხარის მართვის საკითხებში და, ასევე, მუჰაჯირობის დროს აჭარელთა დარჩენა-გადასახლების საკითხზეც;

1880-იანი წლების დასაწყისიდან აჭარაში შეინიშნებოდა როგორც მმართველობის, ისე ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მხრივ სასიკეთო ძვრები. ამ ხანებში კავკასიის დიდმა მოხელეებმა მეტად დაიწყეს აჭარლებთან დიალოგი, მათი ზოგიერთი მოთხოვნისა და დაპირებების შესრულება: აჭარული მილიციის შედგენა; ყაჩაღების უფრო ეფექტურად დევნა და, საერთოდ, ბრძოლა ყაჩაღობასთან; გამოიცა დადგენილება, რომ რუსეთის მოხელეები ყურადღებით და “ტკბილად” მოჰყვრობოდნენ ხალხს; 80-იანი წლების შუა ხანებიდან აჭარელთაგან რამდენიმეს ადგილობრივ მმართველობაშიც მისცეს თანამდებობები; მთავრობამ განაცხადა, რომ ოსმალების დროს სათემო ტყეები ისევ იმავე სოფლებს დარჩებოდათ მფლობელობაში... ამას ემატებოდა აჭარის ცხოვრებაში რუსული მმართველობის დამყარებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დადებითი ცვლილებები: ქ. ბათუმის აღმშენებლობის დაწყება, მისი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრად ქცევა; მშვიდობის დამყარება აჭარაში და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის თანდათან გაუმჯობესების დაწყება; ქ. ახალციხეში ახალციხის მაზრის უფროსმა ნ. მესხიშვილმა დაიწყო სომეხი ჩარჩების

თაღლითობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს სამცხისა და აჭარის სოფლების მოსახლეობას აძლევდა საშუალებას, კვლავ ჩაეტანათ ახალციხეში სოფლის მეურნეობის პროდუქტები და თავისუფლად ევაჭრათ [“დროება”, 1879, #253, გვ. 4; 1880, #201, გვ. 2; #215, გვ. 1-3]... აჭარის მოსახლეობას აღნიშნული და სხვა ამგვარი გაუმჯობესებანი, თუნდაც მცირე, მომავლის იმედებს აძლევდა, და ნაკლებადღა ფიქრობდნენ ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლას.

როგორც მოყვანილი ფაქტებისა და მოვლენების შესწავლის მიხედვით იკვეთება, აჭარელთა მუჰაჯირობა ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის მიერ დაიგეგმა და ხორციელდებოდა. მას ხელს უწყობდა რუსეთის იმპერია (უფრო ზუსტად, აჭარის გარკვეულ ადგილებში და გარკვეული პერიოდების მიხედვით). ამასთანავე, ამისთვის სათანადო პირობებს ქმნიდა ომის შემდეგ მხარეში არსებული კრიზისული ვითარება და ხალხისთვის უცხო, რუსული მმართველობის თავისებურებანი, მისი აჭარლებისთვის მიუღებელი მხარეები...

მუჰაჯირობა აჭარაში 3 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რომელსაც გააჩნდა თავისი პერიოდები და ნაკადები:

პირველი მუჰაჯირობა აჭარიდან ოსმალური ჯარების გაყვანის დროიდან დაიწყო. მაშინ ოსმალეთის აგენტებმა და მისმა მხარდამჭერებმა მოსახლეობა დააშინეს რუსეთის ჯარების მიერ მოსალოდნელი ანტიმაჰმადიანური, ხალხისა და მათი ტრადიციების საწინააღმდეგო მოქმედებებით. ოსმალური ჯარები ხალხის ერთ ნაწილს ძალით ასახლებდნენ ოსმალეთში, სხვა ნაწილი კი თავისი სურვილით მიდიოდა მუჰაჯირად. 1878 წლის ბოლოსა და 1879 წელს გადასახლება მიმდინარეობდა რუსეთის მთავრობის მოქმედებებისა და მისი ხასიათის მკვიდრთა მიერ მიუღებლობის გამო. რუსეთის მოხელეების უარყოფით ქმედებებსა და რუსულ მმართველობას მოყოლილ პრობლემებს მოსახლეობა მთელს რუსეთის სახელმწიფოსთან აიგივებდა და მისგან მუჰაჯირობით ცდილობდა თავის გარიდებას. ამას ემატებოდა მუჰაჯირობასთან დაკავშირებით ადგილობრივი ბეგების პოზიცია. ზემო აჭარის ბეგები (განსაკუთრებით, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი) ეწინააღმდეგებოდნენ ამ გადასახლებას. ხოლო ბათუმისა და ქობულეთის ბეგები ხალხს აშინებდნენ, რუსები ყველაფერს წაგვართმევნო, და მოუწოდებდნენ მათ

მუჰაჯირობისკენ (ახვლედიანი 1943: 208-209); 1880-1881 წლებში ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ ნაწილი განწყობილი იყო მუჰაჯირობისთვის, რასაც ბიძგს აძლევდა ცალკეული რუსი მოხელის გამაღიზიანებელი ქმედებები და გარკვეული კონკრეტული შემთხვევები. თუმცა აღნიშნულ ხანებში გადასახლებული ხალხის რაოდენობა თანდათან კლებულობდა. 1882 წლის დასაწყისისთვის უკვე თითქმის დასრულებული იყო მასობრივი გადასახლებები. 1882 წლის 3 თებერვალს გავიდა ბათუმის მხრიდან და ყარსის მაზრიდან მოსახლეობის გადასახლების ბერლინის ტრაქტატით დადგენილი ვადა; ასევე, ოსმალეთის მხრიდან რუსეთის საზღვრებში ხალხის ჩასახლების ვადა. ამიერიდან ბათუმის მხარიდან ოსმალეთში გადასახლებული გაქცეულად ჩაითვლებოდა და მისი მობრუნების შემთხვევაში რუსული კანონი მკაცრად დასჯიდა. ამაზე ცნობას ვხვდებით 1880 წლის გაზეთ დროებაში, 38-ე ნომერში.

აჭარის მუჰაჯირობის შედეგად მრავალი მხარე დაიცალა ან შეთხელდა მოსახლეობისგან: 1878 წელს სახლდებოდნენ ძირითადად ქვემო აჭარიდან - ბათუმისა და ქობულეთის მხრიდან; 1879 წელს მოსახლეობა ძირითადად ქვემო აჭარიდან და მაჭახელიდან ძალზე დიდი რაოდენობით მიდიოდა; 1880-81 წლებში გადასახლებულ ქვემო-აჭარლებს ზემო აჭარიდანაც მიჰყვა ხალხი, მაგრამ უფრო მცირე რაოდენობით. იმდროინდელი წყაროების მიხედვით, აჭარიდან გადასახლდა დაახლოებით 10 ათას ადამიანზე მეტი. მათი მცირე ნაწილი პერიოდულად უკან ბრუნდებოდა მომდევნო თვეებში. აჭარის მუჰაჯირობის შედეგად თითქმის დაიცალა მკვიდრი მოსახლეობისგან ქვემო აჭარა - ბათუმის, ქობულეთის მხარეები [“დროება”, 1880, #95, გვ. 2; #100, გვ. 1-2; 1882, #38, გვ. 3; “ივერია”, 1891, #162, გვ. 2-3]; მაჭახელადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი წავიდა ოსმალეთში. ზემო აჭარის დაბა-სოფლების მოსახლეობა შემცირდა. იქიდან დიდი რაოდენობით არ მომხდარა ხალხის აყრა-გადასახლება, რადგან იქ იმდენად მწვავე პრობლემები არ იყო, როგორც ბარში.

მკვლევარ ჯუმბერ ვარდმანიძის მართებული მოსაზრებით, 1877-1878 წლების ომის შემდეგ აჭარიდან დაწყებული მუჰაჯირობა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპის (1878 წლის აგვისტოდან 1879 წლის თებერვლამდე) დროს ემიგრაციის ძირითადი მიზეზი იყო ოსმალეთის ძალისმიერი და იდეოლოგიური მოქმედება. მუჰაჯირობის მეორე ეტაპი

უკავშირდებოდა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას: მუსულმანური მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის იგნორირებას, ალა-ბეგების სოციალური სტატუსისა და, საერთოდ, მიწისმფლობელობის საკითხების მოუგვარებლობას, პორტო-ფრანკოს რეჟიმის საკუთარ ინტერესებში გამოყენებასა და იმპერიის ჩინოვნიკური აპარატის თვითნებობას (ვარდმანიძე 2002: 21). ასეთივე აზრს გამოხატავს მკვლევარი ირაკლი ბარამიძეც, რომელიც აჭარიდან მუჰაჯირობას ოსმალურ (1878 წლის აგვისტო-სექტემბერი) და რუსულ პერიოდად (1878 წლის ბოლოდან) ყოფს (ბარამიძე 1999: 49).

ტრაგიკული იყო აჭარელ მუჰაჯირთა მგზავრობა, მათი ოსმალეთში განსახლება თუ მათი დიდი ხნით დაუბინავებლობა, ე. ი. თითქმის უპატრონოდ დარჩენა. ხალხი სამშობლოს დატოვებისას იაფად ან თითქმის მუქთად ყიდდა სახლ-კარს, ნივთებს (რუსეთის ხელისუფლება არ იძლეოდა მიწის გაყიდვის უფლებას). ზოგი კი არაფერს ყიდდა, რომ ოსმალეთში გაჭირვების შემთხვევაში უკან დაბრუნება შესძლებოდა. ამ ცნობას ვხვდებით გაზეთ დროებაში, 1880 წლის 118-ე ნომერში. მათი დიდი ნაწილი საკმაოდ ღარიბულად მიემგზავრებოდა ოსმალეთში, ადგილობრივი ხელისუფლების მხრივ მზრუნველობის დაპირების ანაზარა. თვითონ ოსმალეთი ომის შემდეგ ძალზე იყო დაზარალებული და გაჭირვებული; მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ იქ კრიზისები და შიმშილობები დაიწყო. ასე რომ მის ხელისუფლებას სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი თითქმის არ შეეძლო აჭარელი მუჰაჯირების დიდი რაოდენობისთვის ცხოვრების მინიმალური საარსებო პირობების შექმნაც-კი. ხანდახან ოსმალეთის ადგილობრივი ხელისუფლება რთული მდგომარეობის გამო უარს ამბობდა აჭარიდან გადასახლებულთა მიღებაზე (მაგალითად, ტრაპიზონის ვალი 1880 წელს [“დროება”, 1880, #129, გვ. 2]). ამდენად, ოსმალეთში გადასახლებული აჭარლები ძალზე მძიმე მდგომარეობაში, ფაქტიურად ყოფნა-არყოფნის წინაშე აღმოჩნდნენ.

აჭარელ მუჰაჯირთა ტრაგიკულ მდგომარეობას აღწერდა მრავალი პუბლიცისტი, მოგზაური თუ მოხელე, რუსეთში გამომავალი თუ უცხოური გაზეთები (პირველ რიგში, ქართული პრესა). ხალხის დიდი ნაკადების ჩასვლისა და ადგილობრივად პირობების მოუმზადებლობის გამო ოსმალეთის ხელისუფლება დიდი ხნით აჩერებდა გადასახლებულებს. ის ხან ძალზე ცუდ პირობებში აბინავებდა მათ დროებით (მეჩეთებში,

კარვებში, ან ტოვებდა ღია ცის ქვეშაც) და შემდეგ ანაწილებდა მათ თავისუფალ ადგილებში, ძირითადად მწირ და ცხოვრებისთვის მოუხერხებელ მხარეებში. ამას იუწყებოდა გაზეთ დროების ცნობა 1878 წლის 195-ე ნომერში. მგზავრობისას ძალზე ცუდ ვითარებაში იმყოფებოდნენ აჭარლები. მათ ბათუმში გემებისთვის დიდხანს უწევდათ ხოლმე ლოდინი, რადგან ოსმალეთმა საზღვაო ფლოტი არასაკმარისად გამოჰყო ამისთვის. ხან გადასახლებულთა გემებს დროულად ვერც ღებულობდნენ ნავსადგურები. საკმაოდ ხშირი იყო, რომ ბათუმში გემებს რამდენიმე დღეს ელოდებოდნენ ოსმალეთისკენ მიმავალი მშვიერ-მწყურვალნი. მათთვის გემებზეც არახელსაყრელი მდგომარეობა იყო [“ივერია”, 1891, #171, გვ. 2-3]. ხოლო ქართველ მუჰაჯირებს ჩასახლების ადგილებში დიდხანს აცდევინებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სანამ მოუძებნიდნენ თავისუფალ მიწებს. ჩასახლებული მუჰაჯირი აჭარლები ოსმალების მხრივ თანაგრძნობას ნაკლებად პოულობდნენ. მათ ოსმალეთში ხან მოღალატეებს უწოდებდნენ, რადგან 1877-1878 წლების ომში აჭარლების უმეტესობა ოსმალების ერთგულებას არ იჩენდა. გადასახლებისას ხან მუჰაჯირებით დატვირთულ გემს არც ოსმალეთისა და არც ბათუმის ნავსადგური არ ღებულობდა და დიდი ხნის განმავლობაში გემები მიდი-მოდიოდნენ ზღვაში. გადასახლებულებს საჭმელ-სასმელი უთავდებოდათ, იღუპებოდნენ ადამიანები, რომელთა ცხედრებსაც პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ (კომახიძე 2004: 75). ხან მუჰაჯირთა სიმრავლისა და ოსმალეთში არსებული პრობლემების გამო ზოგი ადგილობრივი მმართველი უარს ეუბნებოდა ხალხს მიწების გამოყოფაზე. ხშირად გადასახლებულებს მხოლოდ მიწებს აძლევდნენ და სხვა არაფრით უზრუნველყოფდნენ. თავის როგორღაც გატანა და ძირითადად საკუთარი სახსრებით სახლების მშენებლობა ამ უცხო ქვეყანაში აჭარლების ხვედრი ხდებოდა... ხოლო ოსმალეთში დაუბინავებელი და თვეობით თავშესაფრის მომლოდინე ხალხისგანაც საკმაოდ ბევრნი იღუპებოდნენ შიმშილისა და სიცივისგან, უპატრონობისგან. ჩასახლებულთა დიდი გაჭირვების გამო ადგილი ჰქონია მშობლების ვაჭრობას საკუთარი შვილებით (მეგრელიძე 1964: 65-66). გადასახლებულები აჭარაში სწერდნენ თავიანთ ახლობლებს, რომ არ გადმოსახლდეთ, აქ დაიღუპებითო. ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველ მუჰაჯირებს უნდოდათ უკან, სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ მათ ნაწილს სამგზავროდ მხოლოდ ერთი მიმართულებით ჰქონდა

ბილეთი აღებული. ბევრს დაბრუნების შემთხვევაში რუსეთის მთავრობის ემინოდა. ვისაც კიდეც გააჩნდა გარკვეული შეძლება სამგზავროდ, რომ უკან, აჭარაში მობრუნებულიყვნენ, გარკვეული დროის შემდეგ რუსეთის მთავრობისგან უკან გადასახლების ნებართვას თხოულობდნენ. ისინი გაჭირვებით მიაღწევდნენ ხოლმე თავიანთ მიტოვებულ სახლ-კარს, რომელთა დაბრუნებაც მათთვის კვლავ სირთულეებთან იყო დაკავშირებული [“დროება”, 1879, #188, გვ. 1-2; 1880, #116, გვ. 2-3].

ოსმალეთის იმპერიის მიერ დაწყებულ აჭარელთა მუჰაჯირობას რუსეთის მთავრობა თავიდან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ხოლო 1878 წლის ბოლოდან მისი მოხელეების მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარასა და ომით შეერთებულ სხვა ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობას უხეშად, ქედმაღლურად ექცეოდა; ხანდახან ხელს უწყობდა კიდეც მათ გადასახლებას ოსმალეთში. ისინი თავისი უსამართლო მოქმედებებითა და ხალხისადმი უპატივცემულო მოპყრობით ადგილობრივ მოსახლეობას აძულებდნენ ხოლმე რუსულ მმართველობას და გადასახლებასაც აფიქრებინებდნენ. ზოგი მოხელე პირდაპირ მოუწოდებდა ხალხს ოსმალეთში გადასახლებისკენ, ეუბნებოდნენ, რომ თქვენი მიწა გვინდაო. ეს ცნობები მოჰყავდა გაზეთ დროებას (1879 წლის 37-ე ნომერი, 1880 წლის 118-ე ნომერი). კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი 1878 წლის 15 ოქტომბრის საიმპერატორო ხელისუფლებისადმი გაგზავნილ პატაკში წერდა, რომ იმპერიის მთავარი ამოცანა იყო ბათუმის ოლქის მოახლეობის თავიდან მოცილება. ამის შესაძლებლობას იძლეოდა სან-სტეფანოს ხელშეკრულების 21-ე მუხლი. მოსახლეობის მიმართ უნდა ყოფილიყო გატარებული რაც შეიძლება მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენების ჩათვლით, მათი მორჩილებაში მოყვანის მიზნით. მსგავსი ღონისძიება საშუალებას მოგვცემს, გავწმინდოთ მხარე ჩვენთვის მიუღებელი ელემენტებიგანო (ფუტკარაძე 2005: 50).

აჭარიდან მუჰაჯირობის ხელისშემწყობნი იყვნენ ძირითადად ადგილობრივი საშუალო და წვრილი მოხელეები. აჭარის დიდმოხელეები და კავკასიის ცენტრალური მმართველობის წარმომადგენლები მოგზაურობისას (კავკასიის მეფისნაცვალ დიდი მთავარი მიხეილი [“ივერია”, 1902, #132, გვ. 1-2] და, ასევე, მისი თანაშემწე სვიატოპოლსკ-მირსკი) აჭარასა და ახლად შეერთებულ სხვა მხარეებში უცხადებდნენ, რომ რუსეთის

მთავრობა თქვენს რჯულს, ოჯახს, ადათს არ შეეხებაო, იცხოვრეთ მშვიდობიანად, იმუშავეთ და თუ არაფერს დააშავებთ, კაცი ხელს არ გახლებთო; თქვენ უკეთეს მდგომარეობაში იქნებით, ვიდრე ოსმალობის დროსო. ეს ცნობა გვხვდება გაზეთ დროებაში 1880 წლის 118-ე ნომერში. ამგვარი განცხადებები კეთდებოდა ოფიციალურად, დეკლარაციის დონეზე. მაგრამ საქმით საშუალო და წვრილი მოხელეების მნიშვნელოვანი ნაწილი ომით შეერთებულ მრავალ მხარეში პირიქით იქცეოდა და ხელს უწყობდა თუ იწვევდა ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლებას ოსმალეთში.

მუჰაჯირობის დაწყებიდან მალევე გამოიკვეთა რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება აჭარელთა გადასახლებისადმი. სადაც მას უნდოდა ქალაქური ცხოვრების, მრეწველობის ან სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგის განვითარება, თავისთვის საიმედო ხალხის გადმოსახლება იმპერიის ახალი საზღვრების განმტკიცების მიზნით (სიჭინავა 1958: 85-86), იქ ხელს უწყობდა და ხან პირდაპირაც მოქმედებდა მკვიდრი მაჰმადიანი მოსახლეობის გადასახლებლად. ეს განსაკუთრებით ითქმის ბათუმში, სადაც ქართველ მაჰმადიან ბეგებს ჩამოართვეს მიწები და იქ დაიწყეს ქალაქის ახალი უბნების მშენებლობა. ხოლო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ბათუმში მუჰაჯირად ჩასახლებული აფხაზები მთავრობამ აყარა და ოსმალეთში აიძულებდა გადასახლებას. არტაანის მაზრის უფროსი რაზდერიშინი და სხვა მოხელეები პირდაპირ მოუწოდებდნენ ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს მუჰაჯირობისკენ და მათ გაუსაძლის პირობებს უქმნიდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და ა. შ. ამის შემდეგ ადგილობრივთა უმრავლესობამ დატოვა კიდევ არტაანის მხარე. ყარსის მხარეშიც მთავრობა პრობლემებს უქმნიდა ადგილობრივ მუსულმანურ მოსახლეობას, საიდანაც მათი უმრავლესობა გადასახლდა ოსმალეთში. ეს ცნობები საკმაოდ არის მოყვანილი გაზეთ დროებაში (1879 წლის 37-ე, 150-ე და 212-ე ნომერი, 1880 წლის 82-ე ნომერი, 1882 წლის მე-10 ნომერი).

რუსეთის მთავრობა ემზადებოდა კოლონისტების ჩასახლებლად მკვიდრი მოსახლეობისგან დაცლილ ან შეთხელებულ მიწებზე, განსაკუთრებით, ყარსისა და არტაანის მხარეებში. მთავრობა ბათუმის ოლქში 80-იანი წლების დასაწყისიდან რუსი მოსახლეობის ჩამოყვანას. მან ჭოროხის ხეობის ქვემო წელში მოგვიანებით რუსი

დუხოზორების რამდენიმე სოფელი ჩაასახლა. ბათუმში საქალაქო ცხოვრების, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად იმრავლა სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულმა მოსახლეობამ, ხოლო მკვიდრი ქართველი მაჰმადიანების რაოდენობა ქალაქში ძალზე შემცირდა... 1882 წლის დასაწყისისთვის ბათუმის ყაზარმებში დროებით იდგა 1500 ოსმალელი ბერძენი, რომელთაც დონდუკოვ-კორსაკოვი მიწებსა და სახლებს ჰპირდებოდა. 1884 წლისთვის ქობულეთში ჩასახლებული იყვნენ რუსული ოჯახები. ისინი ჩაასახლეს ქობულეთთან ახლოს მდებარე ფიჭვნარში, რომელსაც “სმეკალოვკა” უწოდეს. დასახლებულ 114 რუსულ ოჯახს 2500 დესეტინამდე მიწა. მათსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის უთანხმოება და მცირე კონფლიქტებიც ხდებოდა (სიორიძე 2002: 153). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქობულეთში ჩაესახლებინათ 130 კომლი რუსების ოჯახი, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს აქაურ ჰავას. წლების გასვლის შემდეგ ძალზე შემცირებულიყო მათი რიცხვი (ჭიჭინაძე 1913: 7). XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა აჭარაში და მისგან სამხრეთში რუსი მოახალშენეების ჩასახლება, რასაც ზოგიერთი რუსი მოხელე უფრო გულმოდგინედ ასრულებდა. ბათუმის ოლქის უფროს სლავოჩინსკის დიდი მეცადინეობით ბათუმთან ახლოს მდებარე ადგილ თხილნარში ჩამოიყვანეს და სოფელი გაუშენეს რუს კოლონიტებს. მაგრამ ციებამ მალევე მრავალი მათგანი იმხვერპლა და მოსახლეობა გაიფანტა (კლდიაშვილი 1984: 40-42) [“დროება”, 1879, #152, გვ. 2; 1881, #24, გვ. 2; #100, გვ. 2; #174, გვ. 1; 1882, #39, გვ. 2; 1884, #260, გვ. 2]

აჭარაში თავისი მმართველობის დასაწყისში მთავრობა მცირე ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ მოსახლეობას, ძირითადად ომის გამო გამოწვეულ მათ დიდ გაჭირვებას... ის მკვიდრთ გულგრილად ექცეოდა, არ ითვალისწინებდა მათ მძიმე მდგომარეობას, ასევე, მათ თავისებურებებს. მან, მრავალგზის თხოვნების მიუხედავად (ახვლედიანი 1943: 210), დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილ რუსეთის ხელისუფლების დამყარების პირველივე ხანებში ხალხს არ მოუხსნა და არც შეუმცირა სახელმწიფო გადასახადები, რითაც მათში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ცნობებს ვხვდებით გაზეთ დროების 1880 წლის 118-ე და 247-ე ნომრებში.

აჭარაში რუსეთის მთავრობის მხრივ ყველგან და ყოველთვის არ შეიმჩნეოდა მუჰაჯირობისთვის ხელის შეწყობა, ხალხთან გულგრილი და უხეში, დამამცირებელი

მოქმედებები. სადაც მთავრობას არ გააჩნდა რაიმე ინტერესი მიწების ხელში ჩაგდების, კოლონისტთა გადმოსახლებლად მკვიდრთა აყრისა და რომელიმე დარგის განვითარების მიმართ, იქ მიზანმიმართულად ხელს არ უწყობდა ადგილობრივთა მუჰაჯირობას. რაც მუჰაჯირობამ ფართო ხასიათი მიიღო 1879-1881 წლებში კავკასიის ახალშეერთებულ მხარეებში, რუსეთის ინტერესებშიც აღარ შედიოდა საერთოდ მხარის დაცლა ადგილობრივი მოსახლეობისგან და მათი გადასახლება ოსმალეთში. ეს კი, შესაძლოა, მის საწინააღმდეგოდ მობრუნებულიყო. რუსი მოხელეები ხედავდნენ, რომ ქართველი მაჰმადიანების გადასახლების პროცესი მათთვისაც მტკივნეული იყო. ეს აუარესებდა კრიმინალურ ვითარებას (ქურდობის, ავაზაკობის, მკვლელობების მატება გადასახლების პერიოდში). ხოლო ოსმალეთის საზღვრის გადაღმა მათდამი მტრულად განწყობილი, ახლად ჩასახლებული ხალხის თავმოყრა შექმნიდა სასაზღვრო პრობლემებს (იმდროინდელი საზღვრის დაცვის პირობებში), ომის შემთხვევაში კი ოსმალეთის არმიას გამაღიერების კარგ საშუალებას მისცემდა.

რუსმა მოხელეებმა თანდათანობით დაიწყეს აჭარელთა მუჰაჯირობის უარყოფითი შედეგების დანახვა და 1880-იანი წლების დასაწყისში შეეცადნენ კიდევ მათი მასიური გადასახლებისთვის ხელის შეშლას. აჭარელთა გადასახლებას ეწინააღმდეგებოდა სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელი. მას მიაჩნდა, რომ აჭარლების გაერთოვლებით რუსეთი საიმედო დასაყრდენს შეიძენდა; ხოლო მათი გადასახლების შემდეგ რუსეთის მოწინააღმდეგეთა შორის ჩადგებოდნენ ოსმალეთში მცხოვრები ლაზები, თუ მომავალში ომი კვლავ მოხდებოდა ოსმალეთთან (მეგრელიძე 1964: 31-32) (Френкель 1879: 130-131).

1880-იანი წლების დასაწყისიდან რუსმა მოხელეებმა მეტი ყურადღება მიაქციეს აჭარის მოსახლეობას. ხალხისთვის მიუღებელ თანამდებობის პირებს ცვლიდნენ უფრო მისაღები მოხელეებით, რომლებიც აჭარლებთან უფრო გასაგებად და კონკრეტულად ეწეოდნენ საუბრებს და მათ თავისუფლებებსა (პირველ რიგში, რელიგიურს) და ხელშეუხებლობას ჰპირდებოდნენ, ისმენდნენ მათ მოთხოვნებს (მეგრელიძე 1964: 53-55) [“დროება”, 1880, #134, გვ. 2] და მოთხოვნების ნაწილს ასრულებდნენ კიდევ. ისინი აღნიშნულ პერიოდში აჭარლების მიერ წარდგენილი თხოვნების თუ მოთხოვნების ნაწილს რამდენიმე თვეში ეხმაურებოდნენ და მათ სასარგებლოდაც წყვეტდნენ ზოგიერთ საკითხს.

ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1880 წლის აგვისტოს დასაწყისში ბათუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორ კ. კომაროვის განცხადების გამოკვრას აჭარისა და სხვა მხარეების თითქმის ყველა მეჩეთის შესასვლელებთან. განცხადება დაიბეჭდა გაზეთ დროების 1880 წლის 165-ე ნომერში. გუბერნატორი აჭარის მოსახლეობას მთავრობის სახელით ჰპირდებოდა: 1. მაჰმადიანური სარწმუნოების, აქაურთა ოჯახებისა და ჩვეულების ხელშეუხებლობას, მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულების რუსული კანონით გასამართლებასა და ქალების უფლებების დაცვას; 2. შედარებით მსუბუქ დანაშაულებზე სასამართლოს მაჰმადიანური წესით წარმართვას; 3. გადასახადები ოსმალეთის დროინდელზე ნაკლები იქნებოდა, მდიდარ მხარეში მეტს, ღარიბ მხარეში ნაკლებს გადაახდევინებდნენ ხალხს. ღარიბი მდიდარზე ნაკლებს გადაიხდიდა, “ფუხარა” (ლატაკი) კი - არაფერს; 4. სოფლებისა და დაბების ძველად კუთვნილი ტყეები ისევ მათ მოსახლეობას დარჩებოდა მფლობელობაში; სულთნის ხელში მყოფი ტყეები სახელმწიფო გახდებოდა; 5. რუსეთის მთავრობა სავალდებულო სამხედრო სამსახურში არ გაიწვევდა ადგილობრივ მოსახლეობას, სამაგიეროდ, წესრიგის დასაცავად ხალხისგან მილიციას გამოიყვანდა სახელმწიფო ხელფასით; ხოლო ქვეყნის მტრისგან დაცვა ბათუმის სანჯახის მუსულმანებისთვისაც სავალდებულოაო; 6. მეჩეთებთან და ჯამეებთან მედრესეები უნდა გამართულიყო და იმამებს ბავშვებისთვის რჯული და წერა-კითხვა უნდა ესწავლებინათ. რუსეთის მთავრობა მფარველობას არ მოაკლებდა მედრესეებს; მთავრობაც გამართავდა სკოლებს, სადაც მაჰმადიანთა ბავშვებს სჯულს იმამები ასწავლიდნენ; მუფტებსა და იმამებს იმედი ჰქონოდათ, რომ მათ რუსეთის მთავრობა თავის მოწყალებას არ მოაკლებდა; 7. საბაჟოზე ხალხისთვის გაადვილდებოდა სახლისთვის საჭირო საქონლის გატანა; 8. ბერლინის კონგრესის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა გადასახლების ვადის დამთავრებამდე თავისუფლად გადავიდოდა ოსმალეთში, შემდეგ - პასპორტის აღებითა და მხოლოდ თითო-თითო ოჯახობით. მიწას ვერავინ გაყიდდა, მისი პატრონი ოსმალური თავის მფლობელი თუ არ იქნებოდა; 9. ყაჩაღებს (ფირალებს) მთავრობა კანონის ფარგლებში სასტიკად დასჯიდა, ხოლო ხალხს კი სასოფლო განაჩენებით შეეძლოთ ცუდი, “გონჯი” კაცის მოშორება; 10. მთავრობა ენდობოდა მუსულმანებს და აქაურ მოსახლეობიდან ვინც ღირსი იქნებოდა, სახელმწიფო

თანამდებობაზე იქნებოდა დანიშნული - არა მარტო ზიფტიებად, არამედ განყოფილებების უფროსებადაც; მაგალითისთვის ჩამოთვლილი იყო 3 ადგილობრივი პირის დანიშვნა აჭარასა და მის სამხრეთით მდებარე მხარეებში; 11. ბათუმის მაზრის უფროსი რეგიონის ყველა უფროსს დაავალებდა, რომ ისინი ტკბილად მოჰქცეოდნენ ხალხს, მოესმინათ მათი მდგომარეობის შესახებ. მათ ბათუმის გუბერნატორისთვის უნდა შეეტყობინებინათ ხალხის გაჭირვება, რომ მას ეშუამდგომლა უმაღლეს მთავრობასთან და დაეკმაყოფილებინა ხალხის სამართლიანი თხოვნა.

ბათუმის გუბერნატორის ამ განცხადებაში დასახელებული რამდენიმე საკითხი აჭარის მოსახლეობამ იქამდე წაუყენა მთავრობას თავის მოთხოვნებში, რომლებიც ხალხის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. განცხადება უნდა გამოქვეყნებულიყო აჭარასა და მის სამხრეთით მდებარე მხარეებში იმ აზრით, რომ ხალხს აღარ დაეჯერებინა ცუდი კაცებისთვის, რომლებიც მათ ატყუებდნენ, რომ რუსეთის მთავრობისგან ხალხი მოელოდეს გაჭირვებასა და შეწუხებასო... ამ განცხადებაზე გაზეთ დროების რედაქცია იმავე ნომერში იმედოვნებდა, რომ მთავრობა შეასრულებდა დანაპირებს. ამით კი ასრულდებოდა ქართველთა სურვილი - აღნიშნული მხარეებიდან ხალხის გადასახლება შეწყდებოდა.

ბათუმის მაზრის მოსახლეობის მდგომარეობის გასაცნობად და მათთან ურთიერთობისთვის 1880 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაგზავნილი იქნა კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე, გენერალი მიხეილ ლორის-მელიქოვი. ის ქართულად დაელაპარაკა ბეგებსა და სხვა წოდების წარმომადგენლებს, მათთან მარტო დარჩა და გულწრფელი საუბარი გააბა. გენერალმა მათ ჰკითხა, რეალურად რა აწუხებდათ, რა არ მოსწონდათ რუსული მმართველობისა [“დროება”, 1880, #228, გვ. 1-2; #237, გვ. 1-2; 240, გვ. 1-3]. მოსახლეობამ აუხსნა მას თავისი მრავალმხრივი გაჭირვება და თავიანთი მოთხოვნები წაუყენა მთავრობას. ბათუმის გუბერნატორ კომაროვის აღნიშნულ განცხადებას, ლორის-მელიქოვის აჭარაში მოგზაურობასა და, ასევე, ხალხსა და რუსეთის მოხელეებთან შეხვედრებს გარკვეული შედეგებიც მოჰყვა. მთავრობამ, როგორც ჩანს, მაზრის პრობლემების გადაჭრისას გაითვალისწინა მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა, მოთხოვნები და ამ მოთხოვნების ნაწილის შესრულებაც დაიწყო... ხელისუფლების მიერ

ხალხის სასარგებლოდ შესრულებული მოთხოვნებიდან აღსანიშნავია: მათგან მილიციის შექმნა, ძველად სასოფლო სარგებლობაში მყოფი ტყეების ისევ ხალხის საკუთრებაში დატოვება, აჭარლების სახელმწიფო სამსახურში მიღება (მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ ეს უკვე ხალხის თვალში მმართველობას უკეთესად წარმოაჩენდა), მოსახლეობისთვის უფრო მისაღები უფროსების დანიშვნა და, საერთოდ, მოხელეების ხალხთან ურთიერთობის გაუმჯობესება...

მთავრობის ხალხთან დამოკიდებულების თანდათანობით უკეთესობისკენ შეცვლით მხარის განვითარების უკეთესი პირობები შეიქმნებოდა. თუ ახალი მთავრობა მოიპოვებდა ერთგულებით გამორჩეული აჭარლების მხარდაჭერას, ქართველი მოღვაწეები ირწმუნებოდნენ, რომ აჭარლები რუსეთის მიმართაც გამოიჩენდნენ პატივისცემასა და ჩვეულ ერთგულებას. ადგილობრივი მოსახლეობა თავისი სამშობლო მხარის მიმართ კი მეტ თავდადებასა და პატრიოტიზმს გამოამჟღავნებდა. აჭარელთა მუჰაჯირობის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მთავრობა თანდათან ცვლიდა დამოკიდებულებას მათი ოსმალეთში გადასახლების საკითხის მიმართ. კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი 1882 წლიდან, გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ აღარ უწყობდა ხელს მდ. ჭოროხის მხარიდან ადგილობრივი მოსახლეობის მუჰაჯირობას. 1882 წელს მან აქაურ 300 კაცს უარი უთხრა ოსმალეთში გადასახლებაზე, ხოლო ოსმალეთიდან მობრუნებულ მუჰაჯირებს ყველას მისცა რუსეთის მიერ დაკავებულ მიწებზე დაბრუნების უფლება... იმ ხანებში და შემდეგაც ოსმალეთიდან მობრუნებულ მუჰაჯირ ქართველებს მთავრობა უკან ადვილად ღებულობდა (მეგრელიძე 1964: 50-51). რუსეთის მიერ ახლად შეერთებული მხარეებიდან გადასახლების ვადის დამთავრების შემდეგ ადგილობრივ მკვიდრთ ოსმალეთში გადასახლება შეეძლოთ მხოლოდ სათანადო საბუთების გაფორმებითა და 3-4 კაციანი ჯგუფებით. ხოლო ქართველი მუჰაჯირების ერთი ნაწილის ოსმალეთიდან დაბრუნება სამშობლოში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კვლავაც თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. მათ დაბრუნებას რუსეთის მთავრობა ძირითადად არ აფერხებდა და ოსმალეთის ხელისუფლებაც დიდი კრიზისის გამო სერიოზულად ვერ ეწინააღმდეგებოდა ამას. ხოლო წლების გასვლის შემდეგ, განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისისთვის ქართველ მუჰაჯირებს ოსმალეთიდან აღარ უშვებდნენ უკან, აჭარაში.

ისინი ნანობდნენ თავიანთ ნაბიჯს და მოსტიროდნენ სამშობლოს [“დროება”, 1879, #188 გვ. 1-2; 1882, #39, გვ. 2; “ივერია”, 1892, #144, გვ. 2-3]. 1882 წლისთვის აჭარიდან მასიური მუჰაჯირობის პროცესი დამთავრებული იყო.

აჭარის რუსული ხელისუფლების საქმიანობის დროს დიდი როლი ენიჭებოდა ხალხთან მის მოხელეთა მოქმედებებსა და დამოკიდებულებას, მათ პიროვნულ თვისებებს. სადაც მოხელეთაგან ხალხის მიმართ გულგრილობას, ქედმაღლობას, სიმკაცრესა და უსამართლობას ჰქონდა ადგილი, იმ მხარეებში ხალხს რუსეთის სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდებოდა; გაუსაძლისად თვლიდნენ ასეთი მმართველობის პირობებში ცხოვრებას. ზოგჯერ რუსი მოხელეები პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, ცდილობდნენ მათი პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტას, ასევე, ხალხის მდგომარეობისა და მათი თავისებურებების დანახვას... იქ რუსეთის მთავრობის მიმართ შედარებით დადებითი აზრი იქმნებოდა ხალხში და მუჰაჯირად გადასახლება უფრო ნაკლებად ხდებოდა იმ მხარეებიდან... მაგალითად, შავშეთისა და იმერხევის მმართველების მოქმედებამ ხალხს ხელი ააღებინა გადასახლებაზე ჯერ კიდევ 1878-1879 წლებში... ქობულეთის მაზრის უფროსის, ვირუბოვის მმართველობით კმაყოფილი დარჩა ხალხი. გაზეთ დროების ქობულეთელი კორესპონდენტი მასზე წერდა, რომ ის იყო პატიოსანი, მართლ-მსაჯული. ვირუბოვი სოფლებში დადიოდა და ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას, მათი გაჭირვების გაგება უნდოდა და თანამდებობრივი შეძლებლობის ფარგლებში მათთვის დახმარებას ცდილობდა, ებრძოდა ავაზაკობას. ხალხის აზრით, წინა უფროსებიც რომ ასე მოქცეულიყვნენ, აქაური მოსახლეობა არ გადასახლდებოდა ოსმალეთში (იხ. გაზ. “დროება”, 1879 წ., #197, 208; 1882 წ., #38).

აჭარიდან და დაბრუნებული სხვა მხარეებიდან მუჰაჯირობის დაწყებამ ძალზე შეაწუხა ქართველი საზოგადოება და, საერთოდ, ქართველობა. მათ ჯერ კიდევ არ განელებოდათ საზეიმო განწყობა საქართველოსთვის წართმეული სამხრეთ-დასავლეთი მიწებისა და დიდი ხნით დაკარგული მოძმეების დაბრუნების გამო. 1878 წლის შემოდგომაზე ხდებოდა შეხვედრები დაბრუნებული მხარეების წარმომადგენლებსა და ქართველ საზოგადოებას შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმავე წლის ნოემბერში

თბილისის საზოგადოების მიერ გამართული სადილი დაბრუნებული მხარეების წარჩინებულ პირებთან ერთად, რომლებიც ვიზიტით იყვნენ კავკასიის მეფისნაცვალთან. მათგან აჭარიდან რამდენიმე ცნობილი მოღვაწეც იყო. ამ შეხვედრაზე მასპინძლები და სტუმრები სიხარულს გამოხატავდნენ მომმეთა კვლავ შეერთების გამო. საერთოდ, ქართულ პრესაში თუ საზოგადო შეკრებებზე დიდი ინტერესითა და თანაგრძნობით საუბრობდნენ დაბრუნებული თანამომძეების მძიმე მდგომარეობაზე ძველად და იმჟამად, მათთვის გაჭირვებაში ძმური დახმარებების გაწევის საჭიროებაზე [“დროება”, 1878, #232, გვ. 1; #233, გვ. 1, #239, გვ. 1-3; 1880, #196, გვ. 1-3]...

ქართველი საზოგადოებისთვის როდესაც ცნობილი გახდა აჭარელთა გაუსაძლისი მდგომარეობა და მათგან ოსმალეთში გადახვეწის შესახებ პირველი ცნობებიც გავრცელდა, საქართველოს სხვადასხვა მხარეში დაიწყეს სახსრების მოგროვების კამპანია გაჭირვებაში ჩავარდნილი აჭარლებისთვის (კომახიძე 1993: 12-14). ამ კამპანიის დროს შეიკრიბა 2 ათასი მანეთზე მეტი, რომელიც გადაუგზავნეს აჭარის ომით დაზარალებულ მოსახლეობას. ამ კამპანიას აშუქებდა გაზეთი დროებაც, რომლის შესახებ ცნობები გამოქვეყნდა 1879 წლის 32-ე, 52-ე, 70-ე, 124-ე, ასევე, 1880 წლის მე-4 და 89-ე ნომრებში. ქართველი ხალხის მონაწილეობას აჭარელთა დახმარების საქმეში დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ აჭარისა და მისი მიმდებარე მხარეების მოსახლეობის დახმარება და თანადგომა მოითხოვდა სახელმწიფო მასშტაბის ორგანიზებასა და დიდ დაფინანსებას, ხალხის მრავალგზის დახმარებას. ხალხის პრობლემების მოსაგვარებლად და დაბრუნებული მხარეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო იყო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. ამის საშუალება ქართველ ხალხს არ გააჩნდა... თუმცა იმდროინდელი მოღვაწეები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თანამომძეების დასახმარებლად გზებს ეძებდნენ. გაზეთ დროების ბათუმელი კორესპონდენტი ლევან მჭედლიშვილი (“კრაზანას” ფსევდონიმით) გაზეთ დროების 1880 წლის 150-ე ნომერში მოუწოდებდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებს, რომ აჭარლებს დახმარებოდნენ სესხების გაცემით, რომელსაც მთავრობის უწყებები გაუნაწილებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ხოლო მთავრობა გადასახადების აკრეფის

დროს, მოსახლეობის მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ შეკრებდა და ბანკებს დაუბრუნებდა გაცემულ სესხს.

აჭარლებისთვის ფინანსურ დახმარებასთან ერთად ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოების თანადგომას ეკონომიკურად და პოლიტიკურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი მოძმეებისთვის. მათ საზოგადოებისგან სჭირდებოდათ მხარდაჭერა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების ერთობლივად განხილვები და რჩევების მიღება იმ საკითხებში, რაშიც ვერ ერკვეოდნენ ოსმალეთის ბატონობისგან ახლად განთავისუფლებული ქართველი მაჰმადიანები. ამ მხრივ დიდი ასპარეზი იყო ქართული პრესა. მის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა ახლად დაბრუნებულ მხარეებში არსებული ვითარება და, ძირითადად, მკვიდრი მოსახლეობის გაჭირვება და მოუგვარებელი პრობლემები, მიმდინარეობდა მათი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება... უმთავრესად გაზეთ დროებაში იწერებოდა ხოლმე აჭარის ვითარების შესახებ, ვრცელდებოდა ძირითადად სწორი შეხედულებები არსებული მოვლენების ირგვლივ და იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი დაბრუნებული მოძმეების მიმართ თანადგომისა და დახმარების სასარგებლოდ.

გაზეთი დროება აჭარასა და სხვა ახლად დაბრუნებულ მხარეებში ძალზე თამამად აშუქებდა განვითარებულ მოვლენებს, ამხელდა ოსმალეთის იმპერიულ პოლიტიკას, რაც ქართველი მაჰმადიანების მუჰაჯირობას იწვევდა (ოქროპირიძე 2001: 16-18). მის ფურცლებზე ასევე ამხელდნენ ამ მხარეებში რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას - ხელი შეეწყოთ მკვიდრი მოსახლეობის აყრისთვის და მათ ნაცვლად კოლონისტები ჩაესახლებინათ. გაზეთის ავტორები ავლენდნენ რუსი მოხელეების ნაწილის ანტიქართულ და ხალხის მიმართ სასტიკ და უსამართლო მოქმედებს. ისინი ამას მხოლოდ ამ მოხელეთა პირად ქმედებებს მიაწერდნენ, ხოლო უმაღლეს მთავრობას რუსეთის ყველა მოქალაქეზე, და, მათ შორის, კავკასიაში ახლადშეერთებულ ხალხებზე მზრუნველად აცხადებდნენ. სერგეი მესხი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ დაბრუნებულ მხარეებში ქართველთაგან არავინ ჩნდება, რომ ხალხს აუხსნას უმაღლესი მთავრობის ნამდვილი განზრახვა და აზრი, რომ სახელმწიფოსთვის მავნებელია მკვიდრი მოსახლეობისგან ამ მხარეების დაცლა და

ოსმალეთში გადასვლაო. ეს კი წვრილმან მოხელეებს არ ესმითო [“დროება”, 1880, #11, გვ. 1; #19, გვ. 1-2; #82, გვ. 2; #118, გვ. 1-2].

გაზეთ დროების პუბლიცისტები ქართველ ახალგაზრდებს დაბრუნებულ მხარეებში მოხელეებად წასვლისკენ და საქართველოს სასარგებლო მოღვაწეობისკენ მოუწოდებდნენ. მათ სურდათ, რომ ამ ახალგაზრდებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასარგებლო და სამართლიანი მმართველობის დამყარებაში თავიანთი წვლილი შეეტანათ, რასაც გამოთქვამდნენ გაზეთის 1878 წლის 253-ე და 1879 წლის 208-ე ნომერებში. ზოგიერთი მოღვაწე განსხვავებული გზების ძიებას ცდილობდა და აჭარელთა მუჰაჯირობის საკითხის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასაც ფიქრობდა. იმავე გაზეთის კორესპონდენტი ლევან მჭედლიშვილი წერდა 1880 წლის 114-ე ნომერში, რომ ევროპაში ვამხილოთ ოსმალეთის პოლიტიკა აჭარიდან მუჰაჯირების გადასახლების საკითხში, მის მიერ ყალბი რელიგიური მოწოდებების შემცველი პროკლამაციებით (რუსეთის სახელმწიფოში ნულარ დადგებით, თორემ მაჰმადი შვილად აღარ მიგიღებთო). ევროპაში კარგად იციან ოსმალეთის ეკონომიკური კრიზისის შესახებ. ევროპულმა სახელმწიფოებმა კი ზეგავლენა მოახდინონ ოსმალეთზე, რომ შეწყვიტოს ქართველი მაჰმადიანების გადასახლების კამპანია და ხალხის დაღუპვაო. იგივე ლევან მჭედლიშვილი ამხელდა ოსმალეთის აგენტების მიერ დეზინფორმაციის გავრცელებას აჭარის მოსახლეობაში, რაც მიმართული იყო რუსეთის საწინააღმდეგოდ და ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის სასარგებლოდ. ის მთავრობას მოუწოდებდა ამ აგენტების დევნისა და დაპატიმრებისკენაც გაზეთის 1880 წლის 169-ე ნომერში. აჭარლების ოსმალეთში გადასახლების საწინააღმდეგოდ “ტიფლისსკი ვესტნიკის” კორესპონდენტი ფიქრობდა, რომ ბათუმის მაზრიდან ხალხის გადასახლების შესაჩერებლად საჭიროა, მთავრობამ ომისგან გადარიბებულ ხალხს საქმე გაუჩინოს დროებით მაინც და ზოგი მილიციაში ამსახუროს, ზოგი გზებზე ამუშავოსო. ეს აზრი გადაბეჭდა გაზეთმა დროებამ 1879 წლის 193-ე ნომერში.

გაზეთ დროებაში მრავალი იყო აჭარლებისა და სხვა ქართველი მაჰმადიანების მიმართ მოწოდება, არ აჰყოლოდნენ ოსმალეთში გადასახლებისკენ მომწოდებელ პირებს და არ დაეტოვებინათ სამშობლო. იმავე გაზეთის კორესპონდენტი ივანე გვარამაძე (“ვინმე მესხის” ფსევდონიმით), რომელიც კარგად ერკვეოდა ქართველი მაჰმადიანების წინაშე

მდგარ პრობლემებში, 1878 წლის 203-ე ნომერში მიმართავდა მათ: “ჩვენო ერთ-ხორცნო და ერთ-სისხლნო ტკბილო მამანო, დედანო, ძმანო და დანო! განა არ გეყოთ ამდენი ტანჯვა და შევიწროება, შიმშილ-წყურვილი, სიგლახაკე და სიშიშვლე, რაც დღემდის გამოიარეთ! სად არიან თქვენნი ქვეყნად შვენიერებით განთქმულნი საუკეთესო ქალიშვილები? ლერწამ-ტანის მოსხვეპული შავ-თვალ-წარბნი ვაჟ-კაცნი? ვის ასიამოვნებენ და ატკბობენ წუთის ნუგეშითა?... განა კონსტანდინეპოლის სახელმწიფო ჰარმებში, ასიის ჩინებულს ქალაქების დიდ-კაცთ ოჯახებში, ეგვიპტეს, თუნუხს და მისთანა მივარდნილს ადგილებში?

მე თვითონ მინახია მრავალნი და ბევრი ცხარი ცრემლიც მდენია თვალთაგან.

ამისთანა წარსული და მომავალი კარგად იფიქრეთ და ისეთს საქმეს ნუ იქეთ, რომ ბოლოს ინანოთ!”.

ქართველი მოღვაწეები წუხდნენ დაბრუნებული მიწების დაცლას თავიანთი მოძმეებისგან და იმასაც ფიქრობდნენ, თუ ხელს ვერ შეუშლიდნენ ქართველი მაჰმადიანების გადასახლებას ოსმალეთში, მათ მიერ დატოვებული მიწები ისევ ქართველობით შეევსოთ. იმ დროს ქართველები საქართველოს მრავალ კუთხეში უმიწობას განიცდიდნენ... ასეთ მოწოდებებს აკეთებდნენ სოლომონ ბავრელი (ასლანიშვილი), “ვინმე მესხი” (ივანე გვარამაძე) და სხვანი [“დროება”, 1879, #208, გვ. 1-2; 1880, #172, გვ. 2-4; 1881, #146, გვ. 2-3; 1883, #48, გვ. 2-3]...

ქართული პრესა ნაკლებად აღწევდა აჭარის მოსახლეობამდე. საჭირო იყო ქართველი მოღვაწეების მხრივ აჭარის წარჩინებულ პირებთან და ხალხთან პირადად შეხვედრები, საუბრები მათ მხარესა და მთელს საქართველოში არსებულ პრობლემებზე. ამგვარი ურთიერთობებით უფრო მოხერხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და დარწმუნება იმაში, რომ მათი ოსმალეთში გადასახლება გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რომ რუსულ მმართველობას მოყოლილი პრობლემები მრავალ საკითხში დაუძლეველი არ იქნებოდა, თუ მის მოგვარებას ქართველი ხალხი ერთად და სწორი გზებით შეეცდებოდა. თუმცა აჭარის მოსახლეობასთან ამგვარი შეხვედრები ქართველი მოღვაწეების მხრივ ნაკლებად ხერხდებოდა, ისიც ეპიზოდურად. ამის გამო გაზეთ დროების რედაქცია 1878 წლის 267-ე ნომერში სურვილს გამოთქვამდა, რომ ოსმალეთის მსგავსად, ჩვენც რამდენიმე საიმედო და გონიერი პიროვნება გავაგზავნოთ აჭარაში

ოსმალეთში გადასახლების საწინააღმდეგო კამპანიისთვის. სერგეი მესხი იმავე გაზეთის 1880 წლის 118-ე ნომერში დანახვით წერდა, რომ ქართველთაგან არავინ ჩნდება, ვინც უმაღლესი მთავრობის აზრს, რომ რუსეთისთვის მავნებელია ახლად შეერთებული მხარეების მოსახლეობისგან დაცარიელება, მიიტანდა ბათუმის მხარის მცხოვრებლებამდე. ხოლო ეს აზრი ბათუმის მაზრის წვრილ მოხელეებს არ ესმით, რომლებიც ისე იქცევიან, თითქოს რუსეთის მთავრობას ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება სურდესო. როდესაც აჭარლებსა და სხვა მაჰმადიან ქართველობას ნაკლებად აგებინებდნენ მთელი ქართველი ერის ხმას, ზოგიერთი მოღვაწე სინანულით აღნიშნავდა (მაგალითად, გაზეთის 1880 წლის მე-100 ნომერში), რომ ოსმალოები ჩვენს მოძმეებთან ჩვენზე დახელოვნებული მქადაგებლები და უფრო მარჯვე გადამბირებლები აღმოჩნდნენო.

საქართველოში იმ დროს ცნობილი მოღვაწეები ქართველობის ზრუნვას აჭარის შემომტკიცებისთვის და მისი მოსახლეობის სასარგებლოდ არასაკმარისად თვლიდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ბევრად მეტად შეეძლოთ მოძმეთა მხარდაჭერა და დახმარება, მთავრობის წინაშე აჭარლების პრობლემების დაყენება და მათ სასარგებლოდ შუამდგომლობა. მთავრობასთან შუამდგომლობით კი უფრო მალე შეიძლებოდა მათი პრობლემების მოგვარებაო (სერგეი მესხი, ლევან მჭედლიშვილი, ს. ბავრელი, ალ. ჭყონია, ი. გვარამაძე და ა. შ.). ისინი საყვედურობდნენ და ხანაც აყვედრიდნენ თანამემამულეებს, რომ მათ რეალურად არ იზრუნეს დაბრუნებული მოძმეებისთვის, ვერ დაეხმარნენ მატერიალურად. ქართველები მხოლოდ სიტყვებით გამოხატავდნენ თავიანთ სიხარულს დიდი ხნით დაკარგული მოძმეების დაბრუნების გამო და საქმით კი არაფერით დახმარებიან მათო; ჩვენმა განათლებულმა ახალგაზრდობამ რა გააკეთა დაბრუნებული მხარეებისა და მისი მოსახლეობის სასარგებლოდო - ხშირად ამგვარად ისმებოდა საკითხები გაზეთ დროებაში. სოლომონ ბავრელი (ასლანიშვილი) აცხადებდა, რომ “გაუნათლებელმა თათრის მოლებმა აჯობეს ჩვენს ახალგაზრდა განათლებულებს” და აჭარლების საკმაო ნაწილი მუჰაჯირად გადაიყვანეს ოსმალეთშიო [“დროება”, 1879, #208, გვ. 1-2; 1880, #4, გვ. 1-2; #100, გვ. 1-2; #196, გვ. 1-3].

ქართველი პუბლიცისტები ხანდახან გადაჭარბებით აფასებდნენ ქართველი საზოგადოების შესაძლებლობებს, რომ აჭარლების სასარგებლოდ ეშუამდგომლათ

რუსეთის მთავრობის წინაშე, ეზრუნათ ადგილობრივი მმართველობის ხალხის სასარგებლოდ შესაცვლელად. მაგრამ რუსეთს ხომ საკუთარი, ძირითადად იმპერიული ინტერესები გააჩნდა და ამით ხელმძღვანელობდა შეერთებული მიწების მართვისა და ათვისების დროს. მთლიანობაში, ქართველ საზოგადოებას აღნიშნულ პერიოდში არ გააჩნდა იმდენი შესაძლებლობები, რომ სერიოზული და სისტემატური დახმარებები გაეწია გაჭირვებული აჭარლებისთვის. მათ არ შეეძლოთ, განეხორციელებინათ ღონისძიებები დაზარალებული მოძმეების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მხარის განვითარებისთვის. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს იმდენი გავლენა არ გააჩნდათ რუსეთის მთავრობაზე, რომ მას აჭარის მოსახლეობის სასარგებლოდ გადაეწყვიტა მმართველობის საკითხები... ხოლო მუჰაჯირობის დამღუპველი შედეგების უკეთესად განსამარტავად, რუსეთის სახელმწიფოში ცხოვრების არსებული პერსპექტივების შესახებ საუბრისთვის ქართველი მოღვაწეების მივლინებას აჭარაში სჭირდებოდა სათანადო ორგანიზაცია და საკმაო ხარჯები. საზოგადოების მიერ ამ სახსრების გამონახვა ადვილი არ იყო, მაგრამ შეუძლებელიც არ იყო. ამ მიმართულებით საქმის დაწყება შესაძლებელი იყო და საჭიროც. ამ საქმისთვის არ კმაროდა ძირითადად გზად მოხვედრილი მოღვაწეების ახსნა-განმარტებითი საქმიანობა აჭარის მოსახლეობასთან...

როგორც მოყვანილი ფაქტებისა და მოვლენების ანალიზიდან ჩანს, აჭარიდან მოსახლეობის მუჰაჯირობა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს მომზადებული იქნა ოსმალეთის იმპერიის მიერ და მის მიერვე მიზანმიმართულად განხორციელდა კიდეც. ამას პირველ ხანებში მხარის გარკვეულ ადგილებში ხელს არ უშლიდა და ხელს უწყობდა კიდეც რუსეთის მთავრობა, ძირითადად თავისი იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე. აჭარელთა გადასახლების სასარგებლოდ მოქმედებდა ომის შედეგად მოსახლეობის ძალზე დაზარალება, ეკონომიკური კრიზისის დადგომა, რუსეთის მმართველობის უჩვეულობა და სიმძიმე ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მისი გულცივი და უპატივცემულო დამოკიდებულება მკვიდრთა მიმართ. ყოველივე ამ ფაქტორებმა აიძულა 10 ათასზე მეტი აჭარელი, სამშობლო დაეტოვებინათ და ოსმალეთში გადასახლებლიყვნენ და გაუსაძლის პირობებში ჩავარდნილიყვნენ. ქართველ საზოგადოებას არ გააჩნდა საკმარისი შესაძლებლობა, რომ

სერიოზული დახმარება გაეწია გაჭირვებაში ჩავარდნილ დაბრუნებულ მოძმეთათვის; მათთვის რთული იყო, რომ უფრო ნათლად, მხარის მოსახლეობასთან ცოცხალი ურთიერთობებით განემარტათ მუჰაჯირობის ტრაგიკული შედეგები. ხოლო ქართული პრესის მეშვეობით ცნობილმა მოღვაწეებმა ფართო მკითხველს გააცნეს აჭარაში შექმნილი რთული ვითარება და შექმნეს საზოგადოებრივი აზრი დაბრუნებული მოძმეების მხარდაჭერისა და დახმარებისთვის... აჭარელთა ოსმალეთში გადასახლების შედეგად თითქმის დაიცალა ქვემო აჭარა (ძირითადად, ბათუმისა და ქობულეთის მხარეები), მაქახელა, უფრო ნაკლებად ზემო აჭარა. ოსმალეთში გადასახლებულები უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, მათგან ნაწილი დაიღუპა, მცირე ნაწილი უკან დაბრუნდა სამშობლოში. ოსმალეთში ჩასახლებულებს კი ძალზე გაუჭირდათ იქ დამკვიდრება... აჭარელთა მუჰაჯირობა - ეს ტრაგიკული მოვლენა ძირითადად უკავშირდებოდა აჭარლების მაჰმადიანური სარწმუნოებისადმი ერთგულებას, რომელიც პროოსმალურად განწყობილი მოლების ქადაგებით ფანატიზმში გადაიზრდებოდა ხოლმე. მასში გადაწყვეტი როლი ითამაშა ოსმალეთის იმპერიულმა პოლიტიკამ და მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირებულობამ. მას კი ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიამ და ომის შემდეგ აჭარაში შექმნილმა ძალზე მძიმე ვითარებამ...

თავი IV. აჭარა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში

§ 1. პოლიტიკური ვითარება აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში

რუსული მმართველობა აჭარაში 1878 წლის შემოდგომაზე დამყარდა (ახვლედიანი 1943: 214-215). ეს კი ადგილობრივი მოსახლეობისთვის დრამატულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული: ოსმალეთის აგენტები და პროოსმალურად განწყობილი მოღვაწეები თუ ცალკეული პიროვნებები აჭარლებს შორის ავრცელებდნენ შიშს, რომ რუსების აჭარაში შესვლისთანავე დაიწყებოდა მაჰმადიანობის დევნა, ადგილობრივი ადათების წინააღმდეგ ბრძოლა და მაჰმადიანების იძულებით გაქრისტიანება. ამის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა კარგა ხნის განმავლობაში შიშითა და ეჭვით იყვნენ განწყობილნი ახალი მთავრობის მიმართ. ხოლო რუსული ადგილობრივი ხელისუფლების ამოქმედების შემდეგ ახალი რეჟიმი მათთვის ძალზე უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა მისი ბიუროკრატიული ხასიათის, აქ გამწესებული ჩინოვნიკების თვითნებობის, არცთუიშვიათად ხალხისადმი მათი გულგრილი, უპატივცემულო დამოკიდებულების გამო... ახალი მმართველობის სირთულემაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა აჭარის მოსახლეობის საკმაოდ ნაწილის მუჰაჯირობა ოსმალეთში, საიდანაც მათი მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში.

რუსეთის მთავრობამ რამდენიმე წელიწადში დაასრულა თავისი ამოცანები: ქ. ბათუმი და აჭარის დაბლობი მხარე ადგილობრივ მკვიდრთაგან საგრძნობლად დაიცლა. მას იქ თავისთვის სასურველი ხალხების ჩასახლება შეეძლო, დაეპატრონა გადასახლებულ მკვიდრთა მიწებს. ამით მან თავისი ჩინოვნიკები და ბათუმის მიწების შესყიდვით დაინტერესებული პირები დააკმაყოფილა; მთავრობამ ბათუმი აქცია შეერთებული მხარის ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრად. ის ქ. ბათუმის გაფართოებითა და მისი ფუნქციების გაზრდით განიმტკიცებდა ახლად შეერთებულ მხარეში თავის ძალაუფლებას, და მთელი მხარის განვითარებასაც შეუწყობდა ხელს.

მომდევნო ეტაპზე მთავრობას აღარ სჭირდებოდა რეპრესიული და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებული რეჟიმი. ხელისუფლებამ თანდათანობით დაიწყო შერბილება და ადგილობრივი მოსახლეობის ვითარების, რელიგიური და ეთნიკური თავისებურების გათვალისწინება მმართველობის დროს, რამაც შეამსუბუქა მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობა:

ქ. ბათუმში რუსული კანონები ამოქმედდა, ხოლო რეგიონებში, მაჰმადიანებით დასახლებულ მხარეებში ისლამური სასამართლო და ადათები იყო გამოყენებული. აჭარაში ქონებასთან დაკავშირებული საკითხები და სისხლის სამართლის დანაშაული რუსეთის კანონების მიხედვით წყდებოდა; ხოლო სხვა საქმეების განხილვა ხდებოდა მაჰმადიანური სასამართლოს მიერ შარიათის წესებით, რაც უფრო მისაღები იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის;

მთავრობა 80-იანი წლების დასაწყისიდან უფრო უსმენდა ხალხს და მათ მოთხოვნებსაც მეტად ითვალისწინებდა თავისი ბრძანება-დადგენილების გამოტანისა და მმართველობის დროს;

მმართველობა წლების შემდეგ თანდათანობით რბილდებოდა და უმჯობესდებოდა მოსახლეობისთვის. მკაცრი, ხალხთან დაპირისპირებული მოხელეები თანდათანობით მათთვის უკეთესი მმართველებით იცვლებოდნენ; ზოგიერთ თანამდებობებზე აჭარლების წარმომადგენლებსაც ღებულობდნენ;

აჭარაში რუსული მმართველობის შერბილებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ დაერთო მის მიერ განხორციელებული პროექტები: ბათუმის სავაჭრო-ადმინისტრაციულ ცენტრად ქცევა და დიდი მშენებლობები ქალაქში, რკინიგზის გაყვანა ბათუმში 1883 წელს. რკინიგზით ბაქოდან ნავთს ეზიდებოდნენ და ბათუმში ასხამდნენ სპეციალურ ყუთებში გემებზე მოსათავსებლად. ამოქმედდა მრავალი საწარმო, რამაც მიიზიდა სხვადასხვა მხარიდან ჩასული მუშახელი, ხოლო ადგილობრივნი - მცირედ. 1886 წელს ბათუმში პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებამ საგრძნობლად გააუმჯობესა ბათუმის მიმდებარე მხარეების მცხოვრებთა მდგომარეობა...

რუსულ მმართველობას მოყოლილი უარყოფითი მხარეებიდან ზოგი თანდათანობით იძლეოდა, ზოგი კი ცხოვრების საერთო გაუმჯობესების პირობებში უფრო

ნაკლებად შეიმჩნეოდა. ადგილობრივი მცხოვრებლებისგან ადრეული მუჰაჯირობის დროს შეძენილი ან სულაც მათთვის ჩამორთმეული და მითვისებული მიწების საქმე თითქმის 20 წლის განმავლობაში გაურკვეველი იყო და ის ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. სამაგიეროდ, ამ გაურკვეველობითა და რუსეთის მმართველობის ძალდატანებით ისარგებლეს აჭარის საშუალო და დიდი მოხელეების საკმაო ნაწილმა, დაპატრონებულ მიწებზე მაღალი ხელფასების საშუალებით თუ არაკანონიერი შემოსავლებით დიდი და კომფორტული სახლები აიშენეს. მიწათმფლობელობის ახალი წესებით ისარგებლეს ასევე მდიდარმა ვაჭრებმა და მეწარმეებმა, რომლებმაც ბათუმის მიწები მხარის შეერთებიდან მცირე ხანში საკმაოდ შეღავათიან ფასად ჩაიდგეს ხელთ. ბათუმში ახალი სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებების დაარსება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზეც გრძელდებოდა და ეკონომიკური თვალსაზრისით კვლავაც საინტერესო ადგილს წარმოადგენდა მრავალთათვის.

რუსული ადგილობრივი მმართველობის საქმეებიც უმჯობესდებოდა. თავიდან ბევრად საგრძნობი იყო ჩინოვნიკთა მექრთამეობა და ძალადობა ადგილობრივი მცხოვრებლების მიმართ, რაც თანდათან მცირდებოდა. ბათუმში ადგილობრივი მოსახლეობის კლებისა და მრავალი მხარიდან ჩამოსული ხალხების დასახლების, ევროპული სახელმწიფოების საკონსულოების, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლობების დაარსების შედეგად ბათუმი თანდათან ევროპული ქალაქის სახეს ღებულობდა. ასეთ ვითარებაში ჩინოვნიკთა თავგასულობა შესამჩნევი იქნებოდა და მას მეტი წინააღმდეგობა შეხვდებოდა. ბათუმში რუსეთის დამკვიდრებიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ იკლო მექრთამეობამ და სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ფაქტებმა. ამ ხანებში ჩინოვნიკთა ნაწილი ამხილეს გამომძალველობაში თუ ქონების გაფლანგვაში (იხ. “ივერია”, 1887, @#220, #232, #242, #243; 1888, #156). მომდევნო პერიოდში კი ნაკლებად შეიმჩნეოდა ამგვარი კანონდარღვევები ძველებური ფორმებითა და მასშტაბებით. ბათუმმა და მისი მხარემ ამიერკავკასიის ადმინისტრაციისთვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა. მის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდნენ მაღალი თანამდებობისა და გავლენიანი პირები სხვადასხვა უწყებიდან, ჩადიოდნენ და ეცნობოდნენ იქაური მმართველობის მუშაობას (კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი 1882 წელს; 1882 და 1888 წელს -

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი [“დროება”, 1882, #125, გვ. 2, #140, გვ. 2-3]; 1888 წელს - თვით რუსეთის იმპერატორი, რომლის ბათუმში ვიზიტზე წერდა გაზეთ ივერიის 1888 წლის 202-ე ნომერი).

რუსული მმართველობის განმტკიცება აჭარაში მოასწავებდა მშვიდობიანობისა და სტაბილური ვითარების დამყარებასაც, ყაჩაღობისა და ავაზაკობის წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას (განსაკუთრებით, 90-იან წლებში). ხალხს აღარ სჭირდებოდა ყაჩაღებისგან იარაღით თავისი დასახლებებისა და ოჯახების დაცვა. ეს აუშჯობესებდა ხალხის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებს.

ბათუმის მმართველობაში დიდი სიახლე იყო 1888 წელს ქალაქის თვითმმართველობის - სათათბიროს ამოქმედება, რაც მოსახლეობის დიდი სურვილით მოხდა. ბათუმში რუსული მმართველობის დამყარების დროიდან მოსახლეობა უჩიოდა ადგილობრივი მოხელეების თვითნებობას, არცთუიშვიათად გულგრილობას დაკისრებული მოვალეობების მიმართ, ქალაქის კეთილმოწყობისთვის განკუთვნილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვას, გაფლანგვას და ა. შ. პოლიციას დიდ გავლენა ჰქონდა ქალაქში, მაგრამ საკმაოდ იყო გავრცელებული ჩინოვნიკების მხრივ თავნებობა, დარღვევები ქალაქის შემოსავალ-გასავლის საქმეში და ქუჩებში უწყესრიგობა, ანტისანიტარია. ამ პრობლემების მოსაგვარებისთვის ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა თვითმმართველ არჩევით ორგანოზე, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 1888 წლიდან. მისი არჩევნები დროთა განმავლობაში თანდათან უფრო დემოკრატიულად ტარდებოდა. 1888 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე 36 ხმოსანი აირჩიეს. სათათბიროს მეორე არჩევნები 1894 წელს გაიმართა, ხოლო 1895 წელს ქალაქის თავად არჩეული იქნა ლუკა ასათიანი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე არჩევნების დროს ხდებოდა ზეწოლა მთავრობის ან რომელიმე ჯგუფის მიერ, თვითმმართველობას შეზღუდული უფლებები ჰქონდა. ქალაქის თვითმმართველობას განსაზღვრული ჰქონდა, თუ რაში რამდენი თანხა დაეხარჯა და არა თავისი შეხედულებისამებრ. მაგრამ არჩეული ხმოსნები თუ სხვა თანამდებობის პირები მეტნაკლებად მაინც მოსახლეობის ნებას გამოხატავდნენ და ნაწილობრივ მაინც ასრულებდნენ ხალხის მოთხოვნებს. ბათუმის სათათბიროსა და ქალაქის თავის სამსახურს ქალაქზე მეტნაკლები ზრუნვისთვის საჭირო რესურსები გააჩნდათ. ბათუმის სათათბიროსა

და ქალაქის თავის ენერგიული მოღვაწეობით მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა ბათუმში: ამოაშრეს ჭაობები და ამის ხარჯზე შეიქმნა ახალი დასახლებები, ქალაქის კეთილმოწყობისთვის და მოსახლეობის სასარგებლოდ ტარდებოდა მრავალი ღონისძიება (ქუჩების მოვლა, კეთილმოწყობა, საავადმყოფოს მშენებლობა და ა. შ.), მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარება (სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სასწავლო დაწესებულებების მშენებლობისთვის მიწის გამოყოფა, ზოგჯერ მათთვის მატერიალური დახმარება, ბათუმის საქალაქო სასწავლებლის შენობის აშენება და სხვ). სათათბიროში იყვნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რითაც ამ ჯგუფების ინტერესების მეტნაკლებად გატარება ხდებოდა შესაძლებელი. ბათუმის სათათბირომ XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში საკმაო ძალისხმევას მიმართა და მრავალმხრივი საქმიანობა აწარმოვა, ქალაქის რესურსები გონივრულად წარმართა. ამას დადებითი და ყველასთვის შესამჩნევი შედეგებიც მოჰყვა. ქალაქის თვითმმართველობასა და მისი არჩევნებს გააჩნდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ის ხალხს აჩვენებდა ქალაქის მმართველობაში მონაწილეობის მიღებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არჩევნების პრაქტიკის თანდათანობით დამკვიდრებას...

აჭარაში რუსული მმართველობის შერბილება მოსახლეობის მიმართ, ქ. ბათუმის ზრდა-განვითარება, ქალაქის მმართველობაში დადებითი ცვლილებები ხელს უწყობდა მოსახლეობის რელიგიური ცხოვრების თავისუფლებას; ასევე, მაჰმადიანი მოსახლეობის თანდათან ჩართვას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს კი საშუალებას იძლეოდა, თანდათან დამღეულიყო მაჰმადიანთა რელიგიური ჩაკეტილობა, შეფერხებულიყო მოლათა საკმაო ნაწილის მიერ ხალხში რელიგიური ფანატიზმის გავრცელება. მხარეში ადგილობრივ მუსულმანებსა და ქრისტიან მოსახლეობას შორის მეტი კავშირები მყარდებოდა და, საერთოდ, რელიგიათშორისი ურთიერთობები უმჯობესდებოდა...

§ 2. სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება აჭარაში

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, მიუხედავად ომის შედეგების სიმძიმისა და სხვა სირთულეებისა, სწრაფად დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა. მხარეში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება ძირითადად ქ. ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო სფეროში აღმავლობასთან იყო დაკავშირებული (ნავსადგურის გაფართოება, დიდი საწყობების შექმნა, სავაჭრო დაწესებულებებისა და მაღაზიების ამოქმედება). ბათუმში პორტო ფარნკოს რეჟიმის დროს დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალი შევიდა, რამაც ხელი შეუწყო დიდი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებისა და ობიექტების მშენებლობას. 1883 წელს ბათუმში რკინიგზის შეყვანის შემდეგ სწრაფად შეიქმნა სხვადასხვა სახის საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები. აქ საგრძნობლად იმატა მუშათა რიცხვმა, რომელსაც ავსებდა ძირითადად დასავლეთ საქართველოდან ჩასული გლეხობა. ხოლო ბათუმის ამიერკავკასიის მასშტაბით სავაჭრო ცენტრად ქცევამ ხელი შეუწყო დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვას და მათ უფრო ფართოდ წარმოებას...

ბათუმის გარდა აჭარის სხვა მხარეებში ეკონომიკური განვითარება ნაკლებად შეიმჩნეოდა, რადგან ხალხი დაკავებული იყო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობით. აჭარლების სოფლის მეურნეობა ოსმალეთის ბატონობის დროს შუა საუკუნეების მდგომარეობაში რჩებოდა. რუსული მმართველობის პირველ ხანებშიც იყენებდნენ ძველ ტექნიკას, თანამედროვე სამეურნეო ცოდნა კი ძალზე ნელა ვრცელდებოდა... აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებშიც ძველი ტრადიციებით გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ამის მიუხედავად, საუკუნის ბოლოსთვის მაინც საგრძნობი იყო აჭარის სოფლის მეურნეობის წინსვლა. მისთვის სერიოზულ პერსპექტივებს ქმნიდა მთელს დასავლეთ საქართველოში განვითარებისკენ მიმართული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, სამეურნეო და სახელოსნო-სამრეწველო განათლების თანდათან ფართოდ გავრცელება. ბათუმის, როგორც დიდი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრის მახლობლად ყოფნა აჭარის სოფლებისთვის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ შესაძლებლობებს იძლეოდა. აჭარაში საუკუნის ბოლოსთვის ხე-ტყის დამუშავება და მისი ექსპორტი გაიზარდა, ხოლო ზოგიერთი მეწარმე თუ მემამულე ახალი კულტურის მოყვანას

იწყებდა მხარეში. თავადმა ვიაზემსკიმ ჩაქვში სერიოზულად დაიწყო მზადება ჩაის პლანტაციების გასაშენებლად. პოპოვმა ბათუმის მახლობლად მიწები იყიდა ჩაის მოსაშენებლად. ამისთვის ორივე ფიქრობდა ჩინეთიდან სპეციალისტების ჩამოყვანას [“ივერია”, 1893, #225, გვ. 2] (კლდიაშვილი 1984: 20). თუმცა ამგვარი ნოვატორული მეურნეობები იშვიათად იქმნებოდა აჭარაში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე.

საგრძნობი ცვლილებები ხდებოდა სოციალურ სფეროში აჭარაში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ქ. ბათუმში ადგილობრივი მცხოვრებლების რიცხვი ძალიან შემცირდა მუჰაჯირობის შემდეგ. აქ რუსული მმართველობა ძალზე უწყობდა ხელს მათ გადასახლებას ოსმალეთში ან პირდაპირ ართმევდა კიდეც მათ მიწებს და ავიწროებდა. მათ ნაცვლად კი დიდი რაოდენობით შემოსახლდნენ ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენელი მოხელეები და მათი თანამშრომლები, ასევე, ვაჭრები, ფინანსისტები, კაპიტალისტები. მათ მიერ გახსნილ ფაბრიკა-ქარხნებსა და სავაჭრო ცენტრებში დიდი რაოდენობით გახდა საჭირო მუშები და მოსამსახურე პერსონალი. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხელოსნების, მუშებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობა ძალზე გაიზარდა. მათ რიგებს ძირითადად ავსებდა დასავლეთ საქართველოდან და უფრო გურიიდან ჩასული გლეხობა. ისინი საკმაოდ წარმატებით ითავისუფლებდნენ თავს დარჩენილი ბატონყმური ვალდებულებებისგან და მიწებს ისყიდნენ მეზობლებისგან. ფულის საშოვნელად გლეხები ბათუმშიც დადიოდნენ ე. წ. საშოვარზე. ქალაქში ისინი ითვისებდნენ წარმოებასთან დაკავშირებულ შრომით ჩვევებს და საკმაოდ მალე დგებოდნენ მუშათა რიგებში. მათი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება განვითარებული საქალაქო ცხოვრებისა და წარმოების მდგომარეობის მიხედვით არასახარბიელო იყო. თუმცა ეს მათი სოფლების ვითარების გვერდით გარკვეულწილად კიდეც უკეთესი იყო და მეტ პერსპექტივებს უტოვებდა, მით უფრო, რომ მათ სოფელთან კავშირი არ გაეწყვიტათ...

სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ნაკლებად სარგებლობდა ბათუმის საქალაქო და სამრეწველო-სავაჭრო განვითარებით და ნელა იუმჯობესებდა თავის მდგომარეობას. აჭარის სოფლის მეურნეობა ძირითადად მოძველებული, კარჩაკეტილი ფეოდალური ფორმებით, ძველებური სასოფლო-სამეურნეო იარაღებითა და მეთოდებით აგრძელებდა

ფუნქციონირებას. ამით ბაზარზე გასატანი საქონელი ნაკლებად მზადდებოდა და ძირითადად თავის შენახვის ფუნქციებს ემსახურებოდა. თუმცა 90-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების პერსპექტივები საკმაოდ გამოჩნდა: გაყვანილი იქნა გზები, ყაჩაღობა მოისპო (რამაც ხალხს მისცა მშვიდობიანი ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის მიმართ მეტი ყურადღების გადატანის საშუალება); ამას ემატებოდა ბათუმის, როგორც სამრეწველო-სავაჭრო ცენტრის სიახლოვე. ყოველივე ეს ხალხს საკმაოდ აძლევდა სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების, შიდა ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობასა და სტიმულს... ადგილობრივი საზოგადოება და ხალხი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივებს ხედავდა და დადებითად აფასებდა ამ პროცესებს... ამას ვერც პროოსმალურად და რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ განწყობილი ზოგიერთი მაჰმადიანი სასულიერო პირი უარყოფდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მარადიდის ერთ-ერთი მოლა, რომლის ქადაგებითაც მუჰაჯირობის დროს დიდი რაოდენობით ხალხი გადასახლდა ოსმალეთში, აღიარებდა რუსეთის ხელისუფლების დროს მომხდარ დადებით ცვლილებებს. ის ამბობდა: რუსები არ გვაქრისტიანებენ, მათ გზები გააკეთეს, ყაჩაღობა მოსპეს, ბათუმი კარგ სავაჭრო ქალაქად აქციეს და ჩვენში ახლა ბევრი ფული ტრიალებსო. მაგრამ ჩვენი ბინა ოსმალეთშია, აქ დარჩენილი კაცი არ ცხონდებაო [“ივერია”, 1893, #182, გვ. 1-2].

ფეოდალური ურთიერთობის ფორმები საკმაოდ ძლიერი იყო აჭარის მოსახლეობაში. ადგილობრივი ფეოდალური ფენის - ბეგებისა და ალების გავლენა დიდი იყო მშრომელ ხალხზე. ფეოდალები ფლობდნენ სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწების მნიშვნელოვან ნაწილს და უმთავრესად ბატონყმური ფორმებით აძლევდნენ მათ ხალხს დასამუშავებლად. თუმცა აჭარაში XIX საუკუნის შუა ხანებში, ოსმალეთში ბატონყმობის გაუქმების დაწყების შემდეგ უფრო და უფრო სუსტდებოდა ფეოდალური ურთიერთობების სიმწვავე. ეს კი ხალხის მდგომარეობას XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძალიან არ ართულებდა. რუსეთის მთავრობას აჭარაში XIX საუკუნის ბოლოს არსად შეუცვლია ოსმალთა დროინდელი მიწათმფლობელობის ფორმები ქ. ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების გარდა. აქაური სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში

ცვლილებები ნაკლებად ხდებოდა ოსმალობის დროინდელი ფეოდალური ურთიერთობების შემორჩენის გამოც.

აჭარის ფეოდალურ ფენას რუსულმა მმართველობამ არ მიანიჭა ქართველი თავადაზნაურობის შესაფერისი წოდება და პატივი, რასაც 1880-იანი წლების შუა ხანებიდან ითხოვდნენ ისინი. ამის გამო აჭარელი ბეგები და ადები ვერ სარგებლობდნენ რუსეთის იმპერიის მიერ ფეოდალებისთვის მინიჭებული შეღავათებით, თავიანთ შვილებს სასწავლად ვერ უშვებდნენ სახელმწიფოს ხარჯზე და ოფიციალურად მხარის წამყვან სოციალურ ფენას არ წარმოადგენდნენ. ამით ფერხდებოდა მათი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ხალხის წინამძღოლობის ფუნქცია.

ამდენად, მთელს მხარეში სოფლად ძირითადად დრომოჭმული სოციალური ურთიერთობები და განუვითარებელი სოფლის მეურნეობა არსებობდა. ამის გამოც XIX საუკუნის ბოლოსაც აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში აგრძელებდა ცხოვრებას და ვერ მიჰყვებოდა დასავლეთ საქართველოში სამრეწველო-სამეურნეო სფეროში, განსაკუთრებით, ქ. ბათუმში მიმდინარე დადებით ცვლილებებს. მაგრამ საუკუნეთა მიჯნაზე ამ მხრივ დიდი პერსპექტივები ისახებოდა აჭარის სოფლების მოსახლეობისთვის...

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში (ძირითადად, ქ. ბათუმში) მიმდინარე მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები ისახებოდა მხარის რელიგიურ ცხოვრებაშიც. ბათუმში მოსახლეობის დიდი ზრდის დროს მკვეთრად იმატა ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობამ. მათი უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო, ხოლო მიაფიზიტი სომხები და კათოლიკეები უფრო ნაკლებად ცხოვრობდნენ. მათ გარდა სხვა რელიგიური ჯგუფებიც მრავლდებოდა. ბათუმში იმყოფებოდნენ მაჰმადიანი თურქები და ირანელები, იუდაისტი ებრაელები და სხვანი. აჭარის დაბებსა და სოფლებშიც ჩნდებოდნენ მართლმადიდებლური დასახლებები. აჭარაში სხვადასხვა აღმსარებლობის მომრავლება ხელს უწყობდა მოსახლეობის რელიგიური ჯგუფების უფრო აქტიურად დაკავშირებას ერთმანეთთან, ადგილობრივი მაჰმადიანების ჩაკეტილი რელიგიური გარემოდან თანდათანობით გამოსვლას, მათ შორის რელიგიური შემწყნარებლობის გარემოს შექმნას. ამგვარი ცვლილებები ქართველ მაჰმადიანებს ეხმარებოდა მოღვწის მიერ

გავრცელებული რელიგიური ფანატიზმისა და ოსმალური გავლენის თანდათანობით დაძლევაში...

§ 3. საგანმანათლებლო ვითარება აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში

აჭარაში ოსმალობის დროს ქართულენოვანი სასწავლო დაწესებულებები აღარ არსებობდა და საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ მეჩეთებთან მოქმედი მაჰმადიანური სამრევლო სკოლები. ხოლო ქედასა და ბათუმში არსებობდა მაჰმადიანური სასულიერო საშუალო სასწავლებლები. აჭარაში მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებლების უმრავლესობა ოსმალთა მმართველობის ბოლო ათწლეულებში გაიხსნა.

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ეს მაჰმადიანური სასწავლო დაწესებულებები აგრძელებდნენ მოქმედებას. ასევე, სოფლებში მეჩეთებთან ახალი სკოლებიც იქმნებოდა. მხარეში XIX საუკუნის ბოლოსთვის სამრევლო სკოლების რაოდენობა დიდი იყო, მაგრამ ისინი სწავლების ხარისხით დაბალ დონეზე იდგნენ. მაჰმადიანური სარწმუნოების საფუძვლიანად შესწავლასა და ეფენდისა და ხოჯის ხარისხის მინიჭებას სჭირდებოდა ოსმალურ სასწავლებლებში განათლების მიღება, ან თვითგანათლება. თვითგანათლება ხანგრძლივი პროცესი იყო: ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში (დაახლოებით, 15-25 წელი) დამოუკიდებლად უნდა მიეღოთ სასულიერო პირისთვის საჭირო ცოდნა. ამაზე იუწყებოდა გაზეთ დროების ბათუმელი კორესპონდენტი 1885 წლის 62-ე ნომერში. სასულიერო განათლების მიღების შემდეგ სასულიერო პირებს შეეძლოთ უმთავრესად მეჩეთებთან არსებულ სკოლებში მასწავლებლობა ან კერძოდ სწავლება.

დაწყებით სასულიერო სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობდა ძირითადად ზეპირობით (ყაზბეგი 1995: 61). აქ საერო ცოდნას ვერ ღებულობდნენ ბავშვები და მათი გონებრივი განვითარებაც ნაკლებად ხდებოდა. სწავლის დროს მკაცრი რეჟიმი იყო კლასში, ხოლო ბავშვების ნიჭიერებას გასაქანი ვერ ეძლეოდა. ზოგიერთი მოლა სწავლების დროს ბავშვებს ხანდახან სცემდა კიდეც, როცა მათ არ ესმოდათ რთულად შესასწავლი მასალა (სახოკია 1950: 182-183). მასწავლებლები (ძირითადად, მოლები) არაბული ლოცვებისა და

თურქული ენის სწავლებისას ხანდახან ქართულად უხსნიდნენ ბავშვებს გაურკვეველ სიტყვებს. ამ სასწავლო დაწესებულებებიდან გამოსული ახალგაზრდობის მხოლოდ მცირე ნაწილი მიდიოდა ოსმალეთის უფრო მაღალი რანგის სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. ისინი იქიდან ძირითადად სასულიერო განათლებამიღებულნი ბრუნდებოდნენ. აჭარაში მაჰმადიანური სარწმუნოების უფრო საფუძვლიანად შესასწავლად ქედაში არსებობდა საშუალო სასწავლებელი (ბათუმში მაჰმადიანური საშუალო სასწავლებელი გაუქმდა და მისი შენობა დაანგრიეს 80-იანი წლების დასაწყისისთვის [“დროება”, 1882, #270, გვ. 3-4]). ქედაში მაჰმადის რჯულის კარგად მცოდნე ხოჯები ასწავლიდნენ ძირითადად მოლებს. მაგრამ ამგვარი სწავლება ბევრად მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე ოსმალეთის სასულიერო სასწავლებლებში. ასეთი სწავლების დროს უფროსი მასწავლებლები იყვნენ ქედაში მოღვაწე მუფთი ხალიფაშვილი, სტამბულში გაზრდილი ჰაჯი-ლომინ ეფენდი ქარცივაძე, რომელმაც ხულოში სასულიერო სკოლა გახსნა და 100-მდე ქართველ მოლას ასწავლიდა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის გაზეთ ივერიის 1892 წლის 193-ე და 1893 წლის 218-ე ნომრები.

აჭარაში 1880-ანი წლებიდან მეჩეთებთან არსებულ ან ახლად დაარსებულ სკოლებში გაძლიერებულად დაიწყეს თურქული ენისა და წერა-კითხვის სწავლება. აქ ასწავლიდნენ ძირითადად ოსმალეთის სასულიერო სასწავლებლებში განათლებამიღებული ჭანი და ოსმალ მოლები, არცთუიშვიათად აჭარლებიც. ბავშვებს უძნელდებოდათ ოსმალური ანბანის შესწავლა (სახოკია 1950: 182), რასაც, ქობულეთის მხარის მამასახლისის ცნობით, 3 წელსაც უნდებოდნენ. ბავშვებს უჭირდათ თურქული ენისა და წერა-კითხვის სწავლა, ბოლომდე ვერც სწავლობდნენ მასობრივად, რაზეც ჩიოდნენ ხოლმე ისინი. მასწავლებელი მოლების საკმაო ნაწილი მოსწავლეებს არამაჰმადიანი ხალხის სიძულვილსაც უნერგავდა (სახოკია 1950: 182). ოსმალეთიდან მოსული მოლები, ამასთანავე, ისლამურ ფანატიზმს ავრცელებდნენ ბავშვებში და ოსმალურ ცნობიერებას ნერგავდნენ ახალგაზრდა თაობებში [“ივერია”, 1891, #156, გვ. 2-3; 1892, #144, გვ. 2-3; #149, გვ. 3; #158, გვ. 3-4].

აჭარაში XIX საუკუნის II ნახევრისთვის საკმაოდ იყვნენ მაჰმადიანი სასულიერო პირები, ახალგაზრდობის ნაწილისთვის არსებობდა ისლამური სასულიერო განათლების მიღების გარკვეული შესაძლებლობები. მათი მეშვეობით მოსახლეობის საკმაო ნაწილი

მეტნაკლებად ეცნობოდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას. მაგრამ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მეჩეთებთან არსებული სკოლები და აღნიშნული კადრები არ იყო საკმარისი მოსახლეობის მასობრივად გასანათლებლად, თანამედროვე ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნის მისაღებად... ხოლო აჭარლებს შორის ქართული წერა-კითხვა, ფოლკლორი და, საერთოდ, ხალხური კულტურა კვლავ ზეპირად ვრცელდებოდა, ძირითადად არაოფიციალურად. აქ ხალხური კულტურა თაობებს გადაეცემოდა ხშირად ფანატიკოსი მოღვაწეებისა და პროოსმალურად განწყობილი პირებისგან დაფარულად. ყოველივე ამის გამო მხარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განათლებით ჩამორჩენილი იყო. ეს აწუხებდა არა მარტო ადგილობრივ ინტელიგენციას, არამედ ხალხსაც.

რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარის განათლების სფეროში ოსმალური შეზღუდვები მოიხსნა და უფრო ფართოდ დაიწყო განათლების გავრცელება. სახალხო განათლებას კი რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა 1860-იანი წლების საგანმანათლებლო რეფორმების შემდეგ. 1870-იანი წლებში მთავრობა ამიერკავკასიაში ქალაქებსა და სოფლებშიც ხსნიდა დაწყებით სახალხო სკოლებს. უფრო დიდ დასახლებებსა და ქალაქებში არსდებოდა ნორმალური 2 კლასიანი სასწავლებლები, დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლები (საქალაქო სასწავლებლები), დიდ ქალაქებში - საშუალო სასწავლებლები: გიმნაზიები და სემინარიები. მაგრამ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები თავიანთი რაოდენობით ვერ აკმაყოფილებდა განათლების ფართოდ გავრცელების საჭიროებასა და ხალხის მოთხოვნებს მასზე. ამის გამოც ის საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს, ცალკეულ პიროვნებებს უწყობდა ხელს კერძო თუ საზოგადო სასწავლო დაწესებულებების გახსნაში; ხან მათ მატერიალურადაც ეხმარებოდა. მთავრობა განათლების ქსელების თუ ცალკეული დაწესებულებების უფრო ფართოდ გახსნა-ამოქმედებისა და მათი გაუმჯობესების საქმეში საკმაოდ შესაძლებლობებს იძლეოდა.

1881 წლამდე რუსეთის მთავრობა კავკასიელი ხალხებისთვის არ ცდილობდა დაწყებით სკოლებში ოფიციალური ბრძანებებით, თანმიმდევრულად მშობლიური ენის გამოდევნას. ასევე, ის არ აიძულებდა სკოლებს სწავლის დასაწყისშივე რუსულენოვანი სწავლების დანერგვას. ცალკეული უწყებების თუ სამთავრობო-საზოგადო ორგანიზაციების დაქვემდებარებულ განათლების კერებში 70-იანი წლების მეორე

ნახევარში კი მიმდინარეობდა მშობლიური ენის შევიწროების ან გამოდევნის პროცესი; მაგრამ არა საყოველთაო და დაჩქარებული წესით. სახელმწიფო და საზოგადოებრივ სასწავლო დაწესებულებებში იმ დროისთვის სწავლება მიდიოდა მეტნაკლებად მოწინავე პედაგოგიური მეთოდებით. იქ მასწავლებლებად, ძირითადად, საშუალო სასწავლებლებში განათლებამიღებული პირები იყვნენ. ასეთ ვითარებაში საქართველოში არსებული სახელმწიფო, საზოგადოებრივი და რელიგიური სკოლები და სასწავლებლები განვითარების გზას ადგნენ პედაგოგიური თვალსაზრისით. ისინი უფრო და უფრო აფართოვებდნენ თავის საქმიანობას და მეტნაკლებად ასრულებდნენ მოსახლეობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებს. საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემით XIX საუკუნის 70-80-იან წლებში და შემდეგაც წერა-კითხვა ფართოდ ვრცელდებოდა ხალხში, განათლებამიღებული ადამიანების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა, სპეციალურად მზადდებოდნენ კადრები... ეს ყოველივე ხელს უწყობდა ქვეყანაში განათლებისა და კულტურის მასიურად გავრცელებას, ხალხის განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესებას, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას...

ამდენად, აჭარის შემოერთების პერიოდში რუსული საგანმანათლებლო სისტემა ოსმალურთან შედარებით ბევრად პროგრესული, თავისუფალი, პრაქტიკული და მისაწვდომი იყო. ის ფართო მასების განათლების საქმეს მეტნაკლებად უწყობდა ხელს.

აჭარაში რუსეთის მთავრობამ თავისი მმართველობის დამყარებისთანავე დაიწყო სასწავლო დაწესებულებების დაარსება. ამაზე მონდომებული იყო ადგილობრივი ადმინისტრაცია, განსაკუთრებით, ბათუმის გუბერნატორი კომაროვი. ის შუამდგომლობდა ზემდგომი ორგანოების წინაშე და საზოგადოებრივ ძალებსაც რთავდა სახელმწიფო სასწავლებლების გასახსნელად. 1880 წლის აპრილში იდღესასწაულეს რუსეთის იმპერატორის მშვიდობიანად გადარჩენა. ამის აღსანიშნავად გენერალ კომაროვის თაოსნობით დაიწყო სახალხო სკოლის გასახსნელად ხალხში ფულის შეკრება ხელმოწერებით. ამით მოგროვდა 500 მანეთი, რაც აღნიშნული იყო გაზეთ დროებაში, 1880 წლის 84-ე ნომერში. იგი უახლოვდებოდა ბათუმის სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენელ საზოგადოებებს. კომაროვი ეთანხმებოდა ან არ ეწინააღმდეგებოდა მათ

თხოვნებს, რომ ამ საზოგადოებების მიერ მომავალში გასახსნელ სასწავლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე ყოფილიყო სწავლება. ამის გამოც კომაროვს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მოღვაწეები დაუდგნენ გვერდში; მისი თაოსნობით უფრო მასშტაბურად მიდიოდა კამპანიები სახელმწიფო სასწავლებლის დაარსების მიზნით. ქალაქის აღმშენებლობისა და მისი მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ბათუმში უფრო და უფრო მატულობდა დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების გახსნის საჭიროება...

ბათუმში საშუალო სასწავლებლის გახსნამდე დასაარსებელი იყო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ე. წ. საქალაქო სასწავლებელი, რომელიც თავიდან 3 კლასიანი იყო. ის გაიხსნა 1881 წელს. მას მთავრობა ყურადღებას არ აკლებდა და საკმაოდ უზრუნველყოფდა, ცდილობდა მასში კვალიფიციური კადრების მიზიდვას. მოსწავლეებიც დიდი რაოდენობით მივიდნენ იქ (იხ. “დროება”, 1881, #208). ის მალევე იქცა წარმატებულ სასწავლებლად. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი 1882 და 1888 წლებში იყო მის მოსანახულებლად, 1882 წელს კი მოიწონა სასწავლებელი.

ბათუმის საქალაქო სასწავლებელმა დიდი რაოდენობით მოსწავლე მიიზიდა. მოსახლეობა პატივსცემით ეპყრობოდა მას, რადგან აქ სწავლა მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ამასთანავე, აქ სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს მშობლიური ენის გაკვეთილებიც უტარდებოდათ, თუ მათი რაოდენობა 15-ს აჭარბებდა. ქართველი ბავშვების რაოდენობა სასწავლებელში იზრდებოდა ბათუმში ქართველების რიცხვის მატებასთან ერთად, განსაკუთრებით, 90-იან წლებში. ის ქართველთათვისაც საყურადღებო სასწავლებელს წარმოადგენდა. ამათანავე, ქართული ენის დევნა აქ არ შეიმჩნეოდა. მხოლოდ ამისთვის ყურადღების მიქცევა და სასწავლებლის ადმინისტრაციისთვის მიმართვა იყო საჭირო, რომ ქართველ მოსწავლეებს მშობლიური ენის გაკვეთილებიც ჩასტარებოდათ. მაგალითად, 1882 და 1887 წლებში ქართულ პრესაში გვხვდებოდა ცნობები, რომ ბათუმის საქალაქო სასწავლებელში ქართული ენა არ ისწავლებოდა, რისთვისაც მშობლებს საგანგებოდ უნდა მიემართათ მისი ადმინისტრაციისთვის [“დროება”, 1882, #15, გვ. 2, #17, გვ. 2; “ივერია”, 1887, #204, გვ. 1-2, #220, გვ. 2]. ჩანს, ეს თხოვნები კმაყოფილდებოდა, რადგან ბათუმში თავისი ეროვნული ინტერესებისთვის

მზრუნველი ქართველი საზოგადოება სხვა პერიოდებში აღარ აყენებდა აღნიშნულ საკითხს.

ბათუმის საქალაქო სასწავლებელში მიდიოდნენ ძირითადად დაწყებით სკოლებში ნასწავლი ან გარკვეული მომზადების მქონე ბავშვები. მათ რუსული ენა მეტნაკლებად ესმოდათ და არ გაუჭირდებოდათ რუსულად სწავლა. 1884 წლიდან ბათუმის საქალაქო სკოლას დაემატა სახელოსნო განყოფილებაც, სადაც მოსწავლეები ხელოსნობისა და წარმოების შესახებ თანამედროვე ცნობებს ღებულობდნენ. აღნიშნული სასწავლებელი მთავრობისა და საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. მასში სწავლების დონე 90-იან წლებში მაღლდებოდა და მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა. ის 6 კლასიანად გადაკეთდა, ხოლო ბათუმის საქალაქო საბჭო 1891 წლიდან მისთვის შენობის აგებას აპირებდა. ამის შესახებ ცნობა გვხვდება გაზეთ ივერიაში, 1891 წლის 223-ე ნომერში. 1896 წლის 17 მაისს #1163-ით ბათუმის ქალაქის თავი მიმართავდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორს, რომ ქალაქის გამგეობა ბათუმის საქალაქო სასწავლებლის 4-კლასიანიდან 6 კლასიანად გადაკეთებას ეთანხმებოდა. გამგეობა აპროექტებდა მისთვის სათანადო შენობას, რომლის ზომები გიმნაზიის მოთხოვნებსაც კი დააკმაყოფილებდა [სეა (საქართველოს ეროვნული არქივი), ფონ. 422, აღწ. 1, საქ. #5147, ფურც. 20].

ბათუმის ინდუსტრიულ-სავაჭრო ქალაქად ჩამოყალიბებამ მოიტანა ქალაქში ტექნიკური სასწავლებლის გახსნის საჭიროება, სადაც შეისწავლდნენ წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. ბათუმის ტექნიკური სასწავლებელი გაიხსნა 1888 წელს (ვარშანიძე 2006: 91-92). მასში დაწყებითი განათლების მქონე მოზარდები მიიღებოდნენ არანაკლებ 14 წლისა. სწავლა 4 წლიანი იყო. პროფესიულ საგნებთან ერთად აქ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც გადიოდნენ. მისი დამთავრების შემდეგ ღებულობდნენ ოსტატის თანაშემწის კვალიფიკაციას, ხოლო ხელობის ბეჯითად სწავლის შემთხვევაში - ოსტატის თანრიგს. ამ სასწავლებლის გახსნას ეხმაურებოდნენ გაზეთ ივერიაში 1887 წლის 202-ე ნომერში და 1888 წლის 196-ე ნომერში.

ბათუმში 1883 წლიდან არსებობდა მარიამის სახელობის ქალთა 2 კლასიანი სკოლა, რომელზეც ზრუნავდა მთავრობა და საზოგადოება. აქ მოსწავლეთა რაოდენობა

იზრდებოდა, ხოლო სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს მშობლიური ენის გაკვეთილებიც ჰქონდათ. აქ ქართველი მოსწავლეების რაოდენობა დიდი იყო. ქართული ენის მასწავლებლისთვის დაინიშნა წელიწადში 600 მანეთიანი ხელფასი, მასწავლებლად კი ადგილობრივი პედაგოგი ბეთანიშვილი ამოირჩიეს. გაზეთ დროების კორესპონდენტი უკმაყოფილო იყო, სასწავლებელს უფრო მეტი ხელფასის დანიშვნა არ შეუძლია, რომ უფრო რიგიანი მასწავლებელი მოეწვიაო. სასწავლებელზე ზრუნავდა საზოგადოება. 1883 წელს ახლადგახსნილ სასტუმრო “იმპერიალში” მის სასარგებლოდ მოეწყო საცეკვაო სადამო, საიდანაც შევიდა სუფთა მოგება 255 მან. [“დროება”, 1883, #226, გვ. 2-3; #255, გვ. 2].

1890-იან წლებში ბათუმი წინაურდებოდა თავის მნიშვნელობითა და მოსახლეობის რაოდენობით, განათლებით, ინტელიგენციის რაოდენობის ზრდით. ამის გამო აქ მომწიფდა პირობები საშუალო სასწავლებლის გასახსნელად. 1897 წელს ბათუმში დაარსდა ვაჟთა, 1900 წელს - ქალთა გიმნაზია (ბაბილოძე 1979: 12) (Батум и его окрестности 1906: 17-18).

ბათუმში საუკუნის დასასრულისთვის სხვადასხვა სოციალური ფენისა და ეროვნული დიდ ჯგუფების ზრდის გამო მრავალი კერძო და საზოგადოებრივი სასწავლო დაწესებულება იხსნებოდა, რომელთაგან გამოირჩეოდა ბერძნებისა და სომხების ეროვნული სკოლები. მათ ამ ხალხების წარმომადგენლები ინახავდნენ. ბერძნების სკოლა 3000 მანეთი ჯდებოდა წელიწადში, სომხებისაც საკმაო ხარჯს მოითხოვდა [“ივერია”, 1888, #78, გვ. 2]. მათ სასარგებლოდ ხალხი უხვად გაიღებდა ხოლმე შესაწირავებს, საქველმოქმედო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა. ამ ღონისძიებებს დიდი რაოდენობით ესწრებოდნენ ამ ხალხების წარმომადგენლები. ბერძნული სკოლის დიდი შემოსავალი იძლეოდა საშუალებას, რომ მოსწავლეებს 4 მასწავლებელი ჰყოლოდათ სხვადასხვა საგნებში და საფუძვლიანად შეესწავლათ ეს საგნები. აქ მოსწავლეებიც ბევრნი დადიოდნენ - დაახლოებით 100 მოზარდი [“დროება”, 1883, #226, გვ. 2-3], რითაც სამაგალითოდ მიიჩნეოდა ის სხვა სკოლებს შორის.

რუსეთის მთავრობას, როგორც ჩანს, აჭარის სოფლებში სასოფლო სკოლების გასახსნელად არ ჩაუტარებია სერიოზული კამპანია, როგორსაც სხვა მხარეებში ატარებდა. საქართველოში XIX საუკუნის 70-90-იან წლებში სოფლად სკოლების გახსნას წინ უძღოდა

ადგილობრივი მოხელეების ან ინტელიგენტების მხრივ სასოფლო სკოლების გახსნისკენ მოწოდებები, მოსახლეობისთვის სწავლის მნიშვნელობის განმარტება და სკოლების გახსნის ორგანიზება. განათლების უწყებების მუშაკებიც სოფლების მოსახლეობას უხსნიდნენ განათლების საჭიროებას. ისინი ხალხში სურვილის არსებობის შემთხვევაში ეხმარებოდნენ მათ სკოლების გახსნაში. ხოლო აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსთვის სკოლების გახსნის კამპანია ეწყობოდა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელიმე ენერგიული და ენთუზიასტი მოხელის ან მოღვაწის ინიციატივით. მხარეში მთავრობის მიერ ორგანიზებულად არ წარმოებდა ამგვარი კამპანია ყველა სოფლის საზოგადოებაში. ხოლო აჭარაში სკოლების გახსნის ინიციატორები იყვნენ მოხელეები და მოღვაწეები: ახმედ-ეფენდი ხალვაში და მისი ვაჟი არუნ-ეფენდი, დედი-ალა ნიჟარაძე და გულო-ალა კაიკაციშვილი, ბათუმის ოლქის მმართველი ზაიგინი, ხულოს მმართველები გ. ბერიძე, რიხტერი და სხვანი. ისინი ენთუზიასმითა და ხალხზე მზრუნველობის გამო ცდილობდნენ სასოფლო სკოლების გახსნას. მაგრამ ამგვარი მოღვაწეების რაოდენობა ცოტა იყო მთელს მხარეში და რეგიონის სოფლების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოკლებული იყო სკოლების გახსნის შესაძლებლობას. ეს ხდებოდა უმთავრესად მთავრობის უყურადღებობის გამო.

XIX საუკუნის 80-იანი წწ. შუა ხანებიდან სახალხო განათლების გავრცელებით დაინტერესებულმა რამდენიმე მოხელემ აჭარაში დაიწყო სასოფლო სკოლების გახსნის კამპანია. ახმედ-ეფენდი ხალვაში, მარადიდის მხარის მმართველი, მაჰმადიანური სასულიერო განათლების მქონე და ერთ დროს ხოჯად ნამსახურევი, ძალზე ენერგიულად მოეკიდა სოფელში სკოლის გახსნის საქმეს. როგორც ირკვევა, მას საკუთარი სახსრებით აუშენებია სკოლა დაბა მარადიდში, ხოლო მასწავლებლის ხელფასის გადახდა და სკოლის წიგნებით მომარაგება მთავრობამ უზრუნველყო. სკოლის გახსნის დროს, ჩანს, ახმედ-ეფენდიმ ენერგიულად გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი. მარადიდში 1886 წელს დაარსდა სასოფლო სკოლა, სადაც მოსწავლეები თავიდან ნაკლებად დადიოდნენ. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ადგილობრივი მოლეები და ხოჯები ხალხს ამ სკოლაში შვილების გაშვებას უშლიდნენ, რაც სერიოზული დაბრკოლება იყო სკოლის მუშაობაში. ამაზე უფრო მეტი შეფერხება გამოიწვია მარადიდის სკოლაში რუსი მასწავლებლის გამწესებამ,

რომელმაც ქართული ენა საერთოდ არ იცოდა, ხოლო ბავშვებს რუსულენოვანი გაკვეთილებისა არაფერი ესმოდათ. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ამით უკმაყოფილო მოსახლეობიდან ზოგიერთებმა მასწავლებელს მოსთხოვეს მარადიდის დატოვება. ამის გამო დაიწყო საქმის გამორკვევა, რამაც ხელი შეუშალა სწავლის საქმეს, და სკოლამ შეწყვიტა მუშაობა. ერთხანს ქართველი მასწავლებელი გაუშვიათ მარადიდის სკოლაში. მაგრამ, ჩანს, სწავლა ნორმალურად ვერ აწყობილა. ამისი შედეგი არ გამოჩენილა, და ხალხი პატივისცემით არ განწყობილა სკოლის მიმართ. მშობლებს კვლავ მოლები უშლიდნენ შვილების გაგზავნას სკოლაში. ხოლო მოსწავლეებს ცუდად ახსოვდათ მასწავლებელი, რომელიც, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ლოთობდა. იგი ხან მოსწავლეებს რომ ვერ აგებინებდა თავის ლაპარაკს, მთვრალი სცემდა მათ კიდეცო. ახმედ-ეფენდის ავტორიტეტითა და მის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით სკოლამ ოფიციალურად იარსება 90-იანი წწ. დასაწყისამდე. ახმედ-ეფენდის გარდაცვალების შემდეგ კი ის დაიხურა. მის შვილი არუნ-ეფენდიც ცდილობდა სკოლის ამუშავებას, თავისი ხარჯით ქართველი მასწავლებელიც მიიწვია თვეში 30 მანეთად, მაგრამ დიდხანს ვერ შესძლო ამის გადახდა. 90-იანი წლების პირველ ნახევარში სკოლა გაჩერებული იყო, ხოლო სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები კი შეინახეს. მის ამოქმედებას ცდილობდა ადგილობრივი მმართველი დ. ლეონიძეც, მაგრამ, ჩანს, 90-იან წლებში აღარ აღდგენილა სკოლა. მოსახლეობა თანდათანობით ხვდებოდა სწავლის საჭიროებას და იზრდებოდა მარადიდის სკოლის კვლავ გახსნის მომხრეთა რიცხვი. მაგრამ სკოლის პატრონობა ძნელი იყო, მეტადრე მოლების მიერ სკოლის საწინააღმდეგო ქადაგებების გამო [იხ. ივერია“, 1886, #53, გვ. 3; 1887, #178, გვ. 2; 1892, #234, გვ. 2; 1893, #182, გვ. 1-2; #183, გვ. 2-3].

მარადიდის ვითარებისგან განსხვავებით, აჭარის მრავალ მხარეში ხალხში იყო სკოლების გახსნის მეტი სურვილი და ამისთვის მზადყოფნა, განსაკუთრებით, ქობულეთისა და ქედის მხარეებში. ქედის ადგილობრივი მოღვაწეები და მოსახლეობა ბათუმის ქართული სკოლის მუშაობის შედეგების დანახვის შემდეგ განეწყნენ მათთან ქართული სკოლის გახსნის სასარგებლოდ. ისინი ამ სურვილს გაზეთ ივერიის ფურცლებზე უთვლიდნენ ქართველ საზოგადოებასა და მთელს ქართველ ხალხს იქ მგზავრად მყოფი ზაქარია ჭიჭინაძისა და იმავე გაზეთის კორესპონდენტ აბდულ-ეფენდი მიქელაძის პირით.

ქედელები საზოგადოებას უხსნიდნენ თავიანთი გაჭირვების უმთავრეს მიზეზს - ოსმალეთის უღლის ქვეშ ხანგრძლივად ყოფნას და სთხოვდნენ ბათუმის ქართული სკოლის მსგავსი სკოლის გახსნას. ეს თხოვნა დაიბეჭდა გაზეთის 1892 წლის 196-ე და 202-ე ნომერებში. ეს სკოლა შეუწყობდა ხელს დიდი ხნით დაშორებული მოძმეების კვლავ დაახლოებას. მაგრამ ქედის მოსახლეობა სიღარიბის გამო სკოლის ხარჯის გაწევას ვერ ახერხებდა და ვალდებულებას კისრულობდა მისი მხოლოდ წვრილმანი საქმეების შესრულებაზე (მაგალითად, შეშით უზრუნველყოფა). ხოლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას XIX საუკუნის 90-იან წლებში თავისი ხარჯით სკოლის გახსნა უჭირდა. ქედის სკოლის გახსნისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას ცნობილი ქართველი მოღვაწე ალექსანდრე ფრონელიც (ყიფშიძე). იგი იმავე გაზეთის 1892 წლის 213-ე ნომერში წერდა, წელიწადში 600 მანეთის გადახდა ამისთვის რა დიდი საქმეაო. თუმცა აღნიშნულ საზოგადოებას ამ მუდმივი ხარჯის გაღება წლების განმავლობაში საკმაოდ გაუჭირდებოდა. ამის გამოც დიდხანს შეუსრულებელი რჩებოდა ქედაში სასოფლო სკოლის გახსნის დიდი მოთხოვნილება, რომელიც დაწყებით განათლებას გაავრცელებდა მთელს იმ მხარეში. საბოლოოდ, ქედაში სასოფლო სკოლა გაიხსნა 1900-იანი წლების დასაწყისში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 2008: 535). მოსახლეობისთვის თავიდან ძალზე სასიხარულო იყო მისი გახსნა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ შეიცვალა მათი დამოკიდებულება ამ სკოლისადმი. აქ მასწავლებელი რუსულად ასწავლიდა მოსწავლეებს, ადგილობრივმა ბავშვებმა კი სიტყვაც არ იცოდნენ რუსული. მათთვის გაუგებარმა სწავლებამ ბევრს აუცრუა სწავლაზე გული. 1904 წლისთვის ამ სკოლაში გამართულ გამოცდაზე 12 ბავშვიდან მხოლოდ ერთი იყო აჭარელი, დანარჩენები ბერძნები და სომხები, სხვები კი გამოცდაზე გასასვლელად არ იყვნენ მზად. ამას იტყობინებოდნენ გაზეთ ივერიაში, 1904 წლის 164-ე ნომერში. ეს კი ქედაში სახალხო სკოლის გახსნას აზრს უკარგავდა...

ქედასთან შედარებით კი ქობულეთში სასოფლო სკოლის გახსნისთვის უკეთესი პირობები იყო: აქ ცხოვრობდნენ ცნობილი აჭარელი მოღვაწეები, მოსახლეობას მეტი მატერიალური შესაძლებლობა გააჩნდა და დაბა ახლოს იყო ბათუმთან, სადაც საზოგადოება განათლების კერების სასარგებლოდ მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებას

აწყობდა ხოლმე. მოსახლეობას ქობულეთის მხარეში განათლების მიღების დიდი სურვილი ჰქონდა. არა მარტო დაბა ქობულეთში, არამედ მის მეზობელ სოფლებშიც კი სურდათ სკოლის გახსნა. სოფელ ღელვაში ხალხმა მოინდომა სკოლის გახსნა, ხოლო მისმა მამასახლისმა ხალხის ეს სურვილი გააცნო იქ ჩასულ ზაქარია ჭიჭინაძეს. ამასობაში კი, 1880-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ფინანსური კრიზისი დაუდგა, ბათუმის ქართულ სკოლაში მაჰმადიან მოსწავლეთა რიცხვი შემცირდა და ამ სკოლის გაუქმების საკითხიც დადგა. ქობულეთის საზოგადოებამ მაშინ დაიწყო თავისი სურვილის გამოთქმა და მოწოდება, რომ ბათუმის სკოლა ქობულეთში გადაეტანათ, ან მსგავსი ახალი გაეხსნათ. ამისთვის დაიწყეს ქობულეთში და სხვადასხვა ადგილას თანხების შეკრება, რომელთა ნაწილიც გადასცეს აღნიშნულ საზოგადოებას შესანახად. ადგილობრივი მოღვაწეები და განათლების მუშაკები სახავდნენ გზებს ქობულეთში ქართული სკოლის გასახსნელად, მაგრამ ამ საზოგადოების შეკრებაზე წევრებმა შესაძლებლად ვერ დაინახეს ქობულეთში სკოლის გახსნა. ამ საქმის შეფერხების დროს ქობულეთში სკოლის გახსნის სურვილი გამოუთქვამს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ინსპექტორს, არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძეს, რაც არ განხორციელებულა. მაშინ, 1893 წელს, ადგილობრივმა მოღვაწეებმა მთავრობის მოხელეებს მიმართეს, რომ იქ სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლა გახსნილიყო. ქობულეთში სკოლის გახსნის საკითხი მომწიფებული იყო. ქობულეთის მხარის, იგივე კინტრიშის ხეობის მრავალ სოფელში იყო ქობულეთში სკოლის გახსნის სურვილი. ბათუმის მაზრის უფროსმა ზაიგინმაც ყურადღება მიაქცია ამ საკითხს, მიმართვისთანავე ჩავიდა ქობულეთში, მოიწვია დაბის მოსახლეობის წარმომადგენლები. მოსახლეობის შეკრებაზე განიხილეს სკოლის გახსნის საკითხები. ხალხის უმეტესობა სკოლის გახსნის მომხრე იყო. ზოგიერთები უსახსრობას იმიზეზებდნენ, მეჩეთი ვერ გაგვიხსნია და რა დროს სკოლააო. ნაწილი კი ეჭვს გამოთქვამდა, რომ ამ სკოლაში ბავშვები უნდა გაგვირუსონო. მაგრამ მრავალი გაუგებრობის გარკვევის შემდეგ, სკოლის სასარგებლოდ გულო-აღა კაიკაციშვილის მიერ 500 მანეთიანი მიწის ნაკვეთის შეწირვის შემდეგ, სკოლის გახსნის მოწინააღმდეგენიც დათანხმდნენ მის გახსნას [“ივერია”, 1890, #142, გვ. 1; 1891, #162, გვ. 2-3; 1892, #144, გვ. 2-3].

მოსახლეობის შეკრებაზე ქობულეთში დაწყებითი სამეურნეო სკოლის გახსნის გადაწყვეტილება მიიღეს. ხალხის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩვენ თურქები არა ვართ, როგორც ზოგიერთები გვთვლიან, ქართველები ვართ და ვითხოვთ ქართული ენის სწავლებას სკოლაშიო. იქ კი უნდა ესწავლათ ბავშვებს ქართული, რუსული და თურქული ენები, ხოლო საგნების უმეტესობა - რუსულად. ხოჯას მაჰმადის რჯული უნდა ესწავლებინა მოსწავლეთათვის. ამ შეკრებაზე, საბოლოოდ, ერთხმად გადაწყდა ქობულეთის სკოლის გახსნა. ამის შესახებ იტყობინებოდა გაზეთ ივერიის 1893 წლის 198-ე ნომერი. სკოლაში უნდა ყოფილიყო პანსიონიც, სადაც მახლობელი სოფლებიდან მოსულ ბავშვებს შეეძლებოდათ დარჩენა. სკოლასთან უნდა გაეშენებინათ ბაღი, რაც სასოფლო-სამეურნეო სწავლებისას უნდა გამომდგარიყო. მთავრობამ სკოლის მუდმივი ხარჯების დიდი ნაწილის გადახდა გადაწყვიტა, რასაც თავის თავზე ვერ აიღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ადგილობრივ მოსახლეობასა და საზოგადოებას კი სკოლის შენობის აშენება უნდა უზრუნველყო. მოსახლეობას ამდენი საშუალება არ გააჩნდა, ხოლო ზაიგინმა დიდი ინიციატივა და დახმარების სურვილი გამოიჩინა სკოლის ასაგები სახსრების შესაგროვებლად. მისი თაოსნობით ბათუმში თეატრალური წარმოდგენა გაიმართა, რომელსაც მაყურებელი დიდი რაოდენობით დაესწრო და სუფთა შემოსავალი დარჩა 525 მანეთი. ქობულეთის სკოლის ასაშენებლად შეიქმნა კომიტეტი, რომელიც სხვადასხვა გზით კრებდა თანხებს. ქართველი საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით ჩაება ამ კამპანიაში და დიდ დახმარებას უწევდა მას. ამისთვის შესაწირავებს უცხოელებიც კი გაიღებდნენ ხოლმე. სკოლისთვის დიდი შენობის აგებას აპირებდნენ, რომელიც უნდა დამჯდარიყო 15 ათასი მანეთი. მოსახლეობა კი დიდი სიამოვნებით ეზიდებოდა შეწირულ თუ შეძენილ მასალას და მის მშენებლობაშიც მონაწილეობდა. ამის შესახებ ცნობა გვხვდება გაზეთ ივერიაში, 1894 წლის 77-ე ნომერში. ქართველი საზოგადოება დიდი ხალისით ერთვებოდა ქობულეთის სკოლის მშენებლობის საქმეში. ისინი დიდ ფუნქციას ანიჭებდნენ დაწყებითი განათლებისა და სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში. ხოლო ქართული წერა-კითხვის შეთვისებითა და დაწყებითი განათლების მიცემით ხალხში უნდა ამაღლებულიყო ეროვნული ცნობიერება; ამ მხარის მოსახლეობა დაუახლოვებოდა დანარჩენ ქართველობას. მასწავლებელს

საზოგადოებრივი მოღვაწეობაც უნდა დაეწყო, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ადვილად შესჩვეოდა.

როგორც ჩანს, ადგილობრივი მოხელეებისა და მოღვაწეების დიდი შრომით 1892 წელს ხულოშიც გახსნილა სახელმწიფო სასოფლო სკოლა, რომელიც 1899 წელს 2 კლასიან სკოლადაა მოხსენებული ადგილობრივ კორესპონდენტ ა. მელაძის მიერ [“ივერია”, 1899, #203, გვ. 1-3]. ხულო ზემო აჭარის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, და ადგილობრივი მთავრობაც მეტად იზრუნებდა აქ სკოლის გახსნაზე.

აჭარის სხვა სოფლებშიც იხსნებოდა სასოფლო სკოლები: 1885 წელს - სოფელ ახალშენში, 1886 წელს - აჭყვაში, 1890 წელს - დაგვაში, 1900-1905 წლებში კი ორთაბათუმში, აჭში, ქედასა და კვირიკეში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 2008: 535).

როგორც საქართველოს მასშტაბით მოღვაწე, ასევე ადგილობრივი საზოგადოებაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აჭარის სოფლებში სკოლების გახსნას. სკოლების მეშვეობით ფართოდ გავრცელდებოდა მოსახლეობაში განათლება. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამ სკოლების საქმიანობა აჭარის მომავალ თაობებს უფრო მჭიდროდ დაახლოვებდა მთელს ქართველობასთან, ეროვნულ თვითშეგნებას განამტკიცებდნენ მათში. ამითი კი თანდათანობით დაიძლეოდა ოსმალეთიდან მოსული მოღვაწეებისა და ხოჯების მიერ ხალხში რელიგიური ფანატიზმის გავრცელება, და საქართველოს საბოლოოდ დაუბრუნდებოდნენ მისი დიდი ხნით დაკარგულ შვილები. სახელმწიფო სკოლების გახსნა აჭარაში 80-90-იან წლებში მით უფრო იყო საჭირო და საჩქარო, რომ აჭარის რუსეთის საზღვრებში მოხვედრის შემდეგ იქ დიდი რაოდენობით შედიოდნენ ოსმალეთში განათლებამიღებული მოღვაწეები და ხოჯები. ისინი ხალხში ავრცელებდნენ მაჰმადიანურ ფანატიზმს, რომელიც ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის სამსახურში იყო ჩაყენებული; ასწავლიდნენ თურქულ ენასა და წერა-კითხვას მეჩეთებთან გახსნილი სკოლების მეშვეობით და უშლიდნენ ქართული წერა-კითხვის შეწავლას ხალხს. ამით აღნიშნული სასულიერო პირები სამომავლოდ გათურქების საფრთხეს უქმნიდნენ ქართველ მოსახლეობას (თუმცა აჭარაში ამის საშიშროება უფრო ნაკლებად იყო, ვიდრე მის სამხრეთით მდებარე ქართულ კუთხეებში).

აჭარის სოფლებში XIX საუკუნის ბოლოსთვის გახსნილი სასოფლო სკოლები ძალზე არასაკმარისი იყო და მოსახლეობის მხოლოდ მცირე რაოდენობას აძლევდა განათლებას. მაგრამ აქ განათლებამიღებულები უფრო აქტიურად გადიოდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე და ცოდნის მიღების სურვილს აძლიერებდნენ ხალხში. ეს სკოლები მეზობელი სოფლებისთვისაც საინტერესო და სასურველი ხდებოდა. სასოფლო სკოლების მასობრივად გახსნისთვის კი საშუალება არ გააჩნდა ოსმალთა ბატონობის შედეგად გაღარიბებულ და მრავალ სფეროში ჩამორჩენილ მოსახლეობას.

აჭარის ადგილობრივი მოღვაწეები ხალხს უხსნიდნენ განათლების, სკოლების გახსნის მნიშვნელობას. ისინი მათი გახსნისთვის დახმარებას სთხოვდნენ ქართველ საზოგადოებას. ხალხიც უფრო და უფრო უკეთესად ხვდებოდა განათლების მნიშვნელობას. მაგრამ ამ სკოლების გახსნის შესაძლებლობა არ იყო აჭარის სოფლების უმრავლესობაში ძირითადად სიღარიბის გამო. ხოლო სათანადო შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი მოღვაწეები თვითონ ცდილობდნენ კერძო სკოლების გახსნას ან მასწავლებლის მიწვევას გარკვეული ხნით. მაგალითად, როდესაც მარადიდში სკოლა რუსი მასწავლებლის ყოფნის დროს ფაქტიურად ვერაფერს ასწავლიდა ბავშვებს და შემდეგ დაიხურა, ახმედ-ეფენდი ხალვაშის ოჯახმა მოგვიანებით კერძოდ მიიწვია მასწავლებელი. მასწავლებელთან ხალვაშების სანათესავოს ბავშვები სწავლობდნენ ქართულ წერა-კითხვას და მცირეოდენ განათლებასაც ღებულობდნენ. ხოლო ქედაში მცხოვრებ აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს მიწვეული ჰყავდა მასწავლებელი, რომელიც თვეების განმავლობაში ასწავლიდა აბდულ-ბეგის შვილებსა და იმავე სოფლის ბავშვებს [“ივერია”, 1893, #15, გვ. 3; #183, გვ. 2-3]. სწავლების დროს მასწავლებელმა თბილისიდან დაიბარა რამდენიმე ცალი “დედაენა”. ამგვარი სწავლება, ცხადია, ვერ ცვლიდა სკოლას, მაგრამ უსკოლობის პირობებში მინიმალურად მაინც აძლევდა ბავშვებს საჭირო ცნობებს საქართველოს ცხოვრებაზე. ასეთი სწავლის შემდეგ მათ უფრო გაუადვილდებოდათ ქალაქების სკოლებში ან სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება.

აჭარაში 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისას მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას შეადგენდა ქართველობა. 80-იანი წლებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველებმაც დაიწყეს ქალაქ ბათუმში ჩასახლება. ამდენად, აჭარის

ქართველი მოსახლეობის განათლების საკითხი ქართველი საზოგადოების წინაშე თავიდანვე ძალზე აქტუალური იყო. აჭარის მოსახლეობის განათლების საკითხი ძალზე მკაფიოდ დააყენა გაზეთ დროების რედაქტორმა სერგეი მესხმა, რომელმაც თავის გაზეთში 1878 წლის ივლისში, 146-ე და 147-ე ნომერში გამოაქვეყნა სტატია “ახალი მოვალეობა”. აქ მან ომის შედეგად დაბრუნებულ მაჰმადიან ქართველებთან დაახლოების უმთავრეს გზად დასახა განათლება. ეს კი ასე აკლდა და აწუხებდა თვით აჭარის მოსახლეობას. აჭარელთა ეს წუხილი და მოძმე ქართველებთან დაახლოების სურვილი გამოხატა შერიგ-ბეგ ხიმშიაშვილმა: “განათლებაი ეჭირვება, ბატონებო იმათ. ამდონი ახალგაზრდა კაცები ხართ განათლებულები, წადით, გეიცანით, ზოგიერთი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა. აბა როგორი ძმა ხართ, თუ ასე აბდღურად დასტოვთ?” ს. მესხმა ამ მოწოდების შემდეგ დააყენა საკითხი, რომ აჭარის ქართველ მაჰმადიანებთან დაახლოების ყველაზე ეფექტური საშუალება იქნებოდა მათ შორის განათლების გავრცელება სახალხო სკოლების მეშვეობით. ეს სკოლები უნდა გახსნილიყო მთავრობის მიერ და ძირითადად შენახულიყო იმ სახსრებით, რასაც ხელისუფლება დაბრუნებულ მხარეში მიიღებდა შემოსავლის სახით. ამ სკოლებში სწავლა ხალხისთვის მშობლიურ, ე. ი. ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო. ასე ხდებოდა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებში მის ხელმძღვანელ სტრელეცკის მმართველობის დროს. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები უნდა მომზადებულიყვნენ საქართველოს საშუალო სასწავლებლებში: თბილისისა და გორის სამასწავლებლო ინსტიტუტებში და თბილისისა და სამომავლოდ ქუთაისში გასახსნელ სასულიერო სემინარიაში. ხოლო ამ სკოლებისთვის ქართული სახელმძღვანელოებისა და საკითხავი ლიტერატურის გამოცემასა და მიწოდებაზე უნდა ეზრუნა ქართველ ინტელიგენციას. ეს ლიტერატურა ხალხში უფასოდ ან მცირე ფასად უნდა დარიგებულიყო.

მართლაც, აჭარელი მოსახლეობა მხარეში სამომავლოდ გასახსნელ სკოლებში ქართულენოვანი განათლების გავრცელებით საქართველოს წარსულისა და თანამედროვეობის შესახებ საკმაო წარმოდგენას მიიღებდა. ეს მათი მთელს ქართველ ხალხთან დაახლოების საუკეთესო საშუალება იქნებოდა. სერგეი მესხის აღნიშნული გეგმა საკმაოდ მოხერხებულად და გააზრებით იყო შედგენილი. მხარეში მთავრობის მიერ

სახალხო სკოლების გახსნა, სადაც მშობლიურენოვანი სწავლება იქნებოდა, რეალობას არ იყო მოკლებული. იმ ხანად ჯერ საყოველთაო სავალდებულო წესით არ მიმდინარეობდა მშობლიური ენის გამოდევნა კავკასიის სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებიდან. ამ დაწესებულებებში ქართული ენის დევნა ცალკეულ მოხელეებზე იყო დამოკიდებული. ხოლო მოხელეთა ნაწილი არ უშლიდა სასოფლო სკოლებში სწავლის მშობლიურ ენაზე წარმართვას და შემდეგ რუსული ენის შესწავლას.

განათლების გზით აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობისა და მთელი ქართველი ხალხის დაახლოების აზრს იზიარებდნენ სხვა ქართველი მოღვაწეებიც. ისინი გაზეთებშიც გამოთქვამდნენ ამგვარ აზრს, რაც საზოგადო აზრად ყალიბდებოდა საქართველოში. ხოლო აჭარაში რუსული მმართველობის დამყარებისა და ადგილობრივი ვითარების გაცნობის შემდეგ ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა დაიწყეს ფიქრი და მზადება ბათუმში ქართველთათვის სკოლის გასახსნელად.

საგანმანათლებლო ვითარება საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისთვის საგრძნობლად იცვლებოდა. განათლების სფეროში ამ დროს შესამჩნევად გააქტიურდნენ იმპერიულად განწყობილი მოხელეები. ისინი სასწავლო დაწესებულებებს მიზნად უსახავდნენ კავკასიელი ხალხების მომავალი თაობების გარუსებას. მათი გარუსება უნდა მომხდარიყო სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებიდან მშობლიური ენის გამოდევნისა და სავალდებულო რუსულენოვანი სწავლების დაწესების გზით. ხოლო კავკასიის სასწავლო ოლქის ახალ მზრუნველ კირილ იანოვსკის სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც 1881 წელს ამოქმედდა, სახელმწიფო სასოფლო სკოლებში მშობლიური ენა არარუსი მოსწავლეებისთვის უნდა შესწავლილიყო მხოლოდ სწავლის პირველ წელს. პირველივე წელს, მეორე სემესტრში რუსული ენის შესწავლა უნდა დაეწყოთ. მეორე წლიდან უნდა ამოდებულიყო მშობლიური ენის სწავლა და სწავლება რუსულ ენაზე უნდა გადასულიყო, ბავშვებს ის ესმოდათ თუ არა. ეს გეგმა მოგვიანებით გავრცელდა სხვა კატეგორიების სასწავლო დაწესებულებებზეც. ამდენად, რუსეთის სახელმწიფო განათლების კერები ვეღარ შეასრულებდა ქართველი საზოგადოების ერთ-ერთ მიზანს - აჭარაში ქართულენოვანი განათლების გავრცელებასა და დაბრუნებული მოძმეების დაახლოებას ქართველ ხალხთან.

მშობლიურენოვანი სკოლების გასახსნელად 1879 წელს შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მან მიზნად დაისახა თავისი სკოლების გახსნა საქართველოში და მის გარეთაც. ამ საზოგადოებამ ბათუმში ვითარების შესწავლა დაიწყო 1880 წლიდან, გაგზავნა თავის წევრები: ნიკო ცხვედაძე და გიორგი წერეთელი. მათ გაიცნეს ბათუმის ქართველი მაჰმადიანების წამყვანი მოღვაწეები, ასევე, ბათუმის გუბერნატორი კომაროვი. მათგან ბათუმში დასახელებული საზოგადოების სკოლის გახსნის საქმეში მხარდაჭერა მიიღეს. კომაროვი, როგორც ჩანს, დაინტერესდა ქართული სკოლის გახსნით. აღნიშნული საზოგადოების წევრები გახდნენ გუბერნატორი და მისი მეუღლე. კომაროვი ქართველ მოღვაწეებს დაჰპირდა კომიტეტის შექმნას სკოლის შემოსავალ-გასავალზე კონტროლის დაწესების მიზნით. კომიტეტის თავმჯდომარეს წელიწადში უნდა მოეწყო სკოლის სასარგებლოდ 2 თეატრალური წარმოდგენა და 1 ლატარია-ალეგრი. ამის შესახებ მკითხველს აუწყებდა გაზეთ დროების 1880 წლის 140-ე ნომერი. აღნიშნული საზოგადოების წარმომადგენლების ენერგიული მოღვაწეობით, ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა მხარდაჭერითა და კომაროვის ყურადღების მოპოვების შემდეგ ბათუმში 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა.

ბათუმის ქართული სკოლა 4 წლიანი იყო, სადაც სწავლა მიმდინარეობდა ქართულად პირველი და მეორე წლის განმავლობაში, მესამე და მეოთხე წელს - რუსულადაც. სკოლის გეგმა ითვალისწინებდა ქართული ენის კარგად ათვისებას და რუსული ენის გააზრებულად შესწავლას. ეს პედაგოგიურადაც გამართლებული და ეფექტურიც იყო. სკოლა მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით საკმაოდ იყო უზრუნველყოფილი. სკოლის წლიური გასავალი იყო 1200 მანეთი. აქედან მასწავლებელს უხდიდნენ 800 მანეთს, მაჰმადიანური რჯულის მასწავლებელ მოლას - 240 მანეთს. ეს იმ დროისათვის საკმაოდ კარგ ხელფასებს წარმოადგენდა. მასწავლებელი არა მარტო სასწავლო საქმიანობით უნდა ყოფილიყო დაკავებული, არამედ საზოგადოებრივი მოღვაწეობაც დაეწყო. იგი უნდა დაახლოვებოდა ხალხს, ნდობა მოეპოვებინა მათში. მას თავისი მოქმედებითა და პირადი საუბრებითაც უნდა გაექარწყლებინა ეჭვები და გაუგებრობები ხალხში. საქართველოს მოსახლეობაში გარკვეული ცრურწმენები ჯერ კიდევ

60-70-იან წლებში არსებობდა სკოლებთან დაკავშირებით. აჭარლებს შორის კი ზოგიერთი მოლის მიერ ვრცელდებოდა ჭორები, რომ აღნიშნულ სკოლაში მიყვანილ მაჰმადიან ბავშვებს გააქრისტიანებდნენ. პირველი მასწავლებელი იყო ალექსანდრე ნანეიშვილი, რომელიც მცირე ხნის შემდეგ შეცვალა უფრო გამოცდილმა და ალლოიანმა პედაგოგმა მოსე ნათაძემ. მ. ნათაძემ ახლო ურთიერთობა დაამყარა ადგილობრივ მაჰმადიანებთან. ის თავისი თავდაუზოგავი პედაგოგიური საქმიანობითა და ტაქტით, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწეობით მალევე გახდა პოპულარული მოსწავლეებს შორის და ხალხში. ამას აღიარებდა თვით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სკოლის რევიზიის შემდეგ [სეა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. #33, ფ. 175-176], რაც სკოლის წარმატების საფუძველი იყო [“დროება”, 1880, #146, გვ. 1-2; 1882, #270, გვ. 3-4; “ივერია”, 1891, #2, გვ. 3].

ბათუმის ქართულ სკოლას თავიდან სირთულეების გადალახვა მოუწია. მას კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა თავს ახვევდა იანოვსკის მიერ შემოღებულ ახალ სასწავლო გეგმას. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი მის გახსნამდე, 1880 წლის 23 დეკემბერს #7632-ით სწერდა აღნიშნული საზოგადოების ხელმძღვანელ ილია ჭავჭავაძეს, რომ ბათუმში გასახსნელ სკოლაში რუსული ენის სწავლება უნდა დაწყებულიყო პირველი წლის მეორე სემესტრიდან. ხოლო საგანგებო განკარგულებამდე სკოლა სასწავლო-აღმზრდელობით საკითხში უნდა დაქვემდებარებოდა ბათუმის მხარის სამხედრო გუბერნატორს [სეა, ფონდი #481, აღწერა 1, საქ. #33, ფ. 17]. რუსული ენის თავიდანვე სწავლებას მოითხოვდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კომაროვიც [სეა, ფონდი #481, აღწერა 1, საქ. #33, ფ. 24, 44]. მაგრამ ამ საზოგადოების პრინციპულობით შენარჩუნდა მისი სასწავლო გეგმა, ე. ი. ქართულენოვანი რჩებოდა კვლავ.

სკოლაზე მზრუნველებს დიდი ახსნა-განმარტება სჭირდებოდათ ქართველ მაჰმადიანებთან, რომლებიც ხანდახან ანტიქართულად განწყობილი მოლების გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. 1882 წლის დასაწყისისთვის მაჰმადიანმა მოსწავლეებმა შეწყვიტეს სიარული ბათუმის ქართულ სკოლასა და საქალაქო სასწავლებელში, რადგან ერთ-ერთ მოლას ხმები გაეცრცელებინა ხალხში, თქვენს შვილებს გააქრისტიანებენ და

საღდათად წაიყვანნო. ამ ჭორების გაქარწყლებას სკოლის მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწეების მხრივ სერიოზული საუბარი დასჭირდა მაჰმადიან მოსახლეობასთან. ამის შემდეგ აჭარლებმა მალევე მიიყვანეს თავისი შვილები სასწავლად (კომახიძე 1996: 6-7). თავიდან აქ საშუალოდ სწავლობდა 30-40 მოსწავლე და მეტი, რომელთაგან მრავალი მაჰმადიანი იყო. 1883 წელს სკოლაში სწავლობდა 60-მდე მოსწავლე, რომელთა შორისაც თითქმის ნახევარი იყო მაჰმადიანი. მაჰმადიანი მოსწავლეების სკოლაში სიარულის შეფერხებები ხდებოდა სხვადასხვა სიტუაციებში: ზოგიერთი მოლის მხრივ სკოლის საწინააღმდეგო ქადაგების ან ჭორების გავრცელების გამო, სკოლიდან მაჰმადიანური სჯულის მასწავლებელი ხოჯის დროებით დათხოვნის გამო ან აქაური ხოჯის სხვა ხოჯებთან წინააღმდეგობის გამო. მაგრამ მაჰმადიანი მოსწავლეების სწავლის შეწყვეტა დროებითი იყო ხოლმე და გარკვეული ხნის შემდეგ (ძირითადად, თვეების შემდეგ) კვლავ მიდიოდნენ სკოლაში სასწავლად. მთლიანობაში, ქართველი მაჰმადიანები ნდობითა და პატივისცემით იყვნენ განწყობილნი ბათუმის ქართული სკოლის მიმართ და თავიანთ სკოლად მიაჩნდათ. ამ სკოლის მნიშვნელობა მათაც კარგად ესმოდათ. “ჩვენი შვილების და ქრისტიანების ერთათ სწავლა არის დასაწყისი იმ მომავალი ურთი ერთ შორის დაკავშირებისა, რომელიც წმინდა ალახმა მოგვანიჭა ჩვენ ჩვენდა სასიქადულოთ” - სწერდა აღნიშნული საზოგადოების გამგეობას ბათუმის ქართულ სკოლაზე მზრუნველი იბრაჰიმ ბეგ აბაშიძე [სია, ფონდი 481, აღწ. 1, საქ. #33, ფურც. 200]. საუკუნის დასასრულისთვის აქ ან იზრდებოდა მაჰმადიან მოსწავლეთა რიცხვი, ან არ კლებულობდა [“დროება”, 1882, #9, გვ. 2; 1883, #121, გვ. 2; “ივერია”, 1886, #282, გვ. 2-3; 1893, #153, გვ. 3; 1894, #125, გვ. 3].

სკოლის მასწავლებლისა და მასზე მზრუნველების მოღვაწეობის შედეგად მალევე გამოჩნდა ბათუმის სკოლის წარმატება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შეფასების მიხედვით, “სკოლას დაუმსახურებია თანაგრძნობა მაჰმადიან და მართლ-მადიდებელ საზოგადოებისა, რომელიც უჩენს მას ყოველ გვარს შემწეობას. ეს გარემოება აიხსნება მხოლოდ იმ სარგებლობით, რომელიც მოაქვს სკოლას და რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სკოლის პროგრამასთან, მასწავლებლის ბეჯითობასთან და თვით საზოგადოების მეცადინეობასთან, პროგრამა კი სკოლისა სდგას ნამდვილს პედაგოგიურ პრინციპზე, რომელიც შეადგენს სკოლის წარმატების უმთავრესს პირობას.

თითქმის ნახევარს მოსწავლეთა რიცხვისას ბათუმის სკოლაში შეადგენენ მაჰმადიანთა ქართველთა შვილები”. ეს ცნობა დაიბეჭდა გაზეთ დროებაში 1883 წლის 229-ე ნომერში.

კარგად დაწყებულმა სწავლამ და საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობამ ბათუმის ქართულ სკოლას მალევე მოუპოვა პოპულარობა ქართველ საზოგადოებაში, მათ შორის მაჰმადიანებშიც. დასახელებული საზოგადოების წევრებად მალევე ჩაეწერა 14 კაცი, მათ შორის რამდენიმე მაჰმადიანიც. წევრებს შორის იყო ახალგაზრდა ოფიცერი და შემდეგ ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი [სეა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. #33, ფურც. 184], მოგვიანებით კი ბათუმის ქართული სკოლის სამზრუნველოს მდივანი. ქართველმა მაჰმადიანებმა სკოლისთვის დახმარება გადაწყვიტეს და მოინდომეს მისთვის მომავალი შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის შეწირვა. მათ ნაკვეთი მთავრობისგან უნდა ძველად არსებული მაჰმადიანური სასწავლებლის შენობის დანგრევისა და მისი მიწის მითვისების სანაცვლოდ. ამისი მიღების უფლება მათ მიანიჭეს აღნიშნულ საზოგადოებას, რომელიც 1882-1883 წლებში ცდილობდა მთავრობისგან ან მიწის ნაკვეთის, ან მისი სანაცვლო თანხის მიღებას. ეს საკითხი სახელმწიფო უწყების სასარგებლოდ გადაწყვიტეს და სკოლამ მიიღო 7200 მანეთი მიწის ნაკვეთის ნაცვლად. თუმცა ბათუმში მრავალი მიიჩნევდა, რომ დასახელებულმა საზოგადოებამ სათანადოდ ვერ დაიცვა მიკუთვნებული ქონება და ბევრად მეტი თანხა უნდა მიეღო საკომპენსაციოდ [“დროება”, 1883, #3, გვ. 3; #151, გვ. 2-3; #167, გვ. 1-3; #168, გვ. 2-3; 1885, #145, გვ. 1-3; “ივერია”, 1888, #273, გვ. 2].

ბათუმის ქართული სკოლის მხარდაჭერისა და მისთვის დახმარების გამოხატულება იყო აქაურ სცენის მოყვარეთა დასის მიერ სისტემატიურად დადგმული სპექტაკლები სკოლის სასარგებლოდ. სპექტაკლები 1883 წლიდან იმართებოდა და 80-იანი წლების შუა ხანებიდან ყოველ წელს თითქმის ორჯერ ან უფრო ხშირადაც იდგმებოდა. ამით ადგილობრივი თეატრის ჩამოყალიბება და განვითარება ხდებოდა და თან საზოგადოებას აჩვენებდნენ სკოლაზე ზრუნვის მაგალითებს. ხალხი ხშირად სკოლის მხარდაჭერისა და დახმარების მიზნითაც ესწრებოდა აღნიშნულ დადგმებს, რითაც საკმაო თანხა შესდიოდა სკოლას. ბათუმის ქართული სკოლის დიდი გულშემმატკივარი და მზრუნველი იყო ბათუმის პოლიცემისტერ დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი. იგი თავს უყრიდა ქართველ საზოგადოებას აღნიშნულ სკოლაზე ზრუნვის საქმეში (კლდიაშვილი 1984: 22).

ბათუმის ქართულ სკოლას განაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მთელი ქართველი საზოგადოება. 1883 წელს ის უნახულებია გაბრიელ იმერთა ეპისკოპოსს, მაგრამ მოსწავლეები აღარ იყვნენ გაკვეთილების დამთავრების გამო. მან მოისმინა მასწავლებლის საუბარი სკოლის წარმატების შესახებ და მოიღო ლოცვა-კურთხევა იქ დამსწრეებზე... [სეა, ფონ. 481, აღწ. 1, საქ. #33, ფურც. 209].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 1880-იანი წლების შუა ხანებიდან დაუდგა ფინანსური კრიზისი, რის გამოც მას გაუჭირდა ბათუმის სკოლისთვის ყოველწლიურად 1200 მანეთის და მეტის გადახდა. 1887 წელს საზოგადოების შეკრებაზე დადგა ამ სკოლის გაუქმების საკითხი. მაგრამ მისი თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძისა და საზოგადოების წევრთა უმეტესობის გადაწყვეტილებით სკოლა შენარჩუნებული იქმნა, რის შესახებაც ცნობა გამოქვეყნდა 1887 წელს გაზეთ ივერიის 103-ე ნომერში. მხოლოდ ფიქრობდნენ მისი ხარჯების შემცირებას. ი. სვიმონიძე წერდა იმავე გაზეთში, 1892 წლის 85-ე ნომერში, რომ ის ვერ ამართლებდა თავის დანიშნულებასა და ხარჯებს სკოლაში რამდენიმე წლის განმავლობაში მაჰმადიან მოსწავლეთა სიმცირის გამო. გაზეთის ბათუმელი კორესპონდენტი აღნიშნავდა 1887 წლის 38-ე ნომერში, რომ სჯობდა, ამ თანხით დასახელებულ საზოგადოებას სახელმძღვანელოები ებეჭდაო.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის ქართველი საზოგადოება გააქტიურდა აღნიშნული სკოლის მზრუნველობის საქმეში. მათ დაიწყეს მრავალმხრივი მოღვაწეობა სკოლისთვის სახსრების მოსაგროვებლად. პირველ რიგში, უნდა შეეკრიბათ რჯულის მასწავლებელი მოლისთვის გადასახდელი ხელფასის თანხა. ფინანსური გაჭირვების გამო მოლის დათხოვნის შემდეგ, 80-იანი წლების მეორე ნახევარში სკოლაში შემცირდა ან დროებით შეწყდა კიდევ მაჰმადიან მოსწავლეთა სიარული. სკოლის მატერიალურად უზრუნველყოფისთვის 1880-იანი წლების მეორე ნახევრიდან გააძლიერეს მოღვაწეობა თეატრალური სპექტაკლების, მუსიკალური სადამოების, ლატარია-ალეგრების მოსაწყობად, თანხების შეგროვებისთვის ხელმოწერების გასამართად. ამ საქმიანობის შედეგიც მალევე გამოჩნდა. ამ ღონისძიებებში დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ადგილობრივი საზოგადოება, შემოქმედებითი ინტელიგენცია და ხალხი. მათ შორის იყვნენ რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების ადამიანებიც. ქართველი საზოგადოების თხოვნით

რუსი ან ევროპელი მუსიკოსები, საცირკო დასის ხელმძღვანელები ხან თავიანთი სადამოების შემოსავლის ნაწილს შესწირავდნენ ხოლმე ბათუმის ქართულ სკოლას [“დროება”, 1885, #142, 179, გვ. 2; “ივერია”, 1886, #282, გვ. 2-3 1887, #199, გვ. 2; #220, გვ. 1-2]. ბათუმში 1889 წელს ადგილობრივი საზოგადოების მიერ მოწყობილი იქნა დიდი ლატარია-ალეგრი, საიდანაც სუფთა შემოსავალი დარჩა 1522 მანეთი. მასში მონაწილეობა მიიღეს არაქართველმა მოქალაქეებმაც. ამის შესახებ იწერებოდნენ გაზეთ ივერიაში, 1889 წლის 229-ე და 234-ე ნომრებში. ილია ჭავჭავაძემ მაღლობა გადაუხადა ამავე გაზეთში ლატარია-ალეგრის მომწყობებს, დამხმარეებსა და მონაწილეებს ამ გრანდიოზული ღონისძიების გამო.

ბათუმის ქართული სკოლის დიდ მნიშვნელობას აღიარებდნენ და მხარს უჭერდნენ, შეძლებისგადვარად ეხმარებოდნენ კიდევ საქართველოს სხვა მხარეებიდან და უცხოეთიდანაც. 1887 წელს პარიზიდან ქართველი სტუდენტების ჯგუფმა ამ სკოლის სასარგებლოდ გამოაგზავნა 15 მანეთი. ქართველობას ბათუმის ქართული სკოლისადმი ისეთი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, რომ მისთვის დახმარების გაწევის სურვილი უჩნდებოდათ ბათუმში მყოფ ან ჩასულ სხვადასხვა ეროვნების მოღვაწეებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, საწარმოების მმართველებსა და ა.შ. ისინი თავისი წარმოდგენების შემოსავლებიდან და მოგებებიდან თანხებს სწირავდნენ აღნიშნულ სკოლას და მის საქმიანობას მხარდაჭერას უცხადებდნენ. ბათუმში წარმოდგენებს მართავდნენ თბილისის, ქუთაისის თეატრალური დასები, ცნობილი ქართველი მუსიკოსები. ისინი ამ წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავლების ნაწილს აღნიშნული სკოლის სასარგებლოდ გაიღებდნენ ხოლმე. ბათუმის ქართულ სკოლაზე მზრუნველობის ამსახველ ცნობებს ხალისით ბეჭდავდნენ ხოლმე გაზეთები: დროებაც (1885 წლის 142-ე ნომერი) და ივერიაც (1887 წლის მე-5 ნომერი, 1888 წლის 265-ე ნომერი, 1889 წლის 67-ე და 96-ე ნომერი, 1891 წლის 222-ე ნომერი).

ბათუმის ქართველი საზოგადოება თავისი ენერგიული მოღვაწეობით არა მარტო აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფდა ქართულ სკოლას, არამედ დაიწყეს თანხების შეგროვება მისთვის საკუთარი სასკოლო შენობის ასაშენებლად. 90-იან წლების დასაწყისში სკოლის შენობის ასაგებად ბათუმის მთელმა ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო მოძრაობა,

შექმნეს საამისოდ კომიტეტი. მათ შეუერთდნენ სხვა ეროვნების მოღვაწეებიც და მცირე ხანში დიდი თანხები მოგროვდა ამისთვის. 1893 წელს ცნობილმა მოღვაწეებმა დიდი თანხები გაიღეს, ხოლო ხალხმა მასიურად საკმაო თანხები შესწირა ამ საქმეს. ამით მცირე ხანში შეიკრიბა დაახლოებით 6000 მანეთი, რაც სასკოლო შენობის მშენებლობის დასაწყებად იყო საკმარისი. ბათუმის საზოგადოებამ იმავე წელს ამისთვის კვლავ დაიწყო შეწირულობების შეგროვება, რითიც კვლავ შეიკრიბა დიდი თანხა. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს სხვა ეროვნების წარმომადგენლებმაც, რისთვისაც სასკოლო კომიტეტი საგანგებო მადლობას მოახსენებდა მათ. ადგილობრივი საზოგადოების ამგვარი მოღვაწეობის შედეგად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეუმსუბუქდა ბათუმის სასკოლო ხარჯები (ზოგიერთ წელს მისთვის იხდიდა დაახლოებით 1000 მანეთს წელიწადში). ყოველივე ამით სკოლას საკმარისი თანხები უგროვდებოდა საკუთარი შენობის ასაგებად და თავისი საქმიანობის უფრო წარმატებით გასაგრძელებლად [“ივერია”, 1892, #13, გვ. 2; 1893, #149, გვ. 2; #214, გვ. 2-3].

ადგილობრივი საზოგადოების ძალისხმევის შედეგად ბათუმის ქართულ სკოლაში წლების განმავლობაში უმჯობესდებოდა მასწავლო პროცესი; მასში მოსწავლეების რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა. მოსწავლეთა მომზადების მიხედვით მათი გადანაწილება ხდებოდა განყოფილებებში, რომლებიც 1893 წლისთვის ოთხიდან ხუთამდე ავიდა. საჭირო ხდებოდა მეორე, დამხმარე მასწავლებლის მუშაობაც, რომელიც დროებით უნდა მოეწვიათ კიდეც. სამომავლოდ კი აპირებდნენ მეორე მასწავლებლის მუდმივად მიღებას სკოლაში. სკოლის შენობა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. მას უნდა ჰქონოდა 2 საკლასო და 1 საბიბლიოთეკო ოთახი, ეზო და გიმნასტიკის სავარჯიშოდ დახურული ადგილი, მასწავლებლისთვის კი ცალკე შენობა. ასეთ პირობებში სკოლა პედაგოგიური თვალსაზრისით შესაფერისად მოეწყობოდა... ამ ცნობებს სიამოვნებით ბეჭდავდნენ გაზეთ ივერიაში (1893 წლის 265-ე ნომერი; 1894 წლის 125-ე ნომერი). 1895 წელს ბათუმის ქართული სკოლის ახალი შენობისა და მასწავლებლის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დასრულდა (კომახიძე 1993: 17). წლების განმავლობაში სკოლასთან არსებობდა პანსიონი აჭარის სოფლებიდან ჩასული მოსწავლეებისთვის. მათ მეთვალყურეობას უწევდა მაჰმადის სჯულის მასწავლებელი მოლა. ამით აჭარის სხვადასხვა მხარის მოსახლეობისთვისაც

მეტნაკლებად მისაწვდომი იყო დაწყებითი განათლების მიღება. ბათუმის ქართული სკოლის დიდმა წარმატებებმა ძალზე პოპულარული გახადა ის ხალხის თვალში. 1906 წლისთვის აქ სწავლობდა 210 მოსწავლე... [Батум и его окрестности 1906: 16].

ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ბათუმის ქართულ სკოლას და საგანგებოდ ზრუნავდა მასზე. იქ აგზავნიდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებს სასწავლო პროცესის მეთვალყურეობისთვის; სკოლის საჭიროებებზე კი ყოველთვის რეაგირებდნენ ხოლმე. აღნიშნულ სკოლაში ყოველთვის ფრთხილად და შერჩევით აგზავნიდნენ მასწავლებლებს. 1891 წელს იქ დასანიშნ მასწავლებელ მ. შარაშიძეს საგანგებოდ შეხვდა ილია ჭავჭავაძე და მას დარიგებები და რჩევები მისცა (კომახიძე 1995: 111-112).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლას თავისი მუშაობის დაწყებიდანვე დიდი შედეგები ჰქონდა. ბათუმში განსაკუთრებით 90-იან წლებში საგრძნობლად იზრდებოდა ჩასულ ქართველთა რიცხვი, რომელთა შორისაც სამუშაოს მაძიებელი და ხელმოკლე მრავალი იყო. მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ უფასო სკოლას, სადაც შეიძლებოდა ბავშვებისთვის განათლების მიცემა და მათი პატრიოტულად აღზრდა. აქ გურული, მეგრული, იმერული წარმომავლობისა და აჭარელი მაჰმადიანი მოსწავლეები ერთად სწავლობდნენ, რითაც უძლიერდებოდათ ურთიერთთან ერთობისა და ძმობის გრძნობა, ერთიანი ქართული ცნობიერება. აქ ქართველი მაჰმადიანების მომავალი თაობები ქართულად სწავლობდნენ, მაჰმადიანური რჯულის გაკვეთილები უტარდებოდათ, საქართველოს შესახებ ცოდნას იძენდნენ და ქართული შეგნებით, საქართველოს სიყვარულით იზრდებოდნენ. სადაც არ უნდა წასულიყვნენ მისი კურსდამთავრებული მაჰმადიანები (ოსმალეთში თუ გერმანიაში), მათ მიჰყვებოდათ საქართველოს სიყვარული, ინტერესი საკუთარი ქვეყნის მიმართ და აქ ჩამოყალიბებული ქართული ცნობიერება. ამას აღნიშნავდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიის კორესპონდენციაში 1893 წლის 152-ე ნომერში. ამგვარ დამოკიდებულებას სამშობლოს მიმართ ისინი სხვა ქართველ მაჰმადიანებს შორისაც ავრცელებდნენ, ხელს უწყობდნენ მათ შორის ქართული თვითშეგნების განმტკიცებას. ბათუმის ქართული სკოლა აჭარის სხვადასხვა მხარეებში მცხოვრები მოსახლეობისთვისაც ძალზე საინტერესო და

მიმზიდველ სასწავლო კერას წარმოადგენდა. ის მჭიდროდ აკავშირებდა ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს დანარჩენ ქართველობასთან...

ბათუმის ქართულ სკოლასთან დაკავშირებული მოღვაწეები იმდენად გატაცებით ემსახურებოდნენ სახალხო განათლების საქმეს, რომ ისინი განათლების სფეროში თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ საზოგადო ასპარეზზეც. მოსე ნათაძე მთელს ქართველ საზოგადოებასა და ხალხს მოუწოდებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შესვლისკენ. ამისთვის წელიწადში გაღებული 6 მანეთი ერთი ადამიანისთვის მნიშვნელოვანი თანხა არაა. ხოლო ამით კი სერიოზული სახსრები მოგროვდება სკოლების გასახსნელად იმ მხარეებშიც, სადაც საერთოდ არაა სკოლებიო – წერდა იგი გაზეთ დროებაში 1883 წლის 66-ე ნომერში. ის პროვინციებში მოღვაწე ინტელიგენციას მოუწოდებდა დაბეზსა და სოფლებში გაშლისკენ და იქ აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისკენ (სკოლების დაარსებისკენ, თეატრალური წარმოდგენებისა და კონცერტების მოწყობისკენ, საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურებისკენ [“დროება”, 1885, #179, გვ. 2]). ხოლო ამ მიმართულებით ენერგიულად მოღვაწე ინტელიგენციას შეეძლო ხალხის დარაზმვა და მისი ყურადღებისა და შრომის მიმართვა რომელიმე საქვეყნო საქმის ან პრობლემის გადასაჭრელად. ამგვარად გაერთიანებული და შემართული ინტელიგენციის მიერ დაწყებული საქმეები მთას გაანგრევს, თუ უთანხმოებასა და ქიშპს აერიდებიან მოთავენიო. იგი საზოგადოებას განსაკუთრებით მოუწოდებდა, რომ შეექმნათ რეგიონებში ბიბლიოთეკები [“ივერია”, 1889, #267, გვ. 1].

აჭარაში დასახელებულ სასწავლო დაწესებულებებში დიდი ყურადღება ექცეოდა სხავადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეთათვის მათი რელიგიური საგნების შესწავლას. საერო სასწავლებლებში მიწვეული იყო დიდი რელიგიური ჯგუფების სჯულის მასწავლებლები: მაჰმადიანებისთვის მოლა, მართლმადიდებლებისა და სხვა აღმსარებლობის ქრისტიანთათვის - მათი მღვდლები. აღნიშნული რელიგიური მოძღვრებების შესწავლით მცირედ მაინც რელიგიურ განათლებას ღებულობდნენ მოსწავლეები, რაც ხელს უწყობდა მათ რწმენაში განმტკიცებას.

აჭარის რელიგიურ სკოლებში საგანგებო ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა სჯულის შესწავლას. მხარეში ასეთები იყო უმთავრესად მეჩეთებთან გახნილი მუსულმანური სამრევლო სკოლები. მათში მთელი ყურადღება მაჰმადიანური საგნების სწავლებას ეთმობოდა. აქ საერო ცოდნას თითქმის არ იძლეოდნენ. ამ სკოლებში იყო ჩაკეტილი და ნაკლებფექტური საგანმანათლებლო სისტემა.

აჭარის საერო და რელიგიურ სასწავლო დაწესებულებებში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ სწრაფი ტემპებით იზრდებოდა მოსწავლეთა რიცხვი. ეს ზრდა განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ბათუმის სახელმწიფო და ეროვნული ჯგუფების დაქვემდებარებულ საერო საგანმანათლებლო კერებში. მათში განსაკუთრებით იზრდებოდა მართლმადიდებელი მოსწავლეების რაოდენობა, რომელთაგან უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ; ამ სასწავლებლებსა და სკოლებში რიცხოვრივად შემდეგ მოდიოდნენ მიაფიზიტი სომხები, კათოლიკეები, მაჰმადიანები და სხვანი. ადგილობრივი მაჰმადიანები 80-იან წლებში მცირედ სწავლობდნენ სახელმწიფო სასწავლებლებში, მაგრამ საუკუნის ბოლოსთვის შესამჩნევად იზრდებოდა მათი რიცხვი. ხოლო ქალაქის ქართულ სკოლაში, მართალია, სწრაფად არ იზრდებოდა ქართველი მაჰმადიან მოწაფეთა რიცხვი, მაგრამ ადგილობრივი მაჰმადიანობა ერთგული იყო ამ სკოლისა და მზრუნველობდნენ მას.

ბათუმის საერო სასწავლო დაწესებულებებში წლების განმავლობაში სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეთა ერთობლივად სწავლა ხელს უწყობდა მათ შორის ურთიერთგაგებას, რჯულთშემწყნარებლობის ჩამოყალიბებასა და დაახლოებას ერთმანეთთან. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ბათუმის ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ტოლერანტული და კეთილგანწყობილი ურთიერთობები იყო გავრცელებული. ამაში სერიოზული წვლილი შეჰქონდა საერო სასწავლო დაწესებულებებს. მათში თავიანთი აღმსარებლობის მიხედვით მეტნაკლებად რელიგიურ განათლებასაც ღებულობდნენ ახალგაზრდა თაობები და თანდათან რელიგიური ჩაკეტილობა თანდათანობით ტოლერანტული გარემოთი იცვლებოდა... ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა მაჰმადიანებს შორის, რომელთა ახალგაზრდობა საერო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ თანდათან გადიოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, სძლევდა მოლათა ერთი ნაწილის მიერ

გავრცელებულ რელიგიურ ფანატიზმს, უახლოვდებოდა ქრისტიან ქართველებს და ეროვნული თვითშეგნება უძლიერდებოდა...

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებული დაწყებითი და საშუალო სასწავლო დაწესებულებები არ იყო საკმარისი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსამზადებლად. ეს ესმოდა იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას. ისინი ფიქრობდნენ, დახმარებოდნენ ადგილობრივ ახალგაზრდებს საქართველოს საშუალო სასწავლებლებსა და შემდეგ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაში. აჭარიდან კი მრავალი ახალგაზრდა მიისწრაფოდა საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისკენ. XIX საუკუნის 90-იან წლების შუა ხანებიდან ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო ამ საკითხზე საუბარი. ანტონ ფურცელაძე 1895 წელს ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, მაჰმადიანი ქართველები ახლად დაბრუნებული მხარეებიდან და სამცხე-ჯავახეთიდან გაეგზავნათ საქართველოს საშუალო სასწავლებლებში, შემდეგ კი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლად. სწავლის შემდეგ თავიანთ მხარეებში დაბრუნებულ ახალგაზრდებს გაეძლიერებინათ ხალხში სწავლის სიყვარული და ერთობა დანარჩენ ქართველობასთან. ა. ფურცელაძე აცხადებდა გაზეთ ივერიის 1895 წლის 239-ე ნომერში, რომ 10 ადგილი თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელმა და ათიც ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელმა გამოყოს მათი სწავლისთვის, შემდეგ კი ამ სასწავლებლების ხარჯზე უმაღლეს სასწავლებლებშიც გაეგზავნოთ ისინი. ხოლო ზოგიერთი ქართველი მოღვაწე ამ მიმართულებით პრაქტიკულადაც მოღვაწეობდა. კონსტანტინე მამაცაშვილმა ორ ქართველ მაჰმადიან ახალგაზრდას ჯერ თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაღებინა განათლება, შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელშიც გაგზავნა ისინი. მას ასევე უნდოდა, მაჰმადიანი ქართველებისგან რამდენიმე სტიპენდიანტი დაეფინანსებინა; ზოგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ჩამოეყვანა, ზოგიც ბათუმის ქართულ სკოლაში [“ივერია”, 1900, #196, გვ. 3-4]. ზ. გ. ერისთავის დახმარებით იმ ხანებში ქართველ მაჰმადიან ახალგაზრდას უნივერსიტეტი დაემთავრებინა. აჭარელი და სხვა რამდენიმე ქართველი მაჰმადიანის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა სერიოზული შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა მცირე ხანში. მაგრამ ქართველი საზოგადოება შეძლებისდაგვარად მაინც

ცდილობდა მაჰმადიანი მოძმეებისთვის სერიოზული განათლების მიცემას. ამით ეს ახალგაზრდები გამოადგებოდნენ თავიანთ კუთხეებს უფრო ნაყოფიერი მოღვაწეობით; ასევე, მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების დაახლოებაში დიდ წვლილს შეიტანდნენ...

ამრიგად, აჭარის განათლების სფეროში 1880-იანი წლებიდან ვიდრე XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით საგრძნობი ცვლილებები ხდებოდა. მეჩეთებთან არსებული სასულიერო სკოლები კვლავ აგრძელებდნენ მოქმედებას, მათი რაოდენობა იზრდებოდა. ამ სკოლების მასწავლებლებად დანიშნული, ოსმალეთში განათლებამიღებული მოლების უმრავლესობა აჭარის ქართველ მაჰმადიანების ახალ თაობებში ავრცელებდა ოსმალურ ენასა და ცნობიერებას, ისლამურ ფანატიზმს. ხოლო რუსული სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები ომის შემდეგ საკმაოდ მალე გაიხსნა აჭარაში, უმთავრესად ქ. ბათუმში. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ბათუმის საქალაქო სასწავლებელი, სადაც ქართველებს მეტნაკლებად ქართულ ენასაც ასწავლიდნენ. ხოლო საგანმანათლებლო ვითარების გაუმჯობესების შემდეგ ბათუმში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გაიხსნა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები. ქალაქში საუკუნის ბოლოსთვის მოქმედებდა ბათუმის ტექნიკური და ქალთა სასწავლებლები, ასევე, სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების სასწავლებლები, კერძო სასწავლებლები და ა. შ. ხოლო აჭარის სოფლებში მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა სასოფლო სკოლების გახსნაზე. ხალხიც გაჭირვების გამო ვერ ხსნიდა სასოფლო სკოლებს. ამის გამო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში სოფლად ძალზე მცირე რაოდენობის სახელმწიფო სკოლა გაიხსნა. 1881 წლიდან კავკასიაში სახელმწიფო სკოლებში მკაცრად დაიწყეს მშობლიური ენის დევნა. მშობლიურენოვანი განათლების მისაცემად კი ქართველმა პატრიოტულად განწყობილმა ინტელიგენციამ 1881 წელს გახსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლა ბათუმში. მასზე საგანგებოდ ზრუნავდა აღნიშნული საზოგადოება. ხოლო ბათუმის ადგილობრივი საზოგადოება კულტურული და სხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებით ეხმარებოდა ამ სკოლას. ამ ძალისხმევის შედეგად ქართული სკოლა წარმატებით ავრცელებდა ბათუმში ჩასახლებულ და ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა შვილებს შორის განათლებას მშობლიურ ენაზე, აახლოვებდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველობას ერთმანეთთან, ამაღლებდა მათში ეროვნულ ცნობიერებას... XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის

დასაწყისში აჭარაში არსებული აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები ძირითადად წარმატებით და ფართოდ ავრცელებდნენ განათლებას (ძირითადად, ქ. ბათუმში), ხოლო აჭარის სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა განათლების მიღების შესაძლებლობას მოკლებული იყო...

აჭარის საერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უმთავრესად ბათუმში) სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მოწაფეებს უტარდებოდათ რელიგიური საგნები მათი სარწმუნოებრივი კუთვნილების მიხედვით, რომლებსაც ასწავლიდნენ მოლები და მღვდლები. ამით მოზარდები მეტნაკლებად რელიგიურ განათლებასაც ღებულობდნენ. ხოლო ერთობლივი სწავლის შემდეგ ახალგაზრდა თაობებში ჩაკეტილი რელიგიური გარემოს ნაცვლად ტოლერანტული ურთიერთობები მყარდებოდა, სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნული ჯგუფები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ... მკვიდრი ქართველი მაჰმადიანები საერო სასწავლებლებში სწავლით თავს ადვილად არიდებდნენ რელიგიურ ფანატიზმს, უახლოვდებოდნენ ქრისტიან მოძმეებს და უძლიერდებოდათ პატრიოტული გრძნობა...

§ 4. ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გავრცელება

აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

ოსმალეთის დროს აჭარაში აღარ არსებობდა ქართული საგანმანათლებლო კერები, ხოლო ოსმალური მაჰმადიანური სასწავლო დაწესებულებები მცირე იყო. ამ სასწავლებლებში სწავლა დაბალ დონეზე იყო და ის ძირითადად ზეპირობით მიმდინარეობდა. XIX საუკუნის შუა ხანებში მხარეში კვლავ გრძელდებოდა ქართული წიგნიერებისა და შემორჩენილი კულტურული ტრადიციების დევნა. ამის გამო აჭარაში წერა-კითხვის ცოდნისა და განათლების გავრცელების მხრივ მძიმე მდგომარეობა იყო. ამის მიუხედავად, ხალხი მაინც ცდილობდა ქართული წერა-კითხვის შესწავლასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემას. ეს ხდებოდა ძირითადად ქალების მიერ. ოსმალთა მმართველობის ბოლო პერიოდში ხალხს ქართული წერა-კითხვის შესწავლის, ასევე, განათლების, საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილი გაუძლიერდა. ისინი თვითონაც სწუხდნენ განათლებისა და კულტურის მხრივ ჩამორჩენას, რის დაძლევისაც

ადგილობრივი ძალებით ცდილობდნენ. ხალხი წერა-კითხვას ასწავლიდა ერთმანეთს, ძირითადად, ხელნაწერი ასოებით. ამით დამწერლობა უფრო და უფრო ხალხურდებოდა და თავისებურ სახესაც ღებულობდა - ვითარდებოდა ე. წ. დედაბრული დამწერლობა. მასში ასოების ფორმები შეცვლილი და დამახინჯებულიც იყო (ბაქრაძე 1988: 73). ხოლო უფრო შეძლებული და მეტი გასაქანის მქონე პიროვნებები ცდილობდნენ ქართული წიგნების დაბარებას საქართველოდან და თავის ირგვლივ მათი კითხვის გავრცელებას. მარადიდელი ახმედ-ეფენდი ხალვაში ხელნაწერებით ავრცელებდა ხალხში წერა-კითხვას. ხოლო 1875 წელს მან თბილისიდან დაიბარა ქართული წიგნები, რომლებიც ქართველმა კათოლიკე ვაჭრებმა ბათუმში ჩაუტანეს. ამ წიგნებით ახმედ-ეფენდი ხალხს ასწავლიდა და აჩვენებდა ნაბეჭდი დამწერლობის კითხვას. ამის შესახებ ცნობას ვხვდებით გაზეთ ივერიაში, 1892 წლის 234-ე ნომერში.

აჭარაში ოსმალთა მმართველობის ბოლო წლებში საგრძნობი იყო წერა-კითხვის შესწავლის მოთხოვნილების ზრდა. წერა-კითხვის მცოდნეები სიამოვნებით ასწავლიდნენ ამითი დიდად დაინტერესებულ მოძმეებს. დედები და უფროსი თაობის ქალები შვილებსა და ახლობლებს ხელნაწერ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. აბდულ-ეფენდი მიქელაძის ცნობით, 1877-1878 წლების ომის დროს ოსმალურ ჯარში მყოფი ქობულეთელები ციხისძირთან მდგარ ზემო და ქვემო აჭარლებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ, რაზეც დიდი მადლობლები იყვნენ აჭარლები [“ივერია”, 1888, #13, გვ. 2]. ხოლო ადგილობრივი ინტელიგენცია კარგად ხედავდა ქართული წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების საჭიროებას და თვითონაც შეძლებისდაგვარად იღრმავებდა ცოდნას ქართული ენისა და საქართველოს შესახებ. ეს მათი თანამემამულეებისთვისაც სამაგალითო ხდებოდა (ამაში ზოგიერთს ოსმალური განათლების მიღებაც ეხმარებოდა). ისინი აჭარაში ჩასული ქართველი მოღვაწეებისგანაც დიდი სიამოვნებით ღებულობდნენ ქართულ წიგნებს და მათთან აყენებდნენ აჭარლების განათლების აუცილებლობის საკითხს.

აჭარის მოსახლეობის განათლების მხრივ ჩამორჩენას საქართველოში მოღვაწე ქართველმა ინტელიგენციამ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში მიაქცია ყურადღება. ზოგიერთი მათგანი ჩადიოდა აჭარაში, ეცნობოდა ვითარებას ადგილზე და შემდეგ

აქარლებს შორის წერა-კითხვის, ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გავრცელების საკითხს აყენებდა ქართველი საზოგადოების წინაშე.

ზოგიერთი ქართველ მოღვაწე ადრევე გრძნობდა ქართველ მაჰმადიანებს შორის წერა-კითხვისა და ქართული წიგნების გავრცელების საჭიროებას, ვინც უკეთესად ერკვეოდა მათ თანამედროვე მდგომარეობაში. როგორც XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთის ცნობილი მოღვაწე ივანე გვარამაძის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი 1896 წელს გაგზავნილი წერილით ირკვევა, 1862 წელს ახალგაზრდა ივანეს გაბრიელ იმერთა ეპისკოპოსისთვის მიუმართავს წერილით. წერილში იგი სთხოვდა მას აქარლებისა და გამაჰმადიანებული მესხებისთვის პატარა ბროშურის გამოცემაში დახმარებას [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, #476]. წერილში ვკითხულობთ: “ადრე მე რომ თბილისში ვიყავ მინდოდა ღთის ათი მცნებანი გარდამეღო მდაბიურად, მასთან სოლომონ-ბრძნის იგავები და დამებეჭდვინა ერთ მხარედ ქართულად და მეორე მხარეს თათრულად, იგივე ნაირ გასაგონ ენაზედ ჩვენი გამაჰმადიანებული მესხების და აქარლების გასაჩვენად ქართულს კითხვაზედ და გონების გასახსნელად, თუ რა ყოფილან მათი მამაპაპანი და თუ რა მდგომარეობაში ჩაცვივნულან ახლა თვითან? რომლის დასაწყისი ქართულის და თათრულის ანბანით უნდა ყოფილ იყო გაწყობილი ადვილად შესასწავლად ქართულის წერა-კითხვისა”. როგორც წერილიდან ჩანს, გაბრიელ ეპისკოპოსმა კმაყოფილებით მიიღო ივანე გვარამაძის აღნიშნული სურვილი, მაგრამ უთხრა, რომ არ შეეძლო ამ საქმეში მისთვის დახმარება. ი. გვარამაძის ეს გეგმა არ განხორციელებულა. მაგრამ იგი მომდევნო წლებში ენერგიულად მოღვაწეობდა განათლების სფეროში, აქვეყნებდა სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ნაშრომებს, თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან, ბეჭდავდა სტატიებს. გვარამაძე პრესით ქართველ საზოგადოებას მრავალგზის მოუწოდებდა მაჰმადიანი ქართველების განათლებისა და მათ შორის წიგნების გავრცელებისკენ, მათთან დაახლოებისკენ.

აქარაში ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გავრცელების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურად დადგა აქარელთა და სხვა ქართველი მაჰმადიანების მღელვარების დროს, 70-იანი წლების შუა ხანებში. მაშინ გაზეთ დროების ნომრებს აგზავნიდნენ კიდევ აქარაში. მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ ქართველ მოღვაწეებს

შეუზღუდა აჭარაში მოგზაურობისა და ქართული გაზეთების გაგზავნის შესაძლებლობა. ამასობაში რუსეთ-ოსმალეთის ომიც დაიწყო. 1878 წელს, როცა ჯერ ორ ქვეყანას შორის საზღვრების საკითხები ირკვეოდა, ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა დაიწყეს აჭარელთა მდგომარეობაზე ფიქრი და მათზე მზრუნველობისთვის ღონისძიებების დასახვა. როგორც განმანათლებლებს, მათაც ძირითადად განათლების გავრცელების გზით წარმოდგინათ აჭარლებთან დაახლოება და მათი მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება. ამგვარი აზრი მკაფიოდ ჩამოაყალიბა სერგეი მესხმა გაზეთ დროების სტატიაში “ახალი მოვალეობა” [“დროება”, 1878, #146, გვ. 1; #147, გვ. 1-2]. მან აჭარელთა დანარჩენ ქართველობასთან დაახლოებისა და მათი მწვავე პრობლემების მოგვარების საშუალებად განათლება მიიჩნია. ავტორის აზრით, ამისათვის აჭარაში უნდა გახსნილიყო სახელმწიფო სკოლები ქართულენოვანი სწავლით, მასწავლებლებად სპეციალურად განათლებამიღებული ქართველები გამწესებულიყვნენ. ხოლო სკოლებში სწავლებისთვის უნდა გაგზავნილიყო სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები უფასოდ ან ძალზე დაბალ ფასად. საკითხავი წიგნები, ცხადია, არა მარტო მოსწავლეთათვის უნდა გაგზავნილიყო, არამედ სხვადასხვა ასაკის მოსახლეობისთვისაც, რისი კითხვის დიდი მოთხოვნილებაც არსებობდა ხალხში. ს. მესხმა ახალი ქართული წიგნების გამოცემის საკითხიც დააყენა თავის სტატიაში, რომლებიც საკმაოდ მცირედ მოიპოვებოდა საქართველოში 1878 წლისთვის. სხვა ქართველი მოღვაწეებიც აჭარლებთან დაახლოებისა და მათი სირთულეების დაძლევის ერთ-ერთ მთავარ გზად განათლების გავრცელებას მიიჩნევდნენ.

1880-იანი წლების დასაწყისში აჭარის მოსახლეობის განათლებისა და მათში ქართული წიგნების გავრცელების საკითხს კვლავ ენერგიულად აყენებდა აჭარასა და საქართველოს კულტურულ ცენტრებში მოღვაწე ინტელიგენცია. მაგრამ მაშინ ამაზე ზრუნვას ხელს უშლიდა უფრო მწვავე პრობლემები: მთავრობის მიერ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებიდან მშობლიური ენის აქტიურად გამოდევნა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის სკოლების გახსნაში ხელშეშლა, აჭარაში დიდი სირთულეები რუსული მმართველობის დამყარების პერიოდში და, განსაკუთრებით, მხარიდან მასშტაბური მუჰაჯირობა. ხოლო ამ სირთულეებთან შეჩვევის ან მათი თანდათანობით დაძლევის, მათი უკანა პლანზე გადასვლის შემდეგ, 80-

იანი წლების მეორე ნახევარში განახლდა აჭარაში წიგნების გავრცელების შესახებ საუბარი და ამისი გზების ძიებაც. ადგილობრივი მოღვაწეები და დაბრუნებულ მხარეებზე მზრუნველი პიროვნებები კვლავ აღნიშნავდნენ აჭარაში სკოლების ძალზე სიმცირეს, ხალხის გაუნათლებლობას. მაგრამ ისინი ხაზს უსვამდნენ იქაურ მოსახლეობაში წერა-კითხვის ცოდნის, განათლების მიღებისა და საქართველოში არსებული ვითარების გაცნობის დიდ სურვილს. აჭარაში ხალხი ღარიბი იყო და სკოლებს საკუთარი სახსრებით ვერ გახსნიდა, ქართველ საზოგადოებას ეს მხოლოდ თავისი დაფინანსებით არ შეეძლო, მთავრობაც ენერგიულად არ ცდილობდა სკოლების გახსნას მხარეში. ამის გამო წერა-კითხვის ხალხში გავრცელება უნდა მომხდარიყო ისევ მის მცოდნეთა მიერ თანასოფლელების სწავლებით; მინიმალური ცოდნის მიღება კი ისევ წიგნების საშუალებით შეიძლებოდა.

თავიდან ქართული წიგნების გავრცელება აჭარაში ორგანიზებულად არ ხდებოდა, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოდან საზოგადოებამ მეტი ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. ამ ხანებში უმოგზაურია პეტრე უმიკაშვილს ქედის მხარეში და გაუვრცელებია საკმაო რაოდენობის წიგნები. ისინი 1890-იანი წლების დასაწყისში, ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობის დროს ჰქონდათ რამდენიმე სოფელში. აჭარლები აღნიშნულ პერიოდში იმდენად იყვნენ დაინტერესებულნი წერა-კითხვის შესწავლითა და წიგნების კითხვით, რომ ყველანაირ საშუალებას იყენებდნენ ამისთვის. აქ გავლილი მგზავრისგან ზოგიერთი ერთ-ორ დღეში სწავლობდა ანბანს, შემდეგ კარგად ითვისებდა და თავისიანებსაც ასწავლიდა. დაბა მარადიდში ერთ ბავშვს იქ მოხვედრილი მგზავრისგან ესწავლა ქართული ანბანი ფიცარზე ცარცით დაწერით. ხოლო წიგნების არსებობის შემთხვევაში კითხვის მცოდნენი დიდი მონდომებით კითხულობდნენ მათ. წიგნების გამოჩენის შემდეგ წერა-კითხვის მცირედ მცოდნენი კარგად ითვისებდნენ კითხვას, ხოლო კითხვის უცოდინარები თანასოფლელებისგან უფრო მონდომებით სწავლობდნენ წერა-კითხვას. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, პეტრე უმიკაშვილის მიერ დარიგებული წიგნებით სოფელ გულებში შეესწავლათ ქართული ანბანი. ამ დროისთვის ცნობები მოდიოდა აჭარიდან, სოფლებში რამდენიმე წიგნით ხალხი თვითგანათლებას მისდევსო. აჭარის მოსახლეობის ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ბათუმში 80-90-იანი წლების მიჯნაზე ორგანიზებულად ხდებოდა

წიგნების გავრცელებისთვის თანხების შეკრება და, როგორც ჩანს, გავრცელებაც. 1891 წლისთვის, ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობისას აჭარაში (ძირითადად, ქვემო აჭარაში) ხალხს კარგად ესმოდა ქართული წიგნების მნიშვნელობა [“ივერია”, 1888, #13, გვ. 2; 1890, #27, გვ. 2; #28, გვ. 2; 1892, #193, გვ. 2-3; #234, გვ. 2].

აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში უფრო საჭირო ხდებოდა ქართული წერა-კითხვის, წიგნებისა და ხალხში კითხვის ფართოდ გავრცელება. ომის შემდეგ იქ დიდი რაოდენობით შედიოდნენ ჭანი, ოსმალთა და აჭარელი მოღვაწეები და ხოჯები, რომელთაც განათლება ოსმალეთის სასულიერო სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული. ისინი სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად მეჩეთებთან ქმნიდნენ სკოლებს. მაჰმადიანურ სამრევლო სკოლებში ეს მოღვაწეები გაძლიერებულად ასწავლიდნენ თურქულ ენასა და წერა-კითხვას, აცნობდნენ ოსმალურ სამყაროს. ისინი ხალხს უშლიდნენ ქართული წერა-კითხვის გავრცელებას, ქართული წიგნების კითხვას, სახელმწიფო სკოლებსა და ბათუმის ქართულ სკოლაში ბავშვების გაგზავნას. ამასთანავე, აღნიშნული მოღვაწეები აბუნდოვანებდნენ ეროვნულ და რელიგიურ საკითხებს, რითაც ცდილობდნენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიებზე თურქული ენისა და ცნობიერების გავრცელებას. ეს მათ აჭარაში ნაკლები, ხოლო მარადიდში, მაჭახელასა და უფრო სამხრეთით მდებარე კუთხეებში უფრო მეტი წარმატებით გამოსდიოდათ. 90-იანი წლების დასაწყისში ამ საქმიანობას ხელს უწყობდნენ ბათუმის მუფთი და აჭარაში მყოფი გავლენიანი, ოსმალური განათლების მქონე მაჰმადიანი სასულიერო პირები. მათი დიდი მონდომებით ადგილობრივად განსწავლული და ოსმალური გავლენის ნაკლებად მქონე სასულიერო პირები იდევნებოდნენ. ოსმალეთში განათლებამიღებულ მოღვაწეები მაჰმადიანურ ფანატიზმსა და ოსმალურ ორიენტაციას ავრცელებდნენ ხალხში. ზოგიერთი მათგანი ადგილობრივ მოსახლეობას კვლავ ოსმალეთში მუჰაჯირობისკენ მოუწოდებდა ან ოსმალეთთან მომავალში შესაძლო ომისთვის რუსეთის საწინააღმდეგოდ იდეოლოგიურად ამზადებდა (იხ. 1891 წლის 156-ე და 181-ე ნომრებში; 1892 წლის 161-ე და 172-ე ნომრებში; 1893 წლის 152-ე და 159-ე ნომრებში).

აჭარაში 80-იანი წლებიდან თურქული ენის გავრცელებას მოჰყვა ბათუმში თურქულ ენაზე გამოცემული წიგნების მაღაზიის გახსნა მეჩეთთან. მის მეპატრონეს, ეფენდიდ

წოდებულს არ მოეწონა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ადგილობრივ მაჰმადიანებს შორის ქართული წიგნების გავრცელება და ლანძღვა დაუწყო მას. ამგვარი პროოსმალური კამპანიის დროს აჭარაში ხალხი უფრო და უფრო მშვიდად ისმენდა მოწოდებას ოსმალეთში გადასახლებისკენ და აღარ უჩნდებოდა სურვილი სამშობლოს დატოვებისა. ხალხი თავისი თვალთ ხედავდა გადასახლებულთა ტრაგედიას. ამგვარი პროცესების საწინააღმდეგო ღონისძიებებიდან ქართველობისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა მთელს აჭარაში სკოლების გახსნა. მშობლიურენოვანი სწავლების მეშვეობითაც ქართული ცნობიერება გაუმდიერდებოდათ მომავალ თაობებს. ქედის მხარეში ადგილობრივი მოღვაწენი უცხადებდნენ ზაქარია ჭიჭინაძეს: ჩვენში რომ სკოლები დაიხსნას, მაშინ ყველა კარგად გაიგებს თავის ვინაობასო. ამას ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემდა გაზეთი ივერიაში 1892 წლის 193-ე ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში. მაგრამ აჭარის სოფლებში სახელმწიფო სკოლები ძალზე მცირე და გვიან გაიხსნა, სადაც ძირითადად ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიდიოდა სწავლება. ხოლო მოსახლეობის ქართულენოვანი განათლების ფუნქცია ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას უნდა შეესრულებინა. ისინი თვითგანათლებით მიიღებდნენ მცირეოდენ ცოდნას მაინც, ქართულ სამყაროს გაეცნობოდა ხალხი, ყველა აჭარელი დარწმუნდებოდა თავის ქართულ წარმომავლობაში, და საქართველოს უფრო შეიყვარებდა აჭარის მოსახლეობა...

აჭარაში ქართული წიგნების გავრცელების ახალი ეტაპი დაიწყო ზაქარია ჭიჭინაძემ 1890-იანი წლების დასაწყისიდან. მან რამდენიმე მოღვაწესთან ერთად მოამზადა პირობები ამ სერიოზული ღონისძიებისთვის. ზაქარიამ მოაგროვა საკმაო თანხები ამისათვის (ძირითადად, საკუთარი სახსრები გაიღო), თვითონ დაბეჭდა გასავრცელებელი წიგნები და ჩაიტანა აჭარაში. წიგნების გავრცელების გარდა, ზაქარია მიზნად ისახავდა აჭარული ზეპირსიტყვიერების შეკრებას, რომელთა ნაწილსაც ის დაბეჭდავდა და აჭარაში დაარიგებდა. ამით აქაური მოსახლეობა მახლობელი და მისაწვდომი წიგნებით დაიწყებდა კითხვის შეჩვევას. ამის შემდეგ მათთვის თავისუფლად შეიძლებოდა სხვა სახალხო ქართული წიგნების მიწოდება. მოგზაურობისას ის ასევე გაეცნობოდა და დაუახლოვდებოდა კიდევ ადგილობრივ ინტელიგენციას, მოღვაწეებს, ხალხს, ადგილზე

შეისწავლიდა აჭარის ვითარებას. ამით იგი დიდ სამსახურს გაუწევდა მხარესაც და მასზე მზრუნველ ქართველ საზოგადოებასაც.

ზაქარია ჭიჭინაძემ 1890-იანი წლებში რამდენჯერმე იმოგზაურა აჭარასა და მისგან სამხრეთით მდებარე ქართულ მხარეებში. ეს მოგზაურობები წიგნების გავრცელების, ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და ადგილობრივ საზოგადოებასა და ხალხთან კავშირის დამყარების მხრივ ძალზე წარმატებული გამოდგა. მოგზაურობისას ის თვითონაც უკითხავდა ხალხს თავის გამოცემულ წიგნებს და თვითონვე ასწავლიდა წერა-კითხვას მრავალ სოფელში. მან 1891 და 1892 წლებში მოიარა აჭარა, 1892 წელს გადავიდა მარადიდში. 1893 წელს კი მან მოგზაურობა აჭარიდან დაიწყო, ჩავიდა მარადიდში, მაჭახელაში, ლივანაში, შემდეგ ზეგანში (არტაანთან ახლოს). ამ მხარეების შესახებ ის ვრცელ კორესპონდენციებს აგზავნიდა გაზეთ ივერიაში. კორესპონდენციებში იგი აღწერდა მის მიერ წიგნების გავრცელებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათ თავკაცებთან ურთიერთობის დამყარებას, ხალხის დიდ სიხარულსა და მადლიერებას წიგნების დარიგებისთვის; ასევე, ამ მხარეებში მის მიერ შემჩნეულ მოვლენებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ცხოვრებაში. ეს ყოველივე იმდროინდელი მკითხველებისთვის ძალზე საინტერესო მასალებს წარმოადგენდა, დღევანდელი მკვლევარებისთვის კი სერიოზულ წყაროებს წარმოადგენს...

1892 წლიდან ზაქარია ზოგიერთ მხარეში უკვე ყიდდა წიგნებს (როგორც ჩანს, დაბალ ფასად), რადგან ხალხს ესმოდა მათი მნიშვნელობა და ინტერესი მათ მიმართ საგრძნობლად გაზრდილიყო. ამის შესახებ იგი აღნიშნავდა ივერიის 1892 წლის 144-ე ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში. ზ. ჭიჭინაძეს ამ მოგზაურობებისთვის დიდი სახსრები სჭირდებოდა. იგი მიმართავდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (განცხადებას წელი არ უწერია თარიღად; ჩანს, 1893 წელსაა დაწერილი – ლ. ქ.), რომ ის ფინანსურად დახმარებოდა მას ამ მოგზაურობისთვის ან გამოეცა შემოკლებული კარაბადინის 1200 ცალი, ან შეესყიდა მისი წიგნების რამდენიმე ცალი [სეა, ფონდი 481, აღწ. 1, საქმე #279, ფ. 19]. ზაქარია ჭიჭინაძე შემდეგ წლებშიც მოგზაურობდა აჭარაში და კვლავ ენთუზიაზმით ავრცელებდა ქართულ წიგნებს (სახოკია 1950: 187-188). მას სიამოვნებდა, რომ ამ მხარეებში საკმაოდ გავრცელდა ქართული წიგნები და გაძლიერდა წიგნების

კითხვის სურვილი. იგი ამ მხარის განათლებაზე შემდეგშიც დიდხანს ფიქრობდა და მის გულშემატკივრად რჩებოდა, ჰქონდა აჭარელ მოღვაწეებთან კავშირი. 1900 წლის გაზაფხულზე თბილისში დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ჰუსეინ ხაბაზ ქამჯარაძისა და ქართველი მაჰმადიანების სახალხო ლექსები 6000 ტირაჟით, რასაც გვაუწყებდა გაზეთ ივერიაში გამოქვეყნებული 1900 წლის 116-ე ნომრის ქრონიკა. წიგნებს დართული ჰქონდა ქართული ანბანი და ქართველთა გამაჰმადიანების მცირე ისტორიაც. ეს წიგნები უნდა მიეწოდებინათ ქართველი მაჰმადიანებისთვის. როგორც ჩანს, ეს წიგნები აჭარაშიც უნდა გავრცელებულიყო ადგილობრივი მოღვაწეების დახმარებით.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ქართული წიგნების გავრცელების კამპანიაში აჭარასა და სხვა ქართულ მხარეებში დიდი სიამოვნებით ჩაერთვნენ ადგილობრივი მოღვაწეები. ზაქარია ვერ მოახერხებდა ყველა სოფელში მისვლასა და წიგნების გავრცელებას, ხალხთან გასაუბრებასა და მათთვის წიგნების შერჩევით გადაცემას. ადგილობრივი ინტელიგენცია და საზოგადო საქმეებში ჩაბმული პიროვნებები კი იტოვებდნენ წიგნებს (ხან ასობით ეგზემპლარს) და მათ აძლევდნენ წერა-კითხვის მცოდნეებს ან სუსტად მცოდნეებს. აბდულ-ეფენდი მიქელაძემ დაახლოებით 3 ათასამდე დატოვებული წიგნი გაავრცელა ქედის მხარის სოფლებში. იესე კილიპტარს ზაქარიამ 800 წიგნი დაუტოვა, რომელსაც ის ავრცელებდა მარადიდის მხარეში. ხოლო ზოგიერთი მათგანი ამ წიგნებით წერა-კითხვას ასწავლიდა კიდევ თავის მეზობლებს. ზოგი მოლა თავის სასულიერო სკოლაში ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა და ამ წიგნებსაც აკითხებდა ბავშვებს. ქედას მახლობლად სოფ. ჭვანას ხოჯა ახმედ-ეფენდი მეხმედ-ოღლი დაჰპირდა აბდულ-ეფენდი მიქელაძეს, რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ მიწოდებულ წიგნებს თავის სკოლაში 2 საათს წააკითხებდა ბავშვებს. მან იმავე დღეს დააწყებინა წერა-კითხვის შესწავლა მათ [“ივერია”, 1892, #196, გვ. 3; #234, გვ. 2; #240, გვ. 3].

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ აჭარაში და მის სამხრეთით ქართული წიგნების გავრცელების საქმეში სიამოვნებით ერთვებოდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში მყოფი საზოგადო მოღვაწეები. ზოგი ფულით ეხმარებოდა ამ საქმეს. აფშერონის ფოსტატელეგრაფის მოხელე გრ. კოპინაშვილმა შესწირა 10 მანეთი აჭარაში ქართული წიგნების გავრცელების საქმეს, რაზეც იუწყებოდა გაზეთ ივერიის 1892 წლის 255-ე ნომერი.

ზოგიერთი მათგანი თვითონ მონაწილეობდა ამ წიგნების დაბეჭდვის საქმეში. გრიგოლ გურიელმა გამოსცა მაჰმადიანთა ლოცვები. იგი 1892 წელს აპირებდა ზ. ჭიჭინაძისთვის ფულის მიცემას, რომ 2 ყმაწვილი წაეყვანა მას ადგილობრივი მოსახლეობისთვის წერა-კითხვის სწავლებაში დასახმარებლად. ამაზე აღნიშნული იყო გ. გურიელის ნეკროლოგში, რომელიც დაიგამოქვეყნდა გაზეთ ივერიაში 1891 წლის 258-ე ნომერში. 1893 წელს დაიბეჭდა ზ. ჭიჭინაძის გამოცემული “ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები” 1200 ეგზემპლარად იასონ ციციშვილის დაფინანსებით. ხოლო “მესტვირე და ქამანჩა” გამოიცა ვას. მასხულისა მიერ ტყიბულში შეკრებილი 17 მანეთით, როგორც აცნობებდნენ გაზეთ ივერიას 1893 წლის #103-ში. მოგზაურობას დიდი რაოდენობით წიგნების გასავრცელებლად სჭირდებოდა საკმაო თანხები, რისთვისაც დახმარებას თხოულობდა ზაქარია ჭიჭინაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ მიწერილ მოხსენებაში. იგი მის გამგეობას მოკლედ აცნობდა თავისი ორჯერ მოგზაურობის შედეგებს და მათგან თხოულობდა პატარა კარაბადინის 1200 ეგზემპლარად დაბეჭდვას ან წასასვლელი ფულით დახმარებას. მას წინა ჯერზე (სავარაუდოდ, 1892 წელს) მოევლო ბათუმის ოლქის 272 სოფელი, 1893 წელს კი უნდოდა ართვინის ოლქში გადასვლა და რკინის პალომდე მიღწევა. თუ ამას ვერ მოახერხებდა აღნიშნული საზოგადოება, მისი 25-30 მანეთის წიგნები მაინც შეეძინათ. იგი მოხსენებაში თხოულობდა ასევე ერთი ადამიანის გაყოლებას. თანმხლები პირი მას შეუმსუბუქებდა შრომას და თან გაეცნობოდა ზაქარიას საქმიანობას, რითაც მაჰმადიან ქართველებს შორის ადვილი იქნებოდა საქმის კეთება [სეა, ფონ. 481, აღწ. I, საქმე #279, ფურც. 19].

აჭარაში ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გავრცელებული წიგნების გამორთმევას ხალხს უშლიდა ზოგიერთი გავლენიანი ხოჯა (ოსმალეთში სასულიერო განათლებამიღებულები). ისინი ამბობდნენ, რომ ეს წიგნები მათი რჯულის საწინააღმდეგო იყო. ოსმალეთიდან შემოსული მოლები ხალხს უშლიდნენ ქართული წერა-კითხვის სწავლას, ზაქარიასგან წიგნების მიღებას, მათ კითხვას. ისინი ეუბნებოდნენ აჭარლებს, რომ ამით ბოლოს თქვენი ნებით გაქრისტიანდებითო. ქრისტიანი და ქართველი კი მათთვის უარყოფითი ცნება იყო. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ამგვარმა მოლებმა სიტყვა “ქართველი” სალანძღავად აქციესო, წერდა ზაქარია ჭიჭინაძე. ანტიქართულად განწყობილი პირები

ზაქარიას პირველი მოგზაურობების დროს სერიოზულ წინააღმდეგობებს უწევდნენ და მას საფრთხეც დაემუქრა მათგან. იგი აჭარის მოშორებულ სოფლებში თავიდან ხალხისგან გაუცხოვებას გრძნობდა. მაგრამ როდესაც მოსახლეობა ხედავდა, რომ ზ. ჭიჭინაძეს რაიმე ცუდი ზრახვა არ ჰქონდა მათ მიმართ, მათთვის გასაგებად ესაუბრებოდა და მათთან ერთად შედიოდა მეჩეთებში ლოცვის დროს, ის შეიჩვიეს და უფრო და უფრო მეტად ენდობოდნენ (ბუბულაშვილი 1987: 75-76). ანტიქართულად და ანტიქრისტიანულად განწყობილი მოლეები ზაქარიას მიერ ქართული წიგნების გავრცელების საწინააღმდეგოდ მოუწოდებდნენ ხალხს, ბრაზდებოდნენ ამაზე. ამის მიუხედავად, ხალხი ქართულ წიგნებს მაინც იღებდა, მათ შორის რამდენიმე მოლაც. ზოგიერთი მოლა ჩუმად ართმევდა ზაქარიას წიგნებს. ადგილობრივი, პატრიოტულად განწყობილი მოღვაწეების სიტყვით, პროოსმალურად განწყობილი მოლეები დიდად ვეღარ შეუშლიდნენ ხელს ხალხის სწრაფვას მშობლიურენოვანი განათლებისაკენ. ამას ემატებოდა ქართულ ენაზე წერა-კითხვისა და წიგნების მეტად გავრცელების საჭიროება. XIX საუკუნის მიწურულისთვის, აღნიშნული მოლეებისა და ხოჯების მხრივ ხელშეშლის მიუხედავად, აჭარის სოფლებში საკმაოდ გავრცელებულიყო ქართული წერა-კითხვა [“ივერია”, 1892, #158, გვ. 3-4; #161, გვ. 3-4; 1893, #185, გვ. 2-3; #263, გვ. 2; 1900, #153, გვ. 2]

ზაქარია ჭიჭინაძის რამდენიმე მოგზაურობისა და წიგნების ფართოდ გავრცელების შედეგად ქართული წიგნები დიდი რაოდენობით მოიფინა აჭარის სოფლებში (მისი მოხსენების მიხედვით, 272 სოფელში). თითო სოფელში რამდენიმე ეგზემპლარი მაინც ჰქონდათ, რაც კითხვის სურვილის მქონეს კარგად აკმაყოფილებდა. ხოლო მარადიდში, მაჭახელსა და ლივანაში უფრო მცირე რაოდენობით გავრცელდა ეს წიგნები, რადგან აქ ბევრად ნაკლებმა ადამიანმა იცოდა ქართულად წერა-კითხვა, და საზოგადო მოღვაწეებიც უფრო ცოტანი იყვნენ. აჭარაში ამ წიგნებით მრავალი ადამიანი საკმაოდ სწრაფად სწავლობდა წერა-კითხვას თანამოდმეთა დახმარებით, თვეების განმავლობაში (გასავრცელებელი წიგნების უმეტესობას დართული ჰქონდა ქართული ანბანი). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1892 წელს ქობულეთის მხარეში წერა-კითხვის ცოდნა ძალზე გავრცელებულიყო ხალხში მას შემდეგ, რაც წინა წელს მან უხვად დაარიგა წიგნები; ქალებიც სიამოვნებით სწავლობდნენ ნაბეჭდ კითხვას. ამას აღნიშნავდა ის გაზეთ ივერიაში

1892 წლის 144-ე ნომერში. 1897 წელს თედო სახოკია აჭარაში ყოფნისას საკმაოდ ხვდებოდა “ზაქარია ეფენდის” მიერ დარიგებულ ქართულ წიგნებს (სახოკია 1950: 188). ამ წიგნებით წერა-კითხვის მცირედ მცოდნე კარგად სწავლობდა კითხვას. ხოლო კითხვას შეჩვეულ ადამიანებს უფრო რთული წიგნების კითხვის სურვილი უჩნდებოდათ და კითხვისას გარკვეული ინტერესებიც უყალიბდებოდათ. ზ. ჭიჭინაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისგან ითხოვდა რამდენიმე ცალ “დედაენას”, 5 ცალ “ვეფხისტყაოსანს” და ხუთიოდე “ბუნების კარს”, რომლებიც უნდა წაეღო ბეგების შვილებისთვის. იგი მათ დაჰპირდა, რომ აღნიშნულ წიგნებს მიუტანდა, ოღონდ მათ ანბანი შეესწავლათ [სეა, ფონ. 481, აღწ. I, საქმე #279, ფურც. 19]. ამ წიგნების კითხვა და კარგად გაგება კი მეტნაკლებად დაწყებითი სკოლის კურსის გავლას უდრიდა...

აჭარაში და მის სამხრეთით მცხოვრებ ხალხს განსაკუთრებით უხაროდა მათთვის მშობლიურ ენაზე წიგნების კითხვა, რაც შვებას გვრიდა მათ. ხოლო მეჩეთებთან არსებულ სკოლებში მოსწავლეებს აზეპირებდნენ არაბულ ლოცვებს, ასწავლიდნენ თურქულ ენას. თურქულ წერა-კითხვას კი, ქობულეთის მხარის ერთ-ერთი სოფლის მამასახლისის ცნობით, ბავშვები 3 წელიწადს უნდებოდნენ, და წესიერად ვერც სწავლობენ თურქულ ენას. ბავშვებს სიამოვნებათ მათთვის გასაგები ენით დაწერილი და ილუსტრირებული წიგნების კითხვა, ადარებდნენ თურქული წიგნების სირთულეს. ერთი მათგანი ამბობდა: “თათრული ალფა ბეი რას ვარგა, იქ არც ხატებია და არც კითხვა გვესმისო” [“ივერია”, 1892, #149, გვ. 3; #158, გვ. 3-4]. მოსახლეობისთვის მისაწვდომი და სახალისო საკითხავი წიგნები მათ აჩვევდა და აყვარებდა ქართულ ენაზე კითხვას, უფრო აახლოვებდა დანარჩენ ქართველობასთან, ქართულ სამყაროსთან. ამით ისინი უსკოლობის პირობებში მცირეოდენ განათლებასაც ღებულობდნენ... ეს კი ხელს უშლიდა ქართველ მაჰმადიანებს შორის თურქული ენისა და ისლამური ფანატიზმის გავრცელებას ოსმალეთიდან მოსული ხოჯების მიერ...

ზაქარია ჭიჭინაძემ აჭარაში თავისი მოგზაურობებით რამდენიმე მალზე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა: აჭარის სოფლის მოსახლეობისთვის მისაწვდომი გახადა ქართული წიგნები, რითაც ხელი შეეწყო წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებას, წიგნების კითხვის ჩვევების ჩამოყალიბებას, მათზე მოთხოვნილების ზრდას... ამ წიგნების

დახმარებით ხალხში მასიურად, ენთუზიაზმით ხდებოდა წერა-კითხვის შესწავლა. ამას კი საქართველოს სხვა მხარეებში საკმაოდ დიდი ორგანიზება და სასწავლო დაწესებულებების მუშაობა სჭირდებოდა; ქართული წიგნების კითხვა ხელს უწყობდა აჭარის მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების ამაღლებას; განსაკუთრებით მათ იმ ნაწილს შორის, ვისაც თავიანთი ქართული წარმომავლობა ბოლომდე გარკვეული არ ჰქონდა პროოსმალურად განწყობილი და რელიგიური ფანატიზმის გამავრცელებელი მოღვწეების ქადაგებების წყალობით; წიგნების გავრცელებას აჭარლები ქართველობისგან ყურადღებისა და დახმარების აშკარა გამოვლინებად აღიქვამდნენ, რაც მათში აძლიერებდა დანარჩენ ქართველობასთან დაახლოების სურვილს; ქართული წერა-კითხვის შესწავლა, კითხვის შეჩვევა და წიგნების კითხვა ხალხს ცნობებს აწვდიდა საქართველოს შესახებ. ეს დაწყებითი განათლების ელემენტების გავრცელებასაც გულისხმობდა, რაც უსკოლობის პირობებში ძალზე საჭირო და სასარგებლო იყო; ზ. ჭიჭინაძემ ადგილობრივ საზოგადოებასთან კავშირი დაამყარა და თავისებურად შუამავლის როლში აღმოჩნდა აჭარლებსა და დანარჩენ ქართველებს შორის. ამის შემდეგ ერთიმეორისთვის ხმის მიწვდენა და დროთა განმავლობაში თანამშრომლობაც ხდებოდა შესაძლებელი; ზაქარია არა მარტო ქრისტიანი ქართველების მიმართ კეთილგანწყობილ მოღვაწეებსა და ხალხს დაუახლოვდა, არამედ მან ფანატიკოს, პროთურქულად და ქართველი ქრისტიანების მიმართ უარყოფითად განწყობილ სასულიერო პირებთანაც დაიწყო დიალოგი. იგი ეცნობოდა მათ პოზიციას, ესაუბრებოდა მათ ეროვნულ წარმომავლობაზე; მეტნაკლებად მათთან საერთო ენაც გამოძებნა. მან აღნიშნულ პირებს შესაძლებლობა მისცა, სურვილის გაჩენის შემთხვევაში გასცნობოდნენ ქართულ სამყაროს. სოფელ ალამბარის მოლა, სტამბოლში ნასწავლი ჰაჯი-უსუფ მამულაშვილი, რომელსაც, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქართული ენა სძულდა, ქართულად უხსნიდა თავის სკოლაში ბავშვებს ლოცვებს. საუბრის დასაწყისში მან აზრი გამოთქვა, რომ ჩვენთვის რა საჭიროა ქართული წიგნები, ჩვენი ბინა ოსმალეთშიაო. ბოლოს, ზაქარიასთან საუბრის შემდეგ მან დაიტოვა ქართული წიგნები, მე ან ჩემი შვილი ქართულ წერა-კითხვას ვისწავლითო. ამ პირებთან ურთიერთობისას ზ. ჭიჭინაძე იმ აზრამდე მივიდა, რომ ისინი საქართველოს ისტორიისა და მისი თანამედროვე მდგომარეობის გაცნობით შეიძლებოდა, როდისმე საქართველოსა და ქართველთა მოყვარე გამხდარიყვნენ

[“ივერია”, 1892, #149, გვ. 3; 1893, #152, გვ. 3]; ამ საკმაოდ დატვირთული და მნიშვნელოვანი მოგზაურობის დროს ზაქარია ჭიჭინაძე აჭარის ვითარებას ადგილზე სწავლობდა, აღწერდა მას და მთელს საქართველოს აცნობდა გაზეთ ივერიის კორესპონდენციებისა და წერილების სახით. ეს კი აჭარის თემის ძალზე საინტერესოდ და აქტუალურად წარმოჩენის საუკეთესო საშუალება იყო;

ამრიგად, ზაქარია ჭიჭინაძის აჭარაში მოგზაურობებსა და ქართული წიგნების გავრცელებას ძალზე სასარგებლო შედეგები მოჰყვა: წერა-კითხვის ფართოდ გავრცელება, თვითგანათლების პროცესის მასობრივად დაწყება, ასევე, ხალხში ქართული ცნობიერების გაძლიერება. ყოველივე ეს საქმიანობა წარმატებით უპირისპირდებოდა აჭარაში წარმოებულ ოსმალეთის იმპერიულ პოლიტიკასა და ხალხში ისლამური ფანატიზმის გავრცელებას. საუკუნის ბოლოსთვის წერა-კითხვა, წიგნების კითხვა საკმაოდ იყო გავრცელებული მთელს აჭარაში. ამით კარგად გამოჩნდა აჭარის მოსახლეობაში განათლების მიღების ძალზე დიდი მისწრაფება და მონდომება, ნიჭიერება, რაც მთელი საქართველოსთვის გახდა საყურადღებო. წლების განმავლობაში ზ. ჭიჭინაძის მოგზაურობამ ხელი შეუწყო აჭარასთან ქართველი საზოგადოების ახალი კავშირების დამყარებასა და აჭარის თემით მთელი ქართველობის კვლავ დაინტერესებას...

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აჭარის ქართველ მოსახლეობაში სასწავლო დაწესებულებების საქმიანობისა და საქართველოში წიგნების ფართოდ გავრცელების შემდეგ იზრდებოდა ქართული წიგნების შეძენისა და კითხვის მოთხოვნილება. ამის დასაკმაყოფილებლად 80-იან წლებში მცირე შესაძლებლობები არსებობდა - წიგნების მიღება შეიძლებოდა თბილისიდან და ზოგიერთი ქალაქიდან ნაცნობის მიერ ჩატანის მეშვეობით ან ფოსტით. ეს კი დატვირთვებთან ან მეტი ხარჯების გაღებასთან იყო დაკავშირებული. ხოლო ბათუმში ქართველი მოსახლეობის მომრავლების, მათი სოციალური მდგომარეობის მეტნაკლებად გაუმჯობესების შემდეგ შეიქმნა პირობები ბათუმში ქართული წიგნების მაღაზიის გახსნისთვის. 1889 წელს ბათუმში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა ქართული წიგნის მაღაზია, სადაც, სავარაუდოდ, ამ საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების გარდა სხვა წიგნებიც გაიყიდებოდა. ამის გამო ქართველი ინტელიგენცია კმაყოფილებას გამოთქვამდა

(ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელი მოსე ნათაძე გაზეთ ივერიაში). ხოლო ქალაქის ზრდისა და მისი მცხოვრებლების მკვეთრი მატების შემდეგ ეს მაღაზიაც აღარ იყო საკმარისი. 1893 წელს ქართული წიგნების ფარდული დადგეს თათრის ბაზარში, სადაც ლეზულობდნენ ყველა ქართულ გამოცემას. აქ ჰქონდათ ქართველი მწერლებისა და საქართველოს საუკეთესო ადგილების სურათებიც. ბათუმში კითხვით დაინტერესებული ადამიანების რიცხვი მატულობდა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ წიგნებს ბათუმის ქუჩებში ხელზე ტარებითაც ყიდდნენ. ამდენად, 90-იანი წლებში დაინტერესებული პიროვნებებისთვის ბათუმში მისაწვდომი გახდა გავრცელებული ქართული წიგნების შეძენა. წიგნების კითხვა შეიყვარეს ქალაქის დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებმაც, მათ შორის მუშებმა. ისინი სიამოვნებით კითხულობდნენ ქართულ წიგნებს ან ისმენდნენ ვინმეს მიერ წიგნების ხმამაღალ კითხვას, ინტერესდებოდნენ სხვადასხვა წიგნებით და თბილისიდან ჩასულ ინტელიგენტებს ეკითხებოდნენ ახალი წიგნების შესახებ. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში წიგნის კითხვა საკმაოდ გავრცელებულიყო ქართველ ბეგებს შორისაც [“ივერია”, 1889, #267, გვ. 1; 1893, #116, გვ. 2; #138, გვ. 2-3; 1902, #61, გვ. 2; 1903, #109, გვ. 2-3].

ქართულ წიგნებზე დიდი მოთხოვნილება აჭარაში ქმნიდა პირობებს ბათუმში ქართული სტამბის დაარსებისთვის, სადაც მოსახლეობას სხვა ქალაქებთან შედარებით მეტი საშუალება ჰქონდა მათ შესაძენად. 1889 წელს აქ ამოქმედდა პირველი ქართული სტამბა, რაც საზოგადოებამ სასიხარულო ამბად ჩათვალა. ამის შესახებ ცნობა მოყვანილია გაზეთ ივერიაში, 1889 წლის 154-ე ნომერში.

ბათუმში ქართული წიგნების კითხვის ინტერესის ზრდის პირობებში ყველასთვის არ იყო მისაწვდომი მათი ყიდვა ან თხოვებით წაკითხვა. ამის გამო ქალაქში მატულობდა ბიბლიოთეკის გახსნის საჭიროება. ქართველ მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეები ბევრნი იყვნენ. ბათუმის 1890 წლის აღწერის მიხედვით, წერა-კითხვა იცოდა ქართველი ქრისტიანი კაცების 67 პროცენტმა, ხოლო ქალების 43-მა პროცენტმა. ისინი სხვა ხალხებს უსწრებდნენ ამ მონაცემების მიხედვით. ქართველი მაჰმადიანი კაცების 22 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, ქალების 13-მა პროცენტმა. ეს აღწერა თარგმნეს გაზეთ ივერიის 1891 წლის 146-ე ნომერში. ბათუმში საქალაქო ბიბლიოთეკა არსებობდა 1880-იან წლებშიც,

რომლის მკითხველთა რაოდენობა იზრდებოდა. ქალაქში ქართველი მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამო აქ ქართული წიგნებიც საკმაოდ მოიპოვებოდა, რაც იზიდავდა ქართველებს. მაგრამ მისი მკითხველებისთვის დაწესებული იყო გადასახადი, რისი გადახდაც დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებისთვის ადვილი არ იყო. ამ საკითხის მოგვარებისთვის ბათუმში 1891 წელს შექმნილა ამხანაგობა, რომელიც აპირებდა უფასო სამკითხველოს გახსნას ბათუმში, როგორც იუწყებოდნენ აღნიშნული გაზეთის 1891 წლის 90-ე ნომერში. მის დარბაზში კითხვა უფასო იქნებოდა, ხოლო წიგნების გატანისთვის კი ძალზე მცირე გადასახადი დაწესდებოდა. წიგნთსაცავის დაარსების სურვილი დიდი იყო 1893 წელსაც. 1894 წელს უნდა გამართულიყო სპექტაკლი მომავალი სახალხო სამკითხველოს გასახსნელად. კარგად მოწყობილ სამკითხველოს უნდა მიეზიდა ქართველი მუშები, რომლებიც თავისუფალ დროს დუქნებში ატარებდნენ. მათ შინაარსიანი გართობა სჭირდებოდათ, აცხადებდნენ სამკითხველოს მოწყობის ინიციატორები იმავე გაზეთის 1894 წლის 20-ე ნომერში. XX საუკუნის დასაწყისისთვის უფრო და უფრო იზრდებოდა ბათუმში მკითხველთა რაოდენობა, რის გამოც ქალაქის ბიბლიოთეკას გაფართოვება სჭირდებოდა, აღნიშნავდნენ დასახელებული გაზეთის 1902 წლის 61-ე ნომერში. ბიბლიოთეკა კი ხალხში განათლების გავრცელებისა და მათი განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა...

აჭარის ქართველ მოსახლეობაში წიგნების კითხვით დაინტერესების გარდა, 1890-იან წლებში იზრდებოდა ქართული პერიოდული გამოცემების კითხვის მოთხოვნილება. ისინი ინტერესდებოდნენ საქართველოსა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით, ასევე, სხვადასხვა მიმართულებით განვითარებითაც. ამ ინტერესს მეტნაკლებად აკმაყოფილებდა იმდროინდელი ქართული გაზეთები და ჟურნალები. მათ შორის წამყვანი იყო გაზეთი ივერია. მას 1887 წელს ბათუმში 12 კაცი იწერდა [“ივერია”, 1887, #64, გვ. 2-3]. საუკუნის ბოლოს ქალაქში მისი მკითხველების რაოდენობა იზრდებოდა. აჭარის დაბა-სოფლებში კი ქართული პერიოდიკა უფრო მცირე რაოდენობით მიდიოდა. თუმცა მხარეში საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ პერიოდულ გამოცემებზე იზრდებოდა ინტერესი. 1890-იან წლებში დაბა ქედაში აბდულ-ეფენდი მიქელაძეს მისდიოდა გაზეთი ივერია, რომლის ადგილობრივი კორესპონდენტიც იყო. მას ამ გაზეთის მიღება შეუწყდა

1902 წელს. მას გაზეთის რედაქციისგან აინტერესებდა მიზეზი, თუ რის გამო აღარ ღებულობდა გაზეთს [გ. ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ-5498]. ქართული გაზეთები ხელს უწყობდა წერა-კითხვის კარგად შესწავლასა და კითხვის ჩვევების გამომუშავებას. ამასთანავე, ის ადგილობრივ ნიჭიერ და მონდომებულ ადამიანებს ეხმარებოდა თანამედროვე ლიტერატურული სტილის ათვისებაში. ქედაში მცხოვრები აბდულ-ეფენდი მიქელაძე 1902 წელს გაზეთ ივერიის რედაქტორს სწერდა: “თქვენი წყალობით თორმეტი წლის განმავლობაში ვიღებდი ივერიას, რომლის წყალობითაც ამ ხნის განმავლობაში, ჩემდა შესაფერად, შევისწავლე კითხვა და რომლითაც ვიქავრებდი ჩემს წყლულს და დრო გამოშვებით, შეძლების დაგვარად, უგზავნიდი წვრილმან ამბებს” [გ. ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ-5498]. იგი გამართულად და იმ დროისთვის ჩამოყალიბებული ლიტერატურული სტილით აქვეყნებდა თავის კორესპონდენციებს. ხოლო XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა, განსაკუთრებით გაზეთები: დროება და ივერია არა მარტო ინფორმაციის, არამედ განათლების მიღების გარკვეულ საშუალებასაც წარმოადგენდა...

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარის ქართველ მოსახლეობაში აქტიურად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესი: მასობრივად სწავლობდნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას, ხალხში ფართოდ ვრცელდებოდა ქართული წიგნები, პერიოდული გამოცემები და მათი კითხვა. ამის მეშვეობით მოსახლეობა მეტნაკლებად ეცნობოდა საქართველოს წარსულსა და მის თანამედროვე მდგომარეობას, ქართულ კულტურას. ეს კი ხელს უწყობდა მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. ამას დიდი მნიშვნელობა გააჩნდა - აჭარის ქართველობის საკმაო ნაწილი რთული რელიგიურ-პოლიტიკური ვითარების გამო იმყოფებოდა ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე. ეროვნული გადაგვარების მცდელობები შეიმჩნეოდა მხარის ქართველი მაჰმადიანების ნაწილში და მცირედ ბათუმში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეების ერთ ნაწილში.

აჭარის ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია ებრძოდა ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილის ეროვნული გადაგვარების პროცესებს. ისინი ხალხს უხსნიდნენ ამ მოვლენებს; მათში განათლების გავრცელებისა და საუბრების, ეროვნულ-რელიგიურ საკითხებზე განმარტებების მეშვეობით აძლიერებდნენ მათ შორის ეროვნულ ცნობიერებას.

ადგილობრივი მოღვაწეები ამ საქმიანობით ქართველ მაჰმადიანებს შორის რელიგიური ფანატიზმის გავრცელებასაც უშლიდნენ ხელს.

აჭარის პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებს ეხებოდა XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აჭარლებისთვის დაბეჭდილი ქართული წიგნები. წიგნების დასაწყისში იყო მცირე ცნობები მხარის ისტორიიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ წიგნებში საუბარი ოსმალეთის მიერ აჭარის დაპყრობისა და მისი მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანების შესახებ. ეს ადგილობრივ მკვიდრთ კიდევ ერთხელ ახსენებდა თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას. ამასთანავე, ეს ცნობები ნათელს ჰფენდა ეროვნულ საკითხს, რომელიც აჭარელთა ნაწილში გაბუნდოვანებულიყო ზოგიერთი მოლის მიერ პროოსმალურ-რელიგიური ქადაგებებით.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მრავალი ქართველი ადგილობრივი თუ ჩასული მოღვაწე შეახსენებდა აჭარლებს მათ ეროვნულ წარმომავლობას, ესაუბრებოდნენ წარსულში მათი ოსმალეთის მიერ დაპყრობისა და მათი იძულებით გამუსულმანების შესახებაც. ისინი ხელს უწყობდნენ აჭარლების დაახლოებას დანარჩენ ქართველობასთან. აღნიშნულ პერიოდში ცნობები გვხვდება იმის შესახებ, რომ ადგილობრივი განათლებული პიროვნებები (ბევრი “ეფენდიდ” წოდებულნი) ხალხს უხსნიდნენ სიტყვა “გურჯის” მნიშვნელობას და მათ ქართულ წარმომავლობას უმტკიცებდნენ მოსახლეობის ნაწილს. ხალხის ამ ნაწილს თავიანთი ქართული წარმომავლობა სრულად ჯერ არ ესმოდა ან პროოსმალურად განწყობილი მოღვწეებისგან არასწორი შეხედულება გააჩნდათ ამ საკითხზე [“ივერია”, 1886, #107, გვ. 2-3].

აჭარაში ადგილობრივი მოწინავე საზოგადოება საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ჩასულ ქართველ მოღვაწეებს თავიანთ ქართულ ორიენტაციას უდასტურებდა. სულეიმან-ბეგ თულუმ-ბაზადე ბეჟანიძე ზაქარია ჭიჭინაძესთან საუბარში აცხადებდა: “ჩვენ ქართულს ენას თქვენზე უკეთედ შევინახავთ... რუსულს თქვენში უფრო ბევრნი ლაპარაკობენ, თუ ჩვენში თათრულსაო? ჩვენი უმეტეს ნაწილმა ბეგებისამ და მოღვწისამ არც თათრული ენა იციან და არც წერა-კითხვაო, მაგრამ თქვენში-კი ყველა უცხო ენაზე ლაპარაკობენო; ნამეტურ ქალები” (ჭიჭინაძე 1913: 27). ადგილობრივი მოღვაწეები მხარს უჭერდნენ საქართველოს ცენტრიდან მხარეში მოწყობილ კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სხვა

სახის ღონისძიებებს. ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობდა აჭარელთა შორის ქართული ცნობიერების გაძლიერებას, ეროვნებასა და სარწმუნოების გამიჯვნას. ამით ფერხდებოდა მათ შორის პროოსმალური ორიენტაციისა და მაჰმადიანური ფანატიზმის გავრცელება.

ბათუმში XIX საუკუნის ბოლოს სახლდებოდნენ სომხურ-კათოლიკურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკეები. ისინი სამცხე-ჯავახეთში ცხოვრების დროს იმყოფებოდნენ ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე. ქართველ კათოლიკეთა ეს ნაწილი ბათუმშიც ცდილობდა სომხური კათოლიკური სამღვდელოების გავლენისგან განთავისუფლებას. მათ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში ეხმარებოდათ ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების კითხვა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ბათუმში ქართველ კათოლიკეთა შორის გავრცელებული იყო ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, ოჯახებში ჰქონდათ ქართული წიგნები. მათ კარგად ესმოდათ თავიანთი ეროვნული ვინაობა და გასომხების საფრთხე არ მოელოდათ, რაც ართვინელ ქართველ კათოლიკეებს მოუვიდათ, წერდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიის 1902 წლის 169-ე ნომერში.

ბათუმში მყოფ ქართველ მუშებს შორის განათლების გავრცელება ეხმარებოდა თავიანთი სოციალური მდგომარეობის გარკვევაში, მოგვიანებით კი - საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლაში.

ამგვარად, აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა ქართული წიგნების მასობრივად დარიგება და მცირედ კი მათი გაყიდვა ხალხში. ბათუმში გაიხსნა წიგნის მაღაზიები, მოქმედებდა ბიბლიოთეკა... ყოველივე ამით მოსახლეობაში წარმატებით ვრცელდებოდა წერა-კითხვა, ძლიერდებოდა ინტერესი ქართული წიგნებისა და გაზეთების კითხვის მიმართ. ხალხში ვრცელდებოდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რომელიც მოთხოვნილებაშიც გადადიოდა. ყოველივე ეს მათ ხელს უწყობდა თვითგანათლებაში, სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში, მათი კულტურული ღონის ამაღლებასა და მათში ეროვნული ცნობიერების გაძლიერებაში. ეს მოვლენები კი ხელს უშლიდა აჭარლებს შორის პროოსმალურად განწყობილი მაჰმადიანი სასულიერო პირების მიერ თურქული ენისა და ცნობიერების, მაჰმადიანური ფანატიზმის გავრცელებას...

§ 5. კულტურული ვითარება ბათუმში XIX საუკუნის 80-90 წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში

ბათუმი, როგორც საქართველოს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრი, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდანვე იქცა კულტურის მუშაკთა და მოყვარულთა მოღვაწეობის ასპარეზად. აქ დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ქართველები (უმეტესობა მუშები იყვნენ; ასევე, სხვადასხვა მხარიდან ჩამოსული ინტელიგენცია, ვაჭრები, მოსამსახურეები). მათ საკმაოდ გააჩნდათ კულტურული მოთხოვნილება, და, სხვა ქალაქების მოსახლეობისგან განსხვავებით, ფინანსური შესაძლებლობანი უფრო მეტი ჰქონდათ. ეს კი ბათუმში კულტურული საქმიანობისთვის კარგ პირობებს ქმნიდა.

ბათუმში რუსული ხელისუფლების დამყარებისთანავე გააქტიურდა კულტურული ცხოვრება. ეს, უპირველესად, გამოიხატა თეატრალური წარმოდგენების ხშირად დადგმითა და ადგილობრივი თეატრალური დასების ჩამოყალიბებით. ქართული სპექტაკლების გამართვისთვის საუკეთესო სტიმული აღმოჩნდა ზრუნვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ქართული სკოლისთვის შემოსავლების მოსაპოვებლად. 1883 წელს ამ სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენების გასამართად შეიქმნა ქართველ ქალთა სცენისმოყვარეთა წრე. წრემ იმავე წლიდან დაიწყო წარმოდგენების ჩატარება. ისინი 80-იანი წწ. შუა ხანებიდან წელიწადში ორჯერაც დგამდნენ სპექტაკლებს, რამაც სისტემატიური ხასიათი მიიღო. დასი თანდათანობით პროფესიულად ყალიბდებოდა, სადაც მამაკაცებიც მონაწილეობდნენ. მათი სპექტაკლები თანდათანობით უმჯობესდებოდა, რომლებიც ქართველ მაყურებლებს უფრო და უფრო იზიდავდნენ. ხოლო კარგად მომზადებულ და დადგმულ სპექტაკლებზე საკმაოდ მაყურებელიც მიდიოდა. დროთა განმავლობაში ამ დადგმების შემოსავლები მეტნაკლებად იზრდებოდა. ეს განპირობებული იყო სპექტაკლებისთვის უკეთესად მზადებით, ქართული სპექტაკლების მიმართ ხალხის მეტად შეჩვევითა და მათი თანაგრძნობით საქველმოქმედო საქმეების მიმართ. მაყურებლების რაოდენობის გაზრდის მიზნით 1890 წელს განზრახული იქნა სომეხ სცენისმოყვარეებთან გაერთიანება, რომ ერთობლივად დადგმულ სპექტაკლებზე სომხური დასის მაყურებელიც მოსულიყო და შემოსავალიც მომატებულიყო [“დროება”,

1883, #3, გვ. 3; #39, გვ. 2-3; "ივერია", 1890, #84, გვ. 2]. თუმცა, როგორც პრესის მასალებით ჩანს, ამგვარი ერთობლივი წარმოდგენები არ დადგმულა.

80-იანი წლებში ბათუმის ქართველი სცენისმოყვარეები პროფესიულად ჩამოყალიბების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. გაზეთ ივერიის იმდროინდელი კორესპონდენტების ცნობით, მათ თამაშს ნაკლი საკმაოდ ჰქონდა: როლების არასათანადოდ მომზადება, ნაკლები პასუხისმგებლობა დადგმის მომზადებისას თუ როლის შესრულებისას. ამის გამო თეატრის გულშემატკივრები აკრიტიკებდნენ სცენისმოყვარეებს. ხოლო კარგად შესრულებულ როლებს, მსახიობების მონდომებისა და ნიჭიერების გამოვლენას სიამოვნებით აღნიშნავდნენ ამ სპექტაკლების შემფასებლები. ამ სპექტაკლების შეფასებები გვხვდება გაზეთ ივერიაში, 1883 წლის 123-ე ნომერში, ასევე, 1888 წლის 49-ე ნომერში. დროთა განმავლობაში უმჯობესდებოდა ეს დადგმები, რასაც მაყურებელი აფასებდა, და იზრდებოდა მაყურებლის რაოდენობაც.

1891 წელს ჩამოყალიბდა ბათუმის ქართული თეატრალური მუდმივი დასი, რომელიც რეგულარულად დგამდა წარმოდგენებს და პროფესიულად უფრო და უფრო ვითარდებოდა. ამ დასის შესაქმნელად თბილისიდან მოუწვევიათ რამდენიმე პროფესიონალი თეატრის მუშაკი. 90-იან წლებში მეტად საგრძნობი იყო აქაურ მსახიობთა პროფესიული ზრდა. 1890-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის ქართულ დასში თანდათანობით ახალი თაობის მსახიობებიც მიდიოდნენ. ამაზე თეატრის გულშემატკივარი მოღვაწეები სურვილს გამოთქვამდნენ, რომ ძველი თაობის გამოცდილ მსახიობებს მომზადებული ცვლა მოუვიდესო. ამ ცნობებს აწვდიდნენ გაზეთ ივერიას 1891 წლის 235-ე ნომერში და 1893 წლის 65-ე ნომერში.

ბათუმის ქართულ დასს კავშირები საკმაოდ ჰქონდა საქართველოში მოქმედ ცნობილ თეატრალურ დასებთან თუ მოღვაწეებთან. ისინი მათ იწვევდნენ ხოლმე თავის სპექტაკლებშიც (1893 წელს სპექტაკლში თბილისიდან მიიწვიეს ვასო აბაშიძე). ეს მათ ეხმარებოდათ შემოქმედებითი მოღვაწეობის გაუმჯობესებაში. სპექტაკლებისთვის ძირითადად ირჩევდნენ ქართველი მწერლების ცნობილ პიესებს, თუმცა ხანდახან რუსულ პიესებსაც თარგმნიდნენ და დგამდნენ. ბათუმის ქართულ თეატრს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მაყურებელი საკმაოდ ჰყავდა. მათ ჩამოყალიბებული გემოვნება გააჩნდათ,

აფასებდნენ დადგმებს და თავიანთი ოვაციებით თუ კრიტიკით ეხმარებოდნენ თავიანთ თეატრს მუშაობის გაუმჯობესებაში. ბათუმის ქართულ თეატრს შემფასებლებიც ჰყავდა. ისინი საკმაოდ მკაცრად აფასებდნენ აქაური ქართული დასის თამაშის ნაკლოვანებებს, შეცდომებს, ხან საუბრობდნენ დასის სპექტაკლისთვის ცუდად მომზადებაზე ან მსახიობთა დაუდევარ თამაშზე. ამით შემფასებლები საკმაოდ დახმარებას უწევდნენ მათ მუშაობაში. ისინი კარგად მომზადებულ სპექტაკლებს, მსახიობების მიერ როლების მონდომებით შესრულებას, მათ ნიჭიერებას, მაყურებლის კმაყოფილებას სიამოვნებით აღნიშნავდნენ ქართული პრესის ფურცლებზეც. ბათუმის ქართულ თეატრს თავისი ერთგული მაყურებელიც უყალიბდებოდა, რომლის გემოვნებისა და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩადიოდნენ როგორც ცალკეული აღიარებული მოღვაწეები, ასევე სხვა ქართული დასები (ქუთაისიდან და თბილისიდან). მაყურებელმა განსაკუთრებით სიამოვნა ბათუმში აკაკის ჩასვლითა და მის მიერ თეატრალურ სადამოუკუნო თავისი ლექსების წაკითხვით. ამგვარი მოღვაწეობა უფრო და უფრო დიდ გასაქანს აძლევდა ბათუმის ქართულ დასს, რომელიც საქართველოში მოქმედ თეატრალურ დასებს შორის თანდათან იკავებდა თავის ადგილს. ბათუმის ქართულ წარმოდგენებს დიდი სიამოვნებით ესწრებოდნენ და დროთა განმავლობაში მეტი რაოდენობით დადიოდნენ ქართველი მაჰმადიანები. ისინი მის ერთგულ მაყურებლებადაც ყალიბდებოდნენ და ეზიარებოდნენ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ბათუმში გამართულ ქართულ სპექტაკლებს სხვა ეროვნების მაყურებლებიც ესწრებოდნენ (იხ. “დროება”, 1883, #123, გვ. 2-3; “ივერია”, 1888, #49, გვ. 2; 1889, #4, გვ. 2; 1890, #128, გვ. 2; 1892, #26, გვ. 2; 1893, #29, გვ. 2-3; 1894, #20, გვ. 1-2; 1902, #221, გვ. 4)...

ბათუმის ქართული თეატრი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა: ის საკმაოდ თანხებით ეხმარებოდა ბათუმის ქართულ სკოლას და მრავალ საქველმოქმედო დადგმას აწყობდა; სპექტაკლები იმართებოდა ქობულეთის მომავალი სკოლის, ბათუმის მომავალი უფასო ბიბლიოთეკის გახსნის, ღარიბი სტუდენტების დახმარების, დამწვარი წინამძღვრიანთკარის სკოლის აღდგენის, თბილისის ქალთა სკოლის გახსნის სასარგებლოდ. ამით დასი ამ დაწესებულებების მნიშვნელობას ხალხში მეტად წარმოაჩენდა. ხალხი კი საქველმოქმედო სპექტაკლებზე დასწრებით თანაგრძნობასა და

დახმარებას უწევდა აღნიშნულ საქმეებს. ხანდახან სპექტაკლების დროს მაყურებელი შეწირულობებს გაიღებდა ხოლმე ბათუმის ქართული სკოლის სასარგებლოდ, მათ შორის ქართველი მაჰმადიანებიც. ბათუმის ქართული დასის საზოგადო მოღვაწეობას დიდ ყურადღებას უთმობდნენ გაზეთ ივერიაში და მასზე საკმაო ცნობებს ბეჭდავდნენ (1888 წლის 273-ე ნომერი, 1889 წლის მე-100 ნომერი, 1890 წლის 176-ე ნომერი, 1892 წლის 26-ე ნომერი, 1894 წლის მე-20 ნომერი).

ბათუმის ქართველი საზოგადოება დიდ მხარდაჭერასა და დახმარებას უწევდა ქართულ თეატრალურ დადგმებსა და შემდეგ ჩამოყალიბებულ ადგილობრივ ქართულ დასს. აქაურ ქართულ სკოლაზე მზრუნველი და თეატრის მოყვარე მოღვაწეები ერთვებოდნენ სპექტაკლების მომზადების, ორგანიზების საქმეებში, მოსახლეობას მეტად აინტერესებდნენ ქართული დადგმებით (მ. ნათაძე, ქართული სკოლის მთელი სამზრუნველო კომიტეტი და მათ შორის ახალგაზრდა ოფიცერი დავით კლდიაშვილი). ისინი ქართული თეატრის დიდ დანიშნულებაზე საუბრობდნენ ხალხში თუ გაზეთის ფურცლებზე, რომ თეატრი ცხოვრებისეული სკოლა იყო, რომ მისი საშუალებითაც ეროვნული თვითცნობიერება ძლიერდებოდა. ამაზე ცნობები გვხვდება გაზეთ ივერიის 1889 წლის მე-4 და 203-ე ნომერში, 1891 წლის მე-2 ნომერში, 1902 წლის 221-ე ნომერში. ავტორი ფსევდონიმით “ონ-ლიძე” იმავე გაზეთის 1902 წლის 221-ე ნომერში აკრიტიკებდა ბათუმის ქართული დასის მიერ “ღალატის” დადგმას და აცხადებდა: “ჩვენ ქართველებისთვის თეატრი, სცენა ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც ჩვენი ცხოვრების ავკარგიანობას, ჩვენს აზრსა და ფიქრს ვეცნობით მშობლიურ ნიადაგზე. აქ, მხოლოდ აქ გვესმის ჩვენ სამშობლო ენაზე ჩვენი დარდი და ვარამი, მწუხარება, სიხარული და აღტაცება და ამიტომ თვითოეული ჩვენგანისათვის ... ძვირფასი უნდა იყოს ქართული თეატრი, ეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ერთად-ერთი წმინდა ტაძარი”.

ბათუმში კულტურის მრავალმხრივ გავრცელებისა და, ასევე, ადგილობრივად განვითარების შესაძლებლობა საკმაოდ იყო. აქ ცხოვრობდა ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების ინტელიგენცია, დასვლეთ საქართველოს მხარეებიდან ჩასული ქართველი მოსახლეობა. მათ საკმაოდ გააჩნდათ ინტერესი ევროპული და რუსული კლასიკური

მუსიკის, ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი მუსიკისა და ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მიმართ.

ბათუმში 80-იანი წლებიდან საკმაოდ ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სახის კონცერტები, რასაც ხელს უწყობდა მათი გამართვა საქველმოქმედო დანიშნულებითაც. ხოლო ქართველი საზოგადოება ბათუმის ქართული სკოლის ან სხვა საქველმოქმედო საქმეების სასარგებლოდ ენერგიულად იღვწოდა, რომ ბათუმში მოეწვიათ საქართველოში ცნობილი მუსიკოსები ან თვითონ მოეწყოთ ხელოვნების ბათუმელი მუშაკების კონცერტები. 1883 წელს ბათუმის ქართველმა მოღვაწეებმა პიესა “გაყრის” დადგმისას რუსი მაყურებლების მისაზიდად მიიწვიეს ქალბატონი კორადინისა კლასიკური მუსიკის შესასრულებლად, რომელმაც სხვა მუსიკოსებთან ერთად 4 მუსიკალური პიესა დაუკრა. ეს წარმოდგენები გაიმართა ბათუმის ქართული სკოლის სასარგებლოდ. მას მაყურებელი დიდი რაოდენობით დაესწრო, რომელთაც დიდი სიამოვნება მიიღეს. ბათუმის ქართული სკოლის დასახმარებლად ადგილობრივი მოღვაწეები შემდგომაც მართავდნენ მუსიკალურ წარმოდგენებს და საკონცერტოდ იწვევდნენ ცნობილ ქართველ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს. 1884 წელს მათ ბათუმში კონცერტების გასამართად მიიწვიეს ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე და კონტრიძე, 1887 წელს - ლადო აღნიაშვილი, 1889 წელს - მელიტონ ბალანჩივაძე, 1891 წელს - ფ. ქორიძე და ჟიგონი. 1893 წელს მელიტონ ბალანჩივაძის მიერ გაიმართა მუსიკალური და ლიტერატურული საღამო. ეს კონცერტები უფრო და უფრო აყვარებდა ბათუმის საზოგადოებას მსოფლიო კლასიკურ და ქართულ მუსიკას, ამაღლებდა მის გემოვნებას. მსმენელი უფრო და უფრო მეტი რაოდენობით ესწრებოდა ამ წარმოდგენებს [“დროება”, 1883, #39, გვ. 2-3; 1884, #216, გვ. 2; #220, გვ. 3; “ივერია”, 1887, #77, გვ. 2; 1889, #96, გვ. 2; 1891, #222, გვ. 1; 1893, #148, გვ. 2]...

ბათუმში ჩატარებული კონცერტები ხელს უწყობდა მუსიკის ადგილობრივი მოყვარეების შემოქმედებით საქმიანობას. აქ ბევრი იყო ქართული საეკლესიო საგალობლებისა და ქართული ხალხური სიმღერების მოყვარე, რომელებიც საზოგადოების ამ მიმართულებით გაზრდილი ინტერესის პირობებში იწყებდნენ მოღვაწეობას ადგილობრივი მუსიკალური ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად. 1886 წელს ბათუმის საქალაქო სკოლის მასწავლებელმა ევსები ბიბილუამ იმავე სკოლაში მოსწავლეთაგან შექმნა

მგალობელთა გუნდი, რომელიც რუსულად ასრულებდა გალობებს. ქართველი მოღვაწეები მას მოუწოდებდნენ, რომ მას მგალობელთა ქართული გუნდიც შეექმნა. მართლაც, მცირე ხანში მან ბათუმის ქართულ სკოლაში უფასოდ დაიწყო ბავშვებისთვის ქართული სიმღერების სწავლება, ხოლო 1889 წელს ის ცდილობდა ქართველ მგალობელთა გუნდის შექმნას. ქართველი მოღვაწეების ყურადღებას ამ მიმართულებით აშუქებდა თავის ფურცლებზე გაზეთი ივერიაც, სადაც დაბეჭდილია ეს ცნობები 1886 წლის 282-ე ნომერში, 1888 წლის 46-ე ნომერსა და 1889 წლის 95-ე ნომერში. ხალხში ქართული საგალობლების სიყვარულმა (ეს გააძლიერა ბათუმში ფ. ქორიძის მიერ რამდენჯერმე წარმოდგენილმა კონცერტმა), ბათუმის მართლმადიდებელ ეკლესიაში ქართულად დაწყებულმა წირვა-ლოცვამ შექმნა საზოგადოებრივი აზრი და მოამზადა მოღვაწენი ადგილობრივ მგალობელთა გუნდის შესაქმნელად. ამისთვის ჩამოყალიბდა სპეციალური კომიტეტი, რომელმაც შრომა და სახსრები არ დაიშურა საამისოდ. მოწვეულმა ფილიმონ ქორიძემ მცირე ხანში კარგად მოამზადა მგალობელთა გუნდი, რომელმაც 1893 წლის აგვისტოში დაიწყო ქართული საეკლესიო საგალობლების შესრულება. იმავე გაზეთმა სიამოვნებით შენიშნა ეს სიახლე თავის 1893 წლის 184-ე და 269-ე ნომერებში. ამან საეკლესიო მსახურებაზე მრავალი ადამიანი მიიზიდა...

ბათუმის ქართული მუსიკის მოყვარული საზოგადოება მონდომებული იყო ხალხური მუსიკალური გუნდის შესაქმნელად. 1889 წლიდან დაიწყეს მოღვაწეობა ხალხურ მომღერალთა გუნდის ჩამოსაყალიბებლად თავად ნ. აბაშიძის ხელმძღვანელობით. იმავე წლის ზაფხულში უკვე საჯაროდ ასრულებდა გურულ-მეგრულ ჯარისკაცებისგან შემდგარი გუნდი ხალხურ სიმღერებს, რომლებიც გურულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები. გაზეთ ივერიის ავტორები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ამით მუსიკალური ცოდნა გავრცელდება ხალხში. 1894 წელს ბათუმში გამართულ თეატრალურ და მუსიკალურ სადამოზე, სადაც აკაკიმ თავისი ლექსები წაიკითხა, შესრულდა გურული სიმღერები და ხალხური ცეკვები, რაც ძალიან მოეწონა ქართველ და უცხოელ მაყურებელს. საზოგადო მოღვაწეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ სიმღერებს და, საერთოდ, მუსიკას. იმავე გაზეთის კორესპონდენტი “ბათუმელი” ბათუმში ლადო აღნიაშვილის კონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: “სიმღერა... ჩვენი ეროვნულის კულტურის ერთი

საგანთაგანია. სიმღერა აკეთილშობილებს, წვრთნის, ახალისებს გულსა. გული სამშობლოს ეკუთვნის. გულს უყვარს სამშობლო”. ხალხში სიმღერების გავრცელება ძალიან დიდი საქმეაო [“ივერია”, 1887, #77, გვ. 2; 1889, #106, გვ. 1; #131, გვ. 1; 1894, #20, გვ. 1-2].

ბათუმში მუსიკის სიყვარულთან ერთად ცეკვაც იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. აქ იმართებოდა საცეკვაო საღამოები, ბალები, რაც ახალისებდა ბათუმელებს თუ იქ ჩასულ სტუმრებს და ამადლებდა მათ მუსიკალურ კულტურას. ამას აღნიშნავდნენ იმდროინდელ ქართულ გაზეთებში - დროებასა (1883 წლის 252-ე და 255-ე ნომერი) და ივერიაში (1894 წლის მე-20 ნომერი)

ქართული კულტურის მოყვარული აჭარის ქართველობა გატაცებული იყო ქართული ლიტერატურით. მიუხედავად ოსმალების მიერ ქართული კულტურული ტრადიციების დევნისა, რუსული მმართველობის დამყარების პერიოდში კარგად იყო შემორჩენილი ხალხური პოეზია, ფოლკლორი. ხოლო რამდენიმე ადგილობრივი ცნობილი პოეტის (ჰუსეინ ხაბაზ ქამჯარაძე, ოსმან წულუკიძე...) ლექსები ზეპირად ვრცელდებოდა ხალხში; მათ აფასებდა მოსახლეობაც. ასეთ პირობებში საჭირო იყო ხალხური პოეზიისა და ფოლკლორული მასალის შეგროვება, მათი გამოცემა და ხალხისთვის მიწოდება; შემდეგ კი მოსახლეობაში თანდათან ქართული კლასიკური ლიტერატურის გავრცელება. ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დააყენეს აჭარული ფოლკლორისა და ხალხური პოეზიის ნიმუშების შეკრებისა და გამოცემის საკითხი (გაზეთ დროებაში, 1879 წლის მე-2 ნომერში). მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ამ საქმის სერიოზულად წამოწყება ვერ მოხერხდა. 80-იანი წლების ბოლოსთვის აჭარულ ფოლკლორს ყურადღება მიაქცია პეტრე უმიკაშვილმა, ხოლო 1891 წლიდან კი ზაქარია ჭიჭინაძემ დაიწყო მოგზაურობა ქართული წიგნების (მათ შორის აქაური ლექსების) გასავრცელებლად და აჭარული პოეზიის, ფოლკლორის შესაკრებად. ამ მხრივ მან დიდი მასალა დააგროვა და დაიწყო მათი შერჩევა გამოცემის მიზნით. აჭარაში ის დარწმუნდა, რომ ხალხს უყვარდა ხალხური თუ მათი მხარის პოეტების ლექსები. ამის შესახებ ცნობას გვაწვდიდა გაზეთ ივერიის 1892 წლის 50-ე ნომრის ქრონიკა. იგი 1893 წელს მათ ნაწილს უკვე დაბეჭდილი სახით ავრცელებდა მხარის მოსახლეობაში. აჭარულ ხალხურ და ადგილობრივ პოეტთა შემოქმედებას ეცნობოდნენ ასევე სხვა მხარეებში მყოფი

მკითხველებიც. აჭარული პოეზიის წიგნებით გავრცელება დიდ სტიმულს აძლევდა ადგილობრივ პოეტებსა და მელექსეებს თავიანთ ლიტერატურულ მოღვაწეობაში; ხალხში კი ქმნიდა პირობებს, რომ შემდეგ მათ შორის უფრო ადვილად გავრცელებულიყო ქართული კლასიკური მწერლობა.

ბათუმში ბევრად უკეთესი პირობები იყო ქართული კლასიკური ლიტერატურის გავრცელებისთვის (ქალაქში 1889 წელს ამოქმედდა ქართული წიგნის მაღაზია, არსებობდა ბიბლიოთეკა). ეს ადგილობრივ ლიტერატორებს გასაქანს აძლევდა თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. ბათუმში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ალექსანდრე ყაზბეგი, ახალგაზრდა დავით კლდიაშვილი, პოეტი გრიგოლ ვოლსკი და სხვანი, რომელთა იქ ყოფნა და მათი შემოქმედება საზოგადოების ლიტერატურით დაინტერესებაზე თავის გავლენას ახდენდა. ამასთანავე, ბათუმში ჩადიოდნენ ცნობილი პოეტები და მოღვაწეები და ქართულ კლასიკურ პოეზიას ცოცხლად აზიარებდნენ ხალხს. 1893 წელს მ. ბალანჩივაძემ ბათუმში ლიტერატურული და მუსიკალური საღამო გამართა, ხოლო აკაკიმ თეატრალურ წარმოდგენაზე თავისი ლექსების წაკითხვით აღაფრთოვანა მაყურებელი [“ივერია”, 1893, #148, გვ. 2; 1894, #20, გვ. 1-2].

აჭარაში ქართული ისტორიული ნივთების, ისტორიული და ხელოვნების ძეგლების თუ მათი ნანგრევების სიუხვე მათი მეცნიერული შესწავლისთვის კარგ მასალას იძლეოდა. აქაური ძეგლების მეცნიერულად შესწავლის საჭიროებას ქართველი მოღვაწეები აჭარაში რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე აყენებდნენ. ს. მესხი გაზეთ დროებაში, 1878 წლის 214-ე ნომერში ქართველ მეცნიერებს მოუწოდებდა დაბრუნებული მხარის მეცნიერულად შესწავლისკენ. იქ ეკლესია-მონასტრები და ციხესიმაგრეები თუ მათი ნაშთები მოუვლელობით ინგრეოდა. ცალკეული მოღვაწეები ინტერესდებოდნენ აჭარაში არსებული ამგვარი უხვად შემორჩენილი ძეგლებითა და მათი თანამედროვე მდგომარეობით. ლუკა ქუთათელაძეს აჭარის მაზრის უფროს ლორთქიფანიძესთან ერთად დაევლო აჭარის ეკლესიები, რომლებიც მოუვლელობით ინგრეოდა, რასაც იუწყებოდა გაზეთ დროების 1880 წლის 162-ე ნომერი. მთავრობა ამ ძეგლებსა და სიძველეებს ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. ბათუმში მოღვაწე ინტელიგენცია აქტიურად იყო ჩართული ქალაქის

საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ხოლო აჭარის ადგილობრივი მოღვაწეები იმდენად არ იცნობდნენ საქართველოს ისტორიას, ხელოვნების ძეგლებს და სათანადო განათლებაც არ გააჩნდათ, რომ ამ ძეგლების აღწერა და შეძლებისდაგვარად შესწავლაც დაეწყოთ. 1888-1889 წლებში საქართველოს სხვადასხვა მხარეში და, მათ შორის, აჭარაშიც იმოგზაურა გრაფ უვაროვის ქვრივმა, პრასკოვიამ, აწარმოვა ზოგგან არქეოლოგიური გათხრები ან სხვა გზით მოიპოვა სიძველეები. მან ისინი შესწავლის მიზნით გააგზავნა მოსკოვში (სახოკია 1950: 137-138). ამაზე გაზეთ ივერიის 1888 წლის 202-ე ნომერში უცნობი ავტორი წერდა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში არავინაა ისეთი, რომ ეს ძეგლები გამოიკვლიოსო, ე. ი. ის სინანულს გამოხატავდა ამ ძეგლების საქართველოდან გატანის გამოც.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ვერ ხერხდებოდა აჭარის არქიტექტურული ძეგლების აღწერა და შესწავლა. მაგრამ მოსახლეობა პატივს სცემდა მათი წინაპრების მიერ აშენებულ ეკლესიებს თუ საერო ნაგებობებს და თუ არ ზრუნავდა მათზე, არ ხელყოფდა მაინც მათ. აჭარის მოსახლეობა და ადგილობრივი მოღვაწეები არა მარტო არქიტექტურულ ძეგლებს, არამედ შემორჩენილ ისტორიულ ნივთებს თუ ძველ ხელნაწერებს პატივისცემით ეპყრობოდნენ, უფროხილდებოდნენ და მათ საიმედო ორგანიზაციას ან პიროვნებებს აწვდიდნენ კიდევ. 1888 წელს ლევან მჭედლიშვილმა შავშეთში ნაპოვნი ძველი “ვეფხისტყაოსანი” და ართვინის კორბულის ეკლესიის ძველი გუჯრის პირი შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. აბდულ-ეფენდი მიქელაძემ სოფელ აგარაში ნახა ძველი შემოკლებული კარაბადინი, რომელიც, გადმოცემით, 200 წლისა არისო. ამაზე წერდნენ გაზეთ ივერიაში, 1893 წლის 233-ში. აბდულ-ეფენდიმ კარაბადინი გაუგზავნა ზაქარია ჭიჭინაძეს, რომ მას ხსენებული საზოგადოებისთვის გადაეცა ის, რომელიც, შეიძლება, გადაბეჭდონ ახალ ქართულზეო. აბდულ-ეფენდი წერილში სწერდა ზაქარიას, თუ ეს წიგნი არაფრით შესანიშნავი არ აღმოჩნდებოდა, ის დაებრუნებინათ მისი პატრონი მოხუცი ქალისთვის [გ. ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ-5505]. აბდულ-ეფენდიმ იმავე საზოგადოებას გაუგზავნა სპილენძის არქეოლოგიური ნივთი, მედლის მსგავსი და უცხო წარწერით [“ივერია”, 1893, #199, გვ. 1]. მართალია, აჭარაში ამგვარი დაინტერესება

სიძველეებითა და კულტურული ძეგლებით არ იყო საკმარისი, მაგრამ ის სამომავლოდ ამზადებდა პირობებს მათ შესასწავლად შესაძლებლობის გამოჩენის შემთხვევაში...

აჭარის ეთნოგრაფიით ჯერ კიდევ 1874 წელს გიორგი ყაზბეგი და დიმიტრი ბაქრაძე დაინტერესდნენ და გარკვეული ცნობებიც შეკრიბეს. დ. ბაქრაძემ 1879-1880 წლებშიც იმოგზაურა აჭარაში, მაგრამ ვეღარ გააგრძელა თავისი კვლევა ამ მიმართულებით. მან მხარის შესწავლის საკითხი დააყენა სხვადასხვა კუთხით და, მათ შორის, ეთნოგრაფიულადაც [“დროება”, 1880, #74, გვ. 2-3]. აჭარის ეთნოგრაფიით 1880-იანი წლების შემდეგაც ინტერესდებოდნენ ხოლმე ქართველი (ზ. ჭიჭინაძე) და უცხოელი ავტორები (ჟან მურიე), მაგრამ ისინი დროის სიმცირის გამო მცირედ და ზედაპირულად აღწერდნენ ხოლმე აჭარლების ყოფას, ტანსაცმელს, სახლებს და ა. შ. აჭარაში ეთნოგრაფიის მეცნიერულად განვითარებისთვის ეს არასაკმარისი იყო. მიუხედავად საზოგადოებაში ინტერესის არსებობისა აქაური გამორჩეული ეთნოგრაფიული ვითარების მიმართ, XIX საუკუნის ბოლომდე აჭარის ეთნოგრაფიული კვლევა სერიოზულად არ წარმოებულა.

აჭარაში ქართული კულტურის გავრცელებასა და განვითარებასაც უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი მოსახლეობა. ქართველი მაჰმადიანებიც სიამოვნებით ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, თავიანთი მხარის კულტურის მიმართაც უძლიერდებოდათ ინტერესი. ესეც ამაღლებდა მათში ქართულ შეგნებასა და ცნობიერებას, რაც ხელს უშლიდა მოლათა ერთი ნაწილის მიერ ოსმალური ნაციონალიზმისა და რელიგიური ფანატიზმის გავრცელებას...

ამრიგად, XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ზრდა-განვითარებამ ადგილობრივ ქართველ საზოგადოებას მისცა კარგი შესაძლებლობები კულტურის მიმართულებით მოღვაწეობისთვის. ადგილობრივმა სცენის მოყვარებმა 80-იანი წლების დამდეგიდან დაიწყეს ქართული თეატრალური წარმოდგენების დადგმა. 90-იან წლებში კი ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი, რომელიც პოპულარული ხდებოდა ბათუმის ქართველობაში. ბათუმის საზოგადოების ძალისხმევით 80-იანი წლების ბოლოდან შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო მგალობელთა გუნდები. აჭარაში სამეცნიერო მუშაობის საჭიროება საკმაოდ არსებობდა. აქ იყო უამრავი ისტორიული, არქიტექტურული და სხვა სახის ძეგლები, მდიდარი ზეპირსიტყვიერება და

საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა. ამის მიუხედავად, ქართველმა საზოგადოებამ სათანადო პირობების არქონის გამო ვერ მოახერხა სერიოზული სამეცნიერო მუშაობის გაწევა მათი აღწერის, შეკრებისა და შემდეგ შესწავლის მიმართულებით. მაგრამ ცალკეული მოღვაწეების ინიციატივითა და მონდომებული საქმიანობით ნაწილობრივ მაინც შეიკრიბა ზეპირსიტყვიერი მასალა და ზოგიერთი ადგილობრივი პოეტის ნაწარმოებები, მათი ნაწილი წიგნებად გამოიცა. საზოგადოება და ხალხი დაინტერესდა აქაური სიძველეების გაფრთხილებით. ზოგიერთი ადგილობრივი მოღვაწე მათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უგზავნიდა გამოკვლევის მიზნით. ყოველივე ეს კი სამომავლოდ იძლეოდა იმედს, რომ შესაძლებლობების გამოჩენის შემთხვევაში ქართველი საზოგადოება იზრუნებდა მხარის ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიული თავისებურებების, სიძველეებისა და კულტურის ძეგლების აღწერის, შესწავლისა და მათი საიმედოდ დაცვისთვის. მკვიდრი ქართველი მაჰმადიანებიც დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ქართულ კულტურას. ეს ხელს უწყობდა მათ შორის ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, აფერხებდა პროოსმალურად განწყობილ მოლათა ერთი ნაწილის მიერ რელიგიური ფანატიზმის გავრცელებას აჭარლებს შორის.

§ 6. საზოგადოებრივი ცხოვრება ბათუმში

ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გააქტიურებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან ერთად საგრძნობი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება. ამას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებები: მომავალი თაობებისთვის მშობლიურენოვანი განათლების მიცემასა და ქართული კულტურის გავრცელებას მხარდაჭერა და დახმარება თვითონ ქართველთაგან სჭირდებოდა; აჭარის მოსახლეობის გაჭირვების თუ ეროვნული პრობლემების მოგვარებისთვის ქართველ საზოგადოებასა და ხალხს უნდა ეზრუნა. ეს კარგად ესმოდათ აჭარის პატრიოტულ ძალებს, ინტელიგენციასა და მაღალი ეროვნული შეგნების მოსახლეობასაც. იმხანად საერთოდ საჭირო იყო ერის წინაშე მდგარი ამოცანებისა და გადაულახავი პრობლემების შესახებ საუბარი, მათი გაცნობა მთელი ქართველი

საზოგადოებრიობისთვის და მოწოდება ამ საკითხების ერთობლივი ძალებით გადაწყვეტისკენ.

აჭარა, როგორც განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი რეგიონი, საჭიროებდა საქართველოს მოწინავე საზოგადოების, ქართული პატრიოტული ძალებისა და, საერთოდ, მთელი ქართველობის მხარდაჭერასა და დახმარებას, განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ. ადგილობრივი მოღვაწეების, ინტელიგენციის, პრესასთან თანამშრომელი პიროვნებების მხრივ საჭირო იყო მთელი საქართველოს მასშტაბით აჭარის სირთულეების, განსაკუთრებით, ეროვნული პრობლემების გაცნობა და დაყენება მთელი ქართველი ერის წინაშე. ეს საკმაოდ წარმატებით მოახერხეს ქართველმა მოღვაწეებმა ძირითადად გაზეთ დროების მეშვეობით. ამას მოჰყვა ქართველი საზოგადოებრიობის მიერ აჭარის მოსახლეობის მხარდაჭერა, გარკვეული დახმარებაც, ხოლო აჭარელთა მუჰაჯირობის დროს მოწოდება მათი სამშობლოში დარჩენისათვის, დაიმედება მათი პრობლემების ერთობლივად როგორმე მოგვარებისა და ოდესღაც დაკარგული ძმების უფრო დაახლოებისკენ. ქართველმა საზოგადოებამ ამ დაახლოების ყველაზე ეფექტურ საშუალებად ჩათვალა ქართულენოვანი განათლების გავრცელება აჭარაში, რითაც აჭარლები გაეცნობოდნენ ქართულ სამყაროს და საგანმანათლებლო საქმიანობისას უფრო ადვილად დაუახლოვდებოდნენ მოძმეებს, უფრო მეტად კი მათი მომავალი თაობები. ამ მიზნით ბათუმში გახსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი სკოლა და იყო მცდელობა აჭარაში სხვაგანაც ამგვარი სკოლის გახსნისა. საგანმანათლებლო მიზნით ქართული წიგნები მიეწოდა აჭარის სოფლებს და სხვა დახმარებები გაეწიათ აჭარის მოსახლეობას.

ფართო საზოგადოებრივი საქმიანობა სჭირდებოდა ქართული კულტურული ღონისძიებების მოწყობას ბათუმში (სპექტაკლების დადგმა, მუსიკალური და ლიტერატურული წარმოდგენების მოწყობა...), რაშიც მონაწილეობდნენ თბილისიდან ჩასული დასები თუ ხელოვნების მუშაკები... აჭარელები დიდად აფასებდნენ ქართველი საზოგადოების დახმარებას, მხარდაჭერას, თანადგომას თუ სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას. ისინი გამოთქვამდნენ იმედს ქრისტიანი მოძმეების მხრივ შემდგომ თანადგომასა და დახმარებებზე, მოუწოდებდნენ მთელს ქართველობას კიდევ ამისკენ.

ისინი დიდი მადლიერებით ღებულობდნენ მოძმეთა ყურადღებასა და დახმარებას, ამაგს მათი კუთხის მიმართ. ადგილობრივი საზოგადოება დიდი პატივით აღნიშნავდა აჭარაზე მზრუნველი პიროვნებების ღვაწლს. აჭარლებმა დიდი მადლიერებით მიიღეს მათთან დარიგებული ქართული წიგნები და ეს გამოხატეს კიდევ გაზეთ ივერიაში 1892 წელს აბდულ ეფენდი მიქელაძის წერილით. მათ საგანგებოდ აღნიშნეს აჭარის მოამაგე პიროვნებების გარდაცვალება. ბათუმში ი. კერესელიძის სახელზე შეკრიბეს 190 მანეთი, რაშიც არაქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა, პანაშვიდი გადაუხადეს სერგეი მესხს, დ. ყიფიანს, კ. მამაცაშვილს [“დროება”, 1883, #145, გვ. 1; “ივერია”, 1887, #232, გვ. 2; 1892, #210, გვ. 2-3; 1893, #4, გვ. 2; 1900, #196, გვ. 3-4] და ა. შ.

აჭარლები და ბათუმის მაცხოვრებელი სხვა ქართველობა თავს საქართველოს შვილად მიიჩნევდნენ, სხვადასხვა პატრიოტულ საქმიანობაში მონაწილეობდნენ და ერთვებოდნენ საერთოქართული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებში (წინამძღვრიანთკარის სკოლის დაწვის გამო მისთვის შესაწირავებისა და ბათუმში დადგმული სპექტაკლის შემოსავლის გაგზავნა; ფერდინანდ დედებაშვილის მიერ ბათუმში 15 მანეთის შეკრება ჯავახთათვის წიგნების დაბეჭდად, რაც აღნიშნა გაზეთმა ივერიამ 1895 წლის 86-ე ნომერში). ისინი ეხმაურებოდნენ ეროვნული მნიშვნელობის ფაქტებს (ცნობილი მოღვაწეების გარდაცვალების გამო გამოხმაურება, შესაწირავების გაღება მათი პატივით დაკრძალვისთვის...), მხარდაჭერას უცხადებდნენ და გარკვეულწილად დახმარებებსაც გზავნიდნენ აღნიშნული საქმეებისთვის. ბათუმის ქართველობა აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მის გასაჭირს, პრობლემებს გულსტკივილით ეხმიანებოდა. მაგალითად, ავტორი ფსევდონიმით “ბათუმელი” გაზეთ ივერიის 1887 წლის 89-ე ნომერში იწონებდა ნ. ურბნელის ეთნოგრაფიულ სტატიებს და მოუწოდებდა ქართველობას საქართველოს ეთნოგრაფიულად შესწავლისკენ. თორემ ზოგიერთი რუსი და უცხოელი ავტორი რა შეურაცხყოფას აღარ გვაყენებსო. რაც შესწავლილია, რუსულად ითარგმნოს, უცხოეთში მყოფმა ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ჩვენი თავი ევროპასაც გააცნოსო.

მართალია, ბათუმის ქართველი საზოგადოება ძირითადად ჩასული ქართველებისგან შედგებოდა. მაგრამ მათ შორის მოღვაწე აჭარლები და სოფლად

მაცხოვრები და თუნდაც ნაკლები ინფორმაციის მქონე მოსახლეობა იზიარებდა ბათუმის ქართველი საზოგადოების აზრსა და მოღვაწეობის მიმართულებებს, პატრიოტულ განწყობას. ისინი მხარს უჭერდნენ მათ საზოგადოებრივ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ეს საქმიანობა მიმართული იყო ქართველი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, მათი განათლებისა და განვითარებისკენ, მათ შორის ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და სერიოზული, განსაკუთრებით რელიგიასთან დაკავშირებული ეროვნული პრობლემების მოგვარებისთვის ზრუნვისკენ...

ბათუმში აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება და ენერგიული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოღვაწეებსა და ამ ხალხებსაც საკმაოდ აახლოებდა ერთმანეთთან. ისინი ერთმანეთის მიერ მოწყობილ საგანმანათლებლო და კულტურული მნიშვნელობის ღონისძიებების მოწყობაში მონაწილეობდნენ, დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს, ყიდულობდნენ ერთმანეთის საქველმოქმედო წარმოდგენების ბილეთებს, ამ საქველმოქმედო საქმეებისთვის თანხებს სწირავდნენ და ერთმანეთის დახმარებით საკმაოდ წარმატებით მიჰყავდათ აღნიშნული საქმეები. ბათუმის ქართული სკოლის ასაგებად თანხის შეწირვისას მრავალმა რუსმა, სომეხმა, ბერძენმა და სხვა ეროვნების წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ამისთვის ქართველი საზოგადო მოღვაწეები მათ საგანგებოდ უხდიდნენ მადლობას და აცხადებდნენ: სხვა ტომელებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენი ერი მათთვის უცხო არაა და ჩვენი წარმატება მათთვისაც ძვირფასიაო. მათგან ასეთ სიკეთეს ხალხი არ დაივიწყებს და ეს სიკეთე დღეს თუ ხვალ უთუოდ მიზღული იქნებაო [“ივერია”, 1893, #214, გვ. 2-3]. ეროვნებათა და სხვადასხვა აღმსარებლობის ჯგუფების ურთიერთმეწყნარებლობითა და ურთიერთპატივისცემით, ერთმანეთის თანადგომითა და დახმარებებით ბათუმი XIX საუკუნის ბოლოდანვე ყალიბდებოდა მრავალკულტურულ ქალაქად. ქალაქში დროთა განმავლობაში ქართული ენა და კულტურა უფრო და უფრო ვრცელდებოდა და იმტკიცებდა პოზიციებს (ვარშანიძე 2006: 37-39)...

ამრიგად, აჭარას მთელმა ქართველმა საზოგადოებრიობამ მისი დაბრუნებისთანავე დიდი თანადგომა და დახმარებებიც გაუწია, რასაც დიდად აფასებდა ადგილობრივი ქართველი საზოგადოება. აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

ქართველი საზოგადოების ენერგიული საგანმანათლებლო საქმიანობა და მათი მხრივ ზრუნვა კულტურის გავრცელება-განვითარებისთვის ხელს უწყობდა ბათუმში საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურებას. აქაური საზოგადოება ერთვებოდა საერთოქართულ მოძრაობებში, რეგიონი მჭიდროდ უკავშირდებოდა დანარჩენ საქართველოს. ხოლო ქართველთა საზოგადოებრივი აქტიურობა და მათი თანამშრომლობა ბათუმის სხვა ეროვნების ინტელიგენციასთან, წლების განმავლობაში ერთად ცხოვრება ხელს უწყობდა ბათუმის მრავალკულტურულ ქალაქად ჩამოყალიბებას. იქ სხვადასხვა ეროვნულ და აღმსარებლობის ჯგუფებს შორის არსებობდა რჯულთშემწყნარებლობა და ურთიერთპატივისცემა. ქალაქში შეინიშნებოდა კულტურული წინსვლა, ქართული ენა ვრცელდებოდა და ქართული კულტურა ვითარდებოდა...

თავი V. რელიგიური ვითარება აჭარაში 1878-1904 წლებში

§ 1. ქართველი მაჰმადიანები

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარებას სერიოზული ცვლილებები მოჰყვა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ ეს ცვლილებები ძირითადად ქ. ბათუმში ხდებოდა. ბათუმი რუსეთის მმართველობის პირველივე წლებიდან სწრაფად განვითარდა და გაიზარდა. ხოლო მის მახლობლად აჭარის სოფლებისა და დაბების უმრავლესობა, სადაც მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ, ძირითადად ძველებურად, ოსმალთა მმართველობის დროინდელი ცხოვრებით აგრძელებდა ყოფას. იქ წელი ტემპებით ხდებოდა ცვლილებანი პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

რუსული მმართველობის დამყარების პირველ ხანებში აჭარის სოფლებში რელიგიური ვითარებაც თითქმის არ შეცვლილა. რუსეთის ხელისუფლება შეჩვეული იყო მაჰმადიანი მცხოვრებლებით დასახლებული ტერიტორიების შეერთებას და არ დაუწყია რელიგიური ზეწოლა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ; მით უფრო, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებიდანვე ანტირუსულ და ანტიქრისტიანულ ქადაგებასა და აგიტაციას ეწეოდნენ პროოსმალურად განწყობილი სასულიერო და საერო პირები. მათ მოსახლეობის საკმაო ნაწილი დაარწმუნეს, რომ რუსეთის მთავრობა აჭარაში დამკვიდრების შემთხვევაში დაიწყებდა მათ რელიგიურ დევნას, მათ ადათებს შეზღუდავდა, ხელყოფდა მათ ოჯახებს და მამაკაცებს სალდათად წაიყვანდა. ამგვარი შიში რუსული მმართველობის პირველ წლებშიც გრძელდებოდა. მაგრამ აჭარლები მალევე დარწმუნდნენ, რომ რუსეთის მთავრობა არ ერეოდა არც მათ რელიგიურ ცხოვრებაში და არც მათ ადათებს ემუქრებოდა. ხოლო შარიათის წესები დარჩენილი იყო მაჰმადიანი მოსახლეობის სამართალში, რაც სისხლის სამართლის საქმეებსა და სადაო ქონების საკითხებს არ ეხებოდა.

აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობის რელიგიური ცხოვრება 80-90-იან წლებშიც ძველებურად გრძელდებოდა. თითქმის ყველა სოფელში ისევ მოქმედებდა მეჩეთი, სრულდებოდა მუსულმანური მსახურებანი, რომელსაც ესწრებოდნენ მაჰმადიანები. მოღები ძველებურად აგრძელებდნენ რელიგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას,

მუსულმანური სასულიერო სასწავლო დაწესებულებები კვლავ ფუნქციონირებდა და რაიმე შეფერხება მაჰმადიანთა ცხოვრებაში რუსეთის მთავრობის მხრივ არ იგრძნობოდა. კვლავ არსებობდა მჭიდრო რელიგიური კავშირები აჭარის მუსულმანურ სასულიერო მმართველობასა და ოსმალურ მაჰმადიანურ სასულიერო ხელისუფლებას, სასულიერო სასწავლებლებს შორის.

მიუხედავად რუსეთის ფარგლებში მოხვედრისა, აჭარაში ოსმალეთის რელიგიური გავლენა კვლავ ძლიერი იყო. მხარეში ომის შემდეგ ოსმალეთიდან დიდი რაოდენობით მოლები და ხოჯები შემოდიოდნენ. ასევე, მრავალი ადგილობრივი ახალგაზრდა ტრაპიზონისა და სტამბულის სასულიერო სასწავლებლებში ღებულობდა განათლებას და ბრუნდებოდა სამშობლოში. ისინი აჭარაში ოსმალური გავლენის კვლავ შემოტანა-შენარჩუნებას უწყობდნენ ხელს. მათ უპირატესობა გააჩნდათ ადგილობრივ, ოსმალეთში სწავლამიუღებელ მოლებთან შედარებით. ოსმალეთში განათლებამიღებული მოლები და ხოჯები თავისუფლად შემოდიოდნენ რუსეთის იმპერიის საზღვრებში. ისინი თავიანთ ქადაგებებში ოსმალეთის იმპერიის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდნენ და მაჰმადიანურ ფანატიზმს ნერგავდნენ აჭარის მოსახლეობაში. მათი უმეტესობა ოსმალური ნაციონალიზმით იყო გაჟღენთილი - ხალხში ცდილობდნენ თურქული ენისა და ცნობიერების გავრცელებას, ეწინააღმდეგებოდნენ აჭარლებს შორის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვისა და განათლების გავრცელებას. ამ ცნობას ავრცელებდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიისთვის (1893 წლის 185-ე ნომერი) მარადიდიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში. ეს მოლები კვლავ განზრახ ურევდნენ ან აბუნდოვანებდნენ აჭარელთა ეროვნული წარმომავლობისა და რელიგიურ საკითხებს; ცდილობდნენ, ქართველ მაჰმადიანებს შეეძლებინათ ქრისტიანი მოძმეები. ზ. ჭიჭინაძე ამ ამბავს იმავე გაზეთს აწვდიდა 1891 წლის 162-ე ნომერში. ოსმალეთიდან მოსული მოლები აჭარლებს დიდი ხნის განმავლობაში საგანგებოდ მოუწოდებდნენ ოსმალეთში მუჰაჯირობისაკენ, რომ სულიერად გადარჩენილიყვნენ [“ივერია”, 1891, #181, გვ. 3]. თუმცა ისინი მათ იმასაც აგუებდნენ, რომ იქ ადვილი ცხოვრება არ მოელოდათ. “თქვენ ცეცხლად უნდა შეგერგოთ ამ მურტალ ქვეყნის პური, რომ ამ პურს თქვენ აქ სჭამთ და ამავე დროს თქვენი ძმები-კი, მუჰაჯირათ წასულები ოსმალში მშვიდრები იხოცებიან. თუ კაცები ხართ, წადით თქვენც მათკენ და იქ იმ

საბრალოებთან დაიხოცენით და იქ ცხოვდითო. ასეთის მქადაგებელ მოღვებით სავსეა აქაურობა” - წერდა ზაქარია ჭიჭინაძე მაჭახლიდან გაზეთ ივერიაში, 1893 წლის 159-ე ნომერში. ხოლო ზოგიერთი მოლა აჭარლებს ბათუმის მხარეში სამომავლოდ ოსმალეთის რუსეთთან მოსალოდნელ ომში აქეზებდა რუსების საწინააღმდეგოდ. ამას აღნიშნავდა ჭიჭინაძე იმავე გაზეთის 1892 წლის 172-ე ნომერში. ამგვარი ომალურ-იმპერიული პოზიცია და მაჰმადიანური ფანატიზმი დამახასიათებელი იყო ძირითადად 80-90-იან წლებში ოსმალეთიდან შემოსულ, შედარებით ახალგაზრდა მოლებს შორის. მათ შორის ბევრნი იყვნენ ჭანელი (ლაზები) და ეროვნებით თურქი სასულიერო პირები, ასევე, ოსმალეთის სასულიერო სასწავლებლებში განათლებამიღებული აჭარელი ახალგაზრდები.

აღნიშნულ ხანაში ოსმალეთში სასულიერო განათლებამიღებული აჭარელი მოლებიდან ყველა არ იყო პროოსმალურად განწყობილი და მაჰმადიანურ სარწმუნოებას არ იყენებდა ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის სასარგებლოდ. ძველი თაობის მოლების ერთი ნაწილი, რომელთაც 1877-1878 წლების ომამდე ოსმალეთში ჰქონდათ სასულიერო განათლება მიღებული, არ ეწეოდა ოსმალური ორიენტაციისა და მაჰმადიანური ფანატიზმის გავრცელებას. ხოლო ზოგიერთ მათგანს, მათ შორის ახალგაზრდასაც შერჩენილი ჰქონდა ქართული ცნობიერება და თანამემამულეთა შორის ქართული წერა-კითხვის შესწავლასა და წიგნების კითხვის გავრცელებას უწყობდა ხელს (მაგალითად, ქობულეთის მხარეში მოღვაწე ახალგაზრდა მოლა აბაშიძე, რაც გადმოცემულია გაზეთ ივერიის 1892 წლის 144-ე ნომერში). მაგრამ ამგვარი პოზიციის მქონე, ოსმალეთში ნასწავლი მოლები ბევრნი არ იყვნენ. ოსმალეთიდან კი, ძირითადად, პროოსმალურად განწყობილი და ისლამური ფანატიზმის გამავრცელებელი მოლები შემოდიოდნენ.

ხოლო ადგილობრივად მომზადებული ქართველი მოლების უმეტესობა საგრძნობლად თავისუფალი იყო ისლამური ფანატიზმისა და ოსმალური იმპერიული პოლიტიკის გავლენისგან. ისინი უფრო რეალურად უყურებდნენ ადგილობრივ ვითარებას და აჭარის მოსახლეობის თავისებურებებს, მათ პრობლემებს, მათ შორის ეროვნულ პრობლემებს. მათ კავშირი არ ჰქონდათ გაწყვეტილი ქართულ სამყაროსთან, თავს ქართველად მიიჩნევდნენ და არ აჰყვებოდნენ ხოლმე ოსმალეთიდან შემოსული მოლების ოსმალური ნაციონალიზმით აღსავსე ქადაგებებს. მათი იერარქიული მდგომარეობა და ხან

სასულიერო განათლება ჩამოუვარდებოდა ოსმალეთიდან მოსული მოლეებისას და მათ მიერ ხმამაღლა წარმოებულ რელიგიურ და პოლიტიკურ კამპანიებს წინააღმდეგობას არ უწევდნენ. მაგრამ ადგილობრივ მოლებს უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდათ ხალხთან, მეტად ესმოდათ თავიანთი მრევლისა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადო ცხოვრებაში, მონაწილეობდნენ სახალხო განათლებისა და ხალხის სასარგებლო საქმეებში. ბევრი მათგანი ხელს უწყობდა და მეტნაკლებად თვითონაც ეხმარებოდა ქართულენოვანი განათლების გავრცელების საქმეს. ისინი სასულიერო სკოლებში თუ კერძოდ ხანდახან ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, აკითხებდნენ საზოგადო მოღვაწეების მიერ გავრცელებულ ქართულ წიგნებს, რომლებსაც ხალხშიც არიგებდნენ. ადგილობრივად განსწავლული მოლები ზოგჯერ მკვიდრ მოსახლეობასა და აჭარაში ჩასულ ქართველ მოღვაწეებს შორის დამაკავშირებლები ხდებოდნენ... მათ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იან წლების დასაწყისში მაჰმადიანთა სასულიერო ხელმძღვანელობა რელიგიურ სფეროში კარიერის ნაკლებ შესაძლებლობას უტოვებდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ისინი ხანდახან სიმინდშიც მუშაობდნენ, ე. ი. სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებულნი თავის სარჩენად [“ივერია”, 1892, #172, გვ. 2-3]. სწორედ ამ მოლების პასიურობა ისლამური ფანატიზმისა და ოსმალური ნაციონალიზმის გავრცელების დროს ხალხს განსხვავებულადაც აფიქრებდა. მოსახლეობაც ამგვარი კამპანიების დროს იმდენად აღარ ხვდებოდა პროოსმალური და რელიგიური ფანატიზმის გავლენის ქვეშ.

აჭარაში 1890-იანი წლების დასაწყისიდან ადგილობრივად განსწავლული მოლები ოსმალეთში განათლებამიღებულ მოლებთან შედარებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ სასულიერო საქმიანობაში გასაქანი ეზღუდებოდათ. ისინი ხან ოსმალეთიდან მოსულ მოლებსა და ხოჯებს არ ჩამოუვარდებოდნენ არც ყურანის კითხვით, არც არც ლოცვით, არც გალობით. ეს მოლები მრევლსაც კარგად იცნობდნენ და საზოგადო საქმიანობაშიც აქტიურობდნენ. მაგრამ მათ სასულიერო თანამდებობებზე უფრო იშვიათად ნიშნავდნენ. მოგვიანებით მათ საკმაო ნაწილს სხვა სასულიერო თანამდებობებზე გადაიყვანდნენ ან ხსნიდნენ ხოლმე. მათ ოსმალეთში განსწავლულები საყვედურობდნენ ოსმალური ენისა და წერა-კითხვის არასაკმარისად ცოდნას.

აჭარაში ადგილობრივად განსწავლული მოლები სასულიერო მმართველობის მხრივ შევიწროების გამო იძულებულნი გახდნენ, რუსეთის მთავრობისთვის მიემართათ. ზ. ჭიჭინაძის 1892 წელს დაბეჭდილი სტატიის მიხედვით, დაახლოებით 1882 წელს ადგილობრივ ქართველ მოლებსა და ხოჯებს რუსული ხელისუფლებისთვის თხოვნა მიუციათ, რომ ისინი დაეყენებინათ სასულიერო პირებად და არა ოსმალეთიდან მოსული პიროვნებები. “მთავრობას ამათი თხოვნა კანონიერად დაუნახავს და ადგილობრივ გამგეობისთვის ბრძანებაც მოუწერიათ განკარგულების მოსახდენად და საქმესაც შესდგომიან, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ საქმე ისევ გაჩერებულა და ოსმალეთიდან მოსულნი აქვე დარჩენილან... ბოლოს სთქვა ერთმა (მოლამ - ლ. ქ.); ეხლა გვინდა საჩივარი მივცეთ, სადაც ჯერ არს, და ვითხოვოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვიქმნეთ დანიშნული და ეს უცხონი სამუდამოდ განდევნონ საქართველოდგანაო. საჭიროა, ჩვენს უმაღლეს სასულიერო კაცებსაც დარიგება მიეცეს და, სტამბოლის მაგიერ, აქ, ბათუმში დაფუძნდეს ჩვენი სასწავლებელიო. ეს ამბავი ბევრს შეგნებულს მაჰმადიანს გავაგებინე და ძალიან ესიამოვნათ”. ამას აღნიშნავდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიის 1892 წლის 144-ე ნომერში. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოლებისა და სხვა სასულიერო პირების ამგვარ თხოვნებზე თუ მოთხოვნებზე მთავრობას დროულად რაიმე სერიოზული რეაგირება არ მოუხდენია. მთავრობის მხრიდან ოსმალეთში მომზადებული მოლებისა და ხოჯების აჭარაში შემოსვლის აკრძალვა, ჩანს, მოხდა XIX საუკუნის ბოლოსთვის. 1901 წლის გაზეთ ივერიის ცნობის მიხედვით, რუსეთის მთავრობის ბრძანებით აკრძალული იყო ოსმალეთიდან მოლების შემოსვლა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ისინი მაინც ახერხებდნენ აჭარაში შემოსვლას და კვლავ ოსმალეთში გადასახლებისკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას. მათ ზოგიერთი მცხოვრები აჰყვებოდა და ოჯახობით მიდიოდა კიდეც ოსმალეთში [“ივერია”, 1901, #278, გვ. 2; 1902, #176, გვ. 2]. ჩანს, ოსმალეთიდან შემოსული მოლების გავლენა XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა აჭარაში. თუმცა მათი პროოსმალური საქმიანობისადმი უარყოფითად განწყობილი ზოგიერთი აჭარელი მოღვაწე მათ ყოფნას აჭარაში დროებითად მიიჩნევდა.

1893 წელს მარადიდის მხარეში რუსეთის მთავრობის ბრძანება გამოსულა ოსმალეთში განსწავლული მოლა-ხოჯების შემოსვლის აკრძალვაზე, რაზეც საუბარია

გაზეთ ივერიაში, 1893 წლის 184-ე ნომერში. ასეთი ბრძანება, როგორც ჩანს, იშვიათი იყო რუსეთის მიერ შეერთებული მაჰმადიანური მხარეებისთვის. ამ პროცესებს მთავრობა დიდ ყურადღებას არ აქცევდა და საწინააღმდეგოდ ქმედით ღონისძიებებს თითქმის არ ატარებდა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ კი მარადიდში ძალზე აქტიურობდნენ ოსმალეთიდან მოსული მოლეები, რომელთა ქადაგებითაც დიდი მუჰაჯირობის დროს მოსახლეობის უმეტესობა გადასახლდა ოსმალეთში; შემდეგ წლებშიც კვლავ მოუწოდებდნენ დარჩენილ მოსახლეობას გადასახლებისკენ. მარადიდის მოსახლეობაც უფრო უჯერებდა მათ ქადაგებებს, ვიდრე აქარლები. ამის საწინააღმდეგოდ 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში სერიოზული ბრძოლა წამოიწყო რუსეთის სამსახურში მყოფმა, მარადიდის მხარის უფროსმა ახმედ-ეფენდი ხალვაშმა. იგი კარგად ერკვეოდა მაჰმადიანურ სარწმუნოებაში (მას ხოჯადაც უმსახურიაო), ოსმალეთიდან შემოსული მოლეებისა და ხოჯების პროოსმალური საქმიანობისა და რელიგიური ფანატიზმის გავრცელების მიზნებში. იგი განიცდიდა ამ ქადაგების შედეგად ქართველების მუჰაჯირობას ოსმალეთში და მრავალი მათგანის დაღუპვას. ამის გამო ის ვერ ეგუებოდა ოსმალეთიდან გადმოსული მოლეების ანტიქართულ საქმიანობას, ისლამის ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებას. მან განდევნა მარადიდიდან შემოსული მოლეების დიდი ნაწილი (ჩანს, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებითაც), ხოლო ადგილზე დარჩენილი სასულიერო პირები გააფრთხილა, რომ არ ექადაგათ ხალხისთვის ოსმალეთში გადასახლება. ამ ცნობებს გადმოგვცემს გაზეთ ივერიის 1893 წლის 182-ე და 183-ე ნომრები. როგორც ზ. ჭიჭინაძის კორესპონდენციებიდან ჩანს, ახმედ-ეფენდიმ რუსეთის მთავრობის ბრძანებამდე დაიწყო ეს მოქმედება (იგი გარდაიცვალა 1892 წელს). შემდეგ კი, 1893 წელს მივიდა მარადიდში ბრძანება, რომ მხარეში არ შეეშვათ აღნიშნული მოლეები. ხოლო მარადიდში მოღვაწე ხოჯა იბრაიმ-ეფენდი კიბისთაველის დაპატიმრება 1882 წელს და მის მიმართ ციმბირში გადასახლების მუქარა გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი დაჟინებული მოწოდებებით, რის შემდეგაც მარადიდიდან და აჭარიდან დიდი რაოდენობით ხალხი წავიდა მუჰაჯირად. იმავე გაზეთის 1893 წლის 185-ე ნომრის ცნობით, მაგრამ შემდეგ ის გაათავისუფლეს პატიმრობიდან. აღნიშნული მოქმედებები რუსეთის მთავრობის მხრიდან დაგვიანებულ და

ნაკლებეფექტიან ღონისძიებებს წარმოადგენდა. ის ფაქტიურად სერიოზული რეაგირების გარეშე ტოვებდა პროოსმალურად განწყობილი მოლების მიერ ისლამური ფანატიზმის გაღვივებას აჭარისა და მისი მეზობელი მხარეების მოსახლეობაში, მათ მოწოდებებს ოსმალეთში მუჰაჯირობისაკენ, მათ ანტიქრისტიანულ ქადაგებებს. რუსეთის მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავდა და არასაკმარისად უწევდა ანგარიშს ადგილობრივად განსწავლული, დევნილი მოლების თხოვნებს მათთვის სასულიერო თანამდებობების მიცემისთვის... როგორც ზ. ჭიჭინაძის მიერ გაზეთ ივერიისთვის აჭარიდან გამოგზავნილი კორესპონდენციით (იხ. "ივერია", 1893 წ. #172) ირკვევა, დაახლოებით 1882 წელს აჭარელი ადგილობრივი მოლების თხოვნა რუსეთის მთავრობას "კანონიერად დაუნახავს და ადგილობრივ გამგეობისთვის ბრძანებაც მოუწერიათ განკარგულების მოსახდენად და საქმესაც შესდგომიან, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ საქმე ისევ ისე გაჩერებულა და ოსმალეთიდან მოსულნი აქვე დარჩენილან". ახმედ-ეფენდი ხალვაშის გარდაცვალების შემდეგ, ჩანს, მარადიდში დიდხანს აღარ გაგრძელებულა ბრძოლა შემოსული მაჰმადიანი სასულიერო პირების პროოსმალური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

აჭარაში კი ადგილობრივად განსწავლულ ქართველ მოლათა მოძრაობა მათთვის რელიგიური მოღვაწეობისა და იერარქიული წინსვლის შესაძლებლობის დაბრუნებისთვის, ოსმალეთში განსწავლული მოლებისთვის მხარეში პრივილეგირებული მდგომარეობის მინიჭების წინააღმდეგ ძლიერი და თანმიმდევრული არ ჩანდა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის მთავრობამ მიაქცია ყურადღება აჭარის ადგილობრივი მოლების პრობლემას და სურდა, ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს აქაური კაცი ჰყოლოდათ ხოჯად, როგორც იყო აღნიშნული გაზეთ ივერიაში, 1891 წლის 162-ე ნომერში. მაგრამ საქმით კარგა ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა მთავრობის ეს სურვილი. ეს მოძრაობა ნაკლებად აღმოჩნდა საყურადღებო ქართველი საზოგადოებისთვისაც (რამდენიმე პიროვნების გარდა), თანაც მათ ამაზე მცირე ინფორმაცია გააჩნდათ... ზ. ჭიჭინაძე მოუწოდებდა ქართველობას, რომ მხარი დაეჭირათ აჭარაში ადგილობრივი მაჰმადიანი სასულიერო პირების ბრძოლისთვის თავიანთი უფლებებისა და სასულიერო მოღვაწეობის შესაძლებლობის მიცემისთვის; ისინი კი მთელს მხარეში გაფანტულიყვნენ

მოლებად მოღვაწეობისთვის. ადგილობრივი სასულიერო პირების ნაწილის, მაჰმადიანი მრევლისა და რამდენიმე ქართველი მოღვაწის ეს სურვილი და გეგმა ვერ განხორციელდა. ჩანს, ეს მოძრაობა არც გაძლიერებულა რელიგიური თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით. მაგრამ ამ მოძრაობაში მონაწილე ადგილობრივად განსწავლული მოლები საკმაოდ ენერგიულად მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო საქმიანობაში. ისინი ზ. ჭიჭინაძის მიერ აჭარაში ჩატანილი ქართული წიგნების განმავრცელებლები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი ბავშვებს ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას და აკითხებდა კიდევ მათ მშობლიურად [“ივერია”, 1892, #196, გვ. 3].

1890-იანი წლების დასაწყისში აჭარის სოფლებში მეტად შეიმჩნეოდა ადგილობრივად განსწავლული მოლების შევიწროება ან მათი გადაყვანა სხვადასხვა მხარეში. მათ ნაცვლად ოსმალეთში განათლებამიღებული მოლები ინიშნებოდნენ, რომლებიც მეტად გამოირჩეოდნენ პროოსმალური პოზიციითა და რელიგიური ფანატიზმით. მაგალითად, 1892 წლისთვის სოფელ ალამბარში მოლა მამუდ-ეფენდი ხახუტაშვილი, რომელსაც შინაურულად ჰქონდა სასულიერო განათლება მიღებული და 20 წელი ემსახურა ხოჯად, დაითხოვეს. მის ადგილას კი გაამწესეს სტამბულში ნასწავლი და მექაში რამდენიმე ხანს ნამყოფი აჭარელი მოლა ჰაჯი-უსუფ მამულაშვილი. მას ჯამეს გვერდით სკოლა გაემართა და თურქულ ენას ასწავლიდა 30-მდე ადგილობრივ ბავშვს. ზ. ჭიჭინაძის თქმით, მოლა მამულაშვილი ფანატიკოსი იყო და ქართული ენა სძულდა, ბავშვებს ქართულ ანბანს არ ასწავლიდა. ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიის 1892 წლის 149-ე ნომერში წერდა: “დღეს აქ (კინტრიშის ხეობის, იგივე ქობულეთის მხარის სოფლებში - ლ. ქ.) ხოჯების გადაყვან-გადმოყვანა სასტიკის წესებით არსებობს და ოსმალეთიდან ყველგან ჰნიშნავენ ახალგაზრდა ხოჯებს, რომელთაც სწავლა სტამბოლის რუმტიაში მიუღიათ. ამ ხოჯებში ზოგნი ქართველებიც ურევიათ, მაგრამ ეს ქართველები ისე გაფანატიკოსებულან, რომ თვით ოსმალებსაც კი აღემატებიან და გადააჭარბებენ. კიდევ ამის მუცლის ტკივილი აქვს ოსმალეთსა და აქეთ იმიტომ ჰნიშნავს ასეთ ფანატიკოს ხოჯებს, რომ ამათ უფრო ადვილად გააფანატიკოსონ აქაური მაჰმადიანი ქართველები. ამ ქართველებს ახალ მუსულმანებს ეძახიან. ამ დღეებში ქობულეთის ძველ ჯამეს ახალგაზრდა ჭან ხოჯამაც ასე სთქვა, რომ ჯერ ეს ქართველი თათრები ჯეელი თათრები-მუსულმანები არიან და ამიტომ

თავიანთებურად იქცევით ხშირად. დღევანდელი ოსმალეთიდან მოსული ხოჯები-კი სასტიკად მოღვაწეობენ ამის წინააღმდეგ, ესენი ძლიერ დიდს მტრობას და ზიზღს უწერგავენ ქართველებისა და ქართულის ენის მიმართ და ყველა იმას უქადაგებს, რომ თქვენს სჯულზედ მაგრად იდექით და ოსმალეთისაკენ გადასახლებისათვის იზრუნეთო”.

აღნიშნული ტენდენციების მიუხედავად, აჭარაში საკმაოდ იყვნენ ისეთი მოღვაწეები, რომლებიც რელიგიური განათლების გავრცელების საქმეში მხარს უჭერდნენ ქართულენოვანი მაჰმადიანური ლიტერატურის გამოცემას. მაგალითად, ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაბეჭდილ და 1892-1893 წლებში აჭარაში ჩატანილ ქართულ წიგნებს - “ლოცვანი ქართველ მაჰმადიანთათვის” და “მუჰამედის ცხოვრება” რამდენიმე მოლა დიდი სიამოვნებით შეხვდა. ქედის ქართველ მოღვაწეებს ძალიან გაუხარდათ ქართული წიგნების ნახვა, განსაკუთრებით, “მუჰამედის ცხოვრება” და ლოცვები, ამბობდნენ, რომ უკეთესად შეისწავლიდნენ ზოგიერთ საკითხს ამ წიგნებით. ეს მოღვაწეები იყვნენ: მოლა სულეიმან ბერიძე, მოლა ჰუსეინ ჩიკოიძე, მოლა ალი დიასამიძე, მოლა აბდულ დიასამიძე, მოლა ჰასან ჩიკურტანიძე. აბდულ ეფენდი მიქელაძემ კი აჭარლების სახელით მადლობა გადაუხადა ქართველ საზოგადოებას მათთვის “მუჰამედის ცხოვრების”, მათი ლოცვებისა და სხვა ქართული წიგნების დაბეჭდვის გამო [“ივერია”, 1892, #193, გვ. 2-3; #210, გვ. 2-3]. ქობულეთშიც დიდი სიამოვნებით შეხვდნენ ადგილობრივი მოღვაწეები ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩატანილ “მუჰამედის ცხოვრებასა” და ლოცვებს და მათ გავრცელებას. ხოლო ახალგაზრდა მოლა აბაშიძე, რომელსაც სტამბულის სასულიერო სასწავლებელ რუმტიაში ჰქონდა განათლება მიღებული და ქობულეთის მეზობელ სოფელში 50 მოსწავლეს თურქულ ენას ასწავლიდა, დაჰპირდა ზაქარიას, რომ ამ ქართულ წიგნებს ჯერ მე შევეჩვევი და მერე დავაწყებინებ ბავშვებს კითხვასო. ამაზე ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა გაზეთ ივერიის 1892 წლის 144-ე ნომერში. ზოგი მოლა მაჰმადიანური ლოცვების ქართულად წაკითხვის მომხრეც ყოფილა. გაზეთ დროების ახალციხელ კორესპონდენტ ივანე გვარამაძის (“ვინმე მესხი”) ცნობით, სამცხელმა მაჰმადიანებმა უთხრეს აწყურის მოლა ჯიჯავაძეს, რომ აჭარელმა მოლამ აბდრის ლოცვები სულ ქართულად თქვაო. სამცხელებმა თვითონაც მოითხოვეს ლოცვების ქართულად დასწავლა, რის გამოც მოლა გაბრაზდა [“დროება”, 1882, #167, გვ. 1-2].

რელიგიური თუ საერო ცხოვრების საკითხების მიმართ აჭარაში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ხალხიც უფრო დაკვირვებული ხდებოდა. ისინი მხოლოდ სასულიერო პირების ქადაგებით, მოწოდებითა და რჩევებით აღარ წყვეტდნენ მათ წინაშე არსებულ პრობლემებს (ძირითადად, საერო პრობლემებს); უფრო რეალურად იწყებდნენ ცხოვრების დანახვას. აჭარლები ისმენდნენ, მაგრამ ძველებურად აღარ აპყვებოდნენ ხოლმე ოსმალეთიდან შემოსული მოლების ქადაგებებს. ქადაგებების მიხედვით, მკვიდრი მაჰმადიანები ქრისტიანულ სახელმწიფოში არ უნდა გაჩერებულიყვნენ, ფადიშაჰის მიწაზე გადასახლებულიყვნენ, ენახათ თუნდაც გაჭირვება, მაგრამ მართლმორწმუნეთა სახელმწიფოში ეცხოვრათ, რაც მაჰმადიანთათვის სულიერი შვება იქნებოდა. ხოლო ხანდახან ზოგიერთი განათლებული თუ აჭარელთა ეროვნების საკითხში გარკვეული ადგილობრივი პიროვნება ხალხისთვის ჩაგონებული ფანატკური შეხედულებების საპირისპიროდ აქაურ მოსახლეობას უმტკიცებდა მათ ქართულ წარმომავლობას. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ოსმალეთში განათლებამიღებულ და იქვე ნამსახურებ მჟავანაძეს ქართული წერა-კითხვა კარგად შეესწავლა და კინტრიშის ხეობის ერთ-ერთ სოფელში მოსახლეობას ელაპარაკებოდა, რომ “ჩვენ ენით ქართველები ვართ და საქართველოს შვილებიო. ამ კაცმა ზოგიერთს ქართულის წიგნების სახელებიც იცის და დიდადა სწუხს ქართველ მაჰმადიანების ასე წახდენისა და გაფანატკოსების გამო”. ჭიჭინაძე ამ ცნობას აწვდიდა გაზეთ ივერიას (1892 წლის 149-ე ნომერი). 80-იან წლებიდან მოყოლებული, ადგილობრივი ეფენდები (სწავლულები) ხალხს უხსნიდნენ სიტყვა “გურჯის” მნიშვნელობას, უმტკიცებდნენ მათ ქართულ წარმომავლობას, რაც აღნიშნული იყო იმავე გაზეთის 1886 წლის 107-ე ნომერში.. ეს კი პროთურქული ორიენტაციისკენ მოწოდებისა და ისლამური ფანატიზმის გაღვივების საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა. XX საუკუნის დასაწყისისთვის უფრო და უფრო მეტად შეინიშნებოდა აჭარელთა ეროვნული თვითცნობიერების გაძლიერება, მათ მიერ თანამედროვე ცხოვრებისადმი აღდგომის აღება. ისინი რელიგიურ-ფანატკური, ანტიქართული ქადაგებების მიმართ თანდათან უფრო გულგრილნი ხდებოდნენ. ეს კი თვით ამგვარი კამპანიების მწარმოებელ მოლებსაც აღებინებდა ხელს თავიანთი ძველებური ქადაგებებისგან, რასაც გვაუწყებდა გაზეთ ივერიის 1904 წლის 185-ე ნომერი.

აჭარაში 1878-1882 წლების დიდი მუჰაჯირობის პერიოდის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა ვითარება: ამიერკავკასიის მასშტაბით პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრის - ბათუმის სიახლოვე აჭარის მოსახლეობას მეტ ცნობებს აწვდიდა რუსეთის, ოსმალეთისა და სხვა სახელმწიფოების, ხალხებისა და სხვა რელიგიების მიმდევრების შესახებ. ხალხს წერა-კითხვის შესწავლა გაზეთებისა და უფრო იშვიათად ნაშოვნ წიგნების კითხვის საშუალებას აძლევდა. ისინი უფრო ფართოდ უყურებდნენ ოსმალეთში მუჰაჯირობის საკითხს და არა მხოლოდ ვიწრო რელიგიურად; მით უფრო, რომ თანამემამულე მუჰაჯირთა დიდი გაჭირვების, მათი ნაწილის დაღუპვის მაგალითები საკმაოდ ბევრი ჰქონდათ. მეტი ინფორმაცია და განათლების ნელ-ნელა შეტანა, მეტი კავშირები დანარჩენ ქართველობასთან აჭარელთა შორის უფრო მკაფიოს ხდიდა მათ ეროვნულ წარმომავლობას. ხოლო აჭარლებს შორის ქართული ცნობიერების ამაღლება, ქრისტიან ქართველებთან მეტი კავშირი და მათთან დაახლოების სურვილის ზრდა, მათგან დახმარების მიღების მოლოდინი ასე ადვილად აღარ დაატოვებინებდა აჭარლებს სამშობლოს. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ საგრძნობლად ძლიერდებოდა მაჰმადიან ქართველთა შორის ქართული ცნობიერება. ამის შენარჩუნებასაც და განმტკიცებასაც იქამდეც და ომის შემდეგაც ხელს უწყობდა აჭარელი ქალების ქართული ორიენტაცია. ისინი ნაკლებად ისმენდნენ პროოსმალურად განწყობილი მოლების ქადაგებას ქართველი ქრისტიანების შესაძულებლად და მათში მაჰმადიანური ფანატიზმის გავრცელებლად [“ივერია”, 1893, #250, გვ. 1; #251, გვ. 2-3].

რუსეთთან შეერთების შემდეგ აჭარაში საერო ცხოვრებაში მეტი თავისუფლება, მეტი პერსპექტივები, მრავალ სფეროში ცხოვრების გაუმჯობესების ტენდენცია იგრძნობოდა. აჭარლები თანდათანობით ეჩვეოდნენ რუსულ მმართველობას, რის გამოც ხალხს აღარ უწევდა გული უფრო ჩამორჩენილი ოსმალეთისკენ. ამასთანავე, აჭარლები ისმენდნენ მოლათა სხვა ჯგუფის ქადაგებასაც, რომ ოსმალეთში მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე ხალხი შერყეული იყო, მავნე ჩვევები - ლოთობა, უსჯულოება შერეოდათ იქაურ მუსულმანებს, რომ აჭარაში მეტი სიწმინდით იყო შემონახული ისლამი. მართლმორწმუნეთათვის კი უმჯობესი იყო ისევ აჭარაში დარჩენა. აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილის მიერ მათი დარჩენისკენ მოწოდება ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა აჭარიდან მასშტაბური

მუჰაჯირობის დროს. ხოლო ადგილობრივად განსწავლული მოლების მეტი წილი არ იყო განწყობილი თანამემამულეთა მუჰაჯირობისადმი. ამის გამო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სერიოზული დაბრკოლება ექმნებოდა პროთურქულად განწყობილი სასულიერო პირების რელიგიურ კამპანიას აჭარელთა ოსმალეთში გადასახლების მიზნით. მართალია, რუსეთის მმართველობის დროს ოსმალეთიდან შემოსული მოლების რაოდენობა და მათი გავლენაც იზრდებოდა რელიგიურ ცხოვრებაში, მაგრამ მათი მოწოდება მუჰაჯირობისადმი უფრო და უფრო კარგავდა აქტუალობასა და გავლენას ხალხში, რასაც გადმოგვცემდა გაზეთ ივერიის 1892 წლის 144-ე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია.

ხოლო მეზობელი სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებს შორის ოსმალური კამპანია მუჰაჯირობის მოწოდებით ბევრად მეტ შედეგს აღწევდა. მაჰმადიან მესხებსა და ქართველ საზოგადოებას შორის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ვერ დამყარდა კავშირი; მთავრობამ არ შეუწყო ხელი მათ შორის ქართულენოვანი განათლების გავრცელებას. პირიქით, ხელს არ უშლიდა მათ შორის მაჰმადიანი სასულიერო პირების მიერ თურქული ენის გავრცელებასა და მათში ისლამური ფანატიზმის გაღვივებას. ამის შედეგად მხარის ქართველ მაჰმადიანებში აშკარად შეიმჩნეოდა ქართული ენისა და ცნობიერების დაკარგვა და ამის ნაცვლად თურქული ენისა და ცნობიერების დამკვიდრება. ხოლო ქართულმა საზოგადოებამ დროულად ვერ შეუშალა ხელი ამ პროცესებს, რის გამოც გათურქების გზაზე დამდგარი მესხი მაჰმადიანობა მოსწყდა ქართულ სამყაროს... მათმა ნაწილმა XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში პროოსმალურად განწყობილი მოლების ქადაგებით დაიწყო ოსმალეთში მუჰაჯირობა. ამ პერიოდში ისინი ოჯახობით და ხან მთელი სოფლობით გადადიოდნენ ოსმალეთში [“ივერია”, 1894, #185, გვ. 1-3; 1901, #127, გვ. 1-2].

სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, აჭარაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში კარგად იყო შემორჩენილი ქართული ენა, არსებობდა ქართული კულტურული ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები. საქართველოში კი აჭარის დაბრუნების დროს ფართოდ იყო გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქართველი საზოგადოება საკმაოდ მაღალ წარმოადგენდა. ისინი მოწოდებული იყვნენ აჭარლებთან და სხვა დაბრუნებულ მოძმეებთან დაახლოების, მათი დახმარებისა და მათი საერთოქართულ

ცხოვრებაში ჩართვისკენ. მათ დაბრუნებული მოძმეების მხარდაჭერისა და დახმარებისთვის შეძლებისდაგვარად ბევრი რამ გააკეთეს. ამის გამოც აჭარელთა ქართული ორიენტაცია მალევე ძლიერად გამოიკვეთა. ამ პროცესების დროს, აჭარიდან მუჰაჯირობის დიდი ტალღის დამთავრების შემდეგ მხარეში ოსმალეთში გადასახლებისთვის ხელშემწყობი პირობები მცირედლა რჩებოდა. ოსმალური იმპერიული და მაჰმადიანური ფანატიზმის გავლენა კლებულობდა. ყოველივე ამის გამო აჭარიდან მასშტაბურ მუჰაჯირობას აღარ ჰქონია ადგილი 1880-იანი წლების დასაწყისის შემდეგ.

აჭარელთა ცხოვრებაზე მათი რუსეთის საზღვრებში მოხვედრის შემდეგ უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობდა ურთიერთობა ქრისტიან ქართველებთან. აჭარაში არსებულ სპეციფიკურ ვითარებას ქართველი საზოგადოება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდეც კარგად ხედავდა და გაგებითა და პატივისცემით იყო განწყობილი აჭარელთა რელიგიის მიმართ. ისინი არ აქცევდნენ ყურადღებას მათსა და აჭარლებს შორის სარწმუნოებრივ განსხვავებას და არ აპირებდნენ მათ რელიგიურ ცხოვრებაში ჩარევას. მათთვის აჭარასთან დაკავშირებული საკითხებიდან უმთავრესი ამოცანა იყო მათთან დაახლოება და მათი ქართველი ერის ნაწილად ქცევა. ხოლო რელიგიურ საკითხში ცნობილ ქართველ მოღვაწეებს თავიდანვე განსაზღვრული ჰქონდათ, რომ არ შეხებოდნენ დაბრუნებულ მოძმეთა სარწმუნოებას, არ შეეშფოთებინათ ისინი; რომ აჭარლებს ექვეები არ გასჩენოდათ ქრისტიანი ქართველების მხრივ მათი გაქრისტიანების სურვილზე. თანაც იმ ხანებში აჭარლებს შორის ქრისტიანების მიმართ შიშს დიდი მონდომებით ნერგავდნენ ოსმალეთიდან შემოსული მოღვაწეები და ოსმალეთის აგენტები. სერგეი მესხი აღნიშნავდა აჭარაში ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის შესვლამდე: “სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაჰმადიანის სარწმუნოების კაცი გიდგია. არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. თვითონ თავისთავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი; თუ არა და იყვნენ, დარჩნენ ისე, როგორც არიან: სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ერთობას...” [“დროება”, 1878, #147, გვ. 1-2]. სხვა მოღვაწეებიც ამგვარ აზრს გამოთქვამდნენ აჭარელთა სარწმუნოების ხელშეუხებლობაზე. ისინი მათ გასაგონად ამბობდნენ, რომ

რუსეთის იმპერიაში მცხოვრები მაჰმადიანები, მათ შორის მათი მეზობელი მესხებიც რელიგიურად ძალზე თავისუფლად გრძნობდნენ თავსო. აჭარის დაბრუნებისას ეს მიმართულება იყო გავრცელებული ქართველ ინტელიგენციასა და ხალხშიც, რაც ქართული პრესის (ძირითადად, გაზეთები დროება და ივერია) წყალობით ქართულ საზოგადოებრივ აზრად იქცა.

აჭარელთა მაჰმადიანურ სარწმუნოებას ასევე რჯულშემწყნარებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ცნობილი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირები. არც ისინი ფიქრობდნენ მათთან გაქრისტიანებაზე საუბარს და მათთვისაც მთავარი იყო ახლადშემოერთებულ მოძმეებთან დაახლოება. როგორც ცნობილია, თბილისში 1878 წლის ნოემბერში აჭარიდან და სხვა ქართული მხარეებიდან ჩავიდა დელეგაცია კავკასიის მთავარმართებელთან. მათ თბილისში საპატიო დახვედრა და საზეიმო ნადიმი გაუმართა მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ. ნადიმზე ცნობილმა მოღვაწეებმა, მათ შორის აკაკიმ, თავიანთ სიტყვებში ხაზი გაუსვეს, რომ მაჰმადიანი ქართველების სარწმუნოებას, საოჯახო წესებსა და ადათებს არასდროს არავინ შეეხებოდა. ნადიმის მეორე დღეს აჭარელთა დელეგაციას საგანგებოდ შეხვდა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე). მან აღტაცება ვერ დამალა დეპუტაციის მიმართ და მიულოცა დაკარგული ძმების ერთმანეთთან შეერთება. მან მიმართა მათ: “ძმანო და შვილნო ქართველო მაჰმადიანებო, თქვენ არ შეკრთეთ და არაფერი იქონიოთ მასზედ, რომ ქართველი ეპისკოპოსი გიახლათ თქვენთან და გელაპარაკებათ. ჩემი მიზანი იყო და არის, თქვენი მშვიდობა, თქვენი კარგათ ყოფნა და დაწინაურება. მაშ მოგილოცავთ ჩვენთან შემოერთებას. ღმერთმა აკურთხოს თქვენი სამშობლო ქვეყანა, ღმერთმა გაამდიდროს თქვენი ოჯახი და თქვენი სარწმუნოება ისლამი.

იყავით კარგად და დამერწმუნეთ, რომ ჩვენ ქართველი ქრისტიანები ყოველთვის ვიქნებით თქვენი სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი. იქონიეთ იმედი, რომ არც ერთი ჩვენთაგანი თქვენს სჯულს და ამის წესებს და ჩვეულებებს არავინ შეეხება ავად. თქვენ ოღონდ იყავით კარგად და ბედნიერად. მაშ ღმერთმა აკურთხოს თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლშვილი, შინ მშვიდობით დაბრუნდით და თქვენს სჯულზედაც იყავით ფრთხილად და ამსრულებელი ისევე, როგორც თქვენი ისლამის წესია და

ვალდებულებანი”. ამ სიტყვას დიდი მადლიერებით შეხვდნენ აჭარლები, ხოლო შერიგ-ბეგ ხიმშიაშვილის სამადლობელი სიტყვის შემდეგ ალექსანდრე ეპისკოპოსმა წარმოთქვა: „ამინ, ამინ, ღმერთმა აკურთხოს მუსულმანი ძმების ერთობა და სიყვარული” (ბუბულაშვილი 2001: 204-206).

აჭარელთა დელეგაცია ქუთაისშიც ასევე თბილად მიიღეს. მათ წინაშე ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოების პოზიცია გამოხატა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე): „შვილებო და ძმანო ქართველო მაჰმადიანებო, მოგილოცავთ ძმათა ერთობას და სიყვარულს. მე როგორც ქართველ ეპისკოპოსს მსურს ღვთის შეწევნით თქვენი კარგად ყოფნა და თქვენი დამშვიდება და ამაღლება.

ძმანო და შვილნო მუსულმანებო, თქვენ არ იფიქროთ, რომ თქვენს სჯულს ვინმე ჩვენთაგანი შეეხოს და იგი ავად ახსენოს, არა ეს არასდროს არ იქნება, რადგანც ქართველ ერს ამის წადილი და სურვილი არა აქვთ. აი მე თვითონ მღვდელმთავარი არა ვარ ამის მოსურვე. ეს რომ მართალია, ამისთვის მე აი რას მოგახსენებთ.

ერთი კვირის წინათ, ჩემთან მოვიდა ერთი ქობულეთელი კაცი და მთხოვა, რომ მე მივსულიყავი თქვენი სჯული მივიღო და მოვინათლო. მე მიზეზი ვკითხე ამისი. მან ასეთი ამბავი გადმომცა: ბათუმში ერთი გურული ქალი არის, მივსულიყავი ის ცოლად შევიერთო, მაგრამ არ მომდევს, თათარი ხარ და არ გამოგყვებიო. მე მას ასეთი პასუხი მივცე.

კაცი, რომელიც ცოლის შერთვის გულისთვის სჯულს გამოიცვლის, ის შემდეგ იქნება მარად ჟამს უბედური, შესაბრალო და ნამეტურ მოძულეებული ნაცნობთა, ნათესავთა და მეზობელთაგან. შენ რა გინდა, რომ ცოლის შერთვის გულისათვის მუდმივ უბედურს ცხოვრებაში ჩავარდე. წადი შენს ქვეყანაში, მოძებნე შენი სჯულის ქალი და მით დაახწიე შენც თავი უბედურ ცხოვრებას. მე გირჩევ, რომ ისე ქნა და სამუდამო უბედურებას განშორდე.

ქობულეთელს ჩემი დრიგება მოეწონა, მადლობა მითხრა და თავის სახლში წავიდა. აქედან უნდა იცოდეთ ძმანო და შვილებო ქართველო მაჰმადიანებო, რომ როცა მე მღვდელმთავარიც კი ასე მოვექეცი თქვენი სჯულის საქმეს, მაშ სხვა ქართველებისა რაღა ფიქრი უნდა გქონდეთ... ამიტომ შეგიძლიათ შინ მშვიდობით წაბრძანდეთ და დაარწმუნოთ თქვენი ძმები, ნათესავები და მეზობლები, რომ მათ სჯულის შემხებელს ერთ კაცსაც ვერ

ნახავენ. ღმერთმა გაკურთხოთ და შინ მშვიდობით დაგაბრუნოთ” (ბუბულაშვილი 2001: 206-207).

აჭარელთა მაჰმადიანობის ხელშეუხებლობის აზრის წინააღმდეგ, რომელსაც გამოთქვამდა ქართველი საზოგადოება (მათ შორის, მართლმადიდებელი სამღვდელოებაც), ზოგიერთი პიროვნება გამოხატავდა აჭარელთა გაქრისტიანების სურვილს. ამაზე გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები მაშინვე რეაგირებდნენ და მათ ახსენებდნენ ამგვარი შეხედულების საჯაროდ გამოთქმის შესაძლო უარყოფით შედეგებს. 1880 წლის ოქტომბერში გაზეთ დროებაში დაიბეჭდა სარედაქციო სტატია “მაჰმადიანთ გაქრისტიანება” [“დროება”, 1880, #219, გვ. 1], რომელიც იყო გამოხმაურება სიმონ ბეგიევის წიგნზე “პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან”. წიგნი, რედაქციის თქმით, მიზნად ისახავდა ქრისტიანობის უპირატესობის დამტკიცებას მაჰმადიანობასთან შედარებით და მოუწოდებდა ინგილოებსა და ბათუმის მხარის მაჰმადიანებს გაქრისტიანებისკენ. სტატიის მიხედვით, ზოგიერთები მათ ძმებად მიღებას მათი გაქრისტიანების შემდეგ აპირებდნენ. სარედაქციო სტატიის ავტორის აზრით, ამ საკითხზე ლაპარაკიც იმჟამად, აჭარელთა მასიური მუჰაჯირობის პერიოდში მეტად უდროო და ზედმეტიაო. რედაქცია კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ რუსეთის უმაღლესი მთავრობა ამ აზრისა არააო. მათთან ქრისტიანობის ქადაგება რომ დავიწყოთ, ეს გააძლიერებს აჭარლებს შორის გავრცელებულ ხმებს - რუსები ძალით გაქრისტიანებას გვიპირებენო, და დარჩენილი მაჰმადიანებიც გადასახლდებიანო. რედაქციის აზრით, ბათუმის მაჰმადიანების გაქრისტიანებას კი არა, მათი გულის მოგებას უნდა ვცდილობდეთ, რუსეთის სასარგებლო ქვეშევრდომებად გავიხადოთ, მათი სიყვარული და ნდობა დავიმსახუროთ, მათ დახმარება გავუწიოთო. რედაქცია მათთვის მრავალმხრივ დახმარებას ფიქრობდა: დავეხმაროთ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, უმეცრება მოვსპოთ, სკოლები გავხსნათ, ძმური დახმარება აღმოვუჩინოთ ყველა საქმეში, სწორ გზაზე დავაყენოთ ცხოვრებაში, კარგი მოსამართლე-ადმინისტრატორები დავუყენოთო. სარწმუნოება კი სინდისის საკითხიაო. სტატიაში ნათქვამია, რომ ქრისტეს სიტყვაა - რჯული კი არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო. ურიგო არ იქნება, ამ სიტყვებითა და

ზემოხსენებული მოსაზრებით იხელმძღვანელონ მათ, ვისაც ბათუმის მაზრის მაჰმადიანებთან ექნებათ საქმეო.

გაზეთ დროების ამგვარ პოზიციას მოღვაწეები ხშირად გამოთქვამდნენ არა მარტო მაჰმადიანი ქართველების საყურადღებოდ, არამედ საერთოდ ქართველი ხალხის გასაგონადაც. ეს კი საზოგადო აზრად ყალიბდებოდა. ხოლო თუ ვინმე მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანების საკითხს შეეხებოდა, ამას მოჰყვებოდა ხოლმე ამის საწინააღმდეგოდ დასაბუთებული მსჯელობა და ამგვარი აზრის გამოთქმის გამო შესაძლო უარყოფითი შედეგების დასახელება. გაზეთ ივერიაში, 1891 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა პეტრე უმიკაშვილის სტატია “ძველი შეცდომა”, რომელიც იყო გამოხმაურება იქამდე გაზეთ ნოვოე ობოზრენიეში ალექსანდრე ხახანაშვილის გამოქვეყნებულ სტატიაზე. ა. ხახანაშვილი სტატიაში საუბრობდა საუბრობდა ძველად მესხეთის იძულებით გამაჰმადიანებაზე და ამ მხარეში მისიონერული საქმიანობის საჭიროების შესახებ, თუმცა ზოგადად. პ. უმიკაშვილმა თავის სტატიაში დასვა შეკითხვა, ა. ხახანაშვილი მესხეთში განსახორციელებელ მისიონერულ საქმიანობაში რას გულისხმობდაო? ამის შემდეგ უმიკაშვილი შეეხო წარსულში მაჰმადიანთა გაქრისტიანების წარუმატებელ მცდელობებს კათოლიკური ეკლესიისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრივ. მან მოიყვანა სამცხე-ჯავახეთში 1863 წლიდან კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების მაგალითი, რომელთა ხანგრძლივი საქმიანობის მიუხედავად, მუსულმანურ სოფლებს სარგებლობა არ დასტყობიაო. ყოველივე ამ მცდელობებმა დაგვანახვა, რომ მუსულმანობასთან ბრძოლაზე ხელი უნდა ავიღოთო. პეტრე უმიკაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი სიკეთისთვის უნდა დავიახლოვოთ მუსლიმანები, მაგრამ არა სარწმუნოების გზითო. ჩვენთან დიდი სიახლოვე აქვთ ბათუმისა და ახალციხის (უფრო ნაკლებად) მაჰმადიანებს. ჩვენ კი შეგვიძლია მათი სირთულეების (გლეხების მამულების პრობლემები, ბეგების წოდების საქმის გაურკვევლობა) მოგვარებაში დახმარებაო. ავტორმა დაასახელა ახალციხელი ქართველი მაჰმადიანების ქართველობისგან დაცილების მიზეზი: სამცხე-ჯავახეთის დაბრუნების შემდეგ წვრილი ქართველი მოხელეები მაჰმადიან მესხობას ურჩევდნენ გაქრისტიანებას, რამაც ქართველი მაჰმადიანები შეაშფოთა. მეხებმა გადაწყვიტეს, ქართული გვარი აღარ დაერქვათ და

თურქულად ელაპარაკათ სახლში თუ გარეთ. ქრისტიანად მონათვლის შიშით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ ახალციხის მაზრის რამდენიმე სოფლიდან ქართველი მაჰმადიანები გადასახლდნენ ოსმალეთში. ეს შეცდომა 50 წლის შემდეგ უფრო ნაკლებად ვნახეთ ბათუმის მხარეში. ადგილობრივი მოსახლეობა სარწმუნოების მხრივ თავს უფრო უშიშრად გრძნობდა, მაგრამ მაინც ეშინოდათ გაქრისტიანებისა, რაც აქაურების ოსმალეთში გადასახლების უმთავრესი მიზეზი იყო. დღეს კი ხალხი დამშვიდდა, ჩვენს გაზეთებს კითხულობენ მაჰმადიანები და ასეთი სტატიები რომ წაიკითხოთ, იფიქრებენ, მთავრობასაც ასე მიაჩნიაო. არც გაზეთი ივერია და არც გაზეთი ნოვოე ობოზრენიე ასე არ ფიქრობენო. ავტორმა შემდეგ განაცხადა, რომ თავი დავანებოთ ძველ გზას, ნულარ შევაშფოთებთ ჩვენს მუსულმან ძმებს, მათ სარწმუნოებაზე აღარც მთავრობა და აღარც სასულიერო მმართველობა აღარ ლაპარაკობსო. პ. უმიკაშვილმა ბოლოს მაჰმადიან ქართველებთან დასახლოვებელი ღონისძიებები ჩამოთვალა, რომლებსაც მოგვიანებით შევხებით. პეტრე უმიკაშვილი ამგვარ აზრს გამოხატავდა ხოლმე საჯაროდ, აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ბათუმის მაზრის ქართველ მაჰმადიანებთან, რის შესახებაც გვაუწყებდა გაზეთ ივერიაში, 1892 წლის 193-ე ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია. გაზეთის რედაქციაც იზიარებდა აზრს, რომ არ ჩარეულიყვნენ აჭარლების რელიგიურ ცხოვრებაში და მათთან არ დაეწყოთ ქადაგება მათ ქრისტიანობაზე მოსაქცევად. ამის შესახებ ამავე გაზეთში, 1902 წელს 132-ე ნომერში გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი.

ქართველ საზოგადოებას ესმოდა, აჭარლებთან სარწმუნოების გამოცვლაზე ან მათი რელიგიის საწინააღმდეგოდ საუბარი რამდენად საზიანო იყო აჭარლებსა და ქრისტიან ქართველებს შორის დაახლოების საქმისთვის. ქართველი მოღვაწეები გმობდნენ ამგვარ დამოკიდებულებას და მის მავნე შედეგებს უსვამდნენ ხაზს. მაგალითად, გაზეთ დროების ავტორის “ერთი მგზავრთაგანი” 1880 წლის სტატიაში ცნობაა მოყვანილი, რომ აჭარის ერთ-ერთმა ადგილობრივმა უფროსმა, ახალციხელმა ქართველმა აჭარლებთან საუბარში თქვა: მამაჩემიც მაჰმადიანი იყო, მაგრამ მერე მოინათლა, თვითონვე დაუწყო თათრებს ნათვლა, მე კი რუსის სკოლაში მიმაბარა და დღეს გუბერნატორ კომაროვის მეგობარი ვარო. აჭარლებმა იფიქრეს, რომ გაქრისტიანებას ხომ არ გვიპირებენო, და ლუკა ქუთათელაძის ღვაწლით სკოლაში მიყვანილი ბავშვები უკანვე გაიყვანეს [“დროება”, 1880, #215, გვ. 1-3].

1894 წელს ქედაში ქართველი მასწავლებელი პატივით მიიღეს, მაგრამ რაც მან მაჰმადის რჯულს ლანძღვა დაუწყო, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თავი დაანებეს ქართული წერა-კითხვის სწავლას. ამ ცნობას ვხვდებით გაზეთ ივერიის 1894 წლის 37-ე ნომერში. ეს ფაქტი დაგმო იმავე გაზეთის ავტორმა “მეველემ” (დავით მიქელაძე) 1894 წლის მე-40 ნომერში და ამ მასწავლებელს უწოდა ან უგნური, ან ბოროტგანმზრახველი. იგი მთავრობამ მალევე უნდა გამოაბრძანოს აჭარიდანო; ასეთ უგნურებზე თვალი უნდა ეჭიროს მთავრობას და ხალხსაცო. თუმცა ამგვარი შემთხვევები იშვიათი იყო. აჭარელთა მხრიდან კი ქრისტიანი ქართველებისგან და ქართველი საზოგადოების მიერ წარმოებული საგანმანათლებლო საქმიანობიდან თავის არიდება დიდხანს არ გრძელდებოდა. ისინი მაინც მიისწრაფოდნენ ქრისტიან მოძმეებთან დაახლოებისკენ და მათი იძულებით მონათვლის ან მათ შორის შესაძლო რელიგიური წინააღმდეგობის მიმართ ეჭვები დიდხანს არ გაჰყვებოდათ ხოლმე. აჭარლები მთლიანობაში ნდობით იყვნენ განწყობილნი დანარჩენი ქართველობის მიმართ.

აჭარლები ქართველი საზოგადოების მხრიდან მათ რელიგიურ ცხოვრებაში ჩაურევლობასა და მათი სარწმუნოების მიმართ პატივისცემას აფასებდნენ. თბილისსა და ქუთაისში 1878 წლის ნოემბერში მყოფი აჭარლების დელეგაცია ძალზე მაღლიერი და გახარებული დარჩა ქართველი საზოგადოების მხრიდან მათდამი გამოხატული სიყვარულის გამო; განსაკუთრებით, მათი რელიგიის მიმართ ხელშეუხებლობისა და პატივისცემის გამო. აჭარელთა დელეგაციის აზრი და სამადლობელი გამოთქვა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა, რომ ისინი კმაყოფილნი იყვნენ მათ მიმართ მოძმეების აზრის გაგების გამო. მან მაღლობა განუცხადა ალექსანდრე ეპისკოპოსს (ოქროპირიძეს) დალოცვისთვის და თქვა: “მაშ ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი შეერთება და ერთად გვამყოფოს ჩვენს ჭირსა და ღვინში და ერთად გვაშრომოს ჩვენი ქვეყნის საკეთლდღეოდ. ღმერთს ვთხოვთ, რომ მან გააძლიეროს ჩვენი ერთობა და ჩვენს საქართველოში ერთად ცხოვრება”. ქუთაისში აღნიშნულ დელეგაციას იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმაც (ქიქოძე) განუცხადა ქართველი ერის სახელით, რომ მათ რელიგიას არავინ არ შეეხებოდა და ავად არ ახსენებდა, რომ ამაში დაერწმუნებინა თავიანთი კუთხის მოსახლეობა. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა უპასუხა მღვდელმთავარს: „მაღლობა ღმერთს, ჩვენი ხალხის ნატვრაც ეს გახლავთ და ჩვენ სულ ამის დარდში ვიყავით, ეხლა ამის დარდი გაგვიქრაო”

(ბუბულაშვილი 2001: 207). როგორც შერიფ ბეგის ამ ბოლო სიტყვებით ირკვევა, აჭარაში იმხანად ჯერ კიდევ რჩებოდა გარკვეული ეჭვი თუ შიში, რომ ქართველ მაჰმადიანებს დაუწყებდნენ გაქრისტიანებას. ეს აღიარა აჭარის ერთ-ერთმა თავკაცმა. ეს ეჭვი გაუქრა მათ დელეგაციას ქართველი საზოგადოების და, განსაკუთრებით, ქართველი სამღვდელოების მაღალი იერარქების აღნიშნული პოზიციის მოსმენის შემდეგ. ქართველი საზოგადოება და ხალხი მომდევნო ათწლეულებში საქმიანად ამტკიცებდა თავის პოზიციას აჭარელთა სარწმუნოების მიმართ. მართლაც, ისინი მათ გაქრისტიანებაზე არ საუბრობდნენ მათთან და პატივისცემას გამოხატავდნენ მაჰმადიანობის მიმართ. ამის გამო აჭარელთაგან მეტი ნდობა იგრძნობოდა ქრისტიანი ქართველობის მიმართ, ჰქონდათ მათთან მეტად დაახლოების სურვილი და იმედები მათი გვერდზე დგომისა...

აჭარლების ქრისტიან მოძმეებთან დაახლოების სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ოსმალეთიდან ჩამოსული მოღვდების ანტიქართული საქმიანობა: აჭარლებისა და სხვა ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლებისკენ მოწოდებანი, მათ შორის მაჰმადიანური ფანატიზმის გავრცელების მცდელობანი და თურქული ენისა და ცნობიერების დანერგვა. ამის საწინააღმდეგოდ ქართველი საზოგადოება ფიქრობდა საქართველოს ტერიტორიაზე (ბათუმში, ქობულეთში ან თბილისში) ქართველ მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებლის გახსნას. იქ მაჰმადიანურ სასულიერო განათლებას მიიღებდნენ მუსულმანი ქართველები. პეტრე უმიკაშვილის გეგმით, ამ სასწავლებელში, მაჰმადიანური საგნების გარდა, საგანგებოდ შესწავლილი იქნებოდა ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია. ხოლო მასში რჯულის სწავლება უკეთესად უნდა წარმართულიყო. მისი კურსდამთავრებულები შესძლებდნენ, რომ მშობლიურ ენაზე აეხსნათ ხალხისთვის მაჰმადის სარწმუნოება. ამით ამ სასწავლებელდამთავრებულ მოღვდებს ხალხში მეტი გავლენა ექნებოდათ, როგორც აღნიშნული იყო გაზეთ ივერიაში, 1891 წლის მე-2 ნომერში. მისი კურსდამთავრებულების სასულიერო ასპარეზზე გასვლით შემცირდებოდა ოსმალეთიდან შემოსული მოღვდების გავლენა. ჩამოსული მოღვდები საკმაოდ ხშირად განათლებით მეტნაკლებად უფრო წინ იდგნენ ადგილობრივად განსწავლულ მოღვდებთან შედარებით, და ეს სხვაობა სარწმუნოებრივ განათლებაში თანდათანობით შემცირდებოდა. ამის შემდეგ კი

ოსმალეთიდან სასულიერო პირების შემოსვლის შეზღუდვას მეტი შედეგი ექნებოდა. ის არ გამოიწვევდა სასულიერო განათლებამიღებული მოლების რიცხვის შემცირებას. ზაქარია ჭიჭინაძე სახავდა გზებს (უფრო მთავრობის გასაგონად), რომ რომ ამგვარი სასწავლებლის გახსნის შემდეგ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, შეზღუდულიყო ოსმალეთიდან სასულიერო პირების შემოსვლა. ამით აიცილებდნენ ქართველი მაჰმადიანების ხელახალ მუჰაჯირობას [“ივერია”, 1893, #159, გვ. 2; 1893, #184, გვ. 2-3] და საქართველოს დაბრუნებულ მხარეებში ოსმალეთის რელიგიურ-პოლიტიკურ გავლენას შეასუსტებდნენ.

საქართველოში მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებლის გახსნის აზრს, სადაც მომზადდებოდნენ მომავალი მოლები, იზიარებდა აჭარის ადგილობრივი სასულიერო პირების ერთი ნაწილი. 1892 წელს აჭარის რამდენიმე მოლას სურდა, რუსეთის მთავრობისთვის საჩივარი და თხოვნა მიეცათ. “ეხლა გვინდა საჩივარი მივცეთ, სადაც ჯერ არს, და ვითხოვოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვიქმნეთ დანიშნული და ეს უცხონიც (ოსმალეთიდან შემოსული მოლები - ლ. ქ.) სამუდამოდ განდევნონ საქართველოდგანაო. საჭიროა, ჩვენს უმაღლეს სასულიერო კაცებსაც დარიგება მიეცეს და, სტამბოლის მაგიერ, აქ, ბათუმში დაფუძნდეს ჩვენი სასწავლებელიო. ეს ამბავი ბევრს შეგნებულს მაჰმადიანებს გავაგებინე და ძალიან ესიამოვნათ,” - წერდა ზ. ჭიჭინაძე გაზეთ ივერიის 1892 წლის 172-ე ნომერში. იგი იქვე აღნიშნავდა, რომ ამ აზრს ბევრი ადგილობრივი მაჰმადიანი (ჩანს, საერო პირები) დაეთანხმა, რომელთა შორის ქართული ორიენტაცია ძლიერდებოდა. მათი განწყობა გამოუხატავს სტამბულში გაზრდილ ერთ ქართველს, რომელიც მოსურნე იყო აღნიშნული საქმის განხორციელებისა: “ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო ენა ქართული ენაა, ეს მხარე საქართველოს ეკუთვნოდა, იგი საქართველო იყო. დღეს ღვთის განგებით ეს მხარე ისევ საქართველოს შეუერთდა და დღეის შემდეგ აღარც ჩვენ შეგვფერის ყვირილი, რომ თათრები ვართო. რის თათრები ვართ, გვარი არა გვაქვს თათრისა, ენა, ზნე და ჩვეულებაო. ჩვენში რომ ორი ან სამი ქართული სკოლა გაიმართოს, მაშინ ამ სკოლების საშუალებით ჩვენი შვილები უფრო მტკიცედ დაუბრუნდებიან თავიანთ მშობელს ქვეყანას. ჩვენა ვართ ბეჩავეები, თორემ ოსმალეთში ბერძნებიც არიან, რომელნიც მაჰმადის სჯულს ეკუთვნიან, მაგრამ არავის ეტყვიან, რომ ბერძნები არა ვართო. იმათი დედა-ენა ბერძნულია

და თითონაც ბერძნებად აღიარებენ თავიანთ თავსაო”. მაგრამ რუსეთის მთავრობამ აჭარელი სასულიერო პირების ამგვარ განწყობასა და საზოგადოებრივი მოძრაობის დასაწყისს საქმით არ დაუჭირა მხარი და ქართველმა საზოგადოებამაც ვერ შეუწყო ხელი მას.

საქართველოში ქართველი მაჰმადიანებისთვის სამომავლოდ გასახსნელი სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რამდენიმე ქართველი მოღვაწის აზრით (პ. უმიკაშვილი; ზ. ჭიჭინაძე ამაზე წერდა გაზეთ ივერიაში, 1891 წლის 162-ე ნომერში), სახალხო დაწყებით სკოლებს გახსნიდნენ და იქ მასწავლებლებად იღვაწებდნენ. ისინი ხელს შეუწყობდნენ თანამოძმეებს შორის ქართული ენის განმტკიცებას, საქართველოს შესახებ ცნობების გავრცელებას, მომავალი თაობების ქართული სულისკვეთებით აღზრდას. ამით ეს პირები ქართველი მაჰმადიანების საქართველოს ერთგულ შვილებად ჩამოყალიბების საქმეში ძალზე მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებდნენ.

ქართული პრესით რუსეთის მთავრობის გასაგებადაც მიდიოდა საუბარი აჭარლებისა და მათი მეზობელი ქართველი მაჰმადიანებისთვის ქართულენოვანი სასწავლებლების გახსნის საჭიროების შესახებ. ხოლო მთავრობა ქართველი მოღვაწეების მსგავსად შეშფოთებით არ უყურებდა ამ მოვლენებს. ის რეალურად ხელს ნაკლებად უშლიდა ოსმალეთიდან მის ახალ საზღვრებში რელიგიურ-პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას იქ მომზადებული მოღვაწეების შემოსვლის გზით. მთავრობა არასათანადოდ რეაგირებდა ამაზე. ის ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენის დამკვიდრებას, მათ ქართულად განათლებას არც ფიქრობდა, თუნდაც მათ შორის თურქული ენის, ოსმალური ნაციონალიზმისა და ისლამური ფანატიზმის გავრცელების საწინააღმდეგოდ. XIX საუკუნის 80-იან წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში მარადიდის უფროს ახმედ-ეფენდი ხალვაშის მიერ ენერგიული მოქმედების შედეგად იქ გახსნილ სასოფლო სკოლაში მოღვაწეების ჩაგონებით ხალხი შვილებს არ უშვებდა. მაგრამ ხალვაშის მიერ ხალხზე ძალდატანების შემდეგ ბავშვებმა დაიწყეს სკოლაში სიარული. ახმედ-ეფენდის გარდაცვალების შემდეგ ბავშვებმა სკოლაში სიარულს თავი გაანებეს, რადგან იქ გამწესებული რუსი მასწავლებლისა არაფერი ესმოდათ. ეს აღნიშნული იყო გაზეთ ივერიის

1893 წლის 182-ე ნომერში. აჭარის ქართველ მაჰმადიანებს ოფიციალურ წრეებში საკმაოდ ხშირად თათრებად მოიხსენიებდნენ და მათ ქართველობას არ აღიარებდნენ. ბათუმის საქალაქო სკოლაში 1882 წელს მოსწავლეთა სტატისტიკურ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ქართველი მოსწავლეების რიცხვი შეადგენდა 4-ს, ხოლო თათრების - 18-ს. გაზეთ დროების რედაქციის დაზუსტებით, ეს 18 თათარი სინამდვილეში იყო ქართველი მაჰმადიანი [“დროება”, 1882, #17, გვ. 2-3]. ამგვარი თითქოსდა შეცდომები საკმაოდ იყო გავრცელებული რუსეთის მთავრობის მიერ გამოცემულ საისტორიო, ეთნოგრაფიულ ნაშრომებსა და გეოგრაფიულ რუკებშიც...

საქართველოში მოღვაწეების მიერ ქართულენოვანი მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებლის გახსნის აზრი განუხორციელებელი იყო: ეს ვერ მოხერხდებოდა რუსეთის მთავრობის მხრივ მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე; ქართველ საზოგადოებას საკუთარი დაფინანსებით ძალზე გაუძნელდებოდა ამგვარი სასწავლებლის გახსნა-შენახვა; ისლამში სათანადოდ მომზადებული ამდენი კადრი, რომლებიც ოსმალურ გავლენას არ განიცდიდნენ, არ იყო საქართველოში; ამისთვის აუცილებელი იყო თვით მაჰმადიან სასულიერო პირებს შორის შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის მომწიფება და ამისთვის მზადყოფნის არსებობა, საამისოდ სერიოზული ორგანიზაციის გაწევა. ამ ყოველივეს კი დასჭირდებოდა დიდი დრო და აჭარის მაჰმადიანური საზოგადოების მხრივ ხანგრძლივი შრომა. ხოლო თუ ამისთვის ქართველი საზოგადოება საგანგებო მზადებას დაიწყებდა, ამისთვის საჭირო გახდებოდა მათი მხრივ ხანგრძლივი საქმიანობა, სწავლა, სათანადო მატერიალური სახსრები და მაჰმადიანთა შორის საზოგადოებრივი აზრის სათანადოდ მომზადება. ეს კი ქართველი საზოგადოების მხრივ სერიოზულ ორგანიზებასაც მოითხოვდა. ამისთვის ასევე დასაძლევ იქნებოდა ოსმალური ორიენტაციის მქონე სასულიერო პირების მხრივ შესაძლო წინააღმდეგობა და კიდევ სხვა მრავალი სირთულე. ამდენად, XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართველი საზოგადოების მიერ საქართველოში მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებლის გახსნა მომავალი მოვლების მოსამზადებლად და მისი ქართული ორიენტაციის საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბება არარეალური იყო. ეს პატრიოტი მოღვაწეების სურვილს უფრო წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, აჭარლების მაჰმადიანურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოება ძალზე ფრთხილად იქცეოდა და არ ერეოდა მათ რელიგიურ ცხოვრებაში. თუმცა მაჰმადიან ქართველებსა და კავკასიელ მთიელებს შორის XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებდა მისიონერული საქმიანობა მართლმადიდებელი ეკლესიის მხრივ. ამ საქმეს ემსახურებოდა 1860 წელს მთავრობის მიერ დაარსებული კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება, სადაც ქართველი მოღვაწეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ამ საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა თავისი სკოლები იმ მოსახლეობას შორის, ვის ქრისტიანობაზე მოქცევასაც აპირებდა. ამასთანავე, ის გამოსცემდა და ავრცელებდა რელიგიურ წიგნებს, აშენებდა ეკლესიებს და ქმნიდა მღვდლების ახალ საეკლესიო შტატებს. კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას ქართული ანტიმაჰმადიანური ლიტერატურის დაბეჭდვა სურდა XIX საუკუნის 90-იან წლებში, რაშიც მას დახმარებას უწევდა ზაქარია ჭიჭინაძე. კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მისიონერმა ივანიცკიმ 1897 წელს მიმართა მთავრობას, რომ დაბეჭდილიყო ქართული ანტიმაჰმადიანური ლიტერატურა: ბაგრატ ბატონიშვილის, შემოქმედელ მიტროპოლიტ დუმბაძის, იოანე გრძელისძისა და ძველად დაწერილი სხვა წიგნები. ხოლო ამავე შინაარსის სხვა წიგნების ხელნაწერების თხოვებას მათი გამოცემის მიზნით თხოულობდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიაში, 1897 წლის 120-ე ნომერში.

ფართო მისიონერულ საქმიანობას აჭარაში, ჩანს, მთავრობაც არ გეგმავდა აქ მაჰმადიანური სარწმუნოების სიმტკიცის გამო. თუმცა ის მაინც ფიქრობდა აქ მისიონერული მოღვაწეობას. ბათუმში 1890 წელს დაარსდა სამისიონერო განყოფილება და დაინიშნენ მისიონერები და სამისიონერო საბჭოს წევრები. ამას კმაყოფილებით გამოეხმაურა გაზეთ ივერიის კორესპონდენტი ფსევდონიმით “ბათუმელი” იმავე გაზეთის 1890 წლის 70-ე ნომერში. მან აღნიშნა ბათუმის მხარეში მისიონერული მუშაობის სირთულე, მაჰმადიანური სარწმუნოების სიმტკიცე. “ბათუმელმა” განაცხადა, რომ ამ მისიამ ზნეობრივად უნდა იმოქმედოს, “თვით მისიონერი თავისი ცხოვრებით, სიტყვით, საქმით უნდა იყოს განხორციელებული მოციქული: იგი უნდა იყოს ქრისტიანობრივი იდეალი ხალხისათვის.” ამგვარ მოღვაწეს შეუძლია, ხალხში აღძრას ორი დიდი

მოდვრების შედარების სურვილი, საჭიროა ხალხის განათლება და განვითარება, რაც მოხერხდება აქ გახსნილი სამისიონერო სკოლების მეშვეობით. მისიის გასაძლიერებლად მისიონერმა უნდა იცოდეს აქაური ცხოვრება და მკვიდრი მოსახლეობის ენა, წირვა-ლოცვაც ამავე ენაზე უნდა მიმდინარეობდესო. იგი კარგად განათლებული უნდა იყოს, ზედმიწევნით უნდა იცოდეს დოგმატური და ზნეობრივი ღვთისმეტყველება, მსოფლიო ისტორია და მსოფლიო საეკლესიო ისტორია, საქართველოს საერო და საეკლესიო ისტორიაო. ამგვარ მისიონერს შეუძლია ხალხზე ცივილიზატორული, ქრისტიანული კულტურის გავლენის მოხდენა. “უამისოდ ამ დიდის საქმის შეჭიდება მხოლოდ უსამართლობა, ბარბაროსობა და უზენაესის სამართლის დარღვევა იქნება. ეს იქნება ხალხის გრძნობისა და თავმოყვარეობის შელახვა. ინებოს ღმერთმა, რომ საქმეს ღირსეულად შესჭიდებოდეს წარმომადგენელი დიდებულის ქრისტიანობრივის სარწმუნოების”. თუ როგორ მოქმედებდა ბათუმში დაარსებული სამისიონერო განყოფილება, ეს ჩვენს მიერ ნანახ იმდროინდელ წყაროებსა და ლიტერატურაში კონკრეტულად არ ჩანს.

აჭარაში, როგორც ირკვევა, მისიონერული საქმიანობა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების წევრებსაც უფიქრიათ. 1896 წელს აჭარის სოფლებში იმოგზაურა ამ საზოგადოების ინსპექტორმა ევტიქი მამინაიშვილმა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მას სთხოვა საზოგადოების დაფინანსებით სკოლის გახსნა. მაგრამ ე. მამინაიშვილმა საზოგადოების უსახსრობის გამო უარი უთხრა მათ (სახოკია 1950: 1984).

ბათუმის მხარეში, როგორც ირკვევა, აჭარელთა მონათვლა აქა იქ იშვიათად ხდებოდა. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 1892 წლისთვის მარადიდში 10 ახლად მონათლული მართლმადიდებელი ცხოვრობდა. ხოლო მარადიდის ადგილობრივ უფროს ახმედ-ეფენდი ხალვაშს ქრისტიანული ეკლესია აღედგინა ლივანის სოფელ პეტრულაში [“ივერია”, 1892, #233, გვ. 2-3; 1893, #165, გვ. 2-3; #166, გვ. 2-3]. მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანების შემთხვევები იშვიათი იყო აჭარაში. ეს მხოლოდ ნებაყოფლობით, სერიოზული და ფართო მისიონერული კამპანიის გარეშე ხდებოდა. ქართველ საზოგადოებას კარგად ესმოდა და რუსეთის მთავრობასაც, რომ აჭარელ მაჰმადიანებში

ფართო და ენერგიული მისიონერული საქმიანობა გამოიწვევდა უკურეაქციას და შეშფოთებას, უნდობლობას და ქრისტიანი ქართველებისგან განშორებას. მაჰმადიან მოძმეებთან რელიგიურ საკითხებზე საუბრისას საჭირო იყო ახსნა-განმარტება, ისტორიული სინამდვილის გაცნობა მათთვის. ამას ითვალისწინებდნენ ქართველი მოღვაწეები. აჭარლებისა და სხვა ქართველი მაჰმადიანებისთვის დაბეჭდილი ქართული წიგნების შესავლებში (მაგალითად, ჰუსეინ ქაძჯარადის ლექსები და ქართველი მაჰმადიანების სახალხო ლექსები) საუბარი იყო ოსმალთა დამპყრობლის მიერ მკვიდრი ქართველების ძალით გამაჰმადიანებაზე. ზოგიერთი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირი აჭარლებთან ურთიერთობისას ხაზს უსვამდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მხარეებში მაჰმადიანობის დიდი ბრძოლითა და სასტიკი მეთოდებით გავრცელებაზე. მაგალითად, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი ბაღის კურთხევისას ქობულეთელებს ელაპარაკა აჭარის გამაჰმადიანებაზე, რასაც აღნიშნავდა იმავე გაზეთის 1893 წლის 110-ე ნომერში გამოქვეყნებული ქრონიკა. ეს კამპანიები მიდიოდა არა აჭარლების კვლავ გაქრისტიანების მიზნით, არამედ მათი ქართული წარმომავლობისა და მათსა და ქრისტიან ქართველთა შორის წარსულში სარწმუნოებრივი ერთობის შეხსენების მიზნით. ეს კი ხელს შეუწყობდა მათ შორის ძმური ურთიერთობის აღდგენას...

ქრისტიანების მხრივ მაჰმადიანური სარწმუნოების ხელშეუხებლობა და მისდამი პატივისცემა აჭარის მაჰმადიან ქართველებშიც ხელს უწყობდა აჭარლების დადებითად განწყობას ქრისტიანობის მიმართ. აჭარლები ინტერესდებოდნენ მოძმეთა ქრისტიანული რელიგიით, ქრისტიანული კულტურით, პატივისცემა უჩნდებოდათ ქრისტიანობის მიმართ. 1879 წელს ქობულეთში ქართველი მრევლისა და რუსი ჯარისკაცებისთვის გაიმართა ნათლისღების მსახურება, რასაც მაჰმადიანი ქართველებიც დაესწრნენ და დიდი ინტერესით უყურებდნენ. ეს კი იქ პირველად მომხდარიყო XIX საუკუნეში [“დროება”, 1879, #22, გვ. 3]. 1893 წელს ეპისკოპოსმა გრიგოლმა ქობულეთში მოსაშენებელი ბაღის ადგილი აკურთხა. კურთხევის შემდეგ ქრისტიანებთან ერთად ადგილობრივი წარჩინებული პირების - გულო-აღა კაიკაციშვილისა და დეით-აღა ნიჟარადის მაგალითით ქობულეთელი მაჰმადიანებიც ემთხვევნენ ეპისკოპოსის ჯვარს. ამაზე ცნობა გვხვდება გაზეთ ივერიაში,

1893 წლის 208-ე ნომერში. 1892 წელს სოფ. კვირიკეში ზაქარია ჭიჭინაძესთან ქალებმა ბავშვები გააგზავნეს დასარიგებელი ქართული წიგნების სათხოვრად, შემდეგ თვითონაც მივიდნენ მასთან და სთხოვეს “მუჰამედის ცხოვრება” და მაჰმადიანური ლოცვები: “შენი რჯულის მადლზედ, მოგვე ეს წიგნებო”. ამას გადმოგვცემდა თვითონ ზაქარია აღნიშნული გაზეთის 1892 წლის 149-ე ნომერში.

აჭარელი მაჰმადიანები ინტერესდებოდნენ მართლმადიდებლური საეკლესიო მსახურებით, ქართული გალობით და ხანდახან ესწრებოდნენ მას. 1894 წელს თბილისში იყვნენ ჩამოსული ქართველი მაჰმადიანები აჭარიდან, მაჭახლიდან და ზეგნიდან, რომელთაც მოეწონათ ქართული გალობა ეკლესიებში. ისინი წუხდნენ, როგორ მოგვესპო ქართულ ენაზე ლოცვა და მწიგნობრობა, ხოლო ამჟამად ჯამეებში ქართულად არ სრულდება ლოცვაო; ამბობდნენ, ეკლესიებში ვივლით, სანამ თბილისში ვიქნებითო. ამის შესახებ წერდნენ გაზეთ ივერიის 1894 წლის მე-200 და 259-ე ნომერებში. ბათუმელი მაჰმადიანებიც იზიარებდნენ ქრისტიანი მოძმეების წუხილს, რომ ბათუმის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ქართულად არ სრულდებოდა წირვა-ლოცვა და ერთ-ერთი მათგანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამის გამო. ამას აღნიშნავდნენ იმავე გაზეთის 1886 წლის 177-ე ნომერში.

და, საერთოდ, XIX საუკუნეში აჭარაში ძველად აშენებული ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევების, საეკლესიო სიწმინდეებისა და ისტორიული ძეგლების მიმართ მაჰმადიანი ქართველობა პატივისცემას გამოხატავდა და უფრთხილდებოდა. 1874 წელს დიმიტრი ბაქრაძე წერდა, რომ ქობულეთში (იმ დროსთვის ჩურუქ-სუში) ხალხი ეკლესიების ნანგრევებს შიშითა და კრძალვით ეპყრობოდა. ხოლო ზოგიერთი მცხოვრები, განსაკუთრებით, მოხუცები, ძველ ხატებზე ლოცულობდნენ თავისთვის და თავისი ავადმყოფებისთვის, მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარსა და ქათამს, უნთებდნენ ცვილის სანთლებს... ძველი თაობის ადამიანებს ჯერ კიდევ ახსოვდათ, სად და რომელი წმინდანის სახელზე იყო აგებული ეკლესია, ვინ და რომელი გვარიდან იყო უკანასკნელი მღვდელი და სად წაიღეს ხატები (ბაქრაძე 1987: 72). კინტრიშის ხეობის სოფლებში მოგზაურობის დროს ზაქარია ჭიჭინაძემ ეკლესიების მრავალი ნანგრევი ნახა, რომელთაც ხალხი პატივისცემით ეპყრობოდა. იგი წერს: “ერთის მოხუცისაგან შევიტყე, რომ ჩემს დროში ერთის ეკლესიის

ჯვარი და ნივთები მიწაში დავმარხეთ, რომ ოსმალთ თათრებს არ მოეტაცნათ. გარშემო ღობე შემოვაგვლეთ, რომ საქონელი არ მივიდეს. არ წაახდინოსო და სუფთად იქმნას დაცულიო” [“ივერია”, 1892, #149, გვ. 3]. ზოგიერთი აჭარელი მაჰმადიანი დიდ პატივისცემას გამოხატავდა ქრისტიანული ხატების მიმართ. 1886 წელს ქართველმა მაჰმადიანმა ბათუმის მართლმადიდებლური ეკლესიის მესანთლეს 3 მანეთი მისცა ხატებისთვის კელაპტრების დასანთებად, რასაც გადმოგვცემდა იგივე გაზეთი 1886 წლის 177-ე ნომერში.

აჭარაში ძველი ქართული მართლმადიდებლური ტაძრები რამდენიმეს გარდა დანგრეული იყო ოსმალთა ბატონობის დროს. გადარჩენილ ტაძრებს მოსახლეობა სასწაულთმოქმედებას მიაწერდა და შიშითა და კრძალვით ეპყრობოდა. გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს, მოგზაურობის დროს მოისმინა, რომ რამდენიმე წლით ადრე ორ ხოჯას განეზრახა სხალთის ტაძრის მეჩეთად გადაკეთება, მაგრამ მალე გაგიჟებულიყვნენ და ტყეში გაჭრილიყვნენ. ხოლო შერიფ-ბეგის მწყემსს შეერეკა იმავე ეკლესიაში ცხვრები, მაგრამ მალე 200 ცხვარი გასწყვეტოდა და თვითონაც კისერი მოეტეხა. ამგვარ შემთხვევებს ხალხი ხსნიდა, როგორც ქრისტეს შურისძიებას წმინდა ადგილის შებილწვისთვისო, გადმოგვცემდა გიორგი ყაზბეგი (გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ 1960: 94)

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართველი საზოგადოება აჭარლებთან დაახლოებასა და მათთვის დახმარებას ფიქრობდა არა მარტო განათლებისა და კულტურის გავრცელების გზით. ისინი გეგმავდნენ და მთელს ქართველობას მოუწოდებდნენ აჭარის მოსახლეობის წინაშე სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებისკენ. გაზეთ დროების რედაქცია თავის 1880 წლის 219-ე ნომერში სარედაქციო წერილით მოუწოდებდა ქართველობას, რომ ახლად დაბრუნებული მოძმეების გაქრისტიანებაზე კი არ უნდა ესაუბრათ, არამედ ეცადათ მათი გულის მოგებას, გაეხადათ რუსეთის სასარგებლო ქვეშევრდომებად, დახმარებოდნენ მათ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, მათთვის კარგი მოსამართლე-ადმინისტრატორების დაყენებაში, გაეხსნათ სკოლები, მოესპოთ მათ შორის უმეცრება, ძმური დახმარება აღმოეჩინათ ყველა საქმეში. 1885 წლიდან საზოგადოებამ დააყენა საკითხი, რომ სამცხე-ჯავახეთისა და ახლად დაბრუნებული მხარეების ქართველ მაჰმადიან ბეგებს მინიჭებოდათ ქართველი თავად-აზნაურების

მსგავსი უფლებები, წოდებრივი პრივილეგიები. ამით ამ მხარეების მოწინავე საზოგადოება, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეებს შორის სწავლა-გამოცდილებით საგრძნობლად წინ იდგნენ, ოფიციალურად შეიძენდა თავიანთი მხარეების მოსახლეობის წინამძღოლობის ფუნქციას. ისინი ამით ისარგებლებდნენ თავადაზნაურობისათვის დაწესებული ოფიციალური შეღავათებით, მათი შვილები ისწავლიდნენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფოს ხარჯზე [“დროება”, 1885, #23, გვ. 2; #101, გვ. 1-2; #152, გვ. 1]. ქართველი მოღვაწეები მოუწოდებდნენ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რომ დახმარებოდნენ ახლად დაბრუნებულ მოძმე ბეგებს თავადაზნაურული წოდების მიღებაში. ამით მოიგებდნენ არა მხოლოდ დაბრუნებული მხარეების ზედაფენების გულს, არამედ მთელი მოსახლეობისაც. ქართველ ბეგებს ხალხში დიდი ავტორიტეტი გააჩნდათ და მათი სიტყვა და მოქმედება დიდ გავლენას ახდენდა მთელს კუთხეზე. ხოლო ბეგებისთვის თავადაზნაურული წოდების მინიჭება, ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოში გაწევრიანება უკეთესად ჩააბამდა მათ საერთოქართულ ცხოვრებაში. გაზეთ დროებაში, 1885 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში კი აღნიშნავდნენ, რომ ამით რუსეთის ახალ საზღვრისპირა მოსახლეობას გავიერთოვლებთ, რაც სახელმწიფოს საზღვრის დაცვის კარგი საშუალება იქნებაო. ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოებას მათ წოდებაში მიწერის თხოვნით მიმართეს იმავე გაზეთის 1885 წლის 152-ე ნომერში აჭარის ფეოდალური წოდების წარმომადგენლებმა. ამას ქართველი საზოგადოებიდან მოჰყვა დადებითი გამოხმაურება და დაპირება მთავრობის წინაშე შუამდგომლობაზე, რაც აღნიშნული გაზეთის 1885 წლის 178-ე ნომერში გამოაცხადა ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა. რუსეთის მთავრობა ამ შუამდგომლობაზე უარს არ ამბობდა, დიდხანს განიხილავდა აღნიშნულ საქმეებს, მაგრამ ცარიზმის მმართველობის პერიოდში არც სამცხე-ჯავახეთისა და არც აჭარის ფეოდალურ ელიტას არ მიანიჭეს ქართველი თავადაზნაურობის უფლებები. აღნიშნული საქმის გაჭიანურებისა და უიმედო განწყობის შექმნის მიუხედავად, ქართველი მოღვაწეები შემდეგ წლებშიც კვლავ ფიქრობდნენ, თავიანთი მცდელობა არ დაეკლოთ და კვლავ შესწოდნენ აჭარელი ბეგებისთვის თავადაზნაურული წოდების მინიჭების საქმეს

(პეტრე უმიკაშვილი სტატიამი “ძველი შეცდომა” [“ივერია”, 1891, #2, გვ. 1-2]), მაგრამ ეს მათ სურვილადღა რჩებოდა.

ზოგიერთი ქართველი მოღვაწე ფიქრობდა, რომ აჭარლების დასახლოვებლად რუსულ მმართველობას ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ ენად აჭარაში ქართული ენა უნდა შემოედო. ეს ადგილობრივ მოსახლეობას დაამღევინებდა ოსმალურ გავლენასა და მმართველობის ტრადიციებს. ამისთვის გაზეთ ივერიის კორესპონდენტი აჭარიდან გაზეთის 1902 წლის 184-ე ნომერში იმოწმებდა მკვლევარ ევგენი ვეიდენბაუმის მოსაზრებას, რომ ყოფილი ოსმალეთის საქართველოს სახელმწიფო სამმართველოებში ოფიციალურ ენად ქართული ენა დაწესებულიყო. ამგვარი აზრი ცალკეულ პირთა მხოლოდ სურვილად რჩებოდა. მთავრობა ოფიციალური რუსული ენის დამკვიდრებას ყველგან ცდილობდა აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ ის საერთოდ გაუგებარი იყო მოსახლეობისთვის.

ქართველ საზოგადოებას ქართველ მაჰმადიანებთან დაახლოების რამდენიმე გზას სთავაზობდა პეტრე უმიკაშვილი თავის სტატიამი “ძველი შეცდომა”, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ ივერიაში 1891 წლის მე-2 ნომერში. ამით დაეხმარებოდნენ ახლად დაბრუნებული მხარის მოსახლეობას სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარებაში: მისი აზრით, სჯობდა, ბათუმის სანჯახის გარდა დაბრუნებულ სხვა მხარეებში მიწათმფლობელობის წესი ოსმალური დარჩენილიყო, რისი შეცვლაც უნდოდან ართვინ-არტანუჯის არზრუმელ ვაჭრებს. მათ სურდათ ადგილობრივ მცხოვრებთა გადასახლება ოსმალეთში; ბათუმის მხარის ბეგებს მისცემოდან თავადაზნაურთა უფლებები, რადგან სწავლა-გამოცდილებით ის სხვებთან შედარებით უფრო წინ დგანანო, ამ უფლებებით კი თავიანთ მხარეებს რამდენ სიკეთეს მოუტანდნენო; ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის ბეგების შვილებისთვის ყველანაირი შეღავათები მიეცათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ყველა სასწავლებელში და პანსიონში. ეს მაზრები ნასწავლ ახალგაზრდობას მოკლებულია ყველა მხარეზე მეტადო; დაბრუნებულ მხარეებში გლეხებისთვის ქართული სკოლების გამართვა იყო საჭირო. მათი რჯულის მასწავლებელი ადგილობრივი, ქართული ენის მცოდნე ხოჯა დახმარებოდა მოსახლეობას ჩვენთან დაახლოებაში და არა ყაზანელი თათარიო; ახალციხისა და ახალქალაქის მუსულმანი სამღვდლოება დაქვემდებარებოდა ბათუმის

მუფთის და ქართველ მაჰმადიანობას ასე მისცემოდა შინაგანი და გარეგანი მართვა; სამცხე-ჯავახეთისა და ბათუმის მხარის ქართველი მაჰმადიანებისთვის თბილისის ხოჯების მსგავსი სასწავლებელი გამართულიყო ბათუმში, სადაც ისწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, სადაც მაჰმადიანური რჯული უკეთესად შეისწავლებოდა. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ხოჯებს შეეძლებოდათ ხალხთან მშობლიურ ენაზე დალაპარაკება და არა ოსმალურად. ბავშვებსაც გასაგები ენით აუხსნიდნენ, რითაც ხოჯებს მეტი პატივისცემა ექნებოდათ ხალხში. ამით ჩვენი ქართველი საზოგადოება დაეხმაროს მაჰმადიან მოძმეებს გაჭირვების გადალახვაში, სარწმუნოებაზე ნურაფერს ვილაპარაკებთო.

პეტრე უმიკაშვილისა და სხვა ქართველი მოღვაწეების აღნიშნული მოსაზრებები და გეგმები ქართველ მაჰმადიანებთან დაახლოებისა და მათთვის დახმარების საკითხებში განუხორციელებული იყო. ამხელა მნიშვნელობის საქმეების გადაჭრა ქართველ საზოგადოებას არ შეეძლო ამდენი მატერიალური სახსრების უქონლობის გამო. თან ეს გეგმები ეხებოდა აღნიშნული მხარეების მაჰმადიანთა სასულიერო მმართველობას, რომელიც ოსმალური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მის საქმეებში რუსეთის მთავრობაც ვერ ერეოდა. კავკასიის პოლიტიკური მმართველობის საქმეებს მთლიანად რუსული ხელისუფლება წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ძირითადად იმპერიული ინტერესებით. ამას გარდა, ქართველ საზოგადოებას არც ამდენი სახსრების გამოყოფა შეეძლო აღნიშნული საქმიანობისთვის; საამისოდ სათანადო ორგანიზაცია და საზოგადოებრივი აზრი არ იყო შექმნილი. ამდენად, აღნიშნული მოსაზრებები რამდენიმე ქართველი მოღვაწის სურვილებს უფრო წააგავდა. ისინი ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდნენ დასახელებულ საჭირობოროტო საკითხებზე უფრო სამომავლოდ ფიქრისა და შეძლებისდაგვარად მოქმედებებისკენ...

ამრიგად, ქართველმა საზოგადოებამ აჭარელებთან დაახლოებისა და მათთვის დახმარების გაწევის მიზნით ვერ მოახერხა მათ წინაშე არსებული მწვავე რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა. მათ მათთვის იმ მდგომარეობის გაუმჯობესებაც ვერ შესძლეს, რაც ოსმალეთის ბატონობის შედეგებმა და რუსულმა მმართველობამ მოიტანა. ხოლო ქართველი საზოგადოების მოღვაწეობა აჭარაში

ძირითადად ქმედითი გამოდგა განათლებისა და, შეძლებისდაგვარად, კულტურის გავრცელების მიმართულებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისა და ხალხის მხრივ აჭარელთა მხარდაჭერას, თანადგომას, მათ მიმართ თანაგრძნობის გამოხატვასა და მცირეოდენ დახმარებას. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა იმ სირთულეების დროს, რომელთა დამოუკიდებლად გადაწყვეტაც არ შეეძლო აჭარის მოსახლეობას. აჭარაში ძალზე აფასებდნენ ქრისტიანი მოძმეების მიერ დახმარებასა და თანაგრძნობას, მათთვის დახმარების გაწევის გულწრფელ სურვილს. აჭარლები ამისთვის მადლიერები რჩებოდნენ, ყოველთვის გამოხატავდნენ ხოლმე ამ მადლიერების გრძნობას და მათ მათი თანადგომის და მათგან დახმარების იმედები კვლავ ჰქონდათ. ამას ემატებოდა რუსული მმართველობის დროს აჭარის ცხოვრებაში მომხდარი დადებითი ცვლილებები სხვადასხვა სფეროში. ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა ამით უმჯობესდებოდა, სამომავლოდ მეტ პერსპექტივებს ხედავდნენ. აჭარლები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ დანარჩენ ქართველობას, ძლიერდებოდა მათ შორის ქართული შეგნება... ამ პროცესებს ხელს ნაკლებადლა უშლიდა ისლამური ფანატიზმისა და ოსმალური გავლენების გავრცელების მცდელობები მათ შორის...

და მართლაც, XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოების მონდომებულმა, თანმიმდევრულმა და მეტნაკლებად ენერგიულმა მოღვაწეობამ აჭარის მოსახლეობის სასარგებლოდ სერიოზული შედეგები მოიტანა:

ბათუმის ქართული სკოლის გახსნით ყველა ქართველისთვის მისაწვდომი გახდა ქართულენოვანი განათლების მიღება (უფასო იყო სწავლა). აქ მოწინავე პედაგოგიური მეთოდებით მიმდინარეობდა სწავლება და მაღალი ეროვნული ცნობიერებით იზრდებოდნენ მომავალი თაობები. სკოლაში აჭარლების მოზარდები თანატოლ ქრისტიანებს უახლოვდებოდნენ, ხოლო აქ ბავშვობაში შეთვისებული საქართველოს სიყვარული აჭარლებს შემდეგ ყველგან მიჰყვებოდათ. აჭარის სოფლებში სკოლები მცირე რაოდენობით გაიხსნა და ისიც გვიან. მაგრამ აჭარის მოსახლეობაში საკმაოდ სწრაფად გავრცელდა წერა-კითხვა, წიგნების კითხვა თანასოფლელებისა და იშვიათად ჩასული მოღვაწეების დახმარებით, მათ შორის ქართული წიგნების მასობრივად დარიგებით. ხალხი თუნდაც მცირეოდენი რაოდენობის წიგნებით ღებულობდა გარკვეულ ცნობებს

თანამედროვე ცხოვრების, საქართველოს შესახებ, ასევე, დაწყებითი განათლების გარკვეულ ელემენტებსაც. საქართველოს ცენტრში მყოფმა ქართველმა საზოგადოებამ გასწია შედარებით მცირე ხარჯები აჭარაში ქართულენოვანი განათლების გავრცელებისთვის (ამაზე მეტის გამოღება მას ძირითადად არ შეეძლო) და აწარმოვა არცთუ მასშტაბური საქმიანობა. მაგრამ აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსთვის ქართულენოვანი განათლება საკმაოდ სწრაფად ვრცელდებოდა ამ საქმის გულშემატკივარი მოღვაწეების თავდაუზოგავი შრომით, ქართველი საზოგადოების დახმარებით, ხალხის დიდი მონდომებით, მათი ნიჭიერებისა და თვითგანვითარებისადმი სწრაფვის წყალობით. ეს ტენდენცია მომდევნო ათწლეულშიც წარმატებით გრძელდებოდა;

აჭარაში მხოლოდ ბათუმში იყო აქტიური კულტურული ცხოვრება. ქართული თეატრის, ქართული მუსიკის, წიგნების კითხვის მეშვეობით ვრცელდებოდა ქართული კულტურა, მაღლდებოდა ხალხის კულტურული დონე. მართალია, ამ პროცესებში აჭარლები თავიდან ნაკლებად იყვნენ ჩართულნი, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდებოდა მათი ინტერესი ქართული თეატრის, მუსიკის, წიგნების კითხვის მიმართ. ზოგიერთი მათგანი ერთვებოდა ბათუმში კულტურული ღონისძიებების მოწყობის საქმეებშიც. ბათუმელი აჭარლები ქართული კულტურის მიმართ ინტერესს ავრცელებდნენ თანამემამულე მაჰმადიანებშიც. ეს პროცესები კი მთელს აჭარაში ქმნიდა კარგ პირობებს შემდგომ ქართული კულტურის უფრო ფართოდ გავრცელებისა და განვითარებისთვისაც...

აჭარაში და, განსაკუთრებით, ბათუმში აღნიშნულ პერიოდში გააქტიურდა საზოგადოებრივი ცხოვრება. ამას უწყობდა ხელს საზოგადოების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ზრუნვა, აჭარის სოფლებში წერა-კითხვისა და წიგნების, ხალხში კითხვის ჩვევების გავრცელება, კულტურული ღონისძიებების მოწყობაზე ორგანიზებული მზრუნველობა... ამგვარი საზოგადოებრივი მოღვაწეობა 90-იან წლებში თავისი ფარგლებით გასცილდა აჭარას. ადგილობრივი ინტელიგენცია ერთვებოდა საერთოქართულ საზოგადოებრივ მოძრაობებში. ბათუმელი მოღვაწეები ეროვნული მნიშვნელობების ღონისძიებებსა და საქმეებს ეხმარებოდნენ სპექტაკლების მოწყობით,

თანხების შეგროვებით. ისინი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს ეხმაურებოდნენ ხოლმე, ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობას საგანგებოდ აღნიშნავდნენ...

აჭარაში საგანმანათლებლო-კულტურული ვითარების გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება უფრო და უფრო აქტიურად აყენებდა ქართველი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. საჭირო იყო აქაური ქართველი მოსახლეობის ვითარების გაუმჯობესება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, მათი ეროვნული ინტერესების უფრო აქტიურად დაცვა, ქართველი მაჰმადიანების რელიგიურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების მოგვარება... ეს ყოველივე ქართველი საზოგადოებისა და მოსახლეობის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებდა.

XIX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოების ენერგიული და მეტნაკლებად წარმატებული მოღვაწეობის შედეგები აჭარის მოსახლეობაში განათლებისა და კულტურის გავრცელების, მათ შორის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლების მიმართულებით ხელს უწყობდა აჭარის ქართველი მაჰმადიანების რელიგიური სირთულეების მოგვარებას. ადგილობრივ მოახლეობაში მტკიცდებოდა ეროვნული ცნობიერება, თანდათან ებმებოდნენ საერთოქართულ ცხოვრებასა და მოძრაობებში, იზრდებოდა ლტოლვა თანამომძე ქრისტიანებთან დაახლოებისკენ. ისინი ცდილობდნენ, მოძმე ქართველების რჩევებით თუ დახმარებებით, თანადგომით გაეუმჯობესებინათ საკუთარი ცხოვრება და აქტიურად ჩაბმულიყვნენ საერთოქართულ ცხოვრებაში. მათ სურდათ, კარგად გაეცნოთ მთელი საქართველო და ზოგიერთ მათგანს საქართველოს ცენტრშიც დაემკვიდრებინა ადგილი. მაგალითად, აბდულ-ეფენდი მიქელაძე ზაქარია ჭიჭინაძეს სწერდა წერილს (არ ჩანს, როდის) და სთხოვდა თავის ბიძაშვილ სულეიმან მეხმედ ოღლის თბილისში რაიმე სამუშაოზე მოწყობას, რომელსაც ბათუმის ქართულ სკოლაში 5 წელი ესწავლა. აბდულ-ეფენდიმ მსგავსი თხოვნა ვერ შეჰკადრა ილია ჭავჭავაძეს და ამის გამო სწერდა ზაქარიას, ჩემი თხოვნა გააცანით ილიასო [გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 5069-ბ].

ყოველივე ეს ცვლილებები აჭარელთა ცხოვრებაში ხელს უწყობდა მათ მიერ ოსმალური იმპერიული პოლიტიკის და იქიდან მოსული მოლების მიერ რელიგიური

ფანატიზმის გავრცელების უარყოფითი მხარეების დანახვას. აქაურ ქართველ მაჰმადიანებსაც არ მოსწონდათ ოსმალეთიდან ჩასული მოლების მიერ მოწოდება ოსმალეთში მუჰაჯირობისკენ, აჭარელთა ეროვნული წარმომავლობის საკითხის გაბუნდოვანება, მათთვის თურქული ენის სწავლების დროს მათ შორის ოსმალური ცნობიერების დანერგვის მცდელობა, ქართული წერა-კითხვის შესწავლისა და წიგნების კითხვის, საერო სკოლებში ბავშვების გაშვების დაშლა... აჭარლები აღნიშნული მოლების ამგვარ პროოსმალურ და რელიგიურ-ფანატიკურ საქმიანობას უფრო და უფრო გულგრილად ხვდებოდნენ და იწყებდნენ თანდათანობით უგულვებელყოფას. ისინი მიჯნავდნენ რელიგიურ და საერო ცხოვრებას, ცდილობდნენ ოსმალური გავლენის თანდათან დაძლევის რელიგიურ ცხოვრებაშიც. აჭარლები საქართველოს შვილებად და პატრიოტებად ყალიბდებოდნენ. ამ პროცესებმა XX საუკუნის დასაწყისში შეუქცევადი სახე მიიღო აჭარის ქართველი მაჰმადიანების დიდ უმრავლესობაში...

ამრიგად, XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარის ქართველ მაჰმადიანებს შორის ძლიერდებოდა ოსმალეთის რელიგიური გავლენა. ოსმალეთში სასულიერო განათლებამიღებული მოლები აჭარის ქართველ მოსახლეობაში ავრცელებდნენ ოსმალურ ენასა და ცნობიერებას (ძირითადად მეჩეთებთან მოქმედი სკოლების მეშვეობით), ებრძოდნენ ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას, უშლიდნენ მკვიდრ მუსულმანებს შვილების საერო სკოლებში გაშვებას. ისინი ოსმალეთში მუჰაჯირობისკენ კვლავ მოუწოდებდნენ აჭარლებს, ცდილობდნენ მათ შორის რელიგიური ფანატიზმის გავრცელებას. ჩამოსული მოლები აჭარაში დიდი უპირატესობით სარგებლობდნენ განსაკუთრებით 80-90-იანი წლების მიჯნაზე. ისინი სდევნიდნენ, იერარქიულად წინსვლაში ხელს უშლიდნენ ისლამში ადგილობრივად განსწავლულ მოლებს, რომლებიც საგრძნობლად თავისუფალნი იყვნენ ოსმალური ნაციონალიზმისა და ისლამური ფანატიზმისგან. რამდენიმე ადგილობრივი მოლა 80-იანი წლების დასაწყისიდან უჩიოდა ოსმალეთიდან ჩასულ მოლებს რუსეთის მთავრობასთან და მას სთხოვდა მათ გაძევებას, სასულიერო თანამდებობებზე კი ადგილობრივი სასულიერო პირების მოხვედრას. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას ოსმალეთიდან შემოსული მოლების პროოსმალური და რელიგიურ-ფანატიკური საქმიანობის საწინააღმდეგოდ ენერგიულად

და თანმიმდევრულად არ უმოქმედია. ხოლო ქართველ საზოგადოებას, რომელიც შეშფოთებით უყურებდა ამ მოვლენებს, აჭარელ მაჰმადიანთა რელიგიურ ცხოვრებაში ჩარევა არ შეეძლო... სამაგიეროდ, მათ აჭარის დაბრუნებისთანავე დაიწყეს ენერგიული მოღვაწეობა დიდი ხნით დაკარგულ ძმებთან დასაახლოვებლად. ქართველმა საზოგადოებამ აჭარელთა რწმენის საკითხებში ჩარევა და მათი გაქრისტიანებისკენ მცირეოდენი მოწოდებაც კი უარყო (მათ შორის ცნობილმა ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმაც). ქრისტიანი ქართველები აჭარლების სარწმუნოებას პატივისცემით ეპყრობოდნენ, რითაც მათი ნდობა მალევე მოიპოვეს. ქართველმა საზოგადოებამ აჭარელების დანარჩენ ქართველებთან დაახლოების უმთავრეს გზად დასახა ქართულენოვანი განათლების გავრცელება დაბრუნებულ მხარეში. მათ მოძმეებს გაჭირვების შესამსუბუქებლად გაუწიეს შეძლებისდაგვარად დახმარება, ასევე, თანადგომა და მხარდაჭერა. ქართველმა საზოგადოებამ საკმაოდ ქმედითი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები გაატარა: გახსნეს ბათუმის ქართული სკოლა, რომელიც წარმატებით საქმიანობდა; აჭარის დაბებსა და ქალაქებში შეეცადნენ თავისი სკოლების გამართვას; დაიწყო ქართული წიგნებისა და წერა-კითხვის წარმატებით გავრცელება აჭარის მოსახლეობაში. ქართველმა საზოგადოებამ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ბათუმში შეიქმნა ქართული თეატრი, ქართულ საეკლესიო მგალობელთა და ხალხური სიმღერების გუნდები. მშობლიურენოვანი განათლებითა და ქართული კულტურის გავრცელებით მალე დაინტერესდნენ აჭარლებიც. ხოლო ქართველი საზოგადოების მიერ დასახული სხვა ამოცანები - აჭარელი ბეგების თავადაზნაურთა წოდებაში ჩარიცხვა, მკვიდრი მოსახლეობის მიწათმფლობელობის საკითხების მოგვარება, აჭარელთა და სხვა ქართველ მაჰმადიანთათვის საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა ქართული ორიენტაციის მქონე მაჰმადიანი სასულიერო პირების მოსამზადებლად - ვერ განხორციელდა. მაგრამ მათ მიერ ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადო მოღვაწეობის შედეგად აჭარელები წარმატებით უახლოვდებოდნენ დანარჩენ ქართველობას. ქართველმა საზოგადოებამ ამ მოქმედებით ხელი შეუწყო აჭარის მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების გაძლიერებასა და მათ საერთოქართულ ცხოვრებაში ჩართვას. ამასთანავე, რუსული მმართველობის პერიოდში აჭარაში

გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები. ყოველივე ეს დადებითი ცვლილებები აჭარელ მოსახლეობას ეხმარებოდა ოსმალური იმპერიული პოლიტიკისა და რელიგიური ფანატიზმის გავრცელების თანდათან დაძლევაში. აჭარლები აღარ აჰყვებოდნენ ხოლმე ოსმალეთიდან შემოსული მოლების ქადაგებებს მუჰაჯირობის მოწოდებებზე. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარელთა დიდ უმრავლესობაში განმტკიცებული იყო ქართული ცნობიერება, ორიენტაცია, რომელიც შემდგომაც უფრო და უფრო ძლიერდებოდა...

§ 2. ქართველი მართლმადიდებლები

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ბათუმში მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის ძალზე მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური და რელიგიური ვითარება. რაც ბათუმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა, აქ დიდი რაოდენობით ჩავიდა სხვადასხვა ეროვნების მართლმადიდებელი მოსახლეობა. ესენი იყვნენ რუსი მოხელეები და სამხედროები, ხოლო ქართველთა რიცხვი დაახლოებით 10 წლის შემდეგ ძალზე გაიზარდა. ქართველები შედგებოდნენ მოხელეებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთაგან, ვაჭრობაში ჩაბმული თანამშრომლებისა და დიდი რაოდენობით მუშებისაგან. ქართველი მუშების უმრავლესობას დასავლეთ საქართველოს გლეხობა (ძირითადად გურიიდან და, ასევე, სამეგრელოდან) წარმოადგენდა. 1892 წლისთვის ბათუმში ქართველი მოსახლეობა 7-8 ათასს აღწევდა. ისინი მთელი ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტნი იყვნენ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კიდევ უფრო იზრდებოდა ქ. ბათუმის მოსახლეობა და ისევ ძირითადად ქართველი მოსახლეობის ხარჯზე.

ბათუმში მართლმადიდებლებს (ძირითადად ბერძნებს) ომამდე მხოლოდ ერთი ეკლესია გააჩნდათ, სადაც მრევლისთვის სიარული ოსმალთა მძლავრობისას უხიფათო არ იყო. 1873 წლის ცნობით, ბათუმის კაზაში ცხოვრობდა 186 ქრისტიანი ბერძენი. მათთვის ბათუმში ეკლესია აუშენებიათ 1860 წელს, რომლის ასაშენებლად აქაურ ბერძნებს შუამდგომლობა უთხოვიათ რუსეთის კონსულ დჟიუდიჩისთვის. მისი შუამავლობით ოსმალეთის მთავრობას ნებართვა გაუცია ეკლესიის აშენებაზე, მაგრამ შეზღუდულ ფარგლებში (ზარის დარეკვის უფლება არ ჰქონდათ) (ახვლედიანი 1943: 172, 225).

ინგლისელ მოგზაურ გრეგორი გრინის ცნობით, ოსმალები ავიწროვებდნენ და სდევნიდნენ ბერძენ და სომეხ მრევლს, ხან არ აძლევდნენ თავიანთ ეკლესიებში შესვლის უფლებას. მათ 1876 წელსა და 1877 წლის პირველ ორ თვეში მოკლეს 10 სომეხი და 6 ბერძენი, რადგან მათ რუსეთის აგენტებად მიიჩნევდნენ (გოგოლიშვილი 2009: 32-33).

ომის შემდეგ ბათუმში მალევე გახდა მეორე ტაძრის აგება საჭირო. მიუხედავად მართლმადიდებელთა რიცხვის სწრაფი მატებისა და მათი გავლენის ზრდისა, 80-იანი წლების დასაწყისისთვის რუსი და ქართველი მრევლისთვის არსებობდა პატარა და შენობის მხრივ მოუხერხებელი ეკლესია, რაც მრევლის უკმაყოფილებას იწვევდა. ჩანს, საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობა და ბათუმის საერო ხელისუფლება ამ საკითხის მოგვარებისთვის არასაკმარისად ზრუნავდნენ, რადგან წლების განმავლობაში მცირე ზომისა და მოუწყობელ ტაძარში დადიოდა რუსი და ქართველი მრევლი. მრევლსა და საზოგადოებას მალევე დაუწყია სახსრების შეკრება ახალი ეკლესიის ასაშენებლად; 1883 წლისთვის უკვე გროვდებოდა ამისთვის თანხები. გაზეთ დროების ცნობით, 1885 წლისთვის ბათუმის სამხედრო გუბერნატორ სმეკალოვის თაოსნობით შეკრებილი იყო 110 ათას მანეთზე მეტი [“დროება”, 1883, #156, გვ. 1-3; 1885, #185, გვ. 2]. ეს თანხა საკმარისი იყო პატარა ან საშუალო ზომის ტაძრის ასაშენებლად, მაგრამ ბათუმისთვის ეს სამყოფი არ იქნებოდა და დიდი ტაძრის აშენება იგეგმებოდა. 1888 წელს ბათუმში იმოგზაურა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ. მისი ბათუმში სტუმრობის დროს საძირკველი ჩაეყარა ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარს. საძირკველში პირველი ქვა იმპერატორმა ჩადო [“ივერია”, 1888, #202, გვ. 2]. მიუხედავად მისი მშენებლობისადმი საზოგადოების ყურადღებისა, მშენებლობა კიდევ დიდხანს გაჭიანურდა. ხოლო საკრებულო ტაძარში ორი ტრაპეზი არსებობდა. ეკლესიის შენობა კვლავ არ ჰყოფნიდა მზარდ სამრეწველო-სავაჭრო ქალაქს. როგორც ჩანს, ბათუმის დიდი ტაძრის მშენებლობას აფერხებდა არა მარტო თანხების არასაკმარისად არსებობა, არამედ ამისთვის არასათანადოდ გაწეული ორგანიზაცია და კიდევ სხვა გაურკვევლობა. ამ საქმეზე მთავრობისა და საზოგადოების მხრივ მზრუნველობისთვის შეიქმნა მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლო სამზრუნველო, რომელიც ეკლესიის აშენების გარდა გეგმავდა სამრევლო სკოლის გახსნასაც. მის თავმჯდომარედ აირჩიეს ბათუმის სამხედრო

გუბერნატორის თანაშემწე თავადი ერისთავი, რის შესახებაც იუწყებოდა გაზეთ ივერიის 1890 წლის 84-ე ნომერი. ამ მცდელობების მიუხედავად, ბათუმის დიდი ტაძრის მშენებლობის დამთავრება კიდევ დიდხანს მოუგვარებელი პრობლემა იყო. ამისთვის ზრუნავდნენ ბათუმის თვითმმართველობის მოღვაწენიც. 1902 წელს ბათუმის ქალაქის თავად არჩეული ივანე ანდრონიკაშვილი ორჯერ ჩავიდა პეტერბურგში, ეწვია რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების უმაღლეს მმართველებს. მან მთავრობას ტაძრის მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო თანხები სთხოვა (კომახიძე 2003: 89). საბოლოოდ, ბათუმის საზოგადოების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის დიდი მონდომებისა და აქტიურობის, პეტერბურგიდან ფინანსური დახმარებების შედეგად 1905 წლის იანვარში ბათუმში ამოქმედდა ახალი მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც საკმაო რაოდენობის მრევლს თავისუფლად იტევდა...

ბათუმში მართლმადიდებლური ეკლესიის აშენების საქმეში აქტიურობდნენ ადგილობრივი სასულიერო პირები. 1886 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა გაბრიელმა კურთხევა მისცა ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის დიაკვან ლუკა ხოშტარიას, რომ ხელმოწერით შეეკრიბა თანხები ბათუმის სასაფლაოზე ეკლესიის ასაშენებლად. ამის შესახებ იუწყებოდნენ გაზეთ ივერიაში, 1886 წლის 282-ე ნომერში. მრევლიც და საზოგადო მოღვაწეებიც აქტიურობდნენ ამ საქმეში, თანაუგრძნობდნენ ამ კამპანიას და შესაწირავებსაც გაიღებდნენ ხოლმე. სამღვდელოება და საერო საზოგადოება მონდომებით იღვწოდა ამ მიმართულებით, მაგრამ ეს შედეგიანი დიდხანს არ იყო სასულიერო და საერო ხელმძღვანელობაში არსებული გაურკვევლობის თუ პრობლემების გამო.

ბათუმის მართლმადიდებელი მრევლის უმრავლესობას წარმოადგენდა ქართველი მოსახლეობა, რომელიც ძირითადად გურიიდან ჩასულებისგან შესდგებოდა. მათ არ აკმაყოფილებდათ ის, რომ ბათუმში 80-90-იან წლებში არსებობდა მხოლოდ ორი ეკლესია. ბერძნების ეკლესიაში ბერძნულად მიდიოდა მსახურება, ხოლო მეორე ეკლესია მცირე ზომისა და არცთუ მოხერხებული იყო დიდი მრევლის დასატევად. აქ რუსულად სრულდებოდა წირვა-ლოცვა, რადგან რუსი მრევლი დადიოდა. სლავიანური მსახურება ბევრი ქართველისთვის გაუგებარი იყო. ხოლო ვისაც ესმოდა რუსული ენა, მათ

უმრავლესობაში რუსულად, ფაქტიურად მათთვის უცხო ენაზე შესრულებული ლოცვები მხურვალე სარწმუნოებრივ გრძნობას ვერ აღძრავდა. ეს აწუხებდა ბათუმის ქართველ მრევლსა და საზოგადოებას. ისინი 80-იანი წლების დასაწყისში ჯერ ერთმანეთში საუბრობდნენ ამ პრობლემაზე, ხოლო შემდეგ კი მღვდლებისგან დაიწყეს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების მოთხოვნა. 1883 წელს ქართველი მღვდლისთვის მოუთხოვიათ წირვის ჩატარება მრევლის მშობლიურ ენაზე. ამას მღვდელი ქიქოძე ან ვერ ახერხებდა, ან არც ცდილობდა ქართველებისთვის ხანდახან ქართულად მსახურების შესრულებას. ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ქალაქში და ამას ეხმაურებოდნენ ხოლმე გაზეთებში: დროებასა და ივერიაში [“დროება”, 1883, #156, გვ. 1-3; “ივერია”, 1887, #64, გვ. 2-3; #204, გვ. 1-2]. მღვდელი ქიქოძე სამხედრო უწყების მღვდლადაც არის მოხსენებული გაზეთ ივერიის 1887 წლის 204-ე ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში, რაც მის ხელმძღვანელობაზე უფრო მეტად დამოკიდებულებას უსვამდა ხაზს. როგორც ჩანს, ზოგიერთ ქართველ სასულიერო პირს არცთუმყარი მდგომარეობა ჰქონდა, სასულიერო ხელმძღვანელობის ან რომელიმე გავლენიანი ძალის მხრივ ფარულად შესაძლო წინააღმდეგობის გაწევისა ერიდებოდა. დიდი ხნის განმავლობაში ასეთი პირები ვერ ასრულებდნენ ქართულად მსახურებას, ან არც იცოდნენ წირვა-ლოცვის ქართულად ჩატარება. მღვდელმა ქიქოძემ ქართველი მრევლის მოთხოვნის შეუსრულებლობა ქართული საღვთისმსახურო წიგნების არქონითაც ახსნა, რასაც გადმოგვცემდა გაზეთ დროების 1883 წლის 156-ე ნომერი. ჩანს, ისინი ამ პრობლემის არსს მრევლს ბოლომდე ვერც განუმარტავდნენ. ამის გამო ხალხს, ასევე ზოგჯერ ადგილობრივი საზოგადოების აზრის გამომხატველ და პრესასთან თანამშრომელ მოღვაწეებს აზრი უჩნდებოდათ, რომ ქართველ მღვდლებს მშობლიურენოვანი მსახურების ჩატარების სურვილი ან არ გააჩნდათ, ან ვერ იღებდნენ თავზე სასულიერო ხელმძღვანელობის წინაშე ამ საკითხის დაყენებას. როდესაც მღვდლების დონეზე ვერ ხერხდებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტა, ბათუმის მრევლი აპირებდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლთან ამ საკითხის წამოჭრას. ამ ცნობას აწვდიდნენ გაზეთ ივერიას 1886 წლის 177-ე ნომერში.

ქართველი მრევლისთვის მშობლიურენოვანი წირვა-ლოცვის არქონის პრობლემას ქართული პრესა დიდი მონდომებით ეხმაურებოდა, რაც საქართველოს თითქმის ყველა

კუთხეში არსებობდა. ბათუმიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებში, ცნობებში თუ წერილებში მწვავედ აყენებდნენ ამ საკითხს, ეძებდნენ მის მიზეზებს და სახავდნენ კიდეც მისი მოგვარების გზებს. 1887 წელს ყოველდღიურ ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა ბათუმიდან კორესპონდენცია “დღიური პროვინციელის”, რომლის ავტორიც იყო “ბათუმელი”. ბათუმში მღვდლებს დიდმარხვაში ქართველი მრევლისთვის მშობლიურ ენაზე არ ჩაუტარებიათ წირვაო, რაზეც შეწუხებას გამოთქვამდა ავტორი. იგი სვამდა შეკითხვას: ქართული ტიბიკონი არ გვივარგა? საქართველოს ეკლესიას ყველაფერი თავისი ჰქონდა და აქვსო. თუ ქართველები მოითხოვენ ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარებას, ნურავინ იფიქრებს, რომ აქ რაიმე სხვა აზრი ვინმეს ჰქონდესო. “აქ იხატება მხოლოდ წრფელი სარწმუნოებრივი გრძნობა, მაღალი გრძნობა ქრისტიანულის მოძღვრებისა, ქრისტეს რჯულისა, რომლის დასაცველად გაიჟლიტა ნახევარზე მეტი ქართველობა.” რუსეთის სახელმწიფოში სარწმუნოების თავისუფლებაა აღიარებული. თუ ბერძენს, თათარს, ებრაელს, სომეხს აქვს ნება, მოისმინოს ღვთისმსახურება გასაგებ ენაზე, ქართველები რატომ არ უნდა ვსარგებლობდეთ ამ უფლებითო? დეკანოზ ქიქოძეს ქართველებმა სთხოვეს, ერთი კვირა მაინც აღესრულებინა ქართულად მსახურება, მაგრამ მან მრევლის ეს საფუძვლიანი თხოვნა არ შეასრულაო. ავტორის აზრით, ამ საკითხისთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცია სასულიერო მთავრობას, რომელიც ათას ძმობას აწესებს სარწმუნოების განცხოველებისთვის ჩვენში და სულიერი მამები კი უარს გვეუბნებიან ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარებაზეო. “ამ გვარი გარემოება გმობაა საქმისა. ვისა აქვს უფლება მე-19 საუკუნეში ნება არ მისცეს ქრისტიანს თავის ენაზე ევედროს გამჩენელს, მაცხოვარს? ბათუმში ძალიან ბლომად არიან ქართველები. თუ ჩვენში კიდეც ღვივის ღვთაებრივი ნაპერწკალი სარწმუნოებისა, ეს საქმე გაზვიადებულს ამბავად არავინ უნდა ჩასთვალოს ჩვენში. ეს-ღა შეგვრჩენია ჩვენის მამა-პაპათაგან!” [“ივერია”, 1887, #64, გვ. 2-3]

ქართველი მრევლისა და საზოგადოების თითქმის ათწლიანი მოთხოვნებისა და შუამდგომლობების, საამისოდ საზოგადოებრივი აზრის მომწიფების შემდეგ, როგორც იქნა, მათ 1893 წელს ბათუმის მართლმადიდებლურ საკრებულო ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვის ჩატარების ნება დართეს. კვირას 9 საათზე რუსული წირვა იწყებოდა. ქართველებს კი იქამდე უნდა მოესწროთ წირვის დამთავრება. ამის შემდეგ ქართველი მლოცველებით

გაივსო ეკლესია. აღნიშნული ხანგრძლივი მოთხოვნების, საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და საზოგადოების ამ საქმეში დარაზმვის შემდეგ ბათუმის ქართველთა შორის გაჩნდა სურვილი, რომ საკუთარი ეკლესია აეშენებინათ, სადაც მშობლიურ ენაზე იქნებოდა მსახურება. ეს საკითხიც მათ დაუყენებიათ სასულიერო მმართველობის წინაშე, რაზე ნებართვაც მოვიდა 1893 წლის აპრილში, ტაძრის აშენებამდე კი საკრებულო ეკლესიაში უნდა ეწირათ ქართულად. ამის შესახებ იუწყებოდნენ გაზეთ ივერიაში 1893 წლის 138-ე ნომერში. ბათუმის ეკლესიაში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, შემდეგ მალევე მაგლობელთა გუნდის ჩამოყალიბება და ქართული გალობა საეკლესიო მსახურების დროს იზიდავდა ქართველ მრევლს. ამის გამო ხალხის რაოდენობა იზრდებოდა წირვა-ლოცვაზე. ეს ქართველთათვის ეკლესიის აშენებისთვის მზრუნველ საზოგადოებას დიდ სტიმულს აძლევდა, გაეაქტიურებინათ თავიანთი მოღვაწეობა. მათ ამ საქმიანობას მხარს უჭერდა გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელიც 1899 წელს ბათუმში ჩავიდა და გაამხნევა ისინი, რასაც გვაცნობებდა გაზეთ ივერიის 1899 წლის 234-ე ნომერი. თუმცა ეკლესიის აშენებას დიდი სახსრების შეგროვება და ორგანიზება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა სჭირდებოდა, რაც წლობით გრძელდებოდა. საქმის ასე გაჭიანურება ბათუმის ქართველი საზოგადოების ამ მოღვაწეობას არ ანელებდა.

ბათუმის საკრებულო ტაძარში მსახურების ქართულად ჩატარების დაწყებამ მრავალი ქართველი მიიზიდა წირვა-ლოცვაზე, რომელთაც დიდი ხანია ჰქონდათ სურვილი ქართული საგალობლების მოსმენისა. ბათუმის საქალაქო სკოლის მასწავლებელმა ევსევი ბაბილუამ 1886 წელს ამავე სასწავლებელში მოსწავლეებისგან შექმნა მაგლობელთა გუნდი, რომელიც დღესასწაულებზე მისი ლოტბარობით რუსულად გალობდა ეკლესიაში. ამას კმაყოფილებით გამოეხმაურნენ ქართველი მოღვაწეები. ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელმა მოსე ნათაძემ ქართულ პრესაში შეახსენა აღნიშნულ მასწავლებელს, რომ იმ დროისთვის არსებობდა იოანე ოქროპირის ნოტებზე გადაღებული ლოცვის საგალობელი ქართულად. მანვე იმედი გამოთქვა, რომ ეს ახალგაზრდა ლოტბარი ოდესმე ქართულად გაგვაგონებს გალობას ნოტებით და დაატკბობს ჩვენს სმენასო [“ივერია”, 1886, #282, გვ. 2-3]. ეს პირდაპირი მოწოდება იყო მის მიერ ქართველ მაგლობელთა გუნდის შექმნისკენ.

ბათუმის საკრებულო ტაძარში ქართული წირვა-ლოცვის რეგულარულად ჩატარების შემდეგ, ეკლესიაში ქართველი მრევლის საგრძნობი მატებისა და მართლმადიდებელ ეკლესიაზე მზრუნველი საზოგადოების გააქტიურების შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო მგალობელთა გუნდის ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა. მათ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა ნება დართო ამ საქმეში. დამტკიცდა კომიტეტი, რომელსაც ნება მიეცა, ეზრუნა მგალობელთა გუნდის მოსაწყობად. კომიტეტმა აქტიური საქმიანობა დაიწყო ამისთვის, მოიწვია ცნობილი ლოტბარი ფილიმონ ქორიძე. მან ახალგაზრდობას მოუწოდა გალობის შესწავლისკენ. ბევრმა გამოთქვა გალობის შესწავლის სურვილი და ფ. ქორიძემ 1893 წლის 20 ივნისიდან დაიწყო გურულ კილოზე გალობის ნოტებით სწავლება. სწავლა მიდიოდა დილა-სადამოობით, სწავლობდა 15 კაცი, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური წოდების წარმომადგენელი. გალობის შემსწავლელების ნიჭითა და მონდომებით ძალიან კმაყოფილი იყო თვით ლოტბარი. ამ საქმეს დიდად ეხმარებოდა ქართველი საზოგადოება, შეჰქონდათ შესაწირავები და სხვა მხრივაც უწყობდნენ ხელს. ამ საქმის მზრუნველთაგან გამოყოფდნენ ექვთიმე ბერძენიშვილსა და მაჰმადიან მემედ ეფენდი მჟავანაძეს, რომელმაც ამისთვის შეაგროვა 60 მანეთი. მომავალ მგალობელთა სწავლებამ წარმატებით ჩაიარა და საკმაოდ მცირე ხანში მომზადდა ქართველ მგალობელთა გუნდი 12 კაცის შემადგენლობით. მას ლოტბარობდა მედავითნედ ნამსახურევი გერასიმე ლორია. მათ იმავე წლის აგვისტოს დასაწყისიდან ეკლესიაში გალობა დაიწყო. გუნდის შენახვას დაახლოებით სჭირდებოდა 400 მანეთი წელიწადში, რის შეკრებასაც ფიქრობდნენ შესაწირავებითა და ხელის მოწერებით (ხელმომწერს თვეში 25 კაპიკი უნდა გადაეხადა). გუნდის მიერ შესრულებული საგალობლებით კმაყოფილი იყო საზოგადოება, უფრო და უფრო იზრდებოდა წირვა-ლოცვაზე მლოცველთა თუ დამსწრეთა რიცხვი. ეს ცნობები გვხვდება გაზეთ ივერიაში, 1893 წლის 184-ე და 269-ე ნომრებში... გალობა მოსწონდათ ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებსაც...

ბათუმში ტაძრის მშენებლობის, ქართული წირვა-ლოცვისა და გალობის შემოღებისთვის ხანგრძლივი ზრუნვა ხელს უწყობდა მრევლის დაინტერესებას საეკლესიო განათლებით, ქრისტიანობის საკითხებში გარკვევით, მომავალი თაობების ქრისტიანული აღზრდით. ამის გამო 1890 წელს ბათუმში შექმნილი საეკლესიო სამზრუნველო აპირებდა

სამრევლო სკოლის გახსნას. ქართული გაზეთის რედაქცია ამ ცნობის გამოქვეყნებასთან ერთად იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალი საეკლესიო სკოლის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებდა ქართველების ინტერესს, რომელთა რიცხვიც დიდი იყო ქალაქში, ე. ი. აყენებდა ქართულენოვანი სწავლების საჭიროებას [“ივერია”, 1890, #84, გვ. 2]. ბათუმის შესახებ გამოცემულ კრებულში აღნიშნულია, რომ ქალაქში 1894 წლიდან არსებობდა მართლმადიდებლური სამრევლო სკოლა (Батум и его окрестности 1906: 17). მაგრამ ჩვენს მიერ ნანახ წყაროებსა და ლიტერატურაში არ შეგვხვედრია მის შესახებ ცნობები.

ბათუმში მართლმადიდებლური ეკლესიის აშენების, ქართულენოვანი წირვა-ლოცვისა და ტაძარში ქართული გალობის დაწესებისთვის ზრუნვა მორწმუნეთაგან და მოღვაწეთაგან დიდ შრომასა და დროს მოითხოვდა. მაგრამ ეს იწვევდა მათ საზოგადოებრივ საქმეებში უფრო და უფრო აქტიურად ჩართვასა და სათანადო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ამგვარი ზრუნვა ხელს უწყობდა ქართველთა ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო და უფრო აქტიურად ჩაბმას, მომავალში კი თავიანთი სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ზრუნვას. ხოლო მოღვაწეობა ეკლესიის მშენებლობისა და საეკლესიო მსახურების გაუმჯობესებისთვის მრევლს ეხმარებოდა სულიერების ამაღლებასა და რწმენაში განმტკიცებაში...

ქ. ბათუმის გარდა, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარის დაბებსა და სოფლებშიც ჩნდებოდა მართლმადიდებელთა დასახლებები. ამ მოსახლეობას შეადგენდნენ რუსი ჩინოვნიკები, რუსული სამხედრო ნაწილები, ომის შემდეგ მთავრობის მიერ ჩასახლებული ბერძნები, რუსები; ასევე, ჩასული ქართველობა: მოხელეები და სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები, ვაჭრები, დროებით ჩასული ადამიანები. მათი რელიგიური გრძნობების დასაკმაყოფილებლად საჭირო ხდებოდა ეკლესიების მშენებლობა და ძველი ან დანგრეული ტაძრების აღდგენა, მღვდლების მოღვაწეობის დაწყება. ამ დასახლებებში მღვდლების არყოფნის გამო ხან ბავშვების ნათლობა დროულად ვერ ხერხდებოდა, ხოლო ხალხი მოკლებული იყო წირვა-ლოცვასა და ქრისტიანულ საიდუმლოებებს. ამის შესახებ იუწყებოდა გაზეთ ივერიის 1900 წლის 40-ე ნომერი. ეკლესიების მშენებლობისთვის ზრუნავდნენ ადგილობრივი მოხელეები (ქართველები,

რუსები, მაჰმადიანი აჭარლებიც). ჩანს, მხოლოდ მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრები ამ საქმისთვის საკმარისი არ იყო ხოლმე. ამის გამო ადგილობრივი მოხელეების, მოსახლეობისა და ენთუზიასტების მოღვაწეობით მრევლში ან სხვა მხარეებიდანაც იკრიბებოდა ამ ეკლესიების ასაშენებელი თანხები შესწირავების სახით. მარადიდის უფროსმა ახმედ ეფენდი ხალვაშმა აღადგინა სოფ. პეტრულაში ძველი ეკლესია, რომელზე მზრუნველობაც მას პეტრულას მამასახლისისთვის ჩაებარებინა. 1892 წელს სოფ. კვირიკეში ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა (დაახლოებით 45 კომლი) დიდი შრომით წმ. კვირიკეს სახელობის ეკლესია ააშენეს, რომელიც აკურთხა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა. ტაძრისთვის წმინდა კვირიკეს სახელის მინიჭება, რომლის სახელზეც სოფელში ძველად არსებობდა ეკლესია, ბერძნებისგან ითხოვა ადგილობრივმა მოწინავე ქართველმა მაჰმადიანმა. ქობულეთში საუკუნის დასასრულისთვის ახლად დასახლებული ქართველი და რუსი მრევლისთვის შენდებოდა ეკლესია. 1892 წელს, იქ ნამყოფი ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, მღვდლად იყო ბენიამინე ღლონტი, იქამდე კი რუსი მღვდელი ყოფილა. ჩანს, ტაძრის აგებამდე საკმაო რაოდენობის მრევლს თავისი სამლოცველო ექნებოდა. ხულოში დაახლოებით 150 რუსი და ქართველისთვის მიმდინარეობდა ტაძრის მშენებლობა, რასაც ეხმარებოდა ადგილობრივი უფროსი რიხტერი. [“ივერია”, 1892, #144, გვ. 2-3; #149, გვ. 3; 1893, #165, გვ. 2-3; 1900, #40, გვ. 2-3]. 1901 წლის შემოდგომაზე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ხულოში აპირებდა ჩასვლას, იქ ახლად აშენებული სამრეკლოსა და სკოლის მონახულებას, შემდეგ კი აჭარის, ლივანისა და შავშეთის მოვლას. ეს მართლმადიდებელი ეპისკოპოსის აჭარაში მოგზაურობის პირველი შემთხვევა იქნებოდა დიდი ხნის განმავლობაში. ამას მოწმობდა გაზეთ ივერიაში, 1901 წლის 178-ე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია. მართალია, აჭარის დაბა-სოფლებში მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობა ნელი ტემპებითა და ადგილობრივი მრევლის დიდი ძალისხმევით მიმდინარეობდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისისთვის ან მთავრდებოდა, ან უკვე აშენებული იყო ეკლესიები. აქ ჩასახლებულ მართლმადიდებლებს მოქმედი ეკლესიები აქტიური ქრისტიანული ცხოვრების საშუალებას აძლევდა. თუმცა საკმაო ხნის განმავლობაში ამ დასახლებული ადგილების მართლმადიდებლობა დიდხანს რჩებოდა საეკლესიო მსახურების - სულიერი საზრდოს

გარეშე. სასულიერო პირებიც მცირენი იყვნენ აჭარაში. 1897 წლის სტატისტიკური აღწერის მიხედვით, ბათუმის ოლქში მხოლოდ 19 მართლმადიდებელი მღვდელი იყო (ახვლედიანი 1943: 230).

ქ. ბათუმსა და აჭარის რამდენიმე დასახლებაში მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობას, ასევე ქართულ ენაზე ჩატარებულ წირვა-ლოცვასა და საეკლესიო გალობას აჭარის მაჰმადიანი ქართველები ხვდებოდნენ დიდი ინტერესითა და პატივისცემით. აჭარლებიც თანაუგრძნობდნენ მოძმე ქრისტიანებს ამ მოღვაწეობაში, ხოლო ზოგიერთი დახმარებასაც უწევდა ამ საქმეს (მემედ ეფენდი მჭავანაძის მიერ შეგროვილი 60 მანეთი ბათუმის ეკლესიის ქართულ ენაზე მგალობელთა გუნდის სასარგებლოდ). ზოგიერთ მაჰმადიანს აინტერესებდა ქართული საეკლესიო მსახურება, მაგრამ როდესაც ამას 80-იან წლებში ვერ ისმენდა, ამის გამო უკმაყოფილო რჩებოდა. ამაზე იუწყებოდა გაზეთ ივერიის 1886 წლის 177-ე ნომერი. აჭარლებიც ესწრებოდნენ ხანდახან ქრისტიანულ მსახურებებს და პატივისცემას გამოხატავდნენ მოძმეთა ქრისტიანული სარწმუნოების თუ მათი რელიგიური ცხოვრების მიმართ. 1879 წელს ქობულეთში ჩატარდა ნათლისღების ღოცვა მდინარე აჭყუაზე დეკანოზ სვიმონ ქიქოძის მიერ, რომელსაც რუს და ქართველ მრევლთან ერთად დაესწრნენ ადგილობრივი მაჰმადიანნიც. მაჰმადიანები დიდი ინტერესითა და სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს მსახურებას. მათ გამოეყო გულო-აღა კაიკაციშვილი, რომელმაც უთხრა იქ შეკრებილებს, რომ დაახლოებით 80 წელია, რაც ქობულეთში წყალი არ კურთხეულაო [“დროება”, 1879, #22, გვ. 3]. 1893 წელს ნათლისღებაზე სოფ. ქაქუთის მღვდელმა გიორგი კონტრიძემ აკურთხა ჩოლოქის წყალი, რომელსაც დაესწრო ჩოლოქის მეორე ნაპირიდან მოსული 30 მაჰმადიანიც. კურთხევის შემდეგ მღვდელმა ქადაგებაში ისაუბრა როგორც დღესასწაულის მნიშვნელობაზე, ისე ჩოლოქის გაღმა-გამოდმელ მცხოვრებთა უწინდელ ძმოებაზე. მან თქვა, სანატრელი იქნება, დაკარგული ძმობა-ერთობა აღგვედგინაო. მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების დამაკავშირებელი ქაქუთში კი იყო მამა გიორგის მიერ გახსნილი სამრევლო სკოლა, სადაც სწავლა დაეწყოთ მაჰმადიანთა შვილებსაც. ამასთანავე, უფროსი მაჰმადიანებიც დიდი ინტერესით ისმენდნენ მასწავლებლის საუბარს, აძლევდნენ კითხვებს განათლების შესახებ [“ივერია”, 1893, #39, გვ. 2]... აჭარლებიც თანაუგრძნობდნენ მართლმადიდებელ ქართველებს მშობლიურენოვანი

წირვა-ლოცვის დაწესებისთვის ზრუნვაში. გაზეთის კორესპონდენტი ხულოდან ყურთ-ოლლი გაზეთ ივერიაში, 1900 წლის 40-ე ნომერში საუბრობდა ადგილობრივი უფროსის, რიხტერის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის აშენებისთვის ზრუნვაზე და იმედოვნებდა: “ამ ძველს საქრისტიანო ქვეყანაში ერთ ადგილას მაინც გაისმას ზარების რეკვა და კეთილ-გონიერის მოძღვრის მკაფიო ენით წარმოთქმული გრძნობიერი დარიგება”. როგორც ქართველი ქრისტიანების, ასევე აჭარლების მხრიდან ერთიმეორის სარწმუნოების მიმართ იგრძნობოდა პატივისცემა. ისინი ამას გამოხატავდნენ კიდევ კერძო საუბარში, საგაზეთო წერილებსა და სტატიებში თუ ოფიციალურ სიტყვებშიც...

ამრიგად, 1878 წლიდან XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ბათუმში ძალზე გაიზარდა მართლმადიდებელი მოსახლეობის რაოდენობა, რომელთა უმრავლესობას იქ ჩასული ქართველობა შეადგენდა. 80-90-იან წლებში მათთვის მოქმედი პატარა ეკლესიის სიმცირე ძალზე აწუხებდა მრევლს. მიუხედავად მრევლის, საზოგადოებისა და, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ენერგიული მოღვაწეობისა, XX საუკუნის დასაწყისამდე ვერ მოხერხდა დიდი ტაძრის აშენება. ქართველმა მრევლმა და საზოგადოებამ მშობლიურენოვანი წირვა-ლოცვის შემოღებისთვისაც ხანგრძლივად და მონდომებით იზრუნა. საბოლოოდ, 1893 წლიდან ქართულენოვანი მსახურება დაწესდა ბათუმელი მართლმადიდებლებისთვის. ამავე ხანებში მათი დიდი ზრუნვისა და ხელისუფლებასთან შუამდგომლობების შედეგად მიიღეს ქართველთათვის ეკლესიის აშენების უფლებაც, რომელიც, XX საუკუნის დასაწყისშიც არ იყო აშენებული. ამ ზრუნვისას საკმაოდ გააქტიურდა ქართველი მრევლი და საზოგადოება, ორგანიზაციულადაც ჩამოყალიბდა. ბათუმში 1893 წელს ფილიმონ ქორიძის ლოტბარობით მომზადდა მაგლობელთა გუნდი. ეკლესიაში აღვლენილმა ქართულმა წირვა-ლოცვამ და გალობამ ძალზე მიიზიდა ბათუმის ქართველი მრევლი, რომელთა საზოგადოებრივი აქტიურობა საეკლესიო თუ კულტურულ ასპარეზზე უფრო და უფრო იზრდებოდა. ხოლო ბათუმში მართლმადიდებელი სამრევლო სკოლა გახსნილა 1894 წელს. ქ. ბათუმს გარდა, აჭარის რამდენიმე დაბასა და სოფელშიც შეიქმნა მართლმადიდებელთა დასახლებები. მაგრამ ნელი ტემპებით მიმდინარეობდა მათთვის ეკლესიების მშენებლობა. XX საუკუნის დასაწყისისთვის აჭარის დასახლებებში რამდენიმე ადგილას იყო მოქმედი ეკლესია. ამის

გამო აჭარის მართლმადიდებელ მრევლს დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ მოქმედი ტაძრები. ქართველი მრევლისა და საზოგადოების მოღვაწეობას ეკლესიების მშენებლობისა და ქართულენოვანი წირვა-ლოცვისა და გალობის დაწესებისთვის დიდად თანაუგრძნობდნენ მაჰმადიანი აჭარლები, რომლებიც პატივისცემით იყვნენ განწყობილნი მოძმეთა სარწმუნოებისადმი და ინტერესდებოდნენ ქართული საეკლესიო მსახურებითა და გალობით, ქრისტიანთა ცხოვრებით. ზოგიერთი მათგანი კი საქმიანად ეხმარებოდა ქრისტიან თანამემამულეთა ამ ზრუნვას. ეს ყოველივე ხელს უწყობდა მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ქართველობის დაახლოებას...

3 §. ქართველი კათოლიკეები

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე ბათუმში კათოლიკეთა რიცხვი ძალზე მცირე იყო. ისინი ძირითადად აქ მყოფი თუ დროებით შეჩერებული ევროპელები იყვნენ. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ქართველი კათოლიკეების მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა აქ, მჭედლიშვილებისა, საიდანაც იყო გაზეთების: დროებისა და ივერიის აქტიური პუბლიცისტი ლევან მჭედლიშვილი, “კრაზანას” ფსევდონიმით [“ივერია”, 1902, #169, გვ. 2-3]. 1873 წლის აღწერით, ბათუმის კაზაში (ქ. ბათუმი და ქობულეთი) 11 სომეხი-კათოლიკე ცხოვრობდა (ახვლედიანი 1943: 225). კათოლიკეებს არ ჰქონდათ ბათუმში კათოლიკური ტაძარი.

ომის შემდეგ ბათუმში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მიმდევრები დიდი რაოდენობით ჩავიდნენ. აქაც მომრავლდა კათოლიკეთა რაოდენობა. მათ შორის მრავალი იყო ევროპული სახელმწიფოების საკონსულოების თანამშრომლები, ევროპელი ვაჭრები და მეწარმეები; ხოლო კავკასიელი კათოლიკეებისგან საკმაოდ იყვნენ ომის შემდეგ ჩასული სომხები. 80-იანი წლების ბოლოდან აქ ჩასახლება დაიწყო ქართველმა კათოლიკეებმა უმთავრესად სამცხე-ჯავახეთიდან.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის საკმაოდ იზრდებოდა ბათუმში დასახლებულ კათოლიკეთა რაოდენობა, ასე რომ მათთვის საჭირო ხდებოდა კათოლიკური ეკლესიის ამოქმედება. 1882 წელს აქ არსებობდა სომეხთა კათოლიკური ეკლესია (სიჭინავა 1958: 112). სომეხ კათოლიკედ გამოცხადებულ ადამიანთა რაოდენობა 1891 წლისთვის იყო

დაახლოებით 500 კაცი. ამ ცნობას მოყვანილია გაზეთ ივერიაში, 1891 წლის 146-ე ნომერში. ხოლო 90-იანი წლების მეორე ნახევარში ბათუმში საგრძნობლად იმატა კათოლიკეთა რიცხვმა, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთიდან ჩასულ ქართველთა ხარჯზე. ბათუმში 1902 წლისთვის ქართველი კათოლიკეები, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 3500-4000 სულს შეადგენდნენ. მათ შორის გავრცელებული იყო ოსმალური სახელებიდან წარმომდგარი ან ქართულ ფუძეზე შექმნილი, მაგრამ ოსმალურად დაბოლოებული გვარები. თუმცა ისინი წარმომავლობით, ენით, კულტურის მიხედვით და ეროვნული თვითშეგნებითაც ქართველები იყვნენ. ამას იუწყებოდა გაზეთ ივერიის 1902 წლის 169-ე ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია.

XIX საუკუნის ბოლოსთვის აუცილებელი ხდებოდა კათოლიკეთა გაზრდილი რაოდენობისთვის ახალი, დიდი ტაძრის აშენება. სომხური ტაძრის მცირე ზომა და იქ ძირითადად სომხური წირვა-ლოცვის ჩატარება არ აკმაყოფილებდა ქართველ და სხვა ეროვნების კათოლიკე მრევლს. მათ ლათინურენოვანი მსახურების მოსმენა უნდოდათ. ტაძარში არ იყო ლათინური ტიპიკონის მღვდელი, რის გამოც ქართველი კათოლიკეები ემორჩილებოდნენ სომეხ მღვდელს. თუმცა მათ სურდათ, რომ ჰყოლოდათ ლათინური ტიპიკონის მღვდელი და სხვა ტაძარში ელოცათ. მათი თხოვნისა და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მათ გამოუგზავნეს ლათინური ტიპიკონის მომღვარი ანსელიმო მღებრიშვილი, რომელიც პირველი 3 წელი სომხურ ტაძარში სწირავდა ლათინურად. ამაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სომხები. პატრმა ანსელიმომ 1896 წელს მიიღო ნებართვა ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აშენებაზე (ქუცნიაშვილი 2013: 67). 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ბათუმში თანხების შეკრება კათოლიკური ეკლესიის ასაშენებლად, რასაც სჭირდებოდა სათანადო ორგანიზაციული საქმიანობა. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და თანხების მოკრების საქმეში აქტიურობდა აქ მოღვაწე პატრი ანსელიმო მღებრიშვილი. მან საკმაოდ დარაზმა მრევლი ამ საქმისთვის და საზოგადოება, რომელთაც გაიღეს შესაწირავები ტაძრის ასაგებად. ხოლო სტეფანე ზუბალაშვილმა დიდი სახსრები შესწირა ბათუმში ეკლესიის მშენებლობის საქმეს [“ივერია”, 1899, #49, გვ. 2; 1904, #222, გვ. 2-3]. ყოველივე ამით მოგროვდა სოლიდური თანხა, რითაც დიდი ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობდა ძალზე სწრაფად. 1902 წლისთვის თითქმის დასრულებული იქნა

ეკლესიის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენდა დიდ, მდიდრულად მორთულ და არქიტექტურული თვალსაზრისით ორიგინალურ ნაგებობას... “ეკლესია მზად არის, ეხლა მხოლოდ შიგნით რთავენ მარმარილოს ქვებით) შესანიშნავის ტრაპეზით, მხატვრობით და სხვა-და-სხვა ძვირფასად ნაგებ შესამკობლებით. ერთის სიტყვით, ეკლესია, გარეგან თუ შინაგან, ბევრნაირის ღირსებით ბრწყინავს და იგი თვალია და შვენება მთელის ბათუმისა” - წერდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიაში, 1902 წლის 169-ე ნომერში.

ბათუმის კათოლიკური ეკლესიის საკურთხეblად მიიწვიეს ტირასპოლის ეპისკოპოსი ბარონი ედუარდ როპი (მეცენატ სტეფანე ზუბალაშვილის ხარჯით). მან ისარგებლა ამ შემთხვევით და მისდამი დაქვემდებარებული მთელი ამიერკავკასიის კათოლიკური მრევლი მოიარა.

ახლადდანიშნული ეპისკოპოს ედუარდ როპისგან ქართველი კათოლიკეები მოელოდნენ თავიანთი ეროვნული პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც გამწვავდა XIX საუკუნის ბოლოს. საქართველოში ქართველი კათოლიკეების ერთი ნაწილი იყო ლათინურ ტიპიკონზე, რომელთაც ლოცვა შეეძლოთ ქართულ ენაზეც. მეორე ნაწილი ქართველი კათოლიკეებისა (ყოფილი ახალციხის საფაშოს მცხოვრებნი) ისტორიული გარემოების გამო იძულებით იმყოფებოდა სომხურ-კათოლიკურ ტიპიკონზე. მათთვის საეკლესიო მსახურება სომხურ-ქართულად სრულდებოდა. სომხური ტიპიკონის ქართველი მღვდლები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ, ქართულად ჩაეტარებინათ ლოცვა და ხან წირვაც. მაგრამ ისინი ამის გამო უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ხოლმე ახალციხის სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობისგან. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთის მთავრობამ თავისი ბრძანებებით აკრძალა ლათინურ და სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკეებისთვის წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე (1886, 1891 და 1893 წლების ბრძანებებით (ლომსაძე 1997: 104, 106-107) (ლომსაძე 1984: 23-25). სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი მრევლისთვის იძულებით დაიწყეს წირვა-ლოცვის სომხურ ენაზე ჩატარება, ნათლობისას მათთვის სომხური სახელების დარქმევა. სომეხი კათოლიკე სამღვდელოების უმრავლესობა ქართველ მრევლს ეროვნებით სომხად აცხადებდა. ისინი ეკლესიასა და საეკლესიო სასწავლო დაწესებულებებში საგანგებოდ ზრუნავდნენ ქართული ენის გამოდევნისა და სომხური ენის იძულებით

დამკვიდრებისთვის. ქართულ მრევლში ბევრგან ქართველ მღვდლებს ცვლიდნენ ქართული ენის უცოდინარი სომეხი მღვდლებით... ამდენად, 90-იანი წლებიდან სომეხი კათოლიკე სამღვდელოების უმეტესობა საეკლესიო მმართველობის მეშვეობითა და რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით ცდილობდა სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკე მრევლის გასომხებას. ყოველივე ეს ძალზე აწუხებდა ქართველ კათოლიკე მრევლსა და მათ მღვდლებს. მათ დაიწყეს თხოვნები და შუამდგომლობა რუსეთის მთავრობასთან, ტირასპოლის ეპისკოპოსთან და კარდინალებთან რომში მშობლიურენოვანი მსახურების აღდგენისთვის, მაგრამ უშედეგოდ. საუკუნის ბოლოსთვის პატრიოტმა ქართველმა კათოლიკე მღვდლებმა გადაწყვიტეს სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი მრევლის ლათინურ ტიპიკონზე გადაყვანა. ეს კი სომხურის ნაცვლად ლათინურ მსახურებაზე გადასვლას ნიშნავდა. ამით ქართველი მრევლი სომხური კათოლიკური სასულიერო მმართველობისგან თავს დააღწევდა. ლათინურ ტიპიკონზე მყოფ ქართველთათვისაც 90-იანი წლებიდან ქართულად ლოცვა მთავრობის ბრძანებით აკრძალული იყო. მაგრამ ლათინური ტიპიკონი არ ქმნიდა მრევლის ეროვნულ გადაგვარების საფრთხეს, სომხურისგან განსხვავებით.

ბათუმში ცხოვრობდნენ როგორც ლათინურ, ისე სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკეები. აქაური ლათინური ტიპიკონის ქართველი მრევლი ეპისკოპოს როპისგან მოელოდა ახალი ეკლესიის კურთხევას, სადაც შეუფერხებლად ჩაუტარდებოდათ ლათინური წირვა-ლოცვა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მათთვის კვლავ შესაძლებელი გახდებოდა ქართულად ლოცვის ჩატარება. ხოლო ბათუმის სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი მრევლი საქართველოში ჩამოსული ეპისკოპოსისგან მოელოდა მათ გადაყვანას ლათინურ ტიპიკონზე. ეპისკოპოსი როპიც ერკვეოდა აღნიშნულ პრობლემებში და ჰქონდა ქართველი კათოლიკეების ეროვნული პრობლემის მოგვარების სურვილი (გვარამაძე 1903: 29). ისინიც სიხარულითა და სასოებით მოელოდნენ ახალი ეპისკოპოსის ვიზიტს ბათუმში და ახლად აშენებული ტაძრის კურთხევას. ქართველი საზოგადო მოღვაწეები, განსაკუთრებით, კათოლიკე სასულიერო და საერო პირები, მათი თანამგრძნობი მართლმადიდებელი ქართველი პირები და გაზეთი ივერია დიდ

მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ფართოდ აშუქებდნენ კათოლიკე ეპისკოპოსის ვიზიტს საქართველოში.

ბათუმის კათოლიკური ტაძარი 1903 წლის 4 მაისს აკურთხა ეპისკოპოსმა როპმა და იქვე ხელი დაასხა რამდენიმე მღვდელს [“ივერია”, 1903, #99, გვ. 1]. მას ხვდებოდნენ ან დაჰყვებოდნენ მთელს საქართველოში ქართველი კათოლიკე სასულიერო და საერო მოღვაწენი. მრევლიც დიდი პატივისცემითა და იმედით ეგებებოდა მას მთელს საქართველოში. მან მოიარა კათოლიკე მრევლით დასახლებული მხარეები საქართველოში და სომხეთის ერთ ნაწილში, გაეცნო მრევლის, ეკლესიებისა და სამღვდელოების მდგომარეობას (გვარამაძე 1903: 9-36). ეპისკოპოსმა იმედი მისცა ქართველ მოღვაწეებს, რომ დააყენებდა ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ საკითხს ვატიკანის წინაშე სამართლიანად გადასაწყვეტად. მაგრამ ცოტა ხანში ეპისკოპოსი ბარონი ედუარდ როპი გადააყენეს ტირასპოლის ეპისკოპოსობიდან და ვილნოში გადაიყვანეს. ამით ქართველებს ძალზე გაუცრუვდათ იმედი. მაგრამ მისი დახვედრა ქართველი კათოლიკე მრევლისა და სამღვდელოების პატრიოტული მოძრაობის დემონსტრირება იყო. ამან გარკვეულწილად შეაკავშირა ამ საკითხის სამართლიანად მოგვარებით დაინტერესებული და მონდომებული ადამიანები ერთმანეთთან (მათ შორის მართლმადიდებელი ქართველებიც)... ხოლო ბათუმის კათოლიკური ეკლესიის ამოქმედებით ყველა კათოლიკეს მიეცა საშუალება თავისუფლად დასწრებოდა ლათინურ წირვა-ლოცვას და თავის მშობლიურ ენაზეც მოესმინა ლოცვა შესაძლებლობის ფარგლებში (მათ შორის ევროპელებსაც). ხოლო ტაძარი დიდი რაოდენობის მრევლს იტევდა...

ეპისკოპოს ედუარდ როპის ჩამოსვლით რაიმე შეღავათი არ მისცემია სომხურ კათოლიკურ ტიპიკონზე მყოფ ქართველ მრევლს, მათთვის მსახურება ეკლესიებში კვლავ სომხურად სრულდებოდა. მაგრამ ბათუმში მათ პიროვნულად შეეძლოთ სომხურ-კათოლიკური სამრევლოდან ლათინურ ტიპიკონზე მყოფ სამრევლოში გადასვლა. ხოლო 1904 წლიდან ლათინურ ტიპიკონზე მყოფ ქართველ მრევლს საქართველოში კვლავ მიეცა საშუალება, ქართულადაც მოესმინათ ლოცვა თავიანთ ეკლესიებში. ბათუმში ქართველი მრევლისთვის ამ მხრივ მეტი თავისუფლება იყო...

სომხურ-კათოლიკურ ტიბიკონზე დარჩენილი ქართველი მრევლი ბათუმში ძირითადად ქართულენოვან გარემოში იმყოფებოდა, სომხურ გავლენას ნაკლებად განიცდიდა (ვიდრე სამცხე-ჯავახეთში). ისინი განათლებისკენ მიისწრაფოდნენ. ქართული წიგნები და ჟურნალები თითქმის ყველა მათგანს ჰქონდა სახლში. ეროვნული ცნობიერება მათში მტკიცე იყო და მათ გასომხების პრობლემა არ ემუქრებოდათ. ამას ხაზს უსვამდა ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ ივერიაში ბათუმიდან გაგზავნილ კორეპონდენციაში [“ივერია”, 1902, #169, გვ. 2-3]. ბათუმის ქართველ კათოლიკეთა შორის აქტუალური იყო ზრუნვა და ბრძოლა საერთოქართული ეროვნული პრობლემების გადაჭრისთვის. ისინი თვითონაც მონაწილეობდნენ ბათუმში თუ საქართველოს სხვა მხარეებში ეროვნული მნიშვნელობის მქონე საგანმანათლებლო, კულტურულ და საზოგადო საქმიანობაში. ქართველ კათოლიკეთა რელიგიურ-პატრიოტული მოძრაობის აქტიური წევრნი ბათუმშიც მოღვაწეობდნენ. ზაქარია ჭიჭინაძე როდესაც აპირებდა აბატ პეტრე ხარისჭირაშვილის შესახებ წიგნის გამოცემას, მას დაეხმარა ბათუმიდან ნიკოლოზ საბაშვილი და გაუგზავნა პ. ხარისჭირაშვილის ფოტო. ეს ცნობა მოყვანილია გაზეთ ივერიაში, 1893 წლის 144-ე ნომრის ქრონიკაში. ხოლო ნ. საბაშვილს კავშირი ჰქონდა კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მოღვაწე ქართველ კათოლიკეებთან. ბათუმში მოღვაწე ლევან მჭედლიშვილმა ახალციხიდან ბათუმში ჩაიტანა ახალციხელ კათოლიკე დედებაშვილის მიერ შეკრებილი ცნობები ქართველი კათოლიკეების შესახებ, სადაც, გაზეთ ივერიის რედაქციის ცნობით, კარგად ჩანდა ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის გადაგვარების მიზეზი. ამის შესახებ იუწყებოდა იგივე გაზეთის 1899 წლის 49-ე ნომერი. წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან და ბათუმში მცხოვრები კათოლიკე მოღვაწეები თავიანთ კუთხეს არ ივიწყებდნენ. ისინი და, ასევე, სხვა მოღვაწეებიც ამ მხარის მოსახლეობის საგანმანათლებლო საქმეს შეეწეოდნენ ხოლმე მატერიალურადაც. 1900 წელს ბათუმში ახალციხის ქართული ბიბლიოთეკის შენობის ასაგებად გაიღეს შესაწირავები: ე. ალევრინიმ - 100 მან., ნ. საბაშვილმა - 50 მანეთი, მ. ბეთანიშვილმა - 50 მან., პ. მჭედლიშვილმა - 25 მან., ფ. ფილიპოვმა - 10 მან., გრ. ვოლსკიმ - 10 მან., და ა. შ. სულ შეგროვდა 280 მანეთი, რისთვისაც ახალციხის ბიბლიოთეკაზე მზრუნველი მარიამ ბეთანიშვილისა მათ

მადლობას უცხადებდა დასახელებულ გაზეთში, 1900 წლის 101-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში.

ამრიგად, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბათუმში გამრავლდნენ კათოლიკეებიც, რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა 90-იანი წლების მეორე ნახევარში. თუ თავიდან სომეხი კათოლიკეები სჭარბობდნენ მათში (ეკლესიაც ააშენეს მათ ბათუმში), 90-იანი წლებიდან ძალზე მოიმატა ქართველ კათოლიკეთა რაოდენობამ (ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან ჩასულების ხარჯზე). ქართველი კათოლიკეების დიდი ძალისხმევითა და მეცენატ სტეფანე ზუბალაშვილის მიერ გაღებული დიდი შესაწირავის შედეგად 1902 წელს აშენდა დიდი და ძვირფასად მორთული ეკლესია. ის ეკურთხა 1903 წელს ტირასპოლის ახლადდანიშნულ ეპისკოპოს ბარონ ე. როპის მიერ და რომელმაც დააკმაყოფილა ბათუმელი კათოლიკეების რელიგიური მოთხოვნები... ამავე ეპისკოპოსის საქართველოში ვიზიტს დიდი იმედებით შეხვდნენ ლათინურ და სომხურ ტიპიკონზე მყოფი ბათუმის ქართველი კათოლიკეები. ლათინურ ტიპიკონზე მყოფთ ახალი ეკლესიის ამოქმედებით სურდათ საკუთარ ეკლესიაში საეკლესიო მსახურებაზე დასწრება. სომხურ-კათოლიკურ ტიპიკონზე მყოფ ქართველებს სურდათ ახალი ეპისკოპოსის დახმარებით სომხურ-კათოლიკური ტიპიკონიდან ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. ამით ისინი თავს დააღწევდნენ სომხურ გავლენასა და ეროვნული გადაგვარების საფრთხეს. მათ ამაზე თხოვნა წარუდგინეს საქართველოში ჩამოსულ ეპისკოპოს როპს, რომელსაც ქართველ კათოლიკეთა ეროვნული პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტის სურვილი ჰქონდა. მაგრამ საქართველოდან წასვლიდან მცირე ხანში ის სხვა ეპარქიაში გადაიყვანეს. ქართველთათვის წარუმატებლად დასრულდა აღნიშნული მცდელობა, მაგრამ ამით გამომჟღავნდა ქართველ კათოლიკეთა შორის ძლიერი პატრიოტული მოძრაობა... ხოლო ბათუმის ქართველი კათოლიკეები (სომხურ ტიპიკონზე მყოფნიც) იყვნენ ქართულ გარემოში, მიისწრაფოდნენ განათლებისკენ. მათი მოღვაწეები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამდენად, ქართველ კათოლიკეებს ბათუმში ეროვნული გადაგვარების საფრთხე არ ემუქრებოდათ.

§ 4. სომხური ქრისტიანობის წარმომადგენელი და სხვანი

ბათუმში ოსმალთა მმართველობის ბოლო ხანებში ცხოვრობდნენ სომხები, ისევე როგორც საქართველოს მრავალ ქალაქში. როგორც ჩანს, მათი რიცხვი მცირე არ იყო, რადგან გააჩნდათ საკუთარი ეკლესია. 1872 წელს ინგლისის კონსულ პელგრევის მოხსენებით, ბათუმში ცხოვრობდა 120 სომეხი (სიჭინავა 1958: 110). თუმცა რელიგიური ცხოვრება, ეკლესიაში სიარული მათთვისაც საშიში ყოფილა, რადგან თავდასხმები ხდებოდა ხოლმე ამ ეკლესიის მრევლზე (გოგოლიშვილი 2009: 32-33). სომეხი ვაჭრები და ბურჟუაზია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ძალიან გააქტიურდნენ. ისინი რუსეთის ჯარების მოძრაობის დროს ჩადიოდნენ ოსმალეთის მიერ დაპყრობილ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე და ადგილზე ეცნობოდნენ ვითარებას. არტანისა და ყარსის მხარეებში მათ დაიწყეს მიწების, შენობების, სავაჭრო დაწესებულებების შეძენა და იქ ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება. ასეთივე სურვილი გააჩნდათ სომხებს რუსეთის მიერ ახლად შეერთებულ ბათუმში. თბილისელ სომეხ ვაჭრებს 1878 წელს უნდოდათ, ბათუმში შეეძინათ მიწები და დაეწყოთ სავაჭრო დაწესებულებების დაარსება [“დროება”, 1878, #133, გვ. 2; #135, გვ. 1-2], თავიანთი გავლენის დამყარება იქაურ ეკონომიკურ სფეროში. ბათუმში 1880-იანი წლებიდან მრავალი ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხის ჩასვლასთან ერთად გამრავლდა სომეხი მოსახლეობის რაოდენობაც. ბათუმის 1890 წლის აღწერის მიხედვით, ამ წელს ქალაქში ცხოვრობდა 2559 სომხური ქრისტიანობის (მიაფიზიტობის) მიმდევარი სომეხი, ხოლო კათოლიკე სომეხი - 508. ეს ცნობა მოყვანილია გაზეთ ივერიაში, 1891 წლის 145-ე ნომერში. სომხებს გააჩნდათ ოსმალების დროინდელი თავიანთი ეკლესია, რაც აღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მრევლს. მათ 80-იანი წლების ბოლოდან დაუწყიათ ახალი ეკლესიის მშენებლობისთვის ზრუნვა. ქალაქში 1889 წელს საძირკველი უნდა ჩაჰყროდა მიაფიზიტურ ეკლესიას, რისთვისაც მოწვეული ყოფილა ეპისკოპოსი არისტაკესი, გაზეთ ივერიის 1889 წლის 84-ე ნომრის ცნობით. ჩანს, მრევლი, სასულიერო და საერო მოღვაწეები ენერგიულად მოქმედებდნენ ეკლესიის მშენებლობისთვის. ამასთანავე, მათ იმავე წელს ქალაქის მმართველობისგან ითხოვეს სომხური სამრევლო სკოლისთვის ადგილის გამოყოფა. ბათუმის სომეხი საზოგადოება ზრუნავდა სომხური სკოლის უზრუნველყოფისთვის,

რაშიც სომეხი მოსახლეობაც მონაწილეობდა. ამ მიზნით ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო სპექტაკლები [“ივერია”, 1887, #43, გვ. 2; 1889, #155, გვ. 2].

XIX საუკუნის 90-იან წლებში კიდევ უფრო იზრდებოდა სომეხი მოსახლეობის რაოდენობა ბათუმში. ამ დროს ბათუმი სწრაფად მზარდი სამრეწველო-სავაჭრო ქალაქი იყო, რომელიც იზიდავდა სხვადასხვა ეროვნების როგორც ვაჭარ-მრეწველებს, ისე საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლებს საქართველოდან და მისი მეზობელი ქვეყნებიდან. სომეხი კაპიტალისტები და ვაჭრებიც საკმაოდ ჩავიდნენ ბათუმში, რომლებმაც დააარსეს რამდენიმე ფაბრიკა-ქარხანა და დიდი რაოდენობით სავაჭრო დაწესებულებები. მათი უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებად მიღებისას დიდ უპირატესობას ანიჭებდა სომეხი ეროვნების ადამიანებს. მათ იღებდნენ არა მარტო საქართველოს ტერიტორიიდან, არამედ ოსმალეთიდანაც. ბათუმში მტვირთავ მუშათა არტელში, რომელიც მოწყობილი იყო მანთაშევის მიერ, ღებულობდნენ მხოლოდ სომეხ მუშებს (სიჭინავა 1958: 176). ამით ხელოვნურად იზრდებოდა სომეხი ეროვნების მოსახლეობა ბათუმში, რაც მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით არ იყო ნაკარნახევი. ეს, სავარუდოდ, უკავშირდებოდა სომხური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალზე გააქტიურებას XIX საუკუნის 90-იან წლებში. ის მიზნად ისახავდა არა მხოლოდ სომხეთის განთავისუფლებას დამპყრობელი იმპერიების ბატონობისგან, არამედ ამიერკავკასიაში დიდი სომხეთის შექმნას (სიჭინავა 1958: 222-223). დიდი სომხეთის საზღვრებში კი უნდა შესულიყო ამიერკავკასიის ის ტერიტორიებიც, სადაც სომხური დასახლებები არსებობდა და ისინი თუნდაც არ ყოფილიყო ისტორიული სომხეთის მიწები. გავლენიან პირებს თბილისში სომეხი მოსახლეობა ჩაჰყავდათ ერევნის გუბერნიიდან. სომხური ნაციონალისტური ორგანიზაციები ენერგიულად ამოქმედდნენ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე, მცირე აზიაში. მათ 90-იან წლების შუა ხანებში აჯანყება მოაწყეს ოსმალური მმართველობის წინააღმდეგ. ამის შესახებ იუწყებოდნენ გაზეთ ივერიაში 1895 წლის 209-ე, 222-ე და 226-ე ნომრებში. ამას მოჰყვა სომეხთა მასობრივი დარბევები, გენოციდი, ხოლო რეპრესიებითა და ტერორით დაშინებული სომეხი მოსახლეობა თავშესაფარს ეძებდა სხვადასხვა ქვეყნებში. სწორედ ამ მოვლენებთანაც უნდა იყოს დაკავშირებული ბათუმში სომეხი ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეთა მიერ ოსმალეთიდან

დიდი რაოდენობით სომეხი მუშების მიღება 90-იანი წლების მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (სიჭინავა 1958: 177-178). ეს ცნობა მოყვანილია ასევე იმავე გაზეთის 1897 წლის 54-ე ნომერში. საუკუნის დასაწყისისთვის სომეხთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო ბათუმში, რომელთა უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ. როგორც შემდგომმა, 1905-1907 წლების რევოლუციის დროინდელმა მოვლენებმა აჩვენა, სომეხი მოსახლეობის უმრავლესობა ნაციონალისტურად იყო განწყობილი და მუშათა განმათავისუფლებელ და სხვა სახის რევოლუციურ მოძრაობაში ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას; თუმცა პოლიტიკურად აქტიურნი იყვნენ. ისინი საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარებისა და თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებისთვის საგანგებოდ ზრუნავდნენ და იბრძოდნენ. ჩანს, როგორც საქართველოს ზოგ სხვა მხარეებში, სომეხ მოსახლეობაში ეროვნული შეგნების ამაღლებაში, ასევე მათი ნაციონალისტურად განწყობაში დიდი როლი გააჩნდა სომხურ ნაციონალურ ეკლესიასაც...

ბათუმში დასახლებულ დიდ რელიგიურ ჯგუფებს გარდა ცხოვრობდნენ ებრაელებიც, რომლებიც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩავიდნენ მრეწველობა-ვაჭრობის განვითარებისა და ქალაქის დიდი მშენებლობების დროს. ისინი ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ვაჭრობითა და მეწარმეობით. 1891 წლის აღწერის მიხედვით, მათი რიცხვი შეადგენდა 856 კაცს. ხოლო 1887 წლის ცნობით, მათ თავიანთი სინაგოგაც ჰქონიათ [“ივერია”, 1887, #220, გვ. 1-2; 1891, #145, გვ. 2-3]. ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი ნაკლებად ჩანდნენ 90-იანი წლების მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ წლებში, როდესაც ამ მხრივ რუსებთან ერთად ძალზე გააქტიურდნენ ქართველები და სომხები. იმდროინდელი ავტორები თუ საისტორიო წყაროები ადგილობრივი მოსახლეობის სარწმუნოებრივ ცხოვრებაშიც ნაკლებად მოიხსენიებდნენ ებრაელთა რელიგიურ ცხოვრებას...

დასახლებულ რელიგიურ ჯგუფებს გარდა, ბათუმში უფრო მცირე ეროვნული და რელიგიური ჯგუფებიც ცხოვრობდნენ ან დროებით იმყოფებოდნენ. ესენი იყვნენ თურქები, ირანელები, ევროპელი პროტესტანტები და სხვანი. ბათუმში არსებული სამი მეჩეთიდან ერთში თურქები დადიოდნენ და ქალაქში თავს თავისუფლად გრძნობდნენ.

როგორც ვხედავთ, აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა რელიგიური მრავალფეროვანება. ხოლო სხვადასხვა კონფესიურ ჯგუფებში იყო სერიოზული პრობლემები: ოსმალეთიდან ცდილობდნენ ქართველ მაჰმადიანებს შორის რელიგიური ფანატიზმისა და ოსმალური ნაციონალიზმის გავრცელებას, რაც იწვევდა აჭარის მოსახლეობის ერთ ნაწილში ეროვნული ცნობიერების დაქვეითებას; ქართველ მართლმადიდებლებს ბათუმში არცთუ სახარბიელო მდგომარეობა ჰქონდათ - პატარა ეკლესიები, ხანგრძლივი ზრუნვა და ბრძოლა მშობლიურენოვანი მსახურების დაწესებისთვის და სათანადო ზომის ეკლესიის გვიან აშენება; ქართველი კათოლიკეები მონდომებით მოღვაწეობდნენ მათ მრევლში განათლების გასავრცელებლად და ქართველთა ნაწილის სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების გავლენისგან გასათავისუფლებლად. ხოლო მათი რელიგიური თავისუფლების სიმბოლოს - დიდი კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა მათგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა; სომხური მრევლის დიდი ნაწილი ეჩმიაწინის ნაციონალისტური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა... ამ ვითარების მიუხედავად, ბათუმში - მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ ქალაქში - არ შეიმჩნეოდა ამ რელიგიურ ჯგუფებს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე გაუცხოება, გარკვეული წინააღმდეგობა რელიგიური საკითხების ირგვლივ და დაპირისპირება. ამ და კიდევ სხვა ეროვნებებისა და აღმსარებლობის ხალხებს შორის ურთიერთობისას არსებობდა ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა. ჩვენ ისტორიულ წყაროებში არ შეგვხვდრია რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების რაიმე ფაქტი. თუმცა მაჰმადიანი სასულიერო პირების ერთი ნაწილი ქრისტიანების საწინააღმდეგო ქადაგებებს ეწეოდა (კომახიძე 2004: 139). მაჰმადიანებს შორის ზოგი მოლა რელიგიათშორისი ურთიერთობის ძალისმიერად გადაწყვეტის მომწოდებელიც იყო [“ივერია”, 1892, #172, გვ. 2-3] და ხან თავიანთ მრევლს უშლიდა ურთიერთობებს სხვა აღმსარებლობის ადამიანებთან. ზოგიერთი მართლმადიდებელი მღვდელი უპატივისცემლოდ იყო განწყობილი ქართველი მაჰმადიანების მიმართ [“დროება”, 1883, #156, გვ. 1-3]... ამის მიუხედავად, აღნიშნული ხალხების წარმომადგენლები ბათუმში ადვილად პოულობდნენ ერთმანეთთან საერთოს, ადვილად უმეგობრდებოდნენ სხვა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს. ხალხის ამ ჯგუფებს შორის ძირითადად დადებითი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა

სუფევდა. ხოლო ამ ხალხების წარმომადგენელი საზოგადოება, ინტელიგენცია ადვილად პოულობდა ერთმანეთთან საერთო ენას და იწყებდნენ თანამშრომლობას საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებში. ამდენად, რელიგიური და ეთნიკური განსხვავებების მიუხედავად, ბათუმის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ტოლერანტულ და დემოკრატიულად განწყობილ საზოგადოებას წარმოადგენდა. ხოლო აჭარის დანარჩენ მხარეებში მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას მაჰმადიანი ქართველები შეადგენდნენ, რომელთაც ქართველ ქრისტიანებთან ძმური ურთიერთობა გააჩნდათ...

დასკვნა

XIX საუკუნის შუა ხანებისთვის აჭარაში, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში, დამყარებული იყო ოსმალური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წყობა, რაც იწვევდა მხარის მრავალმხრივ ჩამორჩენას. აქ გრძელდებოდა მოსახლეობის ეროვნული ჩაგვრა და მათი გათურქების პოლიტიკა, ბრძოლა ქართული კულტურის წინააღმდეგ... XIX საუკუნის შუა ხანებში ისლამის ძალადობით გავრცელების, მისი ძირითადად ზეპირობით შესწავლის შედეგად აჭარის მოსახლეობაში განმტკიცებულიყო მაჰმადიანური სარწმუნოება. ის მაჰმადიანი სასულიერო პირების ზემოქმედებით ზოგჯერ ფანატიზმშიც გადადიოდა; ამიტომ საკუთარი ეროვნული წარმომავლობა მოსახლეობის ერთ ნაწილში ბუნდოვანი გამხდარიყო. თუმცა ხალხში ურყევი იყო ქართული ენა. მათში არსებობდა ქართული კულტურული და საყოფაცხოვრებო ტრადიციები, ქრისტიანული ტრადიციების ელემენტები, თავისუფლების სული და ქრისტიანი მოძმეების პატივისცემა...

აჭარაში 1870-იანი წლებში ოსმალეთის ბატონობის გაძლიერებას მოჰყვა სახალხო გამოსვლები. 1872 წელს დაიწყო სახალხო მღელვარება გადასახადების გაზრდის გამო. 1875-1876 წლებში მთავრობამ მოინდომა აჭარლების ჯარში გაწვევა ბალკანეთის ხალხების აჯანყების ჩასახშობად. ამის საწინააღმდეგო დაუმორჩილებლობა მოსახლეობის აჯანყებაში გადაიზარდა. საბოლოოდ, მთავრობა დათმობაზე წავიდა. აჭარელთა და სხვა ქართველ მაჰმადიანთა ანტიოსმალურ გამოსვლებს თანაუგრძნობდა ქართველი საზოგადოება, რომელიც ქართველ ხალხში ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს აჭარელთა მხარდაჭერისა და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების სასარგებლოდ...

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში ქართველი მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით ჩაება საქართველოს დაკარგული ტერიტორიებისა და მოძმეების დასაბრუნებლად. რუსეთის ჯარებისა და ქართველი მეომრების გმირული ბრძოლით, ასევე, ხალხის თავდაუზოგავი შრომით კავკასიის ფრონტზე დამარცხებულნი იქნენ ოსმალური ჯარები. ოსმალეთის იმპერიისგან განთავისუფლდა საქართველოს ვრცელი ისტორიული მხარეები. 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთს უბრძოლველად

გადაეცა აჭარა. აჭარის მოსახლეობა ომის დროს ძირითადად გულგრილად იყო განწყობილი ოსმალეთის სახელმწიფოს მიმართ და მონდომებით არ უბრძოლია რუს-ქართველთა სამხედრო შენაერთების წინააღმდეგ... ოსმალეთის სასარგებლოდ არ იმოქმედა აჭარლებისა და ოსმალების ერთმორწმუნეობის ფაქტორმაც.

აჭარაში რუსეთის ჯარების მშვიდობიანად შესვლის წინ ოსმალეთის აგენტებმა ადგილობრივი მოსახლეობა წააქეზეს აჯანყებისთვის რუსთა ჯარების წინააღმდეგ და შეაიარაღეს. მაგრამ ბოლოს ოსმალურმა ჯარებმა ომისთვის მომზადებული მოსახლეობა მიატოვეს და შესთავაზეს ოსმალეთში მუჰაჯირად გადასახლება. პროოსმალურად განწყობილი პირები რუსეთის ჯარების აჭარაში შესვლისას შიშს თესდნენ რუსეთის მიმართ. ოსმალურმა ჯარებმა თავიანთი ევაკუაციისას დაიწყეს აჭარის ზღვისპირა მოსახლეობის იძულებითი წაყვანა ოსმალეთში. აჭარის მცხოვრებთა ნაწილმა კი რუსეთის შიშით თავისი ნებით დაიწყო ოსმალეთში გადასახლება. რუსეთის ჯარებთან ერთად შესული ქართველი მოღვაწეები ხალხს არწმუნებდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლება მათ არაფრით ემუქრებდა და მოუწოდებდნენ სამშობლოში დარჩენისკენ. ამის გამო წასასვლელად განწყობილი ხალხის საკმაო ნაწილმა ხელი აიღო ოსმალეთში გადასახლებაზე. ზოგადად, აჭარელთა მუჰაჯირობის დაწყება ანელებდა ქართველი ხალხის სიხარულს აჭარის დაბრუნების გამო...

აჭარაში 1878 წლის შემოდგომაზე მოღვაწეების ნაწილმა და ოსმალეთიდან შემოსულმა აგენტებმა დაიწყეს მოსახლეობაში აგიტაცია და ქადაგება, რომ ხალხი ოსმალეთში მუჰაჯირად გადასახლებულიყო. ამისთვის სპეციალური კომისიებიც გამოიგზავნა აჭარაში. მაჰმადიანი ქართველების მასობრივი გადასახლება ოსმალეთში ანუ მუჰაჯირობა დაიწყო 1878-1879 წლების ზამთარში.

აჭარელთა და სხვა ქართველ მაჰმადიანთა მუჰაჯირობა უკავშირდებოდა ოსმალეთის იმპერიულ მიზნებს: მას სურდა, თავის ახალ საზღვრებთან ჩაესახლებინა რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა; ოსმალეთი მიიღებდა შრომისმოყვარე, კულტურული მეურნეობის გაძლიერების მცოდნე და ნიჭიერ მოსახლეობას; მათი მეშვეობით აითვისებდა მცირე აზიის ნაკლებნაყოფიერ მხარეებს;

რუსეთის სახელმწიფო კი ზოგიერთი მხარიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელს არ უშლიდა ან უწყობდა კიდეც ხელს აჭარელთა ოსმალეთში გადასახლებას. მას ახლად შეერთებულ მიწებზე ერჩივნა ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და მისთვის საიმედო ხალხების ჩასახლება. მისი აზრით, კოლონისტების მეშვეობით უკეთესად დაიცავდა ახალ საზღვრებს; ასევე, მხარეში ეთნიკური სიჭრელის შექმნით შეასუსტებდა ადგილობრივ ელემენტს და უფრო ადვილად დაიმორჩილებდა მათ.

აჭარიდან ქართველი მოსახლეობის მუჰაჯირობას გააჩნდა მრავალი მიზეზი და გარემოება: აჭარაში არასაკმარისი რელიგიური განათლების დონით სარგებლობდნენ პროოსმალურად განწყობილი მოლეები და ოსმალეთის აგენტები. ისინი რელიგიურ ფანატიზმს ავრცელებდნენ ხალხში და უქადაგებდნენ, რომ ალაჰი არ შეიწყნარებდა მათ მაჰმადიანობას ქრისტიანულ სახელმწიფოში. ამის გამო აჭარლები უნდა გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში; ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულმა მაჰმადიანურ-იმპერიულმა პოლიტიკამ და ხალხში განათლების დონის დაქვეითებამ გამოიწვია რელიგიურ-ეთნიკური საკითხების აღრევა, მოსახლეობის ნაწილში ეროვნული ცნობიერების დასუსტება; პროოსმალურად განწყობილი სასულიერო და საერო პირები აჭარლებს შორის შიშს სთესდნენ, რომ რუსული მმართველობა დევნას დაუწყებდა მაჰმადიანობას, ხელყოფდნენ მათ ადათებსა და ოჯახებს; აჭარაში ადგილობრივი წარჩინებულების საკმაო ნაწილი ჩადგა ოსმალეთის სამსახურში, რომელთა ენერგიული მოწოდებებითა და პირადი მაგალითებით დიდი რაოდენობით ხალხი გადასახლდა ოსმალეთში; აჭარელთა მუჰაჯირობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ომის შედეგად შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი; პორტო-ფრანკოს რეჟიმი ბათუმის შესასვლელლებთან ძალზე მძიმე გამოდგა მკვიდრთათვის; აჭარის მოსახლეობისთვის აუტანელი და მიუღებელი აღმოჩნდა რუსული მმართველობის უარყოფითი მხარეები;

აჭარელთა მუჰაჯირობა ოსმალეთში ძალზე ტრაგიკულად მიმდინარეობდა. ისინი მგზავრობდნენ ძალზე ცუდ პირობებში. ხოლო ჩასახლების ადგილებში ადგილობრივი ხელისუფლება მათ ხშირად დროულად ვერ აბინავებდა, ძირითადად მწირ მიწებს გამოუყოფდა. ოსმალეთის მთავრობისგან ხშირად უყურადღებოდ მიტოვებული

მუჰაჯირთა უმრავლესობა ბედის ანაბარა რჩებოდა; ხან ღია ცის ქვეშ უწევდათ ყოფნა. მათი ნაწილი გზაშიც და ოსმალეთის ტერიტორიაზეც შიმშილითა და სიცივით იღუპებოდა. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა აჭარაში უკან დაბრუნებას. ძალზე მძიმე პირობებთან შეგუება და ცხოვრების ახლიდან დაწყება ძალიან ძვირი უჯდებოდათ აჭარელ მუჰაჯირებს...

აჭარაში მუჰაჯირობის პროცესი მასშტაბური იყო, მაგრამ მას გააჩნდა გარკვეული ზღვარი, ხელისშემშლელი მიზეზები და გარემოებები: აჭარელთა დიდი უმრავლესობა თავს ქართველად აღიარებდა; მუჰაჯირად წასვლას ოსმალეთში ჰქონდა ბუნდოვანი პერსპექტივები, ხოლო გადასახლებულების შესახებ ძალზე ტრაგიკული ამბები მოდიოდა; ოსმალეთში ნამყოფი მოლებისა და ბეგების საკმაო ნაწილი, ასევე, ადგილობრივი მოღვაწეების უმეტესობა თანამომხმეებს მოუწოდებდა აჭარაში დარჩენისკენ; ქართველი საზოგადოებისა და ხალხის მხარდაჭერა და გარკვეული დახმარება აჭარლებისთვის, მათი მოძმეთადმი მოწოდებები გადასახლების წინააღმდეგ მეტნაკლებად ქმედითი გამოდგა; აჭარელი ქალების პატრიოტულმა პოზიციამაც შეუშალა ხელი აჭაური მოსახლეობის მუჰაჯირობას; აჭარაში გამწესებული ქართველი მოხელეების უმრავლესობის ზრუნვა ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე, რუსი მოხელეების მცირე ნაწილის დადებითი საქმიანობა ბევრს გადააფიქრებინებდა ხოლმე სამშობლოს დატოვებას;

მუჰაჯირობას აჭარაში ჰქონდა პერიოდები და ნაკადები: პირველი ტალღა მხარიდან ოსმალური ჯარების ევაკუაციის დროს დაიწყო; 1878 წლის ბოლოდან და 1879 წელს მუჰაჯირობა მიმდინარეობდა ოსმალური იმპერიული და რელიგიური პოლიტიკის, ომის შედეგად შექმნილი გაუსაძლისი ვითარების, მკვიდრთათვის რუსეთის მთავრობის ხასიათის უჩვეულობისა და მიუღებლობის, მისი მოხელეების უარყოფითი მოქმედებების გამო; 1880-1881 წლებში აჭარიდან გადასახლებისთვის განწყობილ ხალხს ბიძგს აძლევდა ძირითადად რუსეთის მოხელეების ნაწილის მიუღებელი ქმედებები... 1882 წლისთვის უკვე დამთავრებული იყო აჭარიდან მასიური მუჰაჯირობა...

აჭარის მუჰაჯირობისას 1878 წელს ოსმალეთში სახლდებოდნენ ძირითადად ქვემო აჭარიდან; 1879 წელს ქვემო აჭარიდან და, განსაკუთრებით, მაჭახელიდან ძალზე დიდი რაოდენობით მიდიოდა მოსახლეობა; 1880-81 წლებში გადასახლებულ ქვემო-აჭარლებს

ზემო აჭარიდანაც გაჰყვა ხალხი, მაგრამ უფრო მცირე რაოდენობით. მუჰაჯირობის დროს აჭარიდან გადასახლდა დაახლოებით 10 ათას ადამიანზე მეტი, რომელთა მცირე ნაწილი მომდევნო თვეებში უკან ბრუნდებოდა პერიოდულად.

1880-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის მთავრობამაც უარყოფითად ჩათვალა აჭარისა და მისგან სამხრეთით მდებარე მხარეების მკვიდრი მოსახლეობისგან დაცლა, და ხელის შეშლა დაიწყო ხალხის მასიური გადასახლებისთვის. მან გააუმჯობესა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა და მხარისთვის სასარგებლო ღონისძიებებს მეტად ატარებდა, რაც ხელს უწყობდა ხალხის შეჩვევას რუსული მმართველობისადმი.

აჭარელთა მუჰაჯირობამ ძალზე შეაწუხა ქართველი საზოგადოება, რომელიც ძირითადად გაზეთ “დროების” მეშვეობით აშუქებდა აჭარის ვითარებას, არკვევდა მათი მუჰაჯირობის მიზეზებს. ისინი თანაუგრძნობდნენ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოძმეებს და ქართველ ხალხს მათი დახმარებისკენ მოუწოდებდნენ. ქართველი საზოგადო მოღვაწეები ამავდროულად მათ დასახმარებლად სახსრებს აგროვებდნენ, სახავდნენ მათი პრობლემების მოგვარების გზებს... გაზეთი დროება ამხელდა ოსმალეთის იმპერიულ პოლიტიკას აჭარელთა ოსმალეთში გადასახლებლად და, ასევე, აჭარის რუსი მოხელეების ნაწილის სასტიკ და უსამართლო მოქმედებებს ხალხის მიმართ. ქართველი ავტორები გაზეთ დროების მეშვეობით აჭარელ მოძმეებს მთელი სიმძაფრით აჩვენებდნენ მუჰაჯირობის ტრაგედიას და მოუწოდებდნენ სამშობლოში დარჩენისკენ. მაგრამ მრავალი მოღვაწე ქართველი საზოგადოების ზრუნვას აჭარლების მიმართ არასაკმარისად თვლიდა...

აჭარაში 80-იანი წლების დამდეგიდან რუსულმა მმართველობამ დაიწყო შერბილება. მთავრობის დამოკიდებულება უმჯობესდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ბათუმი იქცა მხარის ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ცენტრად და სწრაფად ვითარდებოდა. აჭარის სოფლის მოსახლეობა ნაკლებად სარგებლობდა ბათუმის განვითარებით, მაგრამ მათთვისაც საგრძნობი იყო რუსული მმართველობის დადებითი მხარეები და ახალი პერსპექტივები. XIX საუკუნის 80-იან წლებში შეიზღუდა რუსეთის ჩინოვნიკთა თავგასულობა ბათუმში. ხოლო 1888 წლიდან ქალაქის თვითმმართველობის ამოქმედებამ შექმნა ქალაქის რესურსების უფრო გონივრულად და ხალხის სასარგებლოდ განაწილების შესაძლებლობა. ბათუმში 1880-იანი წლებიდან დიდი ეკონომიკური

ადმავლობა დაიწყო, აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოები და სავაჭრო დაწესებულებები. ამასთან, აჭარაში ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც შეინიშნებოდა. ხოლო სოფლად მცხოვრები აჭარლობა მოძველებურ და არაეფექტურ სოფლის მეურნეობას ეწეოდა. სოფლად ფეოდალური ურთიერთობები კვლავ ძლიერი იყო, თუმცა აქაურ ფეოდალურ ჩაგვრას მწვავე ფორმები არ გააჩნდა. აჭარის სოფლის მოსახლეობა ამის გამო სიღარიბეში ცხოვრობდა.

რუსული მმართველობის დროს მიმდინარე ამგვარი, ძირითადად, დადებითი ცვლილებები აჭარელ მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, რომ თანდათან დაძლეულიყო მათი რელიგიური კარჩაკეტილობა, შეფერხებულიყო მოლათა ნაწილის მიერ ხალხში რელიგიური ფანატიზმის გავრცელება. მხარეში ადგილობრივ მუსულმანებსა და ქრისტიან მოსახლეობას შორის მეტი კავშირები მყარდებოდა და, საერთოდ, აჭარაში რელიგიათშორისი ურთიერთობები უმჯობესდებოდა...

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა განათლების სფეროშიც. ქართველი მოსახლეობის ფართო ფენებისთვის უმთავრეს სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ მეჩეთებთან გახსნილი მაჰამდიანური სკოლები. ამ სკოლებში სწავლა ძირითადად ზეპირობით მიმდინარეობდა. აქ მოსწავლეთა გონებრივი განვითარება ნაკლებად ხდებოდა; საერო საკითხებში ცოდნის მიცემას არ ექცეოდა ყურადღება. მათში 80-იანი წლებიდან გაძლიერებულად ასწავლიდნენ თურქულ ენას, ხოლო ოსმალეთიდან მოსული მოლები მოსწავლეებს შორის ავრცელებდნენ ოსმალურ ცნობიერებას, ნერგავდნენ მაჰამდიანურ ფანატიზმს. ახალგაზრდებს ისლამის მოძღვრების საფუძვლიანად შესასწავლად აგზავნიდნენ ოსმალეთის უფრო მაღალი დონის რელიგიურ სასწავლებლებში; ან ამისთვის ადგილობრივად თვითგანათლებას ეწეოდნენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამდენად, აჭარაში ოსმალური საგანმანათლებლო სისტემა საერო განათლებას არ იძლეოდა, ხოლო მაჰამდიანური სარწმუნოების შესწავლა დაბალ დონეზე იდგა; სწავლება ხდებოდა ნაკლებეფექტური პედაგოგიური მეთოდებით. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგაც აგრძელებდნენ აჭარაში მაჰამდიანური სამრევლო სკოლები მოქმედებას და მათი რიცხვი იზრდებოდა.

ხოლო რუსული საგანმანათლებლო სისტემა უფრო პროგრესული იყო და მეტნაკლებად პედაგოგიურ საფუძველზე ვითარდებოდა. ის ძირითადად აკმაყოფილებდა სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნებს. თუმცა სახელმწიფო საწავლებლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის მშობლიური ენის დევნის გამკაცრება დიდ პრობლემებს ქმნიდა. ეს სიტემა გარკვეულ შესაძლებლობებს უტოვებდა კავკასიაში სხვადასხვა ეროვნული და რელიგიური ჯგუფების საგანმანათლებლო საქმიანობას, აძლევდა მათ თავიანთი სასწავლო დაწესებულებების გახსნის საშუალებას.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ბათუმში გაიხსნა სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები: საქალაქო სასწავლებელი (აქ ქართველები ბევრნი იყვნენ და მეტნაკლებად ქართული ენაც ისწავლებოდა), ტექნიკური, ქალთა სასწავლებლები; ეროვნული და რელიგიური ჯგუფების მიერ არსდებოდა თავიანთი საგანმანათლებლო კერები. განათლების კერებისა და ინტელიგენციის რაოდენობის ზრდამ, მათმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნას.

მთავრობა აჭარის სოფლებში ნაკლებად ზრუნავდა სასოფლო სკოლების გახსნაზე. აქაურ ქართველობას კი სიღარიბის გამო არ შეეძლო საკუთარი ხარჯით მათი გახსნა. ამის მიუხედავად, მათ სწავლის დიდი სურვილი გააჩნდათ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარის სოფლებში ადგილობრივი მოღვაწეების დიდი ზრუნვით სულ რამდენიმე ამგვარი სკოლა გაიხსნა.

1881 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ბათუმში გახსნა ქართული სკოლა. სკოლა ხელს უწყობდა ქრისტიანი და მუსულმანი ქართველების დაახლოებასა და მოზარდების პატრიოტულად აღზრდას. მასზე საგანგებოდ ზრუნავდა მთელი ქართველი საზოგადოება. 80-იანი წლების შუა ხანებიდან ბათუმის საზოგადოებამ საქველმოქმედო სპექტაკლებით, კონცერტებითა და სხვა ღონისძიებებით საკმაოდ შეუმსუბუქა აღნიშნულ საზოგადოებას ბათუმის სკოლის შენახვა. ამით სკოლაში უმჯობესდებოდა სასწავლო პროცესი.

აჭარის საერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უმთავრესად ბათუმში) სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მოწაფეებს უტარდებოდათ რელიგიური საგნები

მათი სარწმუნოების მიხედვით. ამით ისინი მეტნაკლებად რელიგიურ განათლებასაც ღებულობდნენ. ხოლო მათი ერთად სწავლა ხელს უწყობდა მათ ერთმანეთთან დაახლოებასა და მათ შორის ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას.

აჭარის მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის შესწავლის სურვილი დიდი იყო ოსმალეთის მმართველობის დროსაც, რასაც სწავლობდნენ ერთიმეორის დახმარებით (ძირითადად, ქალები ასწავლიდნენ ახალ თაობებს წერა-კითხვას). ქართული წიგნები არ იყო აჭარაში, რის მიწოდებასაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები ფიქრობდნენ აჭარის დაბრუნებამდეც. 1880-იანი წლების ბოლოდან კი ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო აჭარის სოფლებში წიგნების გავრცელება. ამის საჭიროებას ზრდიდა ის, რომ ოსმალეთიდან შემოსული მოღვაწეები აქაურ მაჰმადიანურ სკოლებში გაძლიერებულად ასწავლიდნენ თურქულ ენასა და წერა-კითხვას, ავრცელებდნენ თურქულ წიგნებს, ცდილობდნენ თურქული ცნობიერების დანერგვას ხალხში. ამ მოვლენების საწინააღმდეგოდ 1890-იან წლებში ზაქარია ჭიჭინაძემ დაიწყო აჭარის სოფლებში ქართული წიგნების მასობრივად დარიგება. მან რამდენჯერმე იმოგზაურა აჭარასა და სხვა ქართულ მხარეებში ძირითადად საკუთარი გამოცემული წიგნების გასავრცელებლად. იგი აჭარულ ფოლკლორულ მასალასა და ადგილობრივი პოეზიის ნიმუშებსაც აგროვებდა, რომელთა ნაწილსაც მოგვიანებით ბეჭდავდა ძირითადად აჭარლებისთვის დასარიგებლად. ამ მოგზაურობების შედეგად მან ათასობით წიგნი გაავრცელა აჭარის თითქმის ყველა სოფელში. ამ წიგნების მეშვეობით კითხვის მცოდნენი თანასოფლელებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას. ამით ფართოდ გავრცელდა წიგნების კითხვა აჭარაში. ეს უსკოლობის პირობებში საქართველოს შესახებ გარკვეული ცნობების მიღების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა და დაწყებითი განათლების ელემენტებსაც შეიცავდა. ზაქარია დაუახლოვდა აჭარის მოსახლეობასა და ადგილობრივ მოღვაწეებს. იგი აჭარლებსა და ქართველ საზოგადოებას შორის დამაკავშირებლად იქცა. ქართული წიგნების კითხვით აჭარის მოსახლეობაში ძლიერდებოდა ეროვნული ცნობიერება...

ქართული წიგნების გაყიდვის საჭიროება უფრო და უფრო იზრდებოდა ბათუმში. იქ 1889 წელს გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია და შემდეგ ამისთვის სხვა სავაჭრო პუნქტებიც. ხოლო ფართო მასებისთვის

საჭირო ხდებოდა ბიბლიოთეკის გახსნა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად, რასაც მეტნაკლებად აკმაყოფილებდა 80-იან წლებში ბათუმში გახსნილი საქალაქო ბიბლიოთეკა. ადგილობრივი მოღვაწენი მოსახლეობის სიღარიბის გამო მათთვის მისაწვდომი ბიბლიოთეკის გახსნასაც გეგმავდნენ. კითხვის ჩვევები საკმაოდ გავრცელდა ბათუმის ქართველ მაჰმადიანებს შორისაც.

ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვით აჭარის მოსახლეობა მისდევდა თვითგანათლებას, იღებდა საქართველოს შესახებ ცნობებს. ამით ეროვნული ცნობიერება მტკიცდებოდა მათ შორის. ეს ხელს უწყობდა აჭარლებს ქრისტიან მომხმეებთან დაახლოებაში; ხოლო ბათუმის მოსახლეობას, მეტადრე მუშებს თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური და უფლებრივი მდგომარეობის გარკვევაში, მომავალში კი მისი გაუმჯობესებისთვის ბრძოლაში.

აჭარის მოსახლეობაში ქართული წიგნების დარიგება და მათი კითხვა ხელს უშლიდა პროოსმალურად განწყობილი მაჰმადიანი სასულიერო პირების მიერ თურქული ენისა და ცნობიერების, რელიგიური ფანატიზმის გავრცელებას...

ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურის გავრცელებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნა. ქართული თეატრის ჩამოყალიბებისთვის კარგი სტიმული გამოდგა თეატრალური წარმოდგენების გამართვა ბათუმის ქართული სკოლის შემოსავლების მოსაპოვებლად. ქართველი სცენის მოყვარეები წელიწადში ორჯერ მაინც დგამდნენ წარმოდგენებს. 1891 წელს ჩამოყალიბდა ბათუმის მუდმივმოქმედი ქართული თეატრალური დასი. 90-იან წლებში შეიმჩნეოდა ბათუმის ქართული თეატრალური დასის პროფესიულად განვითარება. ეს სპექტაკლები ხალხს აყვარებდა ქართულ კულტურას და აყალიბებდა მათ გემოვნებას. ქართველი მაჰმადიანებიც სიამოვნებით ესწრებოდნენ მათ.

ბათუმი საუკუნის ბოლოსთვის კულტურულ ქალაქად ყალიბდებოდა, სადაც უყვარდათ ევროპული და რუსული კლასიკური მუსიკა. ქართველები, ამასთანავე, ინტერესდებოდნენ ეროვნული მუსიკით. 80-იან წლებიდან ბათუმში საკონცერტოდ იწვევდნენ ცნობილ ქართველ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს. ამან ხელი შეუწყო ადგილობრივი მუსიკის მოყვარულთა თვითმოქმედებას. 1889 წელს ბათუმში

ჩამოყალიბდა ხალხურ მომღერალთა გუნდი, 1893 წელს კი მიწვეული ლოტბარის, ფილომონ ქორიძის დახმარებით შედგა ბათუმის ქართველ მგალობელთა გუნდი.

ქართველი საზოგადოება აყენებდა აჭარის ფოლკლორისა და სახალხო პოეტების ლექსების შეკრებისა და გამოცემის საკითხს. ხოლო ზაქარია ჭიჭინაძემ საკმაოდ შეაგროვა თავისი მოგზაურობების დროს ადგილობრივი პოეტებისა და ფოლკლორის ნიმუშები, და მათი ნაწილი ბროშურებად გამოსცა, თუმცა ეს საკმარისი არ იყო. ხოლო ბათუმის საზოგადოება გატაცებული იყო ქართული კლასიკური ლიტერატურით.

ქართველი მოღვაწეები აყენებდნენ აჭარაში დიდი რაოდენობით არსებული ისტორიული ძეგლების და ხელოვნების ნიმუშების, ეთნოგრაფიული თავისებურებების შესწავლის საჭიროებას. თუმცა ცალკეული პიროვნებები ამ მასალების შეკრებასა და შემონახვას თუ ახერხებდნენ მხოლოდ.

ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში იგრძნობოდა საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება. აჭარა საჭიროებდა საქართველოს მოწინავე საზოგადოების, პატრიოტული ძალების მხარდაჭერასა და დახმარებას. ადგილობრივმა ინტელიგენციამ და მხარეზე მზრუნველებმა 1878 წლიდან მთელს საქართველოს გააცნეს აჭარის გაჭირვება და მათ წინაშე მდგარი ეროვნული და რელიგიური პრობლემები. ამას მოჰყვა ქართველი საზოგადოებრიობის მხრიდან აჭარის მოსახლეობის თანაგრძნობა და მხარდაჭერა; გაწეული იქნა გარკვეული დახმარებებიც; ასევე, კეთდებოდა მოწოდებები მუჰაჯირობის დროს მათი სამშობლოში დარჩენისკენ. ქართველმა საზოგადოებამ შეძლებისდაგვარად ძალისხმევა გასწია აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისთვის, რაშიც აჭარის ადგილობრივი ინტელიგენცია ძალზე აქტიურად ჩაება. მათ დახმარებასა და თანადგომას მხარის მიმართ დიდად აფასებდნენ აჭარლები. აჭარლები და ბათუმის მცხოვრები სხვა ქართველობა თავს საქართველოს შვილად მიიჩნევდნენ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა პატრიოტულ საქმეებში და ერთვებოდნენ საერთოქართული მნიშვნელობის ღონისძიებებში.

ბათუმში და მის გარეთაც აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება და ენერგიული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ხელს უწყობდა აჭარლებს შორის ეროვნული ცნობიერების ამაღლებას, აფერხებდა პროოსმალურად განწყობილ მოლათა ერთი ნაწილის

მიერ ოსმალური გავლენისა და რელიგიური ფანატიზმის გავრცელებას... ამგვარი საქმიანობა ქ. ბათუმში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოღვაწეებსა და ხალხს საკმაოდ აახლოებდა ერთმანეთთან. ბათუმი გამოირჩეოდა სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ჯგუფებს შორის შემწყნარებლობით, პატივისცემითა და ურთიერთდახმარებით. ამ ურთიერთობებით ის XIX საუკუნის ბოლოდან ყალიბდებოდა მრავალკულტურულ ქალაქად, სადაც წარმატებით ვრცელდებოდა ქართული ენა და კულტურა...

აჭარის მრავალკონფესიური მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამორჩეული რელიგიური ვითარებით ხასიათდებოდა.

აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ოსმალეთიდან შედიოდნენ იქაურ მუსულმანურ სასწავლებლებში განათლება მიღებული მოლეები და ხოჯები. ისინი მეჩეთებთან გახსნილ სკოლებში ასწავლიდნენ თურქულ ენას და ავრცელებდნენ ოსმალურ ცნობიერებას, ეწინააღმდეგებოდნენ აჭარლებს შორის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლას, ქართული წიგნების კითხვას. ეს მოლეები კვლავ განზრახ ურევდნენ ან აბუნდოვანებდნენ აჭარელთა ეროვნულ წარმომავლობასა და რელიგიურ საკითხებს; ცდილობდნენ, ქართველ მაჰმადიანებში გაეგრცვლებინათ რელიგიური ფანატიზმი, შეეძულებინათ მათ ქრისტიანი მოძმენი; ხალხს კი მოუწოდებდნენ ოსმალეთში მუჰაჯირობისკენ.

აჭარაში ადგილობრივად მომზადებული ქართველი მოლების უმეტესობა საგრძნობლად თავისუფალი იყო ისლამური ფანატიზმისა და ოსმალური იმპერიული პოლიტიკის გავლენისგან. მათ მეტი სიახლოვე ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან და აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროოსმალურად განწყობილმა სასულიერო პირებმა 80-იან წლებში დაიწყეს მათი სასულიერო საქმიანობის შეზღუდვა და დევნაც. ამის საწინააღმდეგოდ ადგილობრივ მოლათაგან ზოგიერთმა დაიწყო რუსეთის მთავრობასთან ჩივილი, რომ ისინი დაეყენებინათ სასულიერო თანამდებობებზე და არა ოსმალეთიდან მოსული მოლეები. მთავრობამ ამ საქმის გამოკვლევა არ დაასრულა და ოსმალეთიდან მოსული მოლეები აჭარაში დარჩნენ სასულიერო პირებად. ადგილობრივი მაჰმადიანი სასულიერო პირები ამგვარ თხოვნას

მთავრობასთან 1892 წელსაც აპირებდნენ და უნდოდათ ბათუმში მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებლის გახსნა. XIX საუკუნის ბოლოსთვის აჭარაში რუსეთის მთავრობას აუკრძალავს მოლების ოსმალეთიდან შესვლა. თუმცა მხარის ზოგიერთ ადგილას 1901 წლისთვის მოლები ოსმალეთიდან კვლავაც შემოდიოდნენ და აჭარლობას ოსმალეთში გადასახლებისკენ მოუწოდებდნენ. მთლიანობაში, რუსეთის მმართველობა სერიოზულად და თანმიმდევრულად არ ებრძოდა პროოსმალურ პოლიტიკასა და რელიგიური ფანატიზმის გავრცელებას აჭარაში. ხოლო აჭარაში ამავე პერიოდში მრავალი მოლა რელიგიური განათლების გავრცელებისას მხარს უჭერდა ქართულენოვანი მაჰმადიანური ლიტერატურის გამოყენებას.

ხალხი აჭარაში 80-90-იან წლებში მეტ ინფორმაციას იღებდა საერო და რელიგიურ საკითხებზე. ისინი ქართული წიგნების კითხვით საქართველოზე მეტ ამბებს იგებდნენ. აჭარლები მხოლოდ სასულიერო პირების ქადაგებით აღარ წყვეტდნენ მათ წინაშე არსებულ პრობლემებს, განსაკუთრებით, ოსმალეთში მუჰაჯირობის საკითხებს. ისინი ძველებურად აღარ აჰყვებოდნენ ზოგიერთი მოლის ნაქადაგებს, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოში არ უნდა გაჩერებულიყვნენ და ფადიშაჰის მიწაზე ენახათ თუნდაც გაჭირვება. ხოლო ზოგიერთი პიროვნება ამგვარი ქადაგებების საპირისპიროდ ხალხს უმტკიცებდა მათ ქართულ წარმომავლობას. აჭარლებსა და ქრისტიან ქართველებს შორის ურთიერთობების გაფართოება ქართულ ორიენტაციას აძლიერებდა მკვიდრ მაჰმადიანებს შორის. მათ ჰქონდათ მოძმეთაგან დახმარების მიღების იმედი.

აჭარაზე მზრუნველი ქართველი საზოგადოებისთვის უმთავრესი ამოცანა იყო აჭარლებთან დაახლოება და მათი ქართველი ერის ნაწილად ქცევა. მათ თავიდანვე განსაზღვრული ჰქონდათ, რომ არ შეხებოდნენ დაბრუნებულ მოძმეთა სარწმუნოებას, არ შეეშფოთებინათ ისინი, რომ ეჭვები არ გასჩენოდათ ქრისტიანი ქართველების მხრიდან მათი გაქრისტიანების სურვილზე. ამგვარ შეხედულებას აჭარელთა წარმომადგენლებთან გამოხატავდნენ ეპისკოპოსები: ალექსანდრე ოქროპირიძე და გაბრიელ ქიქოძე.

თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამოთქვამდნენ აჭარელთა გაქრისტიანების სურვილს. მაგრამ უმრავლესობა მათ მაშინვე ახსენებდა საფრთხეებს, რომ ამგვარი ლაპარაკით დაბრუნებულ მოძმეთა შორის გაჩნდებოდა ოსმალეთში გადასახლების ან

ქრისტიან ქართველებთან ურთიერთობის გაწყვეტის სურვილი. ამ მოღვაწეების აზრით, ბათუმის მაჰმადიანების გაქრისტიანება კი არა, მათი გულის მოგება უნდა ეცადათ; მათ დახმარებოდნენ სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, სკოლების გახსნაში... ქართველი საზოგადოება მიუღებლად თვლიდა იმ იშვიათ შემთხვევებს, როდესაც რომელიმე ქრისტიანი ქართველი შეურაცხყოფას აყენებდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას ან აჭარლებთან იწყებდა მათ გაქრისტიანებაზე საუბარს. ისინი სინანულით აღნიშნავდნენ, რომ ამგვარ შემთხვევებში აჭარლებმა დროებით ზურგი აქციეს ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო საქმიანობას.

აჭარლებიც აფასებდნენ ქრისტიანი მოძმეების მხრივ მათ რელიგიურ საკითხებში ჩაურევლობასა და მათი სარწმუნოების პატივისცემას. ისინი მათ მიმართ მეტი ნდობითა და მათთან მეტად დაახლოების სურვილით იმსჯელებოდნენ.

ოსმალეთიდან ჩამოსული მოლების პროოსმალური საქმიანობისა და ფანატიკური ქადაგებების საწინააღმდეგოდ რამდენიმე ქართველი მოღვაწე და აჭარელი სასულიერო პირების ერთი ნაწილი ფიქრობდა საქართველოში ქართველ მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებლის გახსნას. მასში უნდა მომზადებულიყვნენ ქართული ორიენტაციის მქონე სასულიერო პირები. სასწავლებელში, მაჰმადიანური საგნების გარდა, შეისწავლებოდა ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულების სამოღვაწეო ასპარეზზე გასვლით ხელი შეეშლებოდა ოსმალეთიდან მოლების შემოსვლასა და მათი გავლენის გავრცელებას ხალხზე. ამ აზრს რუსეთის ხელისუფლებამ არ მიაქცია ყურადღება. ქართველმა საზოგადოებამ კი ვერ შეუწყო ხელი აჭარელი სასულიერო პირების ნაწილისა და ზოგიერთი ქრისტიანი მოღვაწის ამ მოძრაობის დასაწყისს.

თვით აჭარლებიც ინტერესდებოდნენ მოძმეთა ქრისტიანული რელიგიით, ქრისტიანული კულტურით; პატივისცემა უჩნდებოდათ თანამოძმეთა სარწმუნოებისადმი. ისინი ინტერესს გამოხატავდნენ ქართული ქრისტიანული მსახურების, გალობის მიმართ. აჭარლები იზიარებდნენ მოძმე ქრისტიანების წუხილს მათთვის წირვა-ლოცვის დიდხანს არა ქართულად, არამედ რუსულად ჩატარების გამო. ქართველი მაჰმადიანებიც პატივს

სცემდნენ და უფროხილდებოდნენ აჭარაში შემორჩენილ ქრისტიანული ეკლესიების ნაშთებსა და საეკლესიო სიწმინდეებს...

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე მოუწოდებდა ქართველობას, დახმარებოდნენ აჭარლებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, დაეყენებინათ მათთვის კარგი ადმინისტრატორ-მოსამართლეები, გახსნილიყო იქ სკოლები, ეშუამდგომლათ აჭარელი ბეგებისთვის ქართველი თავადაზნაურობის შესაფერისი წოდების მინიჭებისთვის. ეს კი შეუწყობდა ხელს აჭარლებისა და დანარჩენი ქართველობის დაახლოებას. მაგრამ აღნიშნული საქმეების განხორციელება ქართველ საზოგადოებას არ შეეძლო. სამაგიეროდ, მათი მოღვაწეობა აჭარაში შედეგიანი გამოდგა განათლებისა და, შეძლებისდაგვარად, კულტურის გავრცელების მიმართულებით. მათ აჭარლებს მძიმე ვითარებაში თანადგომა და გარკვეული დახმარებაც გაუწიეს. აჭარლები ამას აფასებდნენ და მადლიერებას გამოთქვამდნენ.

ქართველი საზოგადოების მიერ აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ XX საუკუნის დასაწყისისთვის საგრძნობი შედეგები მოიტანა მკვიდრი მაჰმადიანების რელიგიურ ცხოვრებაშიც. ამ საქმიანობის შედეგად მომხდარი ცვლილებები ხელს უწყობდა აჭარელთა შორის ოსმალეთის იმპერიული პოლიტიკისა და იქიდან მოსული მოლების მიერ გავრცელებული რელიგიური ფანატიზმის თანდათანობით უარყოფას; ოსმალური გავლენის თანდათან დაძლევას; მათ საქართველოს შვილებად და პატრიოტებად ჩამოყალიბებას... ამ პროცესებმა XX საუკუნის დასაწყისში შეუქცევადი სახე მიიღო აჭარის ქართველი მაჰმადიანების დიდ უმრავლესობაში...

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლის ომის შემდეგ ბათუმში მომრავლებული მართლმადიდებელი მოსახლეობის უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. მრევლს არ ჰყოფნიდა 2 ტაძარი და დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ეკლესიის აშენებას. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში აშენდა ბათუმში მოზრდილი მართლმადიდებლური ეკლესია. ქართველი მრევლის რაოდენობის ზრდასთან ერთად მათ შორის ჩნდებოდა ქართულენოვანი მსახურების ჩატარების მოთხოვნა. ამ საკითზე დაახლოებით 10 წლის შუამდგომლობების შემდეგ, 1893 წელს, დართეს ნება საკრებულო ტაძარში წირვა-ლოცვის

ქართულად ჩატარებისა. ამის შემდეგ მათ ისურვეს საკუთარი ეკლესიის მშენებლობაც. ხოლო ქართულენოვანმა მსახურებამ და გალობამ მეტად მიიზიდა ხალხი ტაძარში.

აჭარის დაბებსა და სოფლებშიც ჩნდებოდა რუსებისა და ქართველებისგან შემდგარი მართლმადიდებელი მრევლი. მათთვის დიდი ხნის განმავლობაში ბევრგან მიუწვდომელი იყო მოქმედი ეკლესიები. მთავრობისგან გამოყოფილი ეკლესიების ასაშენებელი თანხები არასაკმარისი იყო. მრევლს უწევდა ამისთვის შეწირულობების შეკრება. მათი ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისისთვის აჭარის მხოლოდ რამდენიმე დაბასა და სოფელში მოქმედებდა მართლმადიდებლური ტაძარები.

ქართველი მართლმადიდებლების მოღვაწეობას თავიანთი ეკლესიების ასაშენებლად, ქართულენოვანი წირვა-ლოცვისა და ქართული საეკლესიო გალობის დასაწესებლად თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ კიდევ მაჰმადიანი ქართველები.

ბათუმში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ საკმაოდ სწრაფად მრავლდებოდა კათოლიკეების რაოდენობა. თავიდან სომეხი კათოლიკეები სჭარბობდნენ მათ შორის. მათ მალევე აიშენეს სომხურ-კათოლიკური ეკლესია. XIX საუკუნის 90-იან წლებში საგრძნობლად იზრდებოდა კათოლიკეთა რიცხვი ქალაქში, რომელთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ბათუმელ კათოლიკეებს აღარ აკმაყოფილებდათ სომხური კათოლიკური ეკლესია, სადაც ძირითადად სომხურად სრულდებოდა წირვა-ლოცვა. ქართველი კათოლიკეების დიდი მოღვაწეობითა და, განსაკუთრებით, მეცენატ სტეფანე ზუბალაშვილის უხვი შესაწირით 1902 წელს ბათუმში აშენდა დიდი და მდიდრულად მოწყობილი ეკლესია. ის აკურთხა ტირასპოლის ახლადდანიშნულმა ეპისკოპოსმა ბარონ ედუარდ როპმა 1903 წელს. ეპისკოპოსის მოგზაურობას საქართველოში დიდი იმედებით შეხვდნენ ლათინურ და სომხურ ტიპიკონზე მყოფი ბათუმის ქართველი კათოლიკეები. ლათინურ ტიპიკონზე მყოფ ქართველებს ახალი ეკლესიის ამოქმედებით სურდათ, საკუთარ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ლათინურად ჩატარებულიყო. სომხურ-კათოლიკურ ტიპიკონზე მყოფ ქართველებს (სამცხე-ჯავახეთიდან ჩასულებს) უნდოდათ ახალი ეპისკოპოსის დახმარებით სომხურ-კათოლიკური ტიპიკონიდან ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. ამით ისინი განთავისუფლდებოდნენ სომეხი კათოლიკე სამღვდელოების გავლენისგან და

აირიდებდნენ ეროვნული გადაგვარების საფრთხეს. ორივე ტიპიკონზე მყოფ ქართველებს უფრო ადრე, XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე რუსეთის მთავრობის ბრძანებებით კათოლიკურ ეკლესიებში აეკრძალათ ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება. სომხურ-კათოლიკურ ტიპიკონზე მყოფმა ქართველებმა ეპისკოპოს როპს მოგზაურობისას თხოვნა წარუდგინეს ლათინურ ტიპიკონზე გადასვლის შესახებ. ეპისკოპოსი განწყობილი იყო ქართველ კათოლიკეთა ეროვნული პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტისთვის. მაგრამ იგი საქართველოში ვიზიტის დამთავრებიდან მალევე გადაიყვანეს სხვა ეპარქიაში. აღნიშნული მცდელობა ქართველთათვის წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ ამით გამოვლინდა ქართველ კათოლიკეთა შორის ძლიერი პატრიოტული მოძრაობა... ახლანდნაკურთხ ბათუმის კათოლიკურ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ლათინურად მიმდინარეობდა და სხვადასხვა ხალხს თავიანთ ენაზეც შეეძლო ლოცვის მოსმენა. ლათინურ ტიპიკონზე მყოფ ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ სამომავლოდ ქართულადაც მოისმენდნენ ლოცვას. მართალია, XX საუკუნის დასაწყისში სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი მრევლი ვერ გადავიდა ლათინურ ტიპიკონზე, მაგრამ მათ ბათუმში პიროვნულად შეეძლოთ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ განათლებით, ქართული წიგნებისა და პერიოდიკის კითხვით, უძლიერდებოდნენ ეროვნული ცნობიერება. ამის გამო მათ არ მოელოდათ ეროვნული გადაგვარების საფრთხე.

ბათუმში ოსმალთა მმართველობის ბოლო ხანებში ცხოვრობდნენ სომხები. 1880-იანი წლებიდან გამრავლდა ბათუმში სომეხი მოსახლეობის რაოდენობაც. გაზრდილი მრევლისთვის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო მეორე მიაფიზიტური ეკლესიის მშენებლობა. 1890-იან წლების შუა ხანებიდან უფრო დიდი რაოდენობით მიდიოდა სომეხი მოსახლეობა ბათუმში. ეს უკავშირდებოდა სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოვება-გაძლიერებას მთელს ამიერკავკასიაში, ოსმალეთში 1895-1896 წლებში სომეხთა ამბოხებასა და მათ მიმართ რეპრესიებს, მათ დევნას. ბათუმის სომხობის ნაციონალისტურად განწყობას ხელს უწყობდა სომხური ეკლესიაც.

ბათუმში XIX საუკუნის ბოლოდან ჩადიოდნენ ებრაელებიც, რომელთაც გააჩნდათ თავიანთი სინაგოგა, თუმცა ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში მათი აქტიურობა არ

შეინიშნებოდა. ხოლო ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა პატარა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები თითქმის არ ჩანდნენ საზოგადოებრივ და რელიგიურ ცხოვრებაში...

ბათუმი XIX საუკუნის მიწურულისთვის მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ ქალაქს წარმოადგენდა. სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირების ერთი ნაწილი ხალხში რელიგიური ან ეროვნული ნიშნით ჩაკეტილი ცხოვრების გარემოს ქმნიდა. ამის მიუხედავად, ბათუმში არ შეიმჩნეოდა გაუცხოვება და წინააღმდეგობა სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე. ამ ჯგუფებს შორის არსებობდა ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა, ძირითადად დადებითი და კეთილგანწყობილი ურთიერთობები. ხოლო აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელი საზოგადო მოღვაწეები აქტიურად თანამშრომლობდნენ საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებში. ამდენად, ბათუმის მოსახლეობა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ტოლერანტულ და დემოკრატიულად განწყობილ საზოგადოებას წარმოადგენდა. ხოლო აჭარლებსა და ქრისტიან ქართველებს ძმური ურთიერთობა გააჩნდათ...

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო მასალები

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 422, აღწერა 1, საქმე #5147.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე #33.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, აღწერა 1, საქმე #279.
4. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, #476.
5. გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ-5498.
6. გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხ-5505.
7. გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 5069-ხ.

გაზეთი “დროება”

1. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები. - გაზეთი “დროება”, 1872, #26, 7.07, გვ. 2
2. დღიური. - გაზეთი “დროება”, 1975, #114, 8.10, გვ. 2
3. ომის ამბები. - გაზეთი “დროება”, #105, 31.05, გვ. 3
4. დღიური - გაზეთი “დროება”, 1878, #133, 6.07, გვ. 2
5. ს. მ. [სერგეი მესხი]. ბათუმის მიწები, - გაზეთი “დროება”, #1878, #135, 6.07, გვ. 1-2
6. ს. მ. [სერგეი მესხი]. ახალი მოვალეობა - გაზეთი “დროება”, 1878, #146, 21.07, გვ. 1
7. ს. მ. [სერგეი მესხი]. ახალი მოვალეობა (დასასრული). - გაზეთი “დროება”, 1878, #147, 22.07, გვ. 1-2
8. ს. მ. [სერგეი მესხი]. როგორ უნდა ბათუმში შესვლა? - გაზეთი “დროება”, 1878, #164, 13.08, გვ. 1

9. ს. მ., ბათუმისკენ - გაზეთი "დროება", 1878, #174, 29.08, გვ. 1-2,
10. ს. მ., ბათუმისკენ (წერილი მესამე) - დროება, 1878, #176, 1.09, გვ. 1-3,
11. ს. მ. [სერგეი მესხი]. ბათუმში. - გაზეთი "დროება", 1878, #177, 2.09, გვ. 1-2;
12. ს. მ. [სერგეი მესხი], ბათუმში. - გაზეთი "დროება", 1878, #178, 3.09, გვ. 1-2;
13. ბათუმი, წერილი რედაქტორთან. - გაზეთი "დროება", 1878, #181, 7.09, გვ. 2-3.
14. კრაზანა [ლევან მჭედლიშვილი], ბათუმი - გაზეთი "დროება", 1878, #182, 8.09, გვ. 1-2;
15. ა. ჭ., ქობულეთი - გაზეთი "დროება", 1878, #183, 12.09, გვ. 2-3;
16. დღიური - გაზეთი "დროება", 1878, #184, 13.09, გვ. 1;
17. ს. მ. [სერგეი მესხი], ბათუმში. - გაზეთი "დროება", 1878, #184, 13.09, გვ. 1-3;
18. ს. ბავრელი, ერთი სიხარული - გაზეთი "დროება", 1878, #186, 16.09, გვ. 2-3;
19. დღიური - გაზეთი "დროება", 1878, #189, 20.09, გვ. 2;
20. ა. ჭ., ქობულეთი - ა. ჭ., ქობულეთი - გაზეთი "დროება", 1878, #190, 21.09, გვ. 1-3;
21. ტრაპიზონში გადასახლებული ქობულეთელების მდგომარეობა [გაზეთ "მანჩესტერ გარდიანიდან" ნათარგმნი] - გაზეთი "დროება", 1878, #195, 28.09, გვ. 1;
22. ვინმე მესხი [ივანე გვარამაძე], ახალციხური ფელეტონი - გაზეთი "დროება", 1878, #203, 7.10, გვ. 1-2;
23. დღიური - გაზეთი "დროება", 1878, #204, 8.10, გვ. 2;
24. ს. ბავრელი, პატარა შენიშვნები არტაანზედ - გაზეთი "დროება", 1878, #211, 19.10, გვ. 1;
25. ს. მ., ჩვენს მეცნიერებს - გაზეთი "დროება", 1878, #214, 22.10, გვ. 1-2;
26. ჭია-ჭამია, არტაანის ამბები - გაზეთი "დროება", 1878, #214, 22.10, გვ. 1-3;
27. კრაზანა, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1878, #217, 26.10, გვ. 1-2;
28. სტ. მე-ლი, თბილისიდან ბათუმამდინ - გაზეთი "დროება", 1878, #230, 11.11, გვ. 2-3;
29. დღიური - გაზეთი "დროება", 1878, #232, 14.11, გვ. 1;

30. დღიური - გაზეთი "დროება", 1878, #233, 15.11, გვ. 1;
31. დ. თ. წ., მაჭახელა - გაზეთი "დროება", 1878, #238, 21.11, გვ. 2-3;
32. ს. მ. [სერგეი მესხი], სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის - გაზეთი "დროება", 1878, #239, 23.11, გვ. 1-3;
33. ს. მ. [სერგეი მესხი], ახალი წესები ბათუმის მაზრაში - გაზეთი "დროება", 1878, #253, 10.12, გვ. 1-2;
34. ჭია-ჭამია, არტანის ამბები - გაზეთი "დროება", 1878, #254, 12.12, გვ. 2;
35. #, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1878, #263, 22.12, გვ. 2;
36. დღიური - გაზეთი "დროება", 1878, #267, 30.12, გვ. 2;
37. დ. წ., მაჭახელა - გაზეთი "დროება", 1879, 4.01., #2, გვ. 2
38. #, ქობულეთი - გაზეთი "დროება", 1879, #22, 28.01, გვ. 3;
39. გ. წერეთელი, არეულობის მიზეზი აჭარა-ლივანაში. - 1879, #24, 31.01, გვ. 1-2;
40. ს. მ. [სერგეი მესხი], ძმა მმისთვისაო - ამ დღისთვისაო. - გაზეთი "დროება", 1879, #32, 13.02, გვ. 1-2;
41. ს. მ. [სერგეი მესხი], ძმა მმისთვისა, ამ დღისთვისაო - გაზეთი "დროება", 1879, #32, 13. 02, გვ. 1-2;
42. 1879, #35 - თ. დ. წ., მიზეზი ბათუმის ქართველების გარდასახლებისა (მაჭახლიდამ) - გაზეთი "დროება", 1879, #35, 16.02, გვ. 1-3;
43. 1879, #37 - დ. თ. წ., მიზეზი ბათუმის მაზრიდამ გარდასახლებისა. - გაზეთი "დროება", 1879, #37, 18.02, გვ. 3-4;
44. 1879, #37 - დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #37, 18.02, გვ. 2;
45. ს. მ. [სერგეი მესხი], ბათუმის მაზრის მდგომარეობა - გაზეთი "დროება", 1879, #40, 23.02, გვ. 2;
46. დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #52, 9.03, გვ. 1;
47. დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #70, 5.04, გვ. 3-4;
48. ს. მ. [სერგეი მესხი], აჭარლების გადასახლება - გაზეთი "დროება", 1879, #118, 7.06, გვ. 1-2;
49. დღიური. - გაზეთი "დროება", 1879, #122, 12.06, გვ. 2;

50. დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #124, 14.06, გვ. 1;
51. დღიური. - გაზეთი "დროება", 1879, #150, 20.07, გვ. 2;
52. დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #152, 24.07, გვ. 2;
53. ოსმალეთში გადასახლებული ქართველები (ტრაპიზონიდან მოსულებისაგან) - გაზეთი "დროება", 1879, #188, 12.09, გვ. 1-2;
54. დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #193, 19.09, გვ. 1;
55. ს. მ. [სერგეი მესხი], შემოერთებულ ქვეყნების გამგეობაზე - გაზეთი "დროება", 1879, #197, 23.09, გვ. 1-2;
56. ს. ბავრელი, ჰაეროსტატით ტანტალი მაჰმადიან საქართველოში - გაზეთი "დროება", 1879, #208, 8.10, გვ. 1-2;
57. დღიური - გაზეთი "დროება", 1879, #212, 13.10, გვ. 1-2;
58. ახალციხე, 1 დეკემბერი - გაზეთი "დროება", 1879, #253, 6.12, გვ. 4;
59. რა გავაკეთეთ ბათუმში? - გაზეთი "დროება", 1880, #4, 6.01, გვ. 1-2;
60. ერთს პატარა შემთხვევაზე - გაზეთი "დროება", 1880, #11, 16.01, გვ. 1;
61. დღიური - გაზეთი "დროება", 1880, #11, 16.01, გვ. 2;
62. ვისთვის არის ეს საჭირო? - გაზეთი "დროება", 1880, #19, 25.01, გვ. 1-2;
63. კრაზანა [ლევან მჭედლიშვილი], ბათუმი - გაზეთი "დროება", 1880, #52, 8.03, გვ. 3;
64. დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმის მაზრა - გაზეთი "დროება", 1880, #74, 4.04, გვ. 2-3.
65. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #82, 15.04, გვ. 2;
66. კრაზანა, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1880, #84, 17.04, გვ. 2;
67. დღიური - გაზეთი "დროება", 1880, #88, 27.04, გვ. 3;
68. ახმედ-აღა კაკაც-ოღლი, ქობულეთიდან - გაზეთი "დროება", 1880, #89, 29.04, გვ. 3;
69. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #95, 6.05, გვ. 2;
70. მაჰმადიან ქართველთა ბედი - გაზეთი "დროება", 1880, #100, 13.05, გვ. 1-2;
71. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #100, 13.05, გვ. 2;
72. კრაზანა, წერილები აჭარიდან - გაზეთი "დროება", 1880, #114, 31.05, გვ. 1-2;

73. დღიური - გაზეთი "დროება", 1880, #116, 3.06, გვ. 2-3;
74. ს. მ. [სერგეი მესხი], ხალხის გადასახლება ბათუმიდამ - გაზეთი "დროება", 1880, #118, 5.06, გვ. 1-2;
75. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #124, 14.06, გვ. 1;
76. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #128, 19.06, გვ. 2;
77. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #129, 20.06, გვ. 2;
78. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #131, 22.06, გვ. 1-2;
79. გურიათელი, ბათუმის მაზრის ქართველების აზრები - გაზეთი "დროება", 1880, #131, 22.06, გვ. 1-2;
80. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #134, 26.06, გვ. 2;
81. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #140, 3.07, გვ. 2;
82. პირველი სკოლა ბათუმში - გაზეთი "დროება", 1880, #146, 10.07, გვ. 1-2;
83. კრაზანა, აჭარა - გაზეთი "დროება", 1880, #150, 16.07, გვ. 2-3;
84. ლუკა ქუთათელაძე, ზემო-აჭარა - გაზეთი "დროება", 1880, #162, 2.08, გვ. 3;
85. ბათუმის გუბერნატორის განცხადება - გაზეთი "დროება", 1880, #165, 6.08, გვ. 1-3;
86. ბათუმის მაზრის მოხელეთ მოპყრობა მცხოვრებლებთან - გაზეთი "დროება", 1880, #169, 12.08, გვ. 1-2;
87. კრაზანა, აჭარიდამ - გაზეთი "დროება", 1880, #169, 12.08, გვ. 2-4;
88. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #172, 15.08, გვ. 2-4;
89. ს. ბავრელი, მაჰმადიანთ საქართველოდამ - გაზეთი "დროება", 1880, #172, 15.08, გვ. 1-3;
90. ა. ჭ., ორი წლის შემდეგ - გაზეთი "დროება", 1880, #182, 29.08, გვ. 1-2;
91. ვინმე მესხი, ახალი შენიშვნანი - გაზეთი "დროება", 1880, #196, 17.09, გვ. 1-3;
92. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1880, #201, 23.09, გვ. 2;
93. ერთი მგზავრთაგანი, წერილი აჭარიდამ - გაზეთი "დროება", 1880, #215, 11.10, გვ. 1-3;
94. მაჰმადიანთ გაქრისტიანება - გაზეთი "დროება", 1880, #219, 17.10, გვ. 1;

95. ა. ჭ., ქობულეთიდან - გაზეთი "დროება", 1880, #228, 29.10, გვ. 1-2;
96. ა. ჭ., ქობულეთიდან - გაზეთი "დროება", 1880, #237, 11.11, გვ. 1-2;
97. ერთი ბეგთაგანი, ლ. მელიქოვი ბათუმში - გაზეთი "დროება", 1880, #240, 14.11, გვ. 1-3;
98. უცნაურიძე, აჭარული ფელეტონი - გაზეთი "დროება", 1880, #246, 21.11, გვ. 1-3;
99. აჭარის მდგომარეობა - გაზეთი "დროება", 1880, #247, 23.11, გვ. 1-2;
100. ახმედ-ალა გოგონ-ოღლი ნადირაძე, მოძმის აღსარება გაზეთი "დროება", 1880, #253, 30.11, გვ. 3;
101. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1881, #4, 8.01, გვ. 2-3;
102. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1881, #24, 1.02, გვ. 2;
103. ბათუმის მაზრის დაცარიელება - გაზეთი "დროება", 1881, #40, 24.02, გვ. 1-2;
104. კრაზანა, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1881, #40, 24.02, გვ. 1-2;
105. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1881, #100, 15.05, გვ. 2;
106. ვინმე მესხი, ხიზაბავრა - გაზეთი "დროება", 1881, #146, 14.07, გვ. 2-3;
107. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1881, #174, 21.08, გვ. 1;
108. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1881, #208, 7.10, გვ. 2;
109. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1882, #9, 14.01, გვ. 2;
110. კრაზანა, ბათუმის ავაზაკები - გაზეთი "დროება", 1882, #10, 16.01, გვ. 2-3;
111. დღიური - გაზეთი "დროება", 1882, #15, 22.01, გვ. 2;
112. სარედაქციო [ამ დღეებში გაზეთ "კავკაზიდან" ერთი ამბავი ბათუმის საქალაქო სკოლის შესახებ] - გაზეთი "დროება", 1882, #17, 24.01, გვ. 2-3;
113. ბათუმიდან გადასახლების ვადის გათავება - გაზეთი "დროება", 1882, #38, 21.02, გვ. 1;
114. ქობულეთელი, ქობულეთი - გაზეთი "დროება", 1882, #38, 21.02, გვ. 3;
115. დღიური - გაზეთი "დროება", 1882, #39, 23.02, გვ. 2;
116. X., ბათუმის ამბები - გაზეთი "დროება", 1882, #125, 18.06, გვ. 2;
117. დღიური - გაზეთი "დროება", 1882, #140, 8.07, გვ. 2-3;

118. ვინმე მესხი, მოგზაურობა - გაზეთი "დროება", 1882, #167, 12.08, გვ. 1-2;
119. ბათუმი - გაზეთი "დროება", 1882, #226, 10.11, გვ. 2-3;
120. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1882, #270, 24.12, გვ. 3-4;
121. ბათუმის სკოლის მასწავლებელი. მ. ნათაძე, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1883, #3, 6.01, გვ. 3;
122. ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1883, #39, 22.02, გვ. 2-3;
123. პ. [პეტრე უმიკაშვილი], დასახლებისათვის ცარიელ ადგილებზე ცნობის შეკრება - გაზეთი "დროება", 1883, #48, 6.03, გვ. 2-3;
124. პ. [პეტრე უმიკაშვილი], ჟუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი - გაზეთი "დროება", 1883, #60, 20.03, გვ. 1-2;
125. დღიური - გაზეთი "დროება", 1883, #66, 29.03, გვ. 3;
126. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1883, #121, 25.06, გვ. 2;
127. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1883, #123, 28.06, გვ. 2-3;
128. ბათუმიდან [ს. მესხის ნეკროლოგი ბათუმიდან] - გაზეთი "დროება", 1882, #145, 27.07, გვ. 1;
129. რედ. [რედაქცია], ბათუმი - გაზეთი "დროება", 1883, #151, 3.08, გვ. 2-3;
130. ბათუმის სურათები - გაზეთი "დროება", 1883, #156, 10.08, გვ. 1-3;
131. ბათუმის სურათები - გაზეთი "დროება", 1883, #167, 24.08, გვ. 1-3;
132. შინაური ქრონიკა - გაზეთი "დროება", 1883, #168, 25.08, გვ. 2-3;
133. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - გაზეთი "დროება", 1883, #229, 13.11, გვ. 1-2;
134. ახალი ამბები - გაზეთი "დროება", 1883, #252, 14.12, გვ. 2;
135. შინაური ქრონიკა - გაზეთი "დროება", 1883, #255, 17.12, გვ. 2;
136. შინაური ქრონიკა - გაზეთი "დროება", 1884, #216, 7.10, გვ. 2;
137. ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე, წერილი რედაქტორთან - გაზეთი "დროება", 1884, #220, 12.10, გვ. 3;
138. ი., ბათუმი - გაზეთი "დროება", 1884, #260, 2.12, გვ. 2;

139. თბილისი, 30 იანვარს - გაზეთი "დროება", 1885, #23, 30.01, გვ. 2;
140. ბათუმელი, ბათუმი - გაზეთი "დროება", 1885, #62, 21.03, გვ. 3;
141. პ., ბათუმისა და ახალციხის თავადაზნაურობა - გაზეთი "დროება", 1885, #101, 17.05, გვ. 1-2;
142. შინაური ქრონიკა - გაზეთი "დროება", 1885, #142, 5.07, გვ. 2;
143. ს. ყ-ნი, ბათუმი. [ფელეტონი] - გაზეთი "დროება", 1885, #145, 9.07, გვ. 1-3;
144. აბაშიძე ჰუსეინ ბეგ სანჯაკ ბეგ ზადე და კიდევ 19 ხელმომწერი, წერილი რედაქტორთან - გაზეთი "დროება", 1885, #152, 17.07, გვ. 1;
145. დიმიტრი ყიფიანი, წერილი ხუსეინბეგ სანჯაკ ბეგზადეს - გაზეთი "დროება", 1885, #178, 20.08, გვ. 1;
146. ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე, წერილი რედაქტორთან - გაზეთი "დროება", 1885, #179, 21.08, გვ. 2;
147. შინაური ქრონიკა - გაზეთი 1885, #185, 28.08, გვ. 2;

გაზეთი "ივერია"

148. ხუმარა, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1886, #53, 8.03, გვ. 3;
149. ხუმარა, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1886, #107, 20.05, გვ. 2-3;
150. დღიური - გაზეთი "ივერია", 1886, #177, 15.08, გვ. 2;
151. მ. ნათაძე, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1886, #282, 31.12, გვ. 2-3;
152. საფრანგეთში მოსწავლე ქართველები, ბათუმის სკოლისათვის შემოწირულობა - გაზეთი "ივერია", 1887, #5, 9.01, გვ. 3;
153. ბათუმელი, დღიური პროვინციელისა - გაზეთი "ივერია", 1887, #38, 21.02, გვ. 1-2;
154. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", , 1887, #43, 28.02, გვ. 2;
155. ბათუმელი, დღიური პროვინციელისა - გაზეთი "ივერია", 1887, #64, 27.03, გვ. 2-3;
156. ბათუმელი, დღიური პროვინციელისა - გაზეთი "ივერია", 1887, #77, 21.04, გვ. 2;

157. 1887, #89 - ბათუმელი, დღიური პროვინციელისა - გაზეთი "ივერია", 1887, #89, 6.05, გვ. 3;
158. 1887, #103 - ტფილისი - გაზეთი "ივერია", 1887, #103, 27.05, გვ. 1;
159. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1887, #178, 28.08, გვ. 2;
160. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1887, #199, 25.09, გვ. 2;
161. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1887, #202, 30.09, გვ. 2;
162. პ. ბათუმის ამბები - გაზეთი "ივერია", 1887, #204, 3.10, გვ. 1-2;
163. ბათუმელი, წერილი ბათუმიდან - გაზეთი "ივერია", 1887, #220, 22.10, გვ. 1-2;
164. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1887, #232, 6.11, გვ. 2;
165. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1887, #242, 19.11, გვ. 2;
166. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1887, #243, 20.11, გვ. 2;
167. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #13, 20.01, გვ. 2;
168. ბათუმელი, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1888, #46, 1.03, გვ. 3;
169. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #49, 8.03, გვ. 2;
170. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #78, 12.04, გვ. 2;
171. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #156, 27.07, გვ. 2;
172. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #196, 20.09, გვ. 2;
173. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #202, 28.09, გვ. 2;
174. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #265, 16.12, გვ. 2;
175. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1888, #273, 25.12, გვ. 2;
176. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #4, 6.02, გვ. 2;
177. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #67, 29.03, გვ. 1;
178. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #84, 23.04, გვ. 1;
179. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #95, 6.05, გვ. 2-3;
180. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #96, 9.05, გვ. 2;
181. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #100, 14.05, გვ. 2;
182. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #106, 24.05, გვ. 1;
183. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #131, 24.06, გვ. 1;

184. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #154, 22.07, გვ. 1;
185. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #155, 25.07, გვ. 2;
186. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #203, 26.09, გვ. 1;
187. წერილი რედაქციის მიმართ, გრ. ვოლსკი - გაზეთი "ივერია", 1889, #229, 28.10, გვ. 3;
188. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1889, #234, 8.11, გვ. 3;
189. მ. ნათაძე - გაზეთი "ივერია", 1889, #267, 15.12, გვ. 1;
190. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1890, #27, 4.02, გვ. 2;
191. დღიური - გაზეთი "ივერია", 1890, #28, 6.02, გვ. 2;
192. დღიური - გაზეთი "ივერია", 1890, #28, 6.02, გვ. 2;
193. ბათუმელი, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1890, #70, 6.04, გვ. 2;
194. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1890, #84, 22.04, გვ. 2;
195. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1890, #128, 19.06, გვ. 2;
196. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1890, #142, 6.07, გვ. 1;
197. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1890, #176, 17.08, გვ. 1;
198. პ. უმიკაშვილი, ძველი შეცდომა - გაზეთი "ივერია", 1891, #2, 4.01, გვ. 1-2;
199. დეპეშა - გაზეთი "ივერია", 1891, #2, 4.01, გვ. 3;
200. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1891, #90, 30.04, გვ. 2;
201. ვანო ემ-ი, ბათუმი და მისი აწინდელი მდგომარეობა - გაზეთი "ივერია", 1891, #145, 11.07, გვ. 2-3;
202. ვანო ემ-ი, ბათუმი და მისი აწინდელი მდგომარეობა - გაზეთი "ივერია", 1891, #146, 12.07, გვ. 2-3;
203. ზ. ჭ., ქობულეთი - გაზეთი "ივერია", 1891, #156, 25.07, გვ. 2-3;
204. ზ. ჭ., კინტრიშის ხეობა - გაზეთი "ივერია", 1891, #162, 1.08, გვ. 2-3;
205. ზ. ჭ., ჩაქვის ხეობა - გაზეთი "ივერია", 1891, #171, 13.08, გვ. 2-3;
206. ზ. ჭ., ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1891, #181, 25.08, გვ. 3;
207. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1891, #222, 19.10, გვ. 1;
208. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1891, #223, 20.10, გვ. 1;

209. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1891, #235, 5.11, გვ. 2;
210. ზ. ჭიჭინაძე, † თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი - გაზეთი "ივერია", 1891, #258, 4.12, გვ. 2;
211. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1892, #13, 19.01, გვ. 2;
212. გრ. ვოლსკი, წერილი ბათუმშიდამ - გაზეთი "ივერია", 1892, #26, 4.02, გვ. 2;
213. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1892, #50, 7.03, გვ. 2;
214. ი. სვიმონიძე, ერთის სკოლის შესახებ - გაზეთი "ივერია", 1892, #85, 24.04, გვ. 2;
215. ზ. ჭ., ქობულეთი - გაზეთი "ივერია", 1892, #144, 10.07, გვ. 2-3;
216. ზ. ჭ., სოფ. კვირიკე (ბათუმი ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1892, #149, 16.07, გვ. 3;
217. ზ. ჭ., სოფ. ვარჯანული (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1892, #158, 28.07, გვ. 3-4;
218. ზ. ჭ., სოფ. ვარჯანული (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1892, #161, 31.07, გვ. 3-4;
219. ზ. ჭ., სოფ. ზენეთი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1892, #172, 14.08, გვ. 2-3;
220. ზ. ჭ., ქედა (ქვედა აჭარა) - გაზეთი "ივერია", 1892, #193, 12.09, გვ. 2-3;
221. თ. აბდულ ეფენდი მიქელაძე, სოფ. ქედა (ქვედა აჭარა) - გაზეთი "ივერია", 1892, #196, 17.09, გვ. 3;
222. ახალი ამბავი [ს. ქედა] - გაზეთი "ივერია", 1892, #210, 6.10, გვ. 2-3;
223. ა. ფრონელი [აბდულ ეფენდი მიქელაძის სტატიაზე] - გაზეთი "ივერია", 1892, #213, 9.10, გვ. 1;
224. ზ. ჭ., მარადიდი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1892, #233, 4.11, გვ. 2-3;
225. ზ. ჭ., მარადიდი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1892, #234, 5.11, გვ. 2;
226. ახალი ამბავი [იესე კილიპტარი, მარადიდიდან] - გაზეთი "ივერია", 1892, #240, 12.11, გვ. 3;

227. ახალი ამბავი [გრ. კოპინაშვილის წერილი რედაქციის მიმართ] - გაზეთი "ივერია", 1892, #255, 2.12, გვ. 1;
228. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #4, 8.01, გვ. 2;
229. ჰასან აღა ციციშვილი, სოფ. ქედა - გაზეთი "ივერია", 1893, #15, 22.01, გვ. 3;
230. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #29, 11.02, გვ. 2-3;
231. ახალი ამბავი [ს. ქაქუთი] - გაზეთი "ივერია", 1892, #39, 23.02, გვ. 2;
232. ნ. პ., ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1893, #65, 2.04, გვ. 3;
233. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #103, 21.05, გვ. 2;
234. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #110, 29.05, გვ. 2;
235. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #116, 5.06, გვ. 2;
236. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #116, 5.06, გვ. 2;
237. ავ-ნ ჭა-ლი, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1893, #138, 2.07, გვ. 2-3;
238. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #144, 9.07, გვ. 1;
239. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #148, 14.07, გვ. 2;
240. ავ-ნ ჭა-ლი, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1893, #149, 15.07, გვ. 2;
241. ზ. ჭ., წერილი ბათუმიდან - გაზეთი "ივერია", 1893, #152, 18.07, გვ. 3;
242. ზ. ჭ., წერილი ბათუმიდან - გაზეთი "ივერია", 1893, #153, 20.07, გვ. 3;
243. ზ. ჭ., წერილი მაჭახლიდან - გაზეთი "ივერია", 1893, #159, 28.07, გვ. 2;
244. ზ. ჭ., წერილი ლივანიდგან - გაზეთი "ივერია", 1893, #165, 4.08, გვ. 2-3;
245. ზ. ჭ., წერილი ლივანიდგან - გაზეთი "ივერია", 1893, #166, 5.08, გვ. 2-3;
246. ზ. ჭ., მარადიდი - გაზეთი "ივერია", 1893, #182, 25.08, გვ. 1-2;
247. ზ. ჭ., მარადიდი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1893, #183, 27.08, გვ. 2-3;
248. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #184, 28.08, გვ. 2;
249. ზ. ჭ., მარადიდი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1893, #184, 28.08, გვ. 2-3;
250. ზ. ჭ., მარადიდი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1893, #185, 29.08, გვ. 2-3;

251. ზ. ჭ., მარადიდი (ბათუმის ოლქი) - გაზეთი "ივერია", 1893, #186, 1.09, გვ. 3-4;
252. ზ. ჭ., ქობულეთი - გაზეთი "ივერია", 1893, #198, 17.09, გვ. 1-2;
253. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #199, 18.09, გვ. 1;
254. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #208, 29.09, გვ. 2;
255. შემოწირულობა (ბათუმის სკოლის ასაშენებლად, თავმჯდომარე კომიტეტისა მიხ. ბეთანოვი) - გაზეთი "ივერია", 1893, #214, 7.10, გვ. 2-3;
256. ზ. ჭ., ზეგანი - გაზეთი "ივერია", 1893, #218, 12.10, გვ. 1-2;
257. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #223, 17.10, გვ. 1;
258. გიორგი ჩიჩუა, თავადი ვიაზემსკი ჩაქვში - გაზეთი "ივერია", 1893, #225, 20.10, გვ. 2;
259. გიორგი ჩიჩუა, თავადი ვიაზემსკი ჩაქვში - გაზეთი "ივერია", 1893, #250, 21.10, გვ. 1;
260. ზ. ჭ., აჭარა - გაზეთი "ივერია", 1893, #251, 20.11, გვ. 2-3;
261. ზ. ჭ., აჭარა - გაზეთი "ივერია", 1893, #263, 4.12, გვ. 2;
262. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1893, #265, 8.12, გვ. 2;
263. მღვდელი ბათუმის საკრებულო ეკლესიისა სიმონ თოთიბაძე, ბათუმის საკრებულო ეკლესიის ქართულ სამწირველოს მზრუნველობის ანგარიში - გაზეთი "ივერია", 1893, #269, 12.12, გვ. 2-3;
264. ი. ბარკალა-ი, წერილი ქვაბლიანიდგან - გაზეთი "ივერია", 1894, #7, 11.01, გვ. 1-2;
265. ნ. პ., ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1894, #20, 27.01, გვ. 1-2;
266. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1894, #37, 17.02, გვ. 2;
267. მეველე - გაზეთი "ივერია", 1894, #40, 20.02, გვ. 1;
268. უბინაო, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1894, #77, 9.04, გვ. 3;
269. ბათუმელი, ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1894, #125, 15.06, გვ. 3;
270. ივ. ჯაიანი, სოფ. ბორჩხა - გაზეთი "ივერია", 1894, #131, 22.06, გვ. 3-4;
271. ილია ალხაზიშვილი, ქართველ მაჰმადიან მესხების დაბრუნება ოსმალეთიდან - გაზეთი "ივერია", 1893, #185, 1.09, გვ. 1-3;

272. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1894, #200, 21.09, გვ. 2;
273. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1894, #259, 8.12, გვ. 1;
274. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1895, #86, 25.04, გვ. 1-2;
275. იმმა, სტამბოლი - გაზეთი "ივერია", 1895, #209, 30.09, გვ. 3;
276. იმმა, კონსტანტინოპოლი - გაზეთი "ივერია", 1895, #222, 15.10, გვ. 3;
277. ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდგან) - გაზეთი "ივერია", 1895, #226, 20.10, გვ. 3-4;
278. ანტ. [ანტონ] ფურცელაძე, რა უყოთ ქართველ მაჰმადიანთა ახალგაზრდობას? - გაზეთი "ივერია", 1895, #239, 4.11, გვ. 2;
279. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1897, #54, 21.09, გვ. 1-2;
280. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1897, #120, 19.06, გვ. 1-2;
281. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1899, #49, 6.03, გვ. 2;
282. ა. მგელაძე, აჭარა - გაზეთი "ივერია", 1899, #203, 22.09, გვ. 1-3;
283. ა. მგელაძე, აჭარა - გაზეთი "ივერია", 1899, #204, 23.09, გვ. 1-2;
284. წერილი ბათუმიდგან - გაზეთი "ივერია", 1899, #234, 31.10, გვ. 1-2;
285. ყურთ-ოღლი, ხულა - გაზეთი "ივერია", 1900, #40, 23.02, გვ. 2-3;
286. მარიამ ბეთანიშვილისა, წერილი რედაქციის მიმართ - გაზეთი "ივერია", 1900, #101, 12.05, გვ. 4;
287. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1900, #116, 2.06, გვ. 2;
288. ახალი ამბავი - გაზეთი "ივერია", 1900, #153, 16.07, გვ. 2;
289. ზ. ჭ., კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, მოგონება - გაზეთი "ივერია", 1900, #196, 8.09, გვ. 3-4;
290. არავინ [ალექსანდრე ფრონელი], ახალციხის ამბები - გაზეთი "ივერია", 1901, #127, 14.07, გვ. 1-2;
291. ს. გ., აჭარა. - გაზეთი "ივერია", 1901, #178, 19.08, გვ. 2;
292. ახალი ამბავი - 1901, #278, 22.12, გვ. 2;
293. ზ. ჭ., წერილი ბათუმიდგან - გაზეთი "ივერია", 1902, #61, 20.03, გვ. 2;
294. ტფილისი - გაზეთი "ივერია", 1902, #132, 25.06, გვ. 1-2;

295. ზ. ჭ., ბათუმი (ქართველი კათოლიკეები) - გაზეთი "ივერია", 1902, #169, 10.08, გვ. 2-3;
296. ზ. ჭ. [ზაქარია ჭიჭინაძე], შესართავი (ქვედა აჭარა) - გაზეთი "ივერია", 1902, #176, 20.08, გვ. 2;
297. კიბე (ქვედა აჭარა) - გაზეთი "ივერია", 1902, #184, 29.08, გვ. 3;
298. ონ-ლიძე, წერილები რედაქციის მიმართ - გაზეთი "ივერია", 1902, #221, 17.10, გვ. 4;
299. ჩვენებური ამბები. ანემპოდისტე ჯანელიძე, ბათომი+ლევან მჭედლიშვილი - გაზეთი "ივერია", 1902, #230, 29.10, გვ. 2;
300. ტფილისი - გაზეთი "ივერია", 1903, #99, 8.05, გვ. 1;
301. ჩვენებური ამბები. ბათუმი - გაზეთი "ივერია", 1903, #109, 23.05, გვ. 2-3;
302. ქვედა აჭარა - ს. ქედა - გაზეთი "ივერია", 1904, #164, 16.07, გვ. 3;
303. საქართველოს ამბები. შავშეთელი, შესართავი (ქვედა აჭარა) - გაზეთი "ივერია", 1904, #185, 12.08, გვ. 2;
304. ზ. ჭ., აზრი სტ. კ-ძის ზუბალაშვილისა ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაზედ - გაზეთი "ივერია", 1904, #222, 26.09, გვ. 2-3;

ლიტერატურა

1. ავალიანი ამირან, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960.
2. ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), ბათუმი, 1943.
3. ბაბილოძე გრიგოლ, განათლების აღმავლობა აჭარაში (1878-1978), ბათუმი, 1979.
4. ბარამიძე ირაკლი, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები), ბათუმი, 1999.
5. ბაქრაძე დიმიტრი, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი, 1987.

6. გვარამაძე კონსტანტინე, ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპპი და მისი მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1903.
7. გოგოლიშვილი ოთარ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში, თბილისი, 2009.
8. ვარდმანიძე ჯუმბერ, მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლებში), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2002.
9. ვარშანიძე ნადიმ, ბათუმის ოლქი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში (ეთნო-კულტურული ვითარება), ბათუმი, 2006.
10. ისმეთაძე მეჰმედ არიფ, ქართული სოფლები (თურქეთში), მიხეილ სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბილისი, 1996.
11. კარალიძე ჯემალ, აჭარა 1878-1903 წლებში, ბათუმი, 2009.
12. კლდიაშვილი დავით, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.
13. კომახიძე თეიმურაზ, ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები, ბათუმი, 1996.
14. კომახიძე თეიმურაზ, აჭარის მოამაგენი, ბათუმი, 1995.
15. კომახიძე თეიმურაზ, ბათუმის ამაგდარნი, ბათუმი, 1993.
16. კომახიძე თეიმურაზ, ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმი, 2003.
17. კომახიძე თეიმურაზ, ილია ჭავჭავაძე აჭარის დიდი მოამაგე, ბათუმი, 2004.
18. ლომსაძე შოთა, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბილისი, 1984.
19. ლომსაძე შოთა, მესხები, თბილისი, 1997.
20. მეგრელიძე შამშუ, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისგან, ბათუმი, 1956.
21. მეგრელიძე შამშუ, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში), თბილისი, 1964.

22. ოქროპირიძე უჩა, აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათუმი, 2001.
23. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ბათუმი, 2008.
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970.
25. სახოკია თედო, მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
26. სიორიძე მალხაზ, ბათუმის საბაჟო, ბათუმი, 2003.
27. სიჭინავა ვლადიმერ, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958.
28. სურგულაძე აბელ, მალხაზ სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996.
29. ფუტკარაძე თამაზ, აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათუმი, 2005.
30. ჩელები ფევზი, დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2018.
31. ყაზბეგი გიორგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.
32. ყაზბეგი გიორგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960.
33. ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი, ტომი VIII, თბილისი, 1984.
34. ჭიჭინაძე ზაქარია, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.
35. Френкель А., Очерки Чырук-Су и Батума, Тифлис, 1879.
36. Чорохский край (военно-статистический очерк), выпуск 1. Составил, В. Я. Лисовский, Тифлис, 1887.
37. Батум и его окрестности (К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи), Батум, 1906.

ქურნალები

38. ბუბულაშვილი ელდარ, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, V, თბ; 2001.

39. ბუბულაშვილი ელდარ, ზაქარია ჭიჭინაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა აჭარაში, ჟურნ. "ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრება, გეოგრაფია სკოლაში", 1987, #1.
40. სიორიძე მალხაზ, ცარიზმის დემოგრაფიული პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1879-1917 წლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი, 2002.
41. ქუციაშვილი ლიანა, ზაქარია ჭიჭინაძე ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აშენების შესახებ, ჟურნ. "რელიგია", 2013, #2, გვ. 65-70.